საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

www.geworld.net

№39

25 ნოემბერი - 1 დეკემბერი, 2009

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი

გამოდის ოთხშაბათობით

info@geworld.net


## Яка смачна краватка* 2



* რა გემრიელი ჰალსტუხია (უკრ.)

# ახალი დიეტა სააკაშვილისთვის ანუ ერთი დაცინვით მოკლული ორი კურდღელი

6 გუბაზ სანიკიძე: **არავისზე მეტხანს არ მძინავს, არც არავისზე მეტს ვჭამ და არც არავისზე მეტს ვსვამ**



ვაჟა ბერიძე: **საინტერესოა, ფორუმის ლიდერები თავს მენახირეებად თვლიან თუ არწივებად?..** 8



# სტრასბურგის სასამართლომ სკოლებში ქრისტიანობის სიმბოლო აკრძალა 29

პატრიოტის ტრიბუნა //

## განადგურებული სახელმწიფო შეიძლება აღდგეს, მაგრამ განადგურებული ერი ვეღარასოდეს აღდგება! 4

ბიიივიიი... //

## მთვრალი გივი თარგამაძე ზუგდიდში ლტოლვილებს დაერია 10



დიპლომატიური კლუბი //

11 ერაყის ელჩი საქართველოში:

## აქ იმისთვის ჩამოვედით, რომ დავეხმაროთ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობაში

პოლიტოლოგის ტრიბუნა //

არნო ხიდირბეგიშვილი:

## ვინ არის მტყუან-მართალი და ვინ — ტვინმართული... 12

ფსიქოპორტრეტი //

ზურაბ გაგნიძე:

## გიგი წერეთელი ჩვეულებრივი მედროვეა 14

რუხი თანამშრომლის აღსარება //

## რა დასკვნები უნდა გამოიტანოს საქართველომ ბჟეზინსკის განცხადებიდან? 16

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ფინეთის ყურე «ჩრდილო ნაკადისთვის» მზადდება




**ჰელსინკიდან 30 კილომეტრით სამხრეთისკენ, ფინეთის ყურეში, გაზსადენის — „ჩრდილოეთის ნაკადის“ დამინული ფსკერის გაწმენდა დაიწყო. პირველი ნაღმის აფეთქებამდე გემებს ასაფეთქებელი სამუშაოების ადგილიდან ორი კილომეტრის რადიუსამდე მიახლოება აეკრძალათ.**

კომპანია „Nord Stream“-ის წარმომადგენელთა თქმით, ჯერ აფეთქდება მეორე მსოფლიო ომისდროინდელი საბჭოთა ნაღმი, რომელიც დაახლოებით 150 კილოგრამს იწონის; მისგან ორი კილომეტრის მოშორებით განთავსებული მეორე ნაღმი კი — ორი-სამი დღის შემდეგ.

სულ ფინეთის განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში გაზსადენის გზის გასაკვალად 34 ნაღმი და სხვა ასაფეთქებელი საშუალებები იქნება გამოყენებული; შვედეთის წყლებში — ორი, რუსეთის წყლებში კი — 30.

შვედეთისა და ფინეთის ტერიტორიებზე 1223 კილომეტრიანი გაზსადენიდან შესაბამისად 506 და 374 კილომეტრიანი მონაკვეთები განთავსდება.

ფინეთისა და შვედეთის წყლებში გაზსადენისთვის გზის გასუფთავების სამუშაოებს ბრიტანული კომპანია „Bactec“-ის კუთვნილი პანამის დროშის ქვეშ მცურავი 69-მეტრიანი გემი „John Lethbridge“ აწარმოებს. ასაფეთქებელი სამუშაოები დისტანციური მართვის წყალქვეშა რობოტების დახმარებით შესრულდება. რუსეთის წყლებში კი ასაფეთქებელ სამუშაოებს ფედერაციის სამხედრო-საზღვაო ფლოტი განახორციელებს.

„Nord Stream“ 1223-კილომეტრიანი გაზსადენია, რომელიც რუსეთის სანაპიროდან — ვიბორგიდან ბალტიის ზღვის ფსკერს გერმანიამდე გაივლის. პროექტის კაპიტალის 51%-ის მფლობელი „გაზპრომია“. 2011 წლისათვის, პირველი ხაზის მწყობრში მოყვანის შემდეგ, დაგეგმილია გაზსადენის ამუშავება დაბალი დატვირთვით — წელიწადში 27,5 მილიარდი კუბური მეტრი გაზის გადაზიდვა. მეორე ხაზის ამუშავების შემდეგ კი გაზსადენის საერთო სიმძლავრე წელიწადში 55 მილიარდი კუბური მეტრი გაზის გადაზიდვით განისაზღვრება.

# ახალი დიეტა ანუ ერთი დაცინვით

**მოვლენები საქართველოსა და უკრაინის გარშემო „ვალსის“ რიტმსა და ბლიცკრიგის ტემპში ვითარდება. დღითიდღე სულ უფრო ცხადი ხდება, რომ კრემლი პოსტსაბჭოთა სივრცეში მასშტაბურ შეტევაზე გადავიდა. რამდენად მზად არის რუსეთი შორს წასასვლელად? რას დაუპირისპირებს მას თეთრი სახლი და, საერთოდ, აპირებს თუ არა იგი პრინციპული წინააღმდეგობის გაწევას? კითხვა, რომელიც სულ რაღაც 3-4 წლის წინათ ერთობ ერეტიკულად ჟღერდა, დღეს სავსებით ლეგიტიმური გახდა.**
**ორივე მთავარი თემა, რომელმაც გასულ კვირას ქართული საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო, რუსეთის პრემიერ-მინისტრის ვლადიმერ პუტინის განცხადებებს უკავშირდება. ერთი მან ევგენი პრიმაკოვის იუბილეზე, მეორე კი იულია ტიმოშენკოსთან შეხვედრის დროს გააკეთა; ჩვენც სწორედ ამ თანმიმდევრობით განვიხილავთ.**

საინტერესოა, რომ 16 ნოემბერს „გაზეტა.რუ“-ს მიმომხილველის ბოჟენა რინსკას ფრიად სკანდალური წერილი გამოქვეყნდა, როდესაც პრიმაკოვის დაბადების დღიდან ორ კვირაზე მეტი იყო გასული. სხვა რუსული მედიასაშუალებები, რომლებმაც საზეიმო ღონისძიება ცხელ კვალზე (1-2 ნოემბერს) გააშუქეს, საქართველოს თემას საერთოდ არ შეხებია. ასეთი ხანგრძლივი პაუზა ფაქტიდან მის გახმაურებამდე ერთობ უცნაური ჩანს. ორ კვირაში შეიძლება არა მხოლოდ მსგავსი წერილი დაწერო, არამედ ასწავლო პინგვინს პინგპონკის თამაში, აკაკი მინაშვილს — ქარგვა, ხოლო ნუგზარ წიკლაურს — ძერწვა **(ბოლოს ოდნავ გადავაჭარბე, ეს, ალბათ, მაინც შეუძლებელია, ამიტომ „ასწავლო ნუგზარ წიკლაურს ძერწვა“-ს ნაცვლად ვიგულისხმოთ „ასწავლო შოთა მალაშხიას ბატუტზე ხტომა“).**

რინსკას ტექსტი, რომელიც, ერთი შეხედვით, ბომონდის ცხოვრების მსუბუქ, ჭორნარევ ქრონიკას წარმოადგენს, დაკვირვებისას ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ მის დახვეწაზე წაიმუშავა მთელმა შემოქმედებითმა კოლექტივმა, რომლის ბირთვს შეადგენდნენ ჭაღარაშერეული მამაკაცები წოდებით არანაკლებ პოლკოვნიკისა, რადგან წერილის თითოეული პასაჟი კარგად აწონილ გზავნილს შეიცავს.

**„პუტინმა იმთავითვე გაგვაფრთხილა, რომ მას კარგად ესმის, რომ ყოველივე თქმული დარბაზის ფარგლებს გასცდება. მეტიც, სწორედ ამის იმედი აქვს. რის შემდეგაც გაახმოვანა თავზარდამცემი განცხადება, რომ საქართველოს გაერთიანების საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია. და არ არსებობს საკითხი, რომლის გადაწყვეტა არ შეგვიძლია. „ჰოდა, მან (ევგენი პრიმაკოვმა) იზრუნოს ამ საკითხზე“,** — წერს „გაზეტა.რუ“-ს მიმომხილველი.

მან წერილის პირველსავე აბზაცში სადღეგრძელოს გეოპოლიტიკური უწოდა. ეს, მართლაც, ასეა; თუ დეტალებს გვერდზე გადავდებთ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პუტინმა საქართველო რუსეთის გავლენის ზონად გამოაცხადა, შესაბამისად კრემლმა, საქართველოსთან მიმართებაში საკუთარ თავზე არბიტრისა და ლეგიტიმურობის წყაროს ფუნქციები აიღო; ის, რაც ბოლო წლების განმავლობაში თეთრი სახლის პრეროგატივად ითვლებოდა.

**პუტინის გამოსვლის გახმაურება მოხდა არა საიუბილეო ღონისძიების კვალობაზე, არამედ სინგაპურში გამართული ობამა-მედვედევის შეხვედრის მომდევნო დღეს. ამით კრემლმა, სავარაუდოდ, მიანიშნა, რომ აშშ-სთან ორმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარების ლოგიკა (ან სულაც შეთანხმება ორ ქვეყანას შორის) პოსტსაბჭოთა სივრცის რუსეთის კონტროლქვეშ გადასვლას გულისხმობს. წარმოადგენს თუ არა ასეთი მიდგომა სიურპრიზს ვაშინგტონისთვის?**

ინდიკატორის როლს ამ შემთხვევაში ჩვენთვის უკრაინის დღევანდელი მდგომარეობა შეასრულებს, სადაც 17 იანვარს საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება. სწორედ იქ გააკეთა პუტინმა მეორე ხმაურიანი განცხადება, რომელიც მისი სადღეგრძელოს ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენდა.

გასულ კვირას მიხეილ სააკაშვილი კიევს სტუმრობდა. შესაძლოა, ეს იყო მისი უკანასკნელი ოფიციალური ვიზიტი უკრაინაში, რადგან ძალზე საეჭვოა, რომ 17 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, რომელშიც, დიდი ალბათობით, იულია ტიმოშენკო ან ვიქტორ იანუკოვიჩი გაიმარჯვებს, იგი გინდ ერთისთვის, გინდ მეორისთვის სასურველი სტუმარი გახდეს. ბოლო ვიზიტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სააკაშვილის გამასპინძლება არც დანარჩენ მსოფლიოში ეპიტნავება ვინმეს, თუ სათვალავში რამდენიმე ახლოაღმოსავლელ მმართველს და მათ მიხრწნილ დიქტატორებს არ ჩავაგდებთ.

**ისე, სააკაშვილის ვიზიტმა ყატარში, როდესაც მან ემირს ბებია (ცნობისთვის, შესანიშნავი ადამიანი) წარუდგინა, შეიძლება ბელა ახმადულინას ერთი ძველი ინტერვიუ გაგვახსენოს, რომელშიც პოლიტიკისაგან ძალზე შორს მდგომმა პოეტმა საოცარი გამჭრიახობით განჭვრიტა მიხეილ სააკაშვილის ფსიქოლოგიური არსი და მისი მომავალი: „გარწმუნებთ, საქართველოს ახლანდელ პრეზიდენტს ბებია ზრდიდა. ჰკოცნიდა, ეფერებოდა: — მიშიკო, საყვარელო, გთხოვ, შეჭამე კიდევ ერთი ნაჭერი, გევედრები. იგი ცოტათი განებივრებულია. მაგრამ ამერიკა დიდხანს არ მოეფერება სააკაშვილს, ბებიასავით არ მიეალერსება“ („იზვესტია“ 27.07.06).**

ამერიკა ბებია არ არის. ჩვენი პოლიტიკური ელიტისა და, უპირველესად, მიხეილ სააკაშვილის მხრიდან, მასთან ურთიერთობის აგება განებივრებული, ცელქი შვილიშვილის პოზიციიდან ფატალურ შეცდომას წარმოადგენდა. საკმაოდ საგულისხმო რამ თქვა ზბიგნევ ბჟეზინსკიმ ერთ-ერთ ბოლო, ჩეხეთის ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში: **„აღმოსავლეთევროპელები პატარა ბავშვებივით აღარ უნდა იქცეოდნენ. თავადვე უნდა შეუდგნენ საკუთარი პრობლემების გადაწყვეტას და შეეწყვიტონ მუდმივი ჩივილი აშშ-სთან რუსეთის აგრესიულობაზე“.** ასე რომ, აღარც ბჟეზინსკია ბაბუა, კისინჯერზე რომ არაფერი ვთქვათ. „ევოლუცია, მორფეუს, ევოლუცია...“ თუმცა დავუბრუნდეთ კიევს, სადაც ორი ადამიანი, რომელსაც დღეს ასე აკლია მხარდაჭერა როგორც საერთაშორისო არენაზე, ისე თავიანთი ქვეყნების შიგნით, ერთმანეთს ხვდებოდა. ბუბა კიკაბიძის თქმის არ იყოს, „Вот и встретились два одиночества“...

კასპიური ნავთობის ტრანზიტი უკრაინაში, ქვეყნებს შორის სავაჭრო ბრუნვის ზრდა, ორი ქვეყნის უსაფრთხოების პრობლემები პანევროპული უსაფრთხოების კონტექსტში — შეხვედრაზე განხილული ყველა ეს საინტერესო თემა გადაიფარა სკანდალით, რომელიც ვლადიმერ პუტინის განცხადებას მოჰყვა. იალტაში უკრაინის პრემიერ-მინისტრთან გამართული შეხვედრის შემდეგ მან ურჩია იუშჩენკოს, გაუფრთხილდეს ჰალსტუხს, რათა სააკაშვილმა არ შეუჭამოს და დასძინა, რომ სააკაშვილი და იუშჩენკო, როგორც ჩანს, „იხსენებენ გარდასულ დღეებს და ბრძოლებს, რომლებიც ერთად წააგეს“. ტიმოშენკომ მხარი აუბა პუტინს იუშჩენკო-სააკაშვილის დაცინვაში.

მეორე დღეს განაწყენებულმა სააკაშვილმა უკრაინული ტელევიზიის ეთერში განაცხადა, რომ „ასეთ ტონზე ვინმეზე საუბარი უკრაინის შეურაცხყოფაა“. ამის შემდეგ უკრაინის საგარეო უწყებამ საჭიროდ ჩათვალა, საკუთარი ხედვა წარმოედგინა: **„უნდა გავაცნობიეროთ, რომ ესა თუ ის ეპიზოდი არ შეიძლება, ამოგლიჯო კონტექსტიდან, კონტექსტი კი ისეთია, რომ, თუ ვინმემ დაინახა ირონია და მკვეთრი რეაქცია, მისი ნებაა, მაგრამ, ვფიქრობ, რომ თანამშრომლობის ბალანსში, კონკრეტული ქმედებებისა და ირონიის ბალანსში ირონია არ წონის. უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრო თვალს ადევნებს იმას, რომ უკრაინისა და მისი ლიდერებისადმი პატივისცემა დაცული იყოს“,** — განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვალერი ჩალიმ.

ამ ბუნდოვანი ფორმულის ჩამოყალიბება ადამიანურ ენ-

# რუმინეთი პრეზიდენტს ირჩევს

**რუმინეთში ქვეყნის ევროკავშირში გაწევრებიდან პირველი საპრეზიდენტო არჩევნები მძიმე რეცესიის ფონზე გაიმართა.**


ტრაიან ბესესკუ

ქვეყანა იმედოვნებს, რომ ახალი პრეზიდენტი ეკონომიკურს თუ არა, 13 ოქტომბერს პარლამენტის მიერ პრემიერ-მინისტრ ემილია ბოკას კაბინეტისადმი უნდობლობის გამოცხადებითა და მთავრობის დათხოვნით გამოწვეულ პოლიტიკურ კრიზისს მაინც დაასრულებს.

22 ნოემბერს გამართული პირველი ტურისთვის 21 400 საარჩევნო უბანი გაიხსნა. რუმინეთში ხმის უფლება ქვეყნის 18 მილიონზე მეტ მოქალაქეს აქვს. მათ 12 კანდიდატს შორის უნდა გაეკეთებინათ არჩევანი. მათ შორის იყო ქვეყნის მოქმედი პრეზიდენტი ტრაიან ბესესკუ (ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია), საგარეო საქმეთა ექს-მინისტრი მირჩა ჯოანე (სოციალ-დემოკრატიული პარტია) და ბუჰარესტის მერი სორინ ოპრესკუ (დამოუკიდებელი კანდიდატი).

წინასწარი გამოკითხვების თანახმად ბესესკუ ხმათა დაახლოებით 33%-ს დააგროვებს, მისი მთავარი კონკურენტი ჯოანე — 30%-ს. თუ კანდიდატთაგან ვერც ერთი ვერ გადალახავს 50%-იან ბარიერს, მაშინ რუმინეთში საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური 6 დეკემბერს ორ ყველაზე პოპულარულ კანდიდატს შორის გაიმართება.


მირჩა ჯოანე

# ობამას ამერიკელთა ნახევარი განუდგა

**აშშ-ის პრეზიდენტისადმი მოსახლეობის ნდობის მაჩვენებელი 50%-იან ნიშნულს ჩამოსცდა. ამის თაობაზე კვლევების კომპანია „Gallup“-ი იტყობინება.**



მის მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, ახლა ობამას ამერიკელთა 49 პროცენტი უჭერს მხარს; არადა, თებერვლიდან აგვისტომდე პრეზიდენტის რეიტინგი საშუალოდ 60%-ს შეადგენდა. სექტემბრიდან მოყოლებული კი მაჩვენებელი არაერთხელ დაეცა 50%-მდე, თუმცა მას აქამდე არც ერთხელ არ ჩამოცდენია. ამრიგად, ობამამ ომისშემდგომი ამერიკის პრეზიდენტებს შორის რეიტინგის ვარდნის სისწრაფის მხრივ მეოთხე ადგილი უკვე დაიკავა. ამ რეიტინგში პირველი ადგილი ჯერაც ჯერალდ ფორდს უკავია, მან სამ თვეში ამომრჩეველთა ნახევრის კეთილგანწყობა დაკარგა; მეორე ადგილზე ბილ კლინტონია, მისი რეიტინგი 50%-ზე დაბლა ოთხ თვეში დაეცა; მესამე ადგილი რონალდ რეიგანს ეკუთვნის, 50%-იანი ბარიერის გადალახვას 10 თვე მოანდომა. აშშ-ის ერთადერთი პრეზიდენტი, რომლის მიმართ ნდობა 50%-ზე ქვემოთ არასდროს დაცემულა, ჯონ კენედი იყო.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# სააკაშვილისთვის მოკლული ორი კურდღელი



* რა გემრიელი ჰალსტუხია (უკრ.)

აზე შემდეგნაირად შეიძლება: **უკრაინა თავს შეურაცხყოფილად არ გრძნობს, ადგილი ჰქონდა არა შეურაცხყოფას, არამედ ირონიას, ხოლო იმას, ვინც სხვაგვარად ფიქრობს, სრული უფლება აქვს, ცივი წყალი დალიოს. უკრაინის პრეზიდენტის სამდივნოს ხელმძღვანელმა ვერა ულიანიჩენკომ კი განაცხადა, რომ იულია ტიმოშენკოს საქციელი პუტინთან შეხვედრის დროს „დაუშვებელი იყო“. მსგავსი განცხადება გააკეთა ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმაც (ამჟამად უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილემ) ვლადიმერ ოგრიზკომ, იგი პუტინსაც გადასწვდა, თუმცა სააკაშვილის აყრილ ღირსებაზე უკრაინელი ჩინოვნიკები ისე დუმდნენ, როგორც გესტაპოს ჯურღმულებში გამომწყვდეული პარტიზანები.**

უცხოელი სტუმრის სიტყვების შეფასება, ისევე, როგორც სტუმრის შეურაცხყოფაზე რეაქცია, მასპინძელი სახელმწიფოს პრეროგატივას წარმოადგენს, პასუხის ფორმას, დროს და ადგილსაც ის ირჩევს. არ შეიძლება, მას თავზე გადაახტე. სააკაშვილმა სცადა და შედეგად უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს შესაბამისი პასუხი (ვუწოდოთ ამას „პასუხი“, რადგან დიპლომატები არ ხმარობენ სიტყვას „ალიყური“) მიიღო.

რუსეთის პრემიერ-მინისტრს კი, სავარაუდოდ, ორი ძირითადი მომენტის დაფიქსირება სურდა: **1) იგი პოსტსაბჭოთა სივრცის უმაღლესი სუვერენია და, აქედან გამომდინარე, შეუძლია თავს უფლება მისცეს, არად ჩააგდოს ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების ლიდერები; 2) ტიმოშენკოს, თუ იგი დამჯერი იქნება, არჩევნებში კრემლის მხარდაჭერის შანსი ექნება.** დააფიქსირა კიდეც...

წინასაარჩევნო სურათის ანალიზი გვიჩვენებს, რომ სწორედ პრორუსულად განწყობილი ელექტორატის ხმების განაწილებას შეუძლია, გადამწყვეტი როლი შეასრულოს იანუკოვიჩის ან ტიმოშენკოს გამარჯვებაში, შესაბამისად არჩევნების საბოლოო შედეგებზე განმსაზღვრელი ზეგავლენის მოხდენა სწორედ რომ მოსკოვს შეუძლია.

**ფაქტობრივად, კრემლი დღეს (სხვადასხვა მეთოდებით) პრეზიდენტობის ორივე მთავარ კანდიდატს აკონტროლებს. ამერიკელები კი ამ ვითარებას მათთვის ნაკლებად დამახასიათებელი ოლიმპიური სიმშვიდით დასცქერიან. მსგავსი მოვლენები რამდენიმე წლის წინათ რომ განვითარებულიყო, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი დასაბმელი გახდებოდა, თუმცა დღეს იგი 80 წელს გადაცილებული ბუდისტი ბერებისთვის დამახასიათებელ სულიერ წონასწორობას ინარჩუნებს. როგორც ჩანს, ტიმოშენკო კარგად აცნობიერებდა ყოველივე ამას, როდესაც პუტინს ხუმრობაში მხარი აუბა და რუბიკონიც იქვე გადალახა.**

ვინაიდან უახლოეს მომავალში უკრაინულ არჩევნებზე საუბრის შესაძლებლობა არაერთხელ მოგვეცემა, სჯობს, ისევ საქართველოს დავუბრუნდეთ და პუტინის იდუმალებით მოცული სადღეგრძელოს გაშიფრვა დავასრულოთ. დიდი ალბათობით, საქართველოს გაერთიანების შესაძლებლობის ხსენებისას მან ე. წ. კონფედერაციული მოდელის ამოქმედება იგულისხმა. ამ გეგმის ავტორებს ორი ძირითადი მიზნის მიღწევა სურთ: სირთულეების მოხსნა საერთაშორისო არენაზე (კერძოდ, ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობაში), რომელსაც რუსეთი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების შემდეგ წააწყდა და იმ ბარიერის გადალახვა, რომელიც ამავე აღიარებამ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში შექმნა. ცხადია, ეს გეგმა სეპარატისტულ რესპუბლიკებსა და რუსული საზოგადოების ნაწილში უკმაყოფილებას გამოიწვევს, თუმცა მისი დაძლევა კრემლისთვის დიდ პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს.

რაც შეეხება ევგენი პრიმაკოვის პირობით დანიშვნას მთავარ მომრიგებლად, ეს ნაბიჯი, სავარაუდოდ, ემსახურებოდა მასთან დაახლოებული ქართული დიასპორის წარმომადგენლების გააქტიურებას კრემლისათვის სასურველი მიმართულებით და ხაზს უსვამდა მათი მოქმედებების კოორდინირების აუცილებლობას. **ზოგადად, საქართველოს საკითხზე მომუშავე ერთიანი ცენტრის შექმნა, პრობლემის გადაწყვეტაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნა, მიუხედავად იმისა, პრიმაკოვი იქნება თუ დონდუკოვ-კორსაკოვი, ვითარებას პრინციპულად ცვლის. ამ იდეამ გარკვეულწილად არეკლა დიმიტრი მედვედევის ახალი წინადადება ჩრდილოეთ კავკასიის საკითხების მთავარი კურატორის, კავკასიური საკითხების ერთგვარი მინისტრის დანიშვნის შესახებ. ყოველივე ამის მიღმა შეიძლება დაინახო ხელისუფლების ვერტიკალის აგება (დაგეგმარების სტადიაში), რომლის გარეშე კავკასიაში ეფექტიანი პოლიტიკის გატარება რუსეთს, უბრალოდ, არ გამოუვა.**

რუსეთის პრემიერ-მინისტრის განცხადება გაკეთდა სწორედ მაშინ, როდესაც უიმედობამ ქვეყნის გამთლიანების საკითხთან დაკავშირებით ქართულ საზოგადოებაში პიკს მიაღწია. ოფიციალური თბილისი საკმაოდ ორჭოფულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. **თუ პუტინის სადღეგრძელოს ამავე შინაარსის უფრო კონკრეტული განცხადებები და ინიციატივები მოჰყვება, საქართველოს ხელისუფლებას ძალზე გაუჭირდება საპასუხო არგუმენტაციის მოძებნა, რადგან ქართველებისთვის ქვეყნის გამთლიანებაზე მაღალი ფასეულობა, უბრალოდ, არ არსებობს. ერისთვის ესოდენ აქტუალურ თემას 23 ნოემბრის ქადაგებაში ილია II შეეხო: „საქართველო გამთლიანდება. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ აფხაზეთი არ დაგვიკარგავს. აფხაზეთი ჩვენია, აფხაზეთი დაბრუნდება; ასევე — ცხინვალის რეგიონი. უბრალოდ, ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ჩვენი ლოცვები“. დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას, რომელიც (თუ ინტუიცია, ცეზარის ცოლისა არ იყოს, არ მღალატობს) საკმაოდ დინამიური იქნება.**

**დიმიტრი მონიავა**

# ალიევმა და სარქსიანმა ყარაბაღის თაობაზე მოლაპარაკებები დაიწყეს

**მიუნჰენში გაიმართა სომხეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტების სერჟ სარქსიანი და ილჰამ ალიევის შეხვედრა, რომელზეც სახელმწიფოთა მეთაურებმა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირების საკითხები განიხილეს. მიმდინარე წლის განმავლობაში ეს პრეზიდენტების მეექსვე შეხვედრა იყო.**



გასულ პარასკევს აზერბაიჯანის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ, თუ მიუნჰენის აღნიშნული შეხვედრა უშედეგოდ დამთავრდებოდა, რეგიონში შესაძლოა ომი განახლებულიყო. „თუ ეს შეხვედრაც უშედეგო იქნება, ამით ამოიწურება ჩვენი იმედები მოლაპარაკებებთან დაკავშირებით და ამ შემთხვევაში სხვა გზა აღარ დაგვრჩებოდა. და ჩვენ ამისთვის (აზერბაიჯანული მიწის ომის გზით გათავისუფლებისთვის) მზად უნდა ვიყოთ“, — ბრძანა ალიევმა. პრეზიდენტმა დასძინა, რომ წინა მოლაპარაკებებმა შედეგი ვერ გამოიღო სომხური მხარის არაკონსტრუქციული პოზიციის გამო.

ერევანში აზერბაიჯანის პრეზიდენტის აღნიშნულ განცხადებას არა მხოლოდ სომხეთისა და მთიანი ყარაბაღის, არამედ მთელი საერთაშორისო საზოგადოების გამოწვევა უწოდეს.

ორი სახელმწიფოს მეთაურის შეხვედრა მიუნჰენში საფრანგეთის გენერალური კონსულის რეზიდენციაში საშუამავლო მისიის ამერიკელი, რუსი და ფრანგი წარმომადგენლების თანხლებით გაიმართა. სწორედ ამ შუამავალთა განცხადებით, მოლაპარაკებები კონსტრუქციულ ტალღაზე წარიმართა. მართალია, მოლაპარაკებების დეტალები და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დადებითი შედეგები ჯერჯერობით არ გახმაურებულა, მაგრამ ამ ეტაპზე მდგომარეობას განმუხტულად ახასიათებენ.

პრეზიდენტების შეხვედრამდე ერთი დღით ადრე ალიევის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ალი გასანოვმა განაცხადა, რომ, თუ თურქეთი სომხეთთან საზღვარს გახსნის, თურქეთის ახლანდელი ხელისუფლება (და არა სახელმწიფო ან ხალხი) დაკარგავს აზერბაიჯანს. მისი თქმით, აზერბაიჯანი რეგიონში საზღვრების გახსნის წინააღმდეგი არაა, მაგრამ ეს მას შემდეგ უნდა მოხდეს, რაც სომხეთის ჯარი აზერბაიჯანის ტერიტორიებს დატოვებს.

# აშშ-ის სენატი ჯანდაცვის რეფორმირებაზე დებატებს იწყებს

**აშშ-ის კონგრესის სენატმა კენჭი უყარა პრეზიდენტის მიერ წარდგენილ ჯანდაცვის სისტემის რეფორმირების კანონპროექტთან დაკავშირებით დებატების დაწყების საკითხს. დებატების დაწყებაზე თანხმობა 100-დან 60 სენატორს უნდა განეცხადებინა.**

58-ვე დემოკრატმა და ორმა დამოუკიდებელმა სენატორმა ხმა მისცა განხილვის დაწყებას, თუმცა ზოგიერთებმა განაცხადეს, რომ განხილვაზე დათანხმება ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ საბოლოო დოკუმენტსაც დაუჭერენ მხარს. დებატები 30 ნოემბერს დაიწყება და სამ კვირას მაინც გაგრძელდება.

ჯანდაცვის რეფორმა ბარაკ ობამას მთავარი შიდაპოლიტიკური მიზანია. საკითხი, დიდი ხანია, მწიფდება — აშშ-ში არ არსებობს უფასო მედიცინა, ექიმებს ფულს სადაზღვევო კომპანიები უხდიან. ერთი ადამიანის სამედიცინო დაზღვევა საშუალოდ წელიწადში 3 000 დოლარი ღირს, ამასთანავე, სადაზღვევო კომპანიები ანაზღაურებენ სამედიცინო მომსახურების ღირებულების ნაწილს, დანარჩენი ხარჯი პაციენტებმა საკუთარი ჯიბიდან უნდა დაფარონ. ამერიკელთა დიდ ნაწილს კი არც სადაზღვევო თანხის ანაზღაურება შეუძლია და არც მკურნალობის ხარჯების. ამჟამად ამერიკაში 47 მილიონ მოქალაქეს (მთელი მოსახლეობის მეექვსედს) სამედიცინო დაზღვევა არ აქვს.

ობამასეული რეფორმა შტატებს უახლოესი ათი წლის მანძილზე 900 მილიარდამდე ევრო დაუჯდება, მიუხედავად ამისა, პრეზიდენტი ირწმუნება, რომ ეს არ დააზარალებს ქვეყნის ეკონომიკას.

# «აგენტი 202»

**აშშ-ში ხანდაზმულმა ცოლ-ქმარმა აღიარა, რომ კუბის სასარგებლოდ ჯაშუშობდნენ. სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილმა თანამშრომელმა 72 წლის უოლტერ მაიერმა თავი დამნაშავედ ცნო. მას, სავარაუდოდ, სამუდამო პატიმრობა ელის.**

71 წლის გვენდოლინ მაიერსმა, თავის მხრივ, აღიარა, რომ მონაწილეობდა შეთქმულებაში კუბის მთავრობისთვის აშშ-ის თავდაცვის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და მიწოდების მიზნით. ქალი ციხეში, სავარაუდოდ, 6-7 წელს გაატარებს. გარდა ამისა, ცოლ-ქმარმა სახელმწიფოს უნდა დაუბრუნოს 1 735 054 დოლარი, ანუ უოლტერ მაიერსის მიერ აშშ-ის ხელისუფლებისაგან 1983-2007 წლებში მიღებული მთელი გასამრჯელო. უოლტერ მაიერსი, კოდური სახელწოდებით „აგენტი 202“ და გვენდოლინი, იგივე „აგენტი 123“ სამწლიანი გამოძიების შემდეგ დააკავეს. მაიერსი კუბის ხელისუფლებასთან 1978 წლიდან აშშ-ის ადმინისტრაციაში მუშაობის უკანასკნელ დღემდე თანამშრომლობდა. მისივე თქმით, საიდუმლო ცნობებს ის ან იმახსოვრებდა, ან მოკლედ იწერდა და კოდირებული სახით გადასცემდა მოკლეტალღოვანი გადამცემის დახმარებით. გარდა ამისა, პირადად ხვდებოდნენ კუბის სპეცსამსახურების წარმომადგენლებს. კუბის ყოფილმა ლიდერმა ფიდელ კასტრომ ამ წყვილის დაპატიმრებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მაიერსი და მისი მეუღლე კუბელთა უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის მსოფლიოს ყველანაირ პატივს იმსახურებენ.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## ელიზბარ ჯაველიძე:

# განადგურებული სახელმწიფო შეიძლება აღდგეს, მაგრამ განადგურებული ერი ვეღარასოდეს აღდგება!

**ჟურნალისტმა ვახო სანაიამ, კაცმა, რომელმაც საკუთარი ძმის სისხლიან ნაკვალევზე გაიკეთა კარიერა და საკუთარი ძმის მკვლელების გვერდით დადგა, ვინმეს მორალზე (მით უფრო რუსეთის პატრიარქის) აგდებულად როგორ უნდა ისაუბროს? ამ კონკრეტულ შემთხვევაში, არ აქვს მნიშვნელობა, ეს პატრიარქი რუსეთისაა თუ სხვა რომელიმე მართლმადიდებელი ქვეყნისა...**

**მივუყვები მე-19 საუკუნის გენიალური პუბლიცისტის, სერგეი მესხის სახელობის ქუჩას... მივდივარ მე-20 საუკუნის ცნობილ პუბლიცისტთან, ელიზბარ ჯაველიძესთან... ვარ 21-ე საუკუნის ჟურნალისტი... მარჯვნიდან მთაწმინდა დამყურებს, მარცხნიდან — ქართლის დედა, თავში უამრავი კითხვა მაქვს, ამაღლებულ თემებზე საუბრის განწყობით კარზე ზარს ვრეკავ, მაგრამ... როგორც ჩვენი პრეზიდენტი ბრძანებდა, „ვერ მოგართვით“, ანუ „ნურას უკაცრავად!“, სადღაა ამაღლებული განწყობა და თემები...**



**ელიზბარ ჯაველიძე:**

—საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას ქართველი ერის განადგურება და გაჩანაგება აქვს განზრახული, ანუ ის, რაც შედის ამერიკის ინტერესებში — „პლანეტარული იმპერიის“ შექმნა ეწინააღმდეგება ყოველგვარ ეროვნულს, ფასეულს, მართლმადიდებლურს, ქართველების წინარე კულტურასა და ტრადიციებს. ქართველების მისია და მოვალეობა კარგად აქვთ შესწავლილი და გაცნობიერებული მასონურ ძალებს, ამიტომაც ებრძვიან განსაკუთრებულად ქართველ ერსა და ქართულ სახელმწიფოს. სახელმწიფოს განადგურება არ არის იმხელა ტრაგედია, რამხელაც ერის განადგურება! განადგურებული სახემწიფო შეიძლება აღდგეს, მაგრამ განადგურებული ერი — ვეღარასოდეს. ამიტომ დროზე უნდა მოვეგოთ ქართველები გონს და ერთიანი ძალისხმევით უკუვაგდოთ ამერიკული ზეგავლენა, მასონური იდეოლოგია და მათი ყურმოჭრილი მონა — მიხეილ სააკაშვილი ხელისუფლების „ტახტიდან“ ჩამოვაბრძანოთ!

**—გლობალიზაციის საფრთხეზე ბევრი საუბრობს, თუმცა დასაბუთებული ინფორმაცია, რომელიც ამ საფრთხეს ხალხისთვის უფრო თვალსაჩინოს გახდის, მაინც მწირია...**

—თანამედროვე გლობალიზაციის იდეოლოგია დგას ოთხ მსოფლმხედველურ სისტემაზე. პირველი გახლავთ **დარვინის თეორია,** რომლის მიხედვითაც ადამიანი მაიმუნისგან წარმოიშვა. დღეს უკვე აშკარად მიმდინარეობს ადამიანის გაცხოველების, ანუ გამაიმუნების პროპაგანდა; მეორე არის **მარქსის იდეოლოგია,** რომელმაც კაპიტალი ადამიანის ცნობიერების უმაღლეს საფეხურზე აიყვანა; ანუ ღმერთი „ჩაანაცვლა“ ფულით; მესამე არის **ფროიდის თეორია,** რომელმაც ლიბიდო გამოაცხადა ადამიანის ცნობიერებისა და ქმედების საფუძვლად; ანუ ნებისმიერ ადამიანურ, ზნეობრივ და ნათესაურ კავშირებზე მაღლა დააყენა სქესობრივი ლტოლვა და ამით ადამიანური თავისუფლება ცხოველურ თავისუფლებას გაუტოლა; ადამიანისთვის, ისევე როგორც მაიმუნისთვის, დასაშვებად მიიჩნია დედასთან, მამასთან, დასთან და ძმასთან სქესობრივი კავშირი; მეოთხეა **ნიცშეს თეორია,** რომელმაც გამოაცხადა, რომ „ღმერთი მოკვდა“ და მისი ადგილი „ზეკაცმა“, ანუ ძლიერმა ადამიანმა დაიკავა, რითაც ღიად გაილაშქრა ქრისტიანობისა და ქრისტიანული მორალის წინააღმდეგ. აი, ამაზე დგას „მასონური“ იდეოლოგია, რომელსაც ამერიკა საქართველოს ტერიტორიაზე მიხეილ სააკაშვილის ხელით ავრცელებს და ახორციელებს!

**— ბატონო ელიზბარ, ეს საზოგადოების ერთი ნაწილისთვის ძნელი დასაჯერებელია...**

— თავისთავად ძნელი წარმოსადგენი და დასაჯერებელია, რომ ბუნებაში შეიძლება არსებობდეს ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი, რომელთაც საკუთარი ქვეყნის ნგრევა დაუსახავს მიზნად, მაგრამ ფაქტია — ეს ხელისუფლება ქართველ ხალხს არ აურჩევია. იგი მხოლოდ „კულისებს მიღმა არსებული ხელისუფლების“, ანუ „მასონების“ შეკვეთასა და დავალებებს ასრულებს. მიხეილ სააკაშვილს არ უყვარს საქართველო, უფრო მეტიც — მას სძულს ქართველი ხალხი! სძულს ქართული სულიერება, ტრადიციები, კულტურა... ის, რაც დღეს საქართველოში ხდება, ანტიგანათლების, ანტისულიერებისა და ანტიკულტურის პროპაგანდა და დანერგვაა.

## მიხეილ სააკაშვილს არ უყვარს საქართველო — მას სძულს ქართველი ხალხი!

**— რატომ? ქართული კულტურის პოპულარიზაცია სტუმრების წინაშე ყოველთვის ხდება. გავიხსენოთ ბუშის სტუმრობა აბანოთუბანში...**

— რაში გამოიხატებოდა ქართული კულტურის პოპულარიზაცია, „კინტაურის“ ცეკვაში?!

**„კინტაური“ ქართული ცეკვა არაა, იგი ძალიან ბევრ საეჭვო ელემენტებსა და მოძრაობებს შეიცავს.**

**ბუშმა, თავის დროზე აღიარა, რომ ახალგაზრდობაში არატრადიციული სექსით იყო გატაცებული და ეს დაამტკიცა კიდეც აბანოთუბანში „კინტაურის“ წაცეკვებით, გავის საეჭვო გაქნევა-გამოქნევით...**

ბუშის „კინტაური“ ნაკლებად სადარდებელია, მაშინ, როცა ქვეყანა წალეკეს სოროსის ღია თუ ფარულმა აგენტებმა. საქართველო „შაგრენის ტყავივით“ დაპატარავდა, რომელსაც აღარც საკუთარი მიწა აქვს, აღარც — წყალი და აღარც — ჰაერი... ყველაფერი გაგვიყიდეს, გაგვინადგურეს. ახლა ჩვენს რწმენას მიადგნენ, სულიდან გვიშანთავენ ჩვენს ეროვნულობასა და ტრადიციებს... ჩვენს ოჯახებში შემოვიდნენ ტელევიზიების წყალობით, რომელთაც ათასი სიბინძურე და უზნეობა შემოაქვს და ჩვენს ბავშვებს რყვნის — მოკეთეს აძულებს და მტერს მეგობრად უსახავს! ნახეთ, რა ამაზრზენი სიუჟეტები გადის რუსეთის პატრიარქზე...

**—თავისთავად ის ფაქტი, რომ ქართულ მედიაში გახშირდა რუსეთის პატრიარქზე სიტყვიერი და ცილისმწამებლური თავდასხმები, ირიბად თუ პირდაპირ, იმაზე ხომ არ მიანიშნებს, რომ ქართული მედია ხელისუფლების დაკვეთით ანტიმართლმადიდებლურ კამპანიას ატარებს?**

—რასაკვირველია, თავად საქართველოს პატრიარქის დისკრედიტაციის მცდელობაც არ გახლავთ მხოლოდ ქართული მოვლენა. ეს არის მსოფლიო მასონების პოლიტიკის ნაწილი. ვინ არის თეა თუთბერიძე?.. ერთი მახინჯი და უწიგნური დედაკაცი, მასზე საუბარს აზრი არ აქვს, მაგრამ, როცა იგი ბედავს ხელისუფლების დაკვეთით უწმინდესზე თავდასხმას, ამაზე მთელმა ერმა უნდა აღიმაღლოს ხმა! იგივე შეიძლება ითქვას ჟურნალისტ ვახო სანაიაზეც. კაცმა, რომელმაც საკუთარი ძმის სისხლიან ნაკვალევზე გაიკეთა კარიერა და საკუთარი ძმის მკვლელების გვერდით დადგა, ვინმეს მორალზე (მით უფრო რუსეთის პატრიარქის) აგდებულად როგორ უნდა ისაუბროს? ამ კონკრეტულ შემთხვევაში, არ აქვს მნიშვნელობა, ეს პატრიარქი რუსეთისაა თუ სხვა რომელიმე მართლმადიდებელი ქვეყნისა.

**— რუსეთთან ყოველგვარ ურთიერთობაზე უარის თქმა და ნატოში შესვლაზე ოცნება ქართველებს პრაქტიკულად პანაცეად გვექცა. წლების წინ პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია აცხადებდა, რომ ნატოზე სწორება დამღუპველი იქნებოდა საქართველოსთვის. ამისთვის იგი ლამის საქართველოს მტრად შერაცხეს...**

— ალექსანდრე ჭაჭია ახლაც ძალიან ბევრ სწორ დასკვნებს აკეთებს. მსგავსი მოსაზრებები აქვთ სხვა გონიერ და პატრიოტ ადამიანებსაც. ვისაც თუნდაც მცირე წარმოდგენა აქვს ნატოს რაობაზე, დამეთანხმება, რომ ნატო სხვა არაფერია, თუ არა ამერიკის პოლიცია, რომელიც ამერიკის ნება-სურვილის შესაბამის წესრიგს ამყარებს ნატოში გაერთიანებულ ქვეყნებზე. ვერც ერთ ფაქტს ვერ დამისახელებთ, როცა ნატომ დანაწევრებული ქვეყანა გააერთიანა. პირიქით კი ხდება. მათი მიზანია, საქართველო შვიდ ნაწილად დაყონ და მერე სურვილისამებრ იბატონონ ჩვენს ცნობიერებაზეც და ჩვენს ტერიტორიაზეც. როგორც კი ტერიტორიული მთლიანობის პრეტენზიას მოვხსნით, იმ დღესვე მიგვიღებენ ნატოში... თუ აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე უნდა ვთქვათ უარი, ასეთი არც ნატო მინდა და არც კატო!..

**— თქვენი აზრით, რატომ უჭერს სააკაშვილს ასე ძლიერ მხარს შეერთებული შტატების ადმინისტრაცია და რატომ ვერ ელევა მას? დავიჯერო, მისი შემცვლელი არ ჰყავთ?**

—დავიწყოთ იმით, რომ სააკაშვილი ყურმოჭრილი მონის პირობაზეც კი ყველაზე ყურმოჭრილი მონაა და მან შეძლო იმ დავალების შესრულება, რაც თვით შევარდნაძემაც არ იკადრა, ანუ სააკაშვილი დაუპირისპირდა ქართველთათვის ყველაზე სანუკვარს, მართლმადიდებლობას და ერის სულიერ მამას, ილია მეორეს. სააკაშვილის შემცვლელის საკითხი დღეს ღიად სულაც არ არის. თქვენი აზრით, ვინ არის ოპოზიციაში „შეგდებული“ ირაკლი ალასანია, თუ არა ამერიკის მიერ მოვლინებული „რეზიდენტი“?! მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ: ქართველმა ხალხმა არ უნდა დაუშვას, რომ ირაკლი ალასანია გახდეს საქართველოს პრეზიდენტი! ალასანია, ისევე როგორც თავის დროზე სააკაშვილი, არის ამერიკის „პროექტი“. იგი გახლავთ ცერეუში გამოზრდილი კადრი, რომელიც იმავე კურსს გაატარებს, ოღონდ უფრო დინჯად და გონივრულად. ეს კი გაცილებით საშიშია ქვეყნისთვის...

**—რაც შეეხება „გაერთიანებულ ოპოზიციას“?**

— რაში გამოჩნდა ან მაგათი გაერთიანება, ან მაგათი ოპოზიციონერობა?! ორადორ ქალბატონს — ნინო ბურჯანაძესა და ეკა ბესელიას შემორჩათ პრინციპულობა და ბრძოლისუნარიანობა. „უძაღლო ქვეყანაში კატებს რომ აყეფებენ“, ისეა ჩვენი საქმე. ამით ქალბატონებს კი არ ვაყენებ შეურაცხყოფას, არამედ იმ „ვაჟკაცებს“, ლაქლაქის მეტი რომ არაფერი უკეთებიათ, კრიტიკულ მომენტში ბუჩქებში შემძვრალნი რაღაც სულელურ პრაიმერებზე დაობენ! ოპოზიციაშიც, ისევე, როგორც ხელისუფლებაში, ყველას დასავლეთისკენ უჭირავს თვალი და ყველა ამერიკის სიმპათიასა და მოწყალებაზეა დამოკიდებული. ყველა რუსეთს აღიქვამს მტრად, მაგრამ ამერიკის „მეგობრობამ“ რა უბედურება დაგვმართა, ამაზე ხმას არავინ იღებს!

**— და მაინც, არჩევანი გარდაუვალია. თქვენი აზრით, რაზე ან ვისზე უნდა გააკეთოს ქართველმა ხალხმა ეს არჩევანი?**

—არჩევანი უნდა გააკეთოს მართლმადიდებლობაზე, ეროვნულობასა და ქართულ სახელმწიფოზე! ამერიკას არც ჩვენი დემოკრატია ადარდებს, არც ეკონომიკა და არც სულიერება. მას მხოლოდ ჩვენი ტერიტორია უნდა. მათი ქვოტით საქართველოში სულ რაღაც ხუთასი-ექვსასი ათასმა კაცმა რომ იცხოვროს, ესეც საკმარისია და, იცით რატომ? — იმიტომ, რომ სწორედ ამდენივე მომსახურე პერსონალი სჭირდებათ. რაც შეეხება შიდა პოლიტიკას, სადაც არ უნდა იყვნენ, ოპოზიციაში თუ ხელისუფლებაში, ბერძენიშვილისნაირი ნაძირალები (რომელმაც ძმა და საკუთარი პარტიის წევრებიც კი დაასმინა) დისიდენტური წარსულით არ უნდა ატყუებდნენ ხალხს! არც ამერიკის „სარეზერვო პროექტით“ ალასანია არ უნდა გახდეს საქართველოს პრეზიდენტი! და, რაც ყველაზე მთავარია, მუდმივად უნდა გვახსოვდეს, რომ სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნის ყოველი წუთი და საათი აახლოებს ქართული სახელწიფოსა და ქართული ცნობიერების ნგრევას! ჩვენ გვყავს ერის მოღალატე ხელისუფლება, საკუთარ მუცელსა და კეთილდღეობას აყოლილი, რომელსაც არად მიაჩნია ქვეყნისა და ხალხის გასაჭირი... ასეთ ხელისუფლებასთან ყოველგვარი დიალოგი და მოლაპარაკება ქვეყნისა და ერის ღალატის ტოლფასია.

**ელგა ფოლადიშვილი**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# «ქართველები არიან მონები, რომლებიც საკუთარ მიწაზე უცხოელებს ცათამბჯენებს უშენებენ»

**ამ სიტყვებით უკრაინის იმ ტელეშოუში შეგვამკეს, რომელში მონაწილეობის მისაღებადაც ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტმა უკრაინული ვიზიტი ერთი დღით დააჩქარა. ჯერ არავინ იცოდა, რამდენად სამარცხვინო აღმოჩნდებოდა სააკაშვილის აღნიშნული ვოიაჟი და რა შეფასებებს დაიმსახურებდა იგი მსოფლიოს ექსპერტებისა თუ მასმედიის მხრიდან, როცა ყველაფერი რუსეთის პრემიერის ხუმრობით დაიწყო.**



ვლადიმერ პუტინმა მისი და უკრაინის პრემიერის იულია ტიმოშენკოს შეხვედრის შედეგებზე საუბრისას უკრაინისა და საქართველოს პრეზიდენტებს — ვიქტორ იუშჩენკოსა და მიხეილ სააკაშვილს ურჩია, დაგეგმილ ერთობლივ ვახშამზე უჰალსტუხოდ წასულიყვნენ, რათა სტუმარს იუშჩენკოს ჰალსტუხი არ გადაეყლაპა. **„რა რჩევისა და რეკომენდაციის მიცემა შეიძლება კიდევ? ორ პრეზიდენტს, თუ ვახშამს აპირებენ, უჯობთ უჰალსტუხოდ ივახშმონ... ხომ გესმით ჩემი. გადასანსლავს იუშჩენკოს სტუმარი მის ჰალსტუხს“**, — უთხრა ჟურნალისტებს ვლადიმერ პუტინმა.

ჩვენს პრეზიდენტს იუშჩენკოს ჰალსტუხი არ შეუჭამია, მაგრამ „მოახერხა“ და მასპინძელი ქვეყნის პრეზიდენტთან შეხვედრაზე დააგვიანა. **როგორც ადგილობრივი მასმედია იუწყება, 18 ნოემბრის საღამოს მიხეილ სააკაშვილი ჯერ ერთ-ერთ ტელეშოუს სტუმრობდა, შემდეგ კი ერთ-ერთ ღამის კლუბშიც შეიარა და იქ იმდენ ხანს დარჩა, რომ მეორე დილით მასპინძელ კოლეგასთან შეხვედრაზე დროულად მისვლა ვერ შეძლო. როგორც თვითმხილველები იუწყებიან, სააკაშვილის იმდღევანდელი გამომეტყველება აშკარად უძილობაზე მიანიშნებდა.** არც იუშჩენკო ყოფილა წინა დღეს საუკეთესო ფორმაში — მიხეილ სააკაშვილთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე გამოსვლისას რუსეთის პრეზიდენტი ანატოლი დიმიტრის ძედ მოიხსენია.

**დაგვცინიან უკრაინელებიც. მაგალითად, უკრაინის პრეზიდენტის საიტზე გაკვრითაც კი არაა ნახსენები საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტის შესახებ.** რაც შეეხება სატელევიზიო თოქშოუს, „მზად ვარ ვუპასუხო“, რომელში მონაწილეობის მისაღებადაც საქართველოს პრეზიდენტმა, მიუხედავად იმისა, რომ ამ გადაცემაში მისი რანგის არც ერთ სხვა სტუმარს არ ელოდნენ, 19-20 ნოემბრისთვის დაგეგმილი სამუშაო ვიზიტი ერთი დღით დააჩქარა და უკრაინას 18 ნოემბერს ეწვია. იქაც ვერ წავიდა საქმე მთლად კარგად. როგორც შემდეგ წერდა უკრაინული მასმედია, **„სააკაშვილი ყვიროდა, სააკაშვილი ლაპარაკს არავის აცდიდა, სააკაშვილი ხელებს იქნევდა... მოკლედ, ზუსტად ისე იქცეოდა, როგორც ნამდვილ კარგად აღზრდილ პრეზიდენტს შეეფერება... საქართველოს პრეზიდენტი ორი მიზნით გამოგვეცხადა. პირველი მიზანია, მოგვიყვეს, რომ საქართველოში ყველაფერი ისე კარგადაა, რომ მეტი აღარ შეიძლება, ოღონდ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის გახდა პრეზიდენტი. მეორე მიზანი კი უკრაინელთათვის აგიტაციაა, მიატოვონ საკუთარი კარპატები და ყირიმი და საქართველოში დაისვენონ. მესამე მიზანიც ჰქონდა — ვებრძოლოთ, ვებრძოლოთ, ვებრძოლოთ რუსეთს, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, ომამდე... სააკაშვილის ავადმყოფურ ფანტაზიებში საქართველოს ეკონომიკა ყვავის, იზრდება და მრავლდება, ხალხი კმაყოფილია და ყველაფერი მისი დამსახურებაა, ომის დამსახურება...**

**სააკაშვილმა თქვა, რომ ძალიან უყვარს უკრაინა, ვუყვარვართ ჩვენ, სტუდიაში კი საერთოდაც მხოლოდ მისი მეგობრები შეიკრიბნენ. არადა, რამდენიმე წუთის შემდეგ ამ „მეგობრებმა“, „ნაშა უკრაინას“ სახალხო დეპუტატის, ქართველი დავით ჟვანიას სახით, ასფალტზე აგორავეს ეკონომიკის ზრდის არასწორი მონაცემების გამო; იმის გამოც, რომ ყოველი მეორე ქართველი სამშობლოდან გაქცევაზე ოცნებობს ცენზურის გამოც, ომის გამოც, რომელიც რუსეთთან გულუბრყვილო ქართველებისთვის ეროვნული იდეის გამოსაგონებლად დაიწყო. სააკაშვილის ეროვნული იდეა ეს მეზობელ რუსეთთან გაუთავებელი მორალურ-ფიზიკური ომია.**

**ქართველმა სტუმარმა გადაითვალა, რომ ვარდების რევოლუციამდე მის ქვეყანაში კორუფცია 80% იყო, ახლა კი 0,2%-ია. კიდევ მსოფლიო ბანკი თავის ანგარიშებში წერს, რომ ახლა საქართველოში მშვენიერი საინვესტიციო კლიმატია; პირდაპირ სამოთხეა უცხოელი ბიზნესმენებისთვის! ქართველებს — ბრანწი!**

**საქართველოს პრეზიდენტი არნახული სიამოვნებით ყვებოდა, როგორ ჩამოართვეს მანქანა მის თანაშემწეს და როგორ გამოუწერეს ჯარიმა არაფხიზელ მდგომარეობაში მართვისთვის; როგორ ჩაიჭრა მისაღებ გამოცდებზე მისი საუკეთესო მეგობრის შვილი და სააკაშვილს აზრადაც არ მოსვლია, დახმარებოდა; როგორ იდგა საქართველოს პრემიერ-მინისტრი მართვის მოწმობის ასაღებად რიგში, რომელმაც არ მოუწია, იმიტომ, რომ გზა უჩვენეს, მანაც გაიღიმა და წავიდა... მიშა ბაბუს ზღაპრები უკრაინელ ბავშვებსა და უფროსებს ძილის წინ.**

**უკრაინის სახალხო დეპუტატმა ინა ბოგოსლოვსკაიამ სააკაშვილს სთხოვა, ტყუილი არ ეთქვა და დიდხანს ასახელებდა არასასიამოვნო ციფრებს — სინამდვილეში საქართველოში ეკონომიკა საერთოდ აღარ არის. ბოგოსლოვსკაია ამბობდა, რომ „საქართველომ სააკაშვილის წყალობით უცხოელ კრედიტორებს მისცა მთელი ქვეყანა, თავისი ხალხი ომში დახოცა, ახლა კი ქართველები არიან მონები, რომლებიც საკუთარ მიწაზე უცხოელებს ცათამბჯენებს უშენებენ. ამ დროს კი სააკაშვილი იღიმება“.**

დაბოლოს, მსოფლიო მასმედიამ სააკაშვილის უკრაინაში ვიზიტის მთავარი ამოცანა რუსეთის წინააღმდეგ ომში მოკავშირის ძებნად შეაფასა. მის ამგვარ განზრახვას კი იმავე თოქშოუში პრეზიდენტობის კანდიდატმა არსენ იაცენუკმა უპასუხა: **„ნუ უწევთ უკრაინას რუსეთთან ომის აგიტაციას და, საერთოდაც, არ ღირს ომის აგიტაცია“.**

ამ სამარცხვინო ვიზიტამდე ცოტა ხნით ადრე საქართველოს პრეზიდენტს ერთი კვირის მანძილზე განუწყვეტლივ თან ახლდა ჟურნალ **„Time“**-ის ჟურნალისტი ნათან ტორნბერგი. ჟურნალში გამოქვეყნებული თბილისური კვირეულის შთაბეჭდილებებში წერია, რომ ამერიკაში სააკაშვილი, სწავლის გარდა, ქუჩური გარჩევებითაც იყო დაკავებული. საერთოდ, დაკვირვების შედეგად ნათან ტორნბერგმა დაასკვნა, რომ საქართველოს პრეზიდენტი გადაჭარბებულად იმპულსურია და ამის გამო ხშირად აგებს.

**„სხვა ქართველებისგან განსხვავებით, სააკაშვილი არ ეწევა, სვამს, მაგრამ არა თავის გარემოცვაზე მეტს, უყვარს ლამაზი ქალების საზოგადოება. მის ოფისში კედელზე კიდია სურათი, რომელშიც ქართული წარმომავლობის ბრიტანელი პოპვარსკვლავი ქეთი მელუა ჰყავს ხელში აყვანილი, როგორც საქმროს — საცოლე. სააკაშვილი დაუდევარია, ხშირად ჰგავს გარდატეხის ასაკში მყოფ მოზარდს, რომელმაც არ იცის, რა უნდა და არ იცის, როგორ უნდა მოიქცეს. ერთხელ ტელევიზიით აჩვენეს, როგორ ღრღნიდა აღელვებული სააკაშვილი ჰალსტუხს. იმ შემთხვევის შემდეგ ფრთხილობს, რომ ეს ჟესტი აღარ გაიმეოროს, მაგრამ ხშირად ეს არ გამოსდის. ჩემი თანდასწრებით რამდენჯერმე გაღეჭა ცხვირსახოცი. სააკაშვილი ლიდერობის დრამატული აქტების მიმდევარია, მაგრამ მისმა უზარმაზარმა ამბიციებმა და იმპულსურობამ, შესაძლოა, ზიანი მიაყენოს საქართველოს, კავკასიას ბევრი სისხლი მოუტანოს.**

**მე ამერიკაში ვმუშაობ, სააკაშვილს სწორედ ეს მოეწონა, პირდაპირ მითხრა და ამიტომაც დამხვდა ისეთი პომპეზურობით, როგორც უმაღლესი რანგის სტუმარს. ვფიქრობ, ამით ჩემი მოსყიდვა სურდა, რათა შედეგად დადებითად გამეშუქებინა საქართველო და მისი პრეზიდენტი.**

**ჩემი ვიზიტისას სააკაშვილმა უჩვეულო შოუ გამართა. ყველაფერი საპრეზიდენტო ვერტმფრენში შავიზღვისპირეთში მოგზაურობისას დაიწყო. ირგვლივ ბევრი ადამიანი იყო და ისინი ჩვენს ნებისმიერ სურვილს ასრულებდნენ. შორიდან კი ქართველი ჟურნალისტები გვიყურებდნენ. სინდისი მქენჯნიდა — ჩემს კოლეგებთან შედარებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში ვიყავი. ვერტმფრენში პრეზიდენტმა აფხაზეთის საზღვრებიც მაჩვენა და ჩემი თანდასწრებით კიდევ ერთხელ დაიფიცა, რომ მალე წაშლის ამ საზღვრებს“.**

ნათან ტორნბერგმა ამერიკელ მკითხველს საქართველოს უახლესი ისტორიაც შეახსენა, დეტალურად აღწერა 2008 წლის ქართულ-რუსული ომი და, ტალიავინის დასკვნის შესაბამისად, კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ომი სააკაშვილმა დაიწყო.

მოამზადა
**მაია სვიანაძემ**

# რატომ «დამარხეს» ცოცხალი დედოფალი?



**ბელგიის ეროვნულმა სააგენტო „Belga“-მ რამდენიმე დღის წინათ გამოაცხადა, რომ დედოფალი ფაბიოლა გარდაიცვალა.**

ეს ინფორმაცია ვიღაც მოცლილმა სააგენტოს მიკრობლოგზე განათავსა და გარდაცვალების მიზეზად შვილიშვილის, პრინც ლორანის განქორწინების გამო გადამეტებული ნერვიულობა დაასახელა.

მას შემდეგ, რაც მკვდრადგამოცხადებული დედოფალი ცოცხალი აღმოჩნდა, სააგენტომ ბოდიშებიც იხადა და ახალი ამბების მიკრობლოგზე მკაცრი კონტროლის დაწესებაც გადაწყვიტა.

# რა ღირს ბედნიერება?

**ახალგაზრდა ავსტრალიელმა ეკონომისტმა პოლ ფრიჟტერსმა ადამიანისთვის ბედნიერებისა თუ უბედურების მომტანი მოვლენებისაგან გამოწვეული ეფექტი ფულად ეკვივალენტში გადაიანგარიშა.**



გაირკვა, რომ ამა თუ იმ „მოვლენის“ „ღირებულება“ ადამიანის სქესზეა დამოკიდებული. 8 წლის მანძილზე 10 000 ადამიანზე დაკვირვების შედეგად გაირკვა, რომ განქორწინება მამაკაცისთვის 61,5 ათასი ფუნტი სტერლინგის დაკარგვის ტოლფასია, ქალისთვის — 5 ათასის; შეყვარებულის ან შვილის გარდაცვალება ქალისთვის 73 ათასს უტოლდება, მამაკაცისთვის კი — 350 ათასს; კაცისთვის ბავშვის დაბადება 18,2 ათასის მიღების ტოლფასია, ქალისთვის — 4,9 ათასის; ქორწინება ქალისთვის 8,7 ათასს უტოლდება, კაცისთვის — 17,7 ათასს. აღნიშნულ კვლევაზე ცოტა ხნით ადრე სხვა მეცნიერების შეფასებით ფრაზა „მე შენ მიყვარხარ“ ადრესატს 163,4 ათასი ფუნტი სტერლინგით ამდიდრებს.

# ვინ იყიდა დანაშაულის „იარაღი“?

**მოტორიანი სავარძელი, რომლის მთვრალ მდგომარეობაში მართვისთვისაც 62 წლის მინესოტელი დენის ანდერსონი 180 დღით დააპატიმრეს, eBay-ს ინტერნეტ-აუქციონზე 10099 დოლარად და 99 ცენტად გაიყიდა.**



მყიდველის ვინაობა ჯერჯერობით არაა დადგენილი, პოლიცია თვლის, რომ ლოტის ღირებულება ამ სავარძელთან დაკავშირებული ისტორიისადმი მასმედიის ინტერესმა გაზარდა. თავად დენის ანდერსონი მაქსიმუმ 3 000 დოლარის მიღებას იმედოვნებდა.

შეგახსენებთ, რომ გაზონების საკრეჭი მანქანის მოტორით მოძრავი სავარძელი ანდერსონს 2009 წლის 22 ოქტომბერს მას შემდეგ ჩამოართვეს, რაც პოლიციაში გამოცხადდა და აღიარა, რომ 2008 წლის აგვისტოში ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ამ სავარძლით ავტოსადგომზე გაჩერებულ მანქანას შეეჯახა.

# სად მოდის მეტეორიტების წვიმა?

**ავსტრალიის ქალაქ გრუვდეილში ორი სახლის სახურავს ნახვრეტები გაუჩნდა.**

როგორც ასტრონომიული საზოგადოების პრეზიდენტი ირწმუნება, ამის მიზეზი მცირე ზომის მეტეორიტები გახდა. მომხდარის გამო არავინ დაზარალებულა, თუმცა შენობები მნიშვნელოვნად დაზიანდა. აღნიშნული სახლების ბინადართ „თავდამსხმელები“ ავიაკატასტროფაში მოყოლილი თვითმფრინავის ნამსხვრევები ეგონათ, ადგილზე მისულ მაშველებს — მინიქარიშხლის შემოტევა, მაგრამ მოგვიანებით გაირკვა, რომ ავსტრალიაში, უბრალოდ, მეტეორიტების წვიმა მოდის.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



## გუბაზ სანიკიძე:

# არავისზე მეტხანს არ მძინავს, არც არავისზე მეტს ვჭამ და არც არავისზე მეტს ვსვამ

**მართალია, ორწლიანი პერმანენტული აქციებით გაერთიანებულ ოპოზიციას ნამდვილად არ გაუმარჯვია, მაგრამ კოლექტიური თუ ცალკეული პარტიების რეიტინგის ვარდნის ფონზე „ეროვნული ფორუმი“ რომ აღზევდა, ფაქტია. ამბობენ, გამარჯვებულებს არ ასამართლებენ. როგორც ჩანს, ეს პოსტულატი სინანულზეც ვრცელდება, ყოველ შემთხვევაში — აღზევებულთათვის და აღზევების ჟამს...**



**—ნანობს თუ არა ისტორიკოსი გუბაზ სანიკიძე პოლიტიკაში მოსვლას?**

—რა თქმა უნდა, ვნანობ. მე რომ მშვიდ და ნორმალურ სახელმწიფოში მეცხოვრა, ჩემი პროფესიით ვიცხოვრებდი, მაგრამ ჩემი პროფესია არავის სჭირდება საქართველოში; არადა, უნდა სჭირდებოდეს. და მეორეც, ჩემი სპეციალობით ოჯახს ვერ ვარჩენ.

**— და ამას ამბობს ლევან სანიკიძის ვაჟი?**

—მამაჩემის დროს სააკაშვილი არ იყო პრეზიდენტი!

**— სამაგიეროდ იყო საბჭოთა კავშირი და, ასევე, თანამედროვე ქართველი პოლიტიკოსების მიერ ავადსახსენებლად შერაცხილი კომუნისტური წყობა...**

—საბჭოთა კავშირი ცუდი იყო თუ კარგი, ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს. ფაქტია, ის იყო სტაბილური ქვეყანა, სადაც ნებისმიერ ადამიანს შეეძლო დაეგეგმა საკუთარი ცხოვრება: აერჩია სპეციალობა, მიეღო შესაბამისი განათლება და ეცხოვრა ნორმალურად.

**—ანუ, თქვენი აზრით, კომუნისტური ეპოქა უკეთესი იყო?**

—ამაზე ვინღა კამათობს?! საბჭოთა კავშირი რომ ჯობდა სააკაშვილის საქართველოს, ამაში ვინმეს ეჭვი ეპარება?! მთელ საქართველოში ასეთი შეიძლება მხოლოდ ლევან რამიშვილი მოიძებნოს...

**—შესაძლოა, არც არავინაა, მაგრამ ხმამაღლაც არავინ ამბობს ამას. არამომგებიანია და პოლიტიკურად „არამოდური“**

— მე პოლიტიკური მოდის მიმდევარი არ გახლავარ.

**—თქვენ იყავით „ტრადიციონალისტებში“, რომლებიც ასლან აბაშიძის „აღორძინების“ ბლოკით მოვიდნენ პარლამენტში... სინანული არც პოსტაბაშიძისეულ პერიოდზე არ გაქვთ?**

—რატომ უნდა მქონდეს? მე დავაშავე ან ქართველ ხალხსა და საქართველოს დავუშავე ამით რამე? აბაშიძის ბლოკში იყო მუხრან მაჭავარიანიც, რომლის „ტუფლებსაც“ ახლა მიხეილ სააკაშვილი წმენდს...

**— „ეროვნული ფორუმი“ აცხადებს, რომ გაერთიანებულმა ოპოზიციამ 26 მაისს მხარი არ დაუჭირა მის სამოქმედო გეგმას და კრახიც სწორედ ამან გამოიწვია. თავის მხრივ, გაერთიანებული ოპოზიცია აცხადებს, რომ თქვენ არანაირი გეგმა არ გქონიათ. ვის დავუჯეროთ?**

— ვინ ამბობს ამას?! დავაგინო?! შემიძლია დავაგინო!.. გეგმა გვქონდა ჩამოწერილი, რომელიც 24 მაისს „ახლების“ ოფისში გამართულ შეკრებაზე წარვადგინეთ და მხარი არ დაუჭირეს.

**— რაში სდებს გაერთიანებულ ოპოზიციას „ეროვნული ფორუმი“ ბრალს?.. და თუ ასეთი ბრალეულობა არსებობს, პასუხისმგებლობას არ ინაწილებთ?**

— ამ პასუხისმგებლობას რომ ვინაწილებთ, იმიტომაც ვსაუბრობთ შეცდომებზე და თანაც პირველ პირში. მაჩვენეთ ერთი ოპოზიციური პარტია „ფორუმის“ გარდა, რომელიც აღიარებს, რომ გაერთიანებულმა ოპოზიციამ შეცდომები დავუშვით და ამაზე თავის წილ პასუხისმგებლობასაც იღებს.

**— თქვენთვის ეს თვითკრიტიკა მომგებიანია. ამით კიდევ ერთხელ ახდენთ კრახგანცდილი გაერთიანებული ოპოზიციისაგან დისტანცირების აფიშირებას. „სხვები“ ისევ „იქ“ დარჩნენ და, შესაბამისად, მათთვის წამგებიანია. ასე რომ, არის ამაში რაღაც „ლოგიკური“, თუნდაც პოლიტიკურად. შეგიძლიათ, ერთი თვალსაჩინო მაგალითი მაინც მოგვიყვანოთ ერთად განვლილი გზიდან, რაც თქვენს კრიტიკას იმსახურებს?**

— 7 მაისს უნდა დაწყებულიყო თბილისის შემოსასვლელების პიკეტირება. ეს „ეროვნული ფორუმის“ იდეა იყო, რომელსაც „9 აპრილის კომიტეტში“ შემავალმა პოლიტიკურმა სუბიექტებმაც დაუჭირეს მხარი. 6 მაისს, ყველასთვის მოულოდნელად და ყველასთან შეუთანხმებლად, მიტინგზე მოვიდა გიორგი გაჩეჩილაძე და ხალხი პოლიციის სამმართველოსკენ წაიყვანა...

**— ამან თქვენში რაიმე სახის ეჭვი გამოიწვია?**

—ეჭვების დრო წავიდა. არანაირი ეჭვი არ გამჩენია. ეს არის ერთი თვალსაჩინო მაგალითი იმისა, თუ რაოდენ არაორგანიზებულად, არათანმიმდევრულად და სპონტანურად მოქმედებდა გაერთიანებული ოპოზიცია.

## საბჭოთა კავშირი რომ სჯობდა სააკაშვილის საქართველოს, ამაში ვინმეს ეჭვი ეპარება?!

**— სხვათაშორის, 6 მაისს ჰყავდა გამოკვეთილი გმირიც, რეზინის ტყვიებით დაზარალებულებიც, ოპოზიციური ლიდერების სახით. თქვენზე კი ამბობენ, მაშინ, როცა გუბაზ სანიკიძე რუსთაველის პროსპექტიდან „მძინარა თათქარიძეებს“ აღვიძებდა, თავადაც ახალი ამდგარი იყო საწოლიდანო(?).**

— სიცრუეა. იმ დროს მე მივდიოდი დასავლეთ საქართველოში, გორიდან მოვბრუნდი. როგორც უკვე გითხარით, 7 მაისიდან დედაქალაქის შემოსასვლელების პიკეტირებას ვიწყებდით და აქტივისტების მობილიზაცია და პროცესების ორგანიზება უნდა გამეკეთებინა. თავდაპირველად მივედი სამმართველოსთან, ხოლო შემდეგ წამოვედი პარლამენტის შენობასთან, რათა საზოგადოებისთვის მოწოდება გამეკეთებინა. საერთოდ, ყველას ვურჩევ – დაანებონ ქილიკს თავი! დაანებონ ჩემს ძილს, ჭამასა და სმას თავი – არავისზე მეტხანს არ მძინავს, არც არავისზე მეტს ვჭამ და არც არავისზე მეტს ვსვამ, სხვათაშორის...

**— ფაქტია, „ეროვნული ფორუმი“ გაერთიანებულ ოპოზიციას ყველაზე კრიტიკულ მომენტში გაემიჯნა და ერთიანობის რღვევაც (რაც, როგორც ოპოზიცია აცხადებდა თავის დროზე, „მისი უდიდებულესობა ქართველი საზოგადოების“ დაკვეთა იყო) აქედან დაიწყო. ეს პოლიტიკურად — კი, მაგრამ მორალურად გამართლებულია?**

—რას ეძახით თქვენ გამიჯვნას?! თუ ეს მერიის შენობისთვის კვერცხების სროლაში მონაწილეობაზე უარის თქმაა, დიახ, მაშინ ჩვენ გავემიჯნეთ გაერთიანებულ ოპოზიციას; ისევე, როგორც გავემიჯნეთ რკინიგზის რელსებზე თავის დადებასა და 26 მაისს ხალხის სამებაში წაყვანას... ერთმნიშვნელოვნად ვაცხადებ, „ეროვნული ფორუმი“ ოპოზიციის კოლექტიურ სისულელეებში მონაწილეობას არ მიიღებს! მაშინაც კი, თუ ყველა ოპოზიციური პარტია ერთხმად გადაწყვეტს კოლექტიური სისულელის გაკეთებას! ჩვენთვის ნებისმიერი ქმედება მხოლოდ მაშინ არის გამართლებული, თუ იგი შედეგზეა ორიენტირებული და სისხლისღვრა არ მოჰყვება.

**—სისხლი არც ამჯერად დაღვრილა...**

—მაგრამ არც შედეგი მიგვიღია სასურველი. რეალურად გაერთიანებულ ოპოზიციაში იყო ორი კატეგორიის პარტიები. ერთნი — რეალური ძალის მქონენი; მეორენი — ერთ ან ორკაციანი. ჩვენ საკითხს ასე ვაყენებდით: გადაწყვეტილება უნდა მიეღო არა ცხრავე პარტიას, არამედ — ოთხს, სამწუხაროდ, ამას, „ალიანსის“ გარდა, მხარი არავინ დაუჭირა. არა არის გამართლებული, როცა პარტიას, რომელსაც ასიათასობით მხარდამჭერი ჰყავს ისეთივე უფლებები და ხმის უფლება ჰქონდეს, როგორიც პარტიას, რომელსაც ასი კაცის გამოყვანა არ შეუძლია ქუჩაში.

**— თქვენი ამბიციებითა და არგუმენტებით უნდა ვივარაუდოთ, რომ გაერთიანებული ოპოზიციიდან გამოსვლას არც ნანობთ და არც მომავალში ინანებთ.**

— რასაკვირველია, არა. სამი წელი ვიყავით გაერთიანებულები და რა მოგვიტანა ამ გაერთიანებამ? იცით, როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ ჩვენს მიმართ გაერთიანებულ ოპოზიციაში? თავიდან ფიქრობდნენ: „კარგი ბიჭები არიან, მაგრამ — დიდი არაფერი“; მერე იფიქრეს: „კარგი ბიჭები არიან და თან რაღაცას ემსგავსებიან“... ბოლოს — „კარგი ბიჭები არიან, ძალაა უკვე, მაგრამ მაინც ჩვენს ჭკუაზე უნდა იარონ“. ახლა უკვე ყველა აღმოჩნდა იმ რეალობის წინაშე, როდესაც „ფორუმს“ კი არ უნდა მიუხმონ სადმე, არამედ თავად უნდა მოვიდნენ „ფორუმთან“! სიმართლე გითხრათ, მათი ბედნიერებისთვისაც ასე ჯობია... ასე რომ, რაც უფრო დროზე აღიარებს გაერთიანებული ოპოზიცია „ეროვნული ფორუმის“ ლიდერობას, მით უკეთესი იქნება მათთვისაც და ქვეყნისთვისაც. ყოველგვარი თავმდაბლობის გარეშე ვაცხადებ: რეალურად, დღეს საქართველოში ორი პოლიტიკური ძალაა – „ეროვნული ფორუმი“ და „ნაციონალური მოძრაობა“.

**— „ნაცების“ პირისპირ მარტო აღმოჩნდეთ...**

—ჩვენც ეს გვინდა! შუაზე გავაპობთ!.. მთავარია, რომ სხვებმა „ბორბლებში ჯოხები არ შეგვირჭონ“ და ხელი არ შეგვიშალონ.

**— ამბობთ, ეროვნული დაუმორჩილებლობა უნდა გამოვაცხადოთო... უკაცრავად, მაგრამ რა რესურსით? ვინ უნდა განახორციელოს ეს დაუმორჩილებლობა — ხალხმა, რომელიც ორი წლის მანძილზე პერმანენტულმა, უშედეგო აქციებმა ნიჰილიზმში ჩააგდო თუ მათ, ვისაც თქვენ ბაგაზე მიბმული საქონლები უწოდეთ?**

— ქართული საზოგადოება ნიჰილიზმში არაა, მას არც წინააღმდეგობის გაწევის უნარი დაუკარგავს და არც მიშას დანებებია და ჩაბარებია. ხალხი გამოსავალს ვერ ხედავს, იმედი დაკარგა. ამიტომ საზოგადოება ბრმად აღარ გამოგყვება, მაგრამ თუ მას რეალურ გამოსავალსა და ქმედებას შესთავაზებ, იგი მზად არის, გამოგყვეს. „ეროვნული ფორუმი“ ამისთვის ემზადება, შრომობს და აუცილებლად შეძლებს! რაც შეეხება საქონლებს, მე მსგავსი შეფასება ქართული საზოგადოებისთვის არ მიკადრებია. შეფასება „საქონელს“ იმსახურებს ხალხის ის ნაწილი, რომელსაც ერთ ტომარა ფქვილზე შეუძლია გაცვალოს საკუთარი შვილებისა და ქვეყნის მომავალი. ვინც სამშობლოს ყიდის, ის ადამიანი არაა, ის საქონელია და, თუ ვინმეს არ სიამოვნებს ეს შეფასება, მაშინ ნურც საქონელივით მოიქცევა.

**— და მაინც, რაშია „ეროვნული ფორუმის“ წარმატების საიდუმლო?**

— დაუღალავ შრომაში, ლიდერების ბიოგრაფიაში და სამშობლოს სიყვარულში. ამ ზაფხულს 120 სოფელში ვიყავით და 180 შეხვედრა ჩავატარეთ. მარტო მე 35 000 კილომეტრი გავიარე. პოლიტიკოსობა მარტო კაბინეტში ჯდომა და ტელევიზორში გამოჩენა არაა...

**— ამას თქვენ ამბობთ?.. ადამიანი, რომლის პოპულარობა და ცნობადობა გარკვეულწილად იმან განსაზღვრა, რომ ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერში ლამის მართლაც „კაბინეტი“ მოიწყვეთ?**

— პოლიტიკოსი ტელევიზორში კი არ უნდა ჩარჩე, გარეთაც უნდა გახვიდე, ხალხს შეხვდე, ხელი ჩამოართვა, საკუთარი ძალაც უნდა დაანახო და სისუსტეც. უნდა აგრძნობინო, რომ შენც ერთი მათგანი ხარ, რომელსაც მათსავით სტკივა და უხარია...

**— საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციასაც ფინანსები სჭირდება, თუნდაც 35 000 კილომეტრის გავლას...**

— ათასნაირი ჭორი გაგვივრცელეს, როგორც ჩანს „ფორუმის“ რეიტინგი მარტო მტრებს კი არა, მოკეთეებსაც აწუხებთ... არა, ჩემო მოკეთეებო და მტრებო, „ფორუმი“ არ გაყიდულა და არც არასდროს გაიყიდება!.. ერთადერთი ადამიანი, ვინც ჩვენს პარტიაში ხელფასს იღებს, დამლაგებელია. ჩვენთან, სხვებისგან განსხვავებით, ფულისთვის კი არ მოდიან, პირიქით, აქეთ მოაქვთ ფული და შემოწირულობა. საკვირველი კია ნამდვილად ამ დროში, მაგრამ ფაქტია – ჩემს მეგობრებს ვანო მერაბიშვილის არ ეშინიათ, ისინი ყოველგვარი ანგარიშის გარეშე ეხმარებიან ჩვენს პარტიასაც და ჩემს ოჯახსაც... არც მანქანა მყავს და არც — დაცვა. მე შეიძლება მრავალ ავტომანქანაში დამინახოთ, მათ შორის შავ „ჯიპშიც“, მაგრამ ის ჩემი მეგობრის იქნება და არა — ჩემი... პირად დაცვაზეც იგივე შემიძლია ვთქვა – ჩემ გვერდით ჩემი მეგობრები დგანან, ამაზე დიდი დაცვა ჩემთვის არ არსებობს.

ესაუბრა
**ელგა ფოლადიშვილი**

# «ეროვნული ფორუმი» ოპოზიციის კოლექტიურ სისულელეებში მონაწილეობას არ მიიღებს!

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ჟვანიას მკვლელობის ახალი ვერსია

## ნოღაიდელმა და ინაიშვილმა სააკაშვილის დავალებით ფოთში ახალი პორტის მშენებლობის პროექტი ჩაშალეს

**ჩავარდნილ პროექტზე, რომელმაც შესაძლოა ზურაბ ჟვანიას სიცოცხლე შეიწირა, ზურაბ ნოღაიდელი გაბრაზებული საუბრობს, ხოლო ფოთის პორტის ყოფილი შეფი ჯემალ ინაიშვილი დაბნეულია.. ინაიშვილმაც და ნოღაიდელმაც უარყვეს, რომ ბაქო-ჯეიჰანის პროექტის შემდეგ მეორე გრანდიოზული ინვესტიციის განხორციელებას შეუშალეს ხელი. ექს-პრეზიდენტი შევარდნაძე კი საერთოდ ვერ იხსენებს პროექტს, რომლის განხორციელების გეგმაზე ხელი აქვს მოწერილი. ამ პროექტის მიხედვით ფოთში ახალი პორტის მშენებლობისთვის საჭირო ინვესტიციები უნდა მოზიდულიყო. ერთ-ერთი ყოფილი მაღალჩინოსანი, რომელსაც თავისი ვინაობის გამხელა არ სურს (მხოლოდ სახელის თქმა შეგვიძლია, მას გოჩა ჰქვია), ამბობს, რომ ფოთის პორტის იმჟამინდელ შეფსა ხელს არ აძლევდა კონკურენტი პორტის მშენებლობა და იმჟამინდელ პრემიერ-მინისტრ ნოღაიდელთან ერთად სატელეფონო ზარებით ცდილობდა, დაებრკოლებინა ამ იდეის განხორციელება.**



შალვა ნათელაშვილმა ერთ-ერთ სატელევიზიო გამოსვლაში განაცხადა, რომ ზურაბ ჟვანია თავისი ერთ-ერთი პროექტის განხორციელების სურვილს შეეწირა. ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით ათასგვარი ვერსია არსებობს, რომელთაგან ერთი ამ პროექტს უკავშირდება.

**გეგმას, რომლის მიხედვითაც ფოთის მეორე პორტი „კოლხეთი“ უნდა აშენებულიყო, 1998 წელს ხელს აწერს იმჟამინდელი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე. როგორც გოჩა ამბობს, შევარდნაძემ აღნიშნული პროექტის მეთვალყურეობა სწორედ ზურაბ ჟვანიას დაავალა. სისრულეში მოყვანა კი ამ პროექტს არსებულ პოლიტიკურ რეჟიმში აზრთა სხვადასხვაობის გამო არ ეღირსა. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ დღის წესრიგში კვლავ დადგა ახალი პროექტის განხორციელების საკითხი. თუმცა ისევ ინტერესთა კონფლიქტის გამო, 2006 წლამდე შეჩერდა პროექტის განხორციელებაზე საუბარიც კი. ამასობაში კი ზურაბ ჟვანია გარდაიცვალა და პროექტში სხვა ჩინოვნიკთა ბიზნეს-ინტერესები ჩაერთო.**

ზურაბ ნოღაიდელისა და პორტის მაშინდელი შეფის — ჯემალ ინაიშვილის ბიზნესინტერესების გამო პროექტი დაიბლოკა, ამბობს გოჩა, რომელიც ამ პროექტის განუხორციელებლობის გამო ამჟამად ქვეყნის ფარგლებს გარეთ ცხოვრობს. მისი ოჯახი კი ამ დრომდე საქართველოში იმყოფება.

გოჩა საქართველოში ყოფნისას მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა და უშუალოდ ზურაბ ჟვანიასთან ერთად კურირებდა ფოთის მეორე პორტის პროექტის განხორციელებას. როგორც წყარო ამბობს, პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებლობას შპს „კოლხეთი“ იღებდა, მეორე პორტის სახელწოდებაც სწორედ „კოლხეთი“ უნდა ყოფილიყო.

ფირმა „კოლხეთის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **შოთა მეგრელიშვილი** გახლდათ. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ფოთის მეორე პორტის პროექტი ჯერ კიდევ სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლამდე დაიწყო. „საქართველო და მსოფლიო“ **გოჩას** ტელეფონით ესაუბრა.

— **„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ როგორ წარიმართა თქვენი მუშაობა, ახალი ხელისუფლების მოსვლით თქვენს გეგმებში რამე შეიცვალა?**

— 2003 წლის ზაფხულიდან პროექტი შეჩერდა. ცხონებული ზურაბ ჟვანია ცოცხალი რომ ყოფილიყო, ნამდვილად დიდი მხარდამჭერი იქნებოდა.

— **არსებობს ვერსია, რომ პოლიტიკურ წრეებში ამ პროექტთან დაკავშირებით აზრი ორად გაიყო...**

— შეიძლება — სამადაც. ფაქტია, რომ დიდი ბიზნესინტერესები იყო ჩადებული ამ ყველაფერში.

### ინაიშვილმა და ნოღაიდელმა, რა თქმა უნდა, სააკაშვილის დავალებით — იმიტომ, რომ წარმოუდგენელია, პრეზიდენტის ნებართვის გარეშე, ვინმემ ჩაშალოს ამ მასშტაბის პროექტი — შეუშალეს ხელი ამ გეგმის განხორციელებას.

— **რატომ იყო ზურაბ ნოღაიდელი დაინტერესებული, რომ არ განხორციელებულიყო ეს პროექტი?**

— საკუთარი ინტერესები ჰქონდა. მასთან ერთად იყო ჯემალ ინაიშვილი. ერთ ასეთ ფაქტსაც გეტყვით. იმ ადგილის დასათვალიერებლად ჩამოსულ ინჟინრებს, სადაც პორტი უნდა აშენებულიყო, ზურაბ ნოღაიდელმა დაურეკა და უთხრა, ეს პროექტი არ გვაინტერესებს, სხვა მიმართულებით განვითარებაზე ვფიქრობთო.

ამ საუბრის შემდეგ შევეცადეთ, აღნიშნული ინფორმაცია ამ ამბის მონაწილე პირველწყაროებთან შეგვემოწმებინა. კომენტარი ედუარდ შევარდნაძეს ვთხოვეთ. ედუარდ შევარდნაძის თანაშემწემ, მარინა დავითაშვილმა გადმოგვცა, რომ მსგავს პროექტს პრეზიდენტი ვერ იხსენებს.

ასევე დავუკავშირდით **სავაჭრო-სამრეწველო პალატის ხელმძღვანელს ჯემალ ინაიშვილს**, რომელიც ისე გაგვიბრაზდა, თითქოს ჩვენ ვიყავით დამნაშავე აღნიშნული ბიზნესპროექტის ან შექმნაში, ან მისი განხორციელების მცდელობაში.

— **ფოთის „პორტი 2“-ის პროექტზე მომუშავე ადამიანი თქვენი ბიზნესინტერსების გატარებაში გადანაშაულებთ. გთხოვთ, განგვიმარტოთ, რა მოხდა სინამდვილეში 2006 წელს?**

— სამხრეთში რომ უნდა აშენებულიყო? აეშენებინათ მერე, ვინ დაუშალათ?

— **თქვენ არ გქონდათ ამ საქმეში ბიზნესინტერესი?**

— რა შუაშია აქ ბიზნესინტერესი? ეს განუხორციელებადი პროექტი იყო. მე ვიყავი პორტის უფროსი და ვიცავდი პორტის ინტერესებს. ხელს როგორ შევუშლიდი?! ამ პროექტს არანაირი კავშირი არ ჰქონდა არსებული პორტის ტერიტორიასთან.

— **როგორც ჩვენი წყარო ამბობს, თქვენ და ზურაბ ნოღაიდელი იყავით ამ იდეის განხორციელების წინააღმდეგი**.

— წყარო ვინ არის? აგენტი 007-ია?

ამის შემდეგ ინაიშვილმა ტელეფონი გაგვითიშა და, ბუნებრივია, აღარც ჩვენი ზარისთვის უპასუხია. ინაიშვილთან მეორედ დარეკვის შემდეგ კი მან ისევ გვითხრა, რომ არანაირი ბიზნესინტერესები მას არ ჰქონია, და რომ არც ვინმე შოთა მეგრელიშვილს იცნობს.

დღეს ხელისუფლებასა და ოპოზიციას ერთმანეთისთვის კომპრომატების ომი აქვთ გამოცხადებული. ნოღაიდელი ყოველთვის ამაყად ზის ღია ეთერში და აცხადებს: **„აბა, ხელისუფლებამ დამიდოს კომპრომატი, თუ რამე აქვსო“**. ფაქტია, რომ დღემდე ზურაბ ნოღაიდელის წინააღმდეგ მმართველმა გუნდმა, კომპრომატი არ დადო. თავად ზურაბ ნოღაიდელი კი ჩვენმა შეკითხვამ დააბნია და თავიდან გაუჭირდა კიდეც პასუხის გაცემა, თუმცა რამდენიმე წამში დეტალურად გაახსენდა ყველაფერი.

— ვინ მიყენებს ბრალდებას? ვიღაც დეგენერატი? — ასეთი იყო ნოღაიდელის პირველი რეაქცია ჩვენს შეკითხვაზე.

— **შოთა მეგრელიშვილს იცნობდით?**

— არა, არ ვიცნობდი ასეთს არავის. რა დროს პორტის აშენება იყო 1998 წელს? ქვეყანა ინგრეოდა.

— **თუმცა იგივე პროექტი 2006 წელსაც ჩაიშალა...**

— 2006 წელსაც ქვეყანა ჯერ კიდევ ინგრეოდა.

**P.S. ქვეყანაში ახალი ინვესტიციების მოზიდვა და ეკონომიკის წინსვლაზე ფიქრი, სწორედ მაშინ არის საჭირო, როცა ქვეყანა ინგრევა... ამ პროექტით ქვეყნის ბიუჯეტს ასობით მილიონი ლარი შეემატებოდა, მოქალაქეებს კი სამუშაო ადგილები გამოუჩნდებოდათ. იქნებოდა შედარებით სტაბილური და ფინანსურად მყარი ეკონომიკური გარემო, რომლის შექმნასაც ხელისუფლება, უკვე მერამდენე წელია, უშედეგოდ ცდილობს. სამივე მხარე თავის სიმართლეს ამტკიცებს. ახალი პორტი „კოლხეთი“ კი არ არსებობს.**

**შორენა გოგოლაძე**

# იაპონიამ აშშ-სთან საიდუმლო გეგმა აღიარა




**იაპონიის საგარეო საქმეთა ახალმა მინისტრმა კაცუია ოკადამ აღიარა, რომ არსებობს საიდუმლო პაქტი, რომლის თანახმადაც ამერიკული ბირთვული იარაღის ტრანზიტი იაპონიის გავლით უნდა განხორციელდეს.**

ამ პაქტის თანახმად, ამერიკულ საბრძოლო გემებს უფლება აქვთ, იაპონურ პორტებში ბირთვული იარაღით დატვირთულები შევიდნენ. მასობრივი განადგურების იარაღის გადამზიდ ამერიკულ თვითმფრინავებს ნებადართული აქვთ, იაპონური აეროპორტები გამოიყენონ. ეს შეთანხმება ეწინააღმდეგება 1968 წელს ტოკიოს მიერ გამოცხადებულ სამ არაბირთვულ პრინციპს: არ იქონიოს, არ აწარმოოს და არ შეიტანოს ბირთვული იარაღი.

1970-იანი წლების ბოლოს იაპონიის ხელისუფლებამ აშშ-ის ზემოქმედების შედეგად ქვეყნის ტერიტორიული წყლები შეავიწროვა. აშშ „თავისუფალი ზღვის“ სივრცის შენარჩუნებით იყო დაინტერესებული, რათა ბირთვული იარაღით დატვირთულ ამერიკულ გემებს იაპონიის ტერიტორიაზე შესვლა არ დასჭირვებოდათ.

აღნიშნულ ტერიტორიებზე იაპონიის ტერიტორიალური ზღვის საზღვარი სანაპიროდან სამ კილომეტრში გადის. ტოკიოს უფლება აქვს, ამ ზონის 12 მილამდე გაზრდა მოითხოვოს.

# ჩინელი დეპუტატი ბანკეტების აკრძალვას ითხოვს

**ჩინელმა დეპუტატმა ჩჟაო ლინჩჟონმა წამოაყენა წინადადება, ჩინეთის სისხლის სამართლის კოდექსში შევიდეს მუხლი „საბიუჯეტო სახსრების ფუფუნებისთვის დაუშვებელი გაფლანგვის თაობაზე“.**



ამ ინიციატივის მიზეზი სახელმწიფო ხაზინის ხარჯზე გამართული უჩვეულოდ მსუყე ბანკეტები გახდა.

ტრადიციული სადილები და ფურშეტები ჩინელებს ყოველწლიურად 30 მილიარდი დოლარი უჯდებათ. ეს იმაზე მეტია, ვიდრე მსოფლიოს უმსხვილესი ჰიდროელექტროსადგურის „სანისიას“ მშენებლობაზე დაიხარჯა.

ჩინეთის ხელისუფლებამ უკვე გამოსცა უამრავი კანონი, რომლებმაც მსგავსი ღონისძიებების დანახარჯები უნდა შეამციროს. მაგალითად, 2008 წელს კომპარტიის დისციპლინარული კომისიის მოთხოვნით, ჩინელი მაღალჩინოსნები მოკრძალებულად უნდა შეხვედროდნენ. ნოემბრის დასაწყისში ჩინეთის კომპარტიის მდივანი **შენ ხაო** საქმიან პარტნიორებთან სადილის შემდეგ გარდაიცვალა. ექიმების თქმით, მთვრალ ჩინოვნიკს გულის შეტევა დაემართა.

# მუსოლინი აუქციონზე გაიტანეს

**პოპულარულ ინტერნეტაუქციონ eBay-ზე ბენიტო მუსოლინის ნეშტის ფრაგმენტები გაიტანეს, მაგრამ ლოტი უსწრაფესად დაიბლოკა. დიქტატორის ტვინისა და სისხლის ნიმუშებს, რომელთა ნამდვილობას შესაბამისი დოკუმენტები ამტკიცებდა, საწყის ფასად 15 ათასი ევრო დაადეს.**

მუსოლინის შვილიშვილმა, იტალიის პარლამენტის დეპუტატმა ალესანდრა მუსოლინიმ შეიტყო რა ამის შესახებ, სასწრაფოდ აცნობა კარაბინერების ხელმძღვანელობას და, ამასთანავე, განაცხადა, რომ ნიმუშები შესაძლოა აღებული ყოფილიყო მხოლოდ და მხოლოდ მილანის პოლიკლინიკური საავადმყოფოდან, სადაც 1945 წელს მისი პაპის ცხედარი გაკვეთეს. აღნიშნულმა საავადმყოფომ ოფიციალურად განაცხადა, რომ არანაირი ტვინისა და სისხლის ნიმუშები იქ არ ინახება. შეგახსენებთ, რომ მუსოლინი 1945 წლის 28 აპრილს პარტიზანებმა თავის საყვარელთან ერთად დახვრიტეს. დიქტატორის ცხედარი, მართლაც, გაკვეთეს აღნიშნულ საავადმყოფოში, შემდეგ კი მილანის სასაფლაოზე ღარიბებისთვის განკუთვნილ საერთო საფლავში დამარხეს.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ევროკავშირს ორი უცნობი ჩაუდგება სათავეში




**ევროკავშირის პირველ პრეზიდენტად ერთხმად აირჩიეს ბელგიის პრემიერ-მინისტრი ჰერმან ვან რომპეი, ვაჭრობის საკითხებში ევროკავშირის კომისარი, ბრიტანელი კეტრინ ეშტონი კი ევროპული დიპლომატიის ხელმძღვანელი გახდა.**

ეს ორი თანამდებობა ლისაბონის ხელშეკრულების თანახმად შეიქმნა და ახლა მათ დაიკავებენ ადამიანები, რომლებიც არც ერთი მსხვილი ევროპული ქვეყნის ლიდერს არ მიაყენებენ ჩრდილს. ევროკავშირში ნაკლებად ცნობილ ვან რომპეის ძალზე აქტიურად უჭერდნენ მხარს ანგელა მერკელი და ნიკოლა სარკოზი. ეშტონის არჩევა დიპლომატიურ საკითხებში მისი გამოუცდელობის გამო კიდევ უფრო საკვირველი იყო. კრიტიკოსებმა უამრავი მწარე კომენტარი დაახვავეს.

ეშტონს ამიერიდან, ლისაბონის ხელშეკრულების თანახმად, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხები ჩაბარდება.

# გერმანიის მოსახლეობა 12-17 მილიონით შემცირდება

**გერმანიის სტატისტიკის ფედერალურმა სამსახურმა გამოაქვეყნა პროგნოზი, რომლის თანახმადაც 50 წელიწადში ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა 12-17 მილიონით შემცირდება. ახლა გერმანიაში 82 მილიონი ადამიანი ცხოვრობს.**

პროგნოზში საუბარია მოსახლეობის დაბერებაზეც, 2060 წლისთვის გერმანიის ყოველი მესამე მკვიდრი 65 წელს გადაცილებული იქნება. შედარებისთვის, ამჟამად ამ ასაკობრივ ზღვარს გადაცილებული გერმანიაში ყოველი მეხუთე მოქალაქეა.

სტატისტიკურ უწყებაში აცხადებენ, რომ ეს საშინელი პროგნოზი შობადობის დაბალი დონითაა განპირობებული. ახლა გერმანიაში რეპროდუქტიული ასაკის ერთ ქალზე 1,4 ბავშვი მოდის, არადა უბრალო კვლავწარმოებისთვის 2,1 ბავშვია საჭირო. მოსახლეობის რაოდენობის შემცირება ახლა ყველა განვითარებული ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი; მეორე მხრივ, დედამიწაზე ადამიანთა საერთო რაოდენობა, ექსპერტების გათვლით, 2050 წლისთვის 6,8 მილიარდიდან 9 მილიარდამდე გაიზრდება. ზრდა განუვითარებელი და განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის მატების ხარჯზე მოხდება. მაგალითად, ანგოლაში ახლა 65 წელს გადაცილებულია მოსახლეობის მხოლოდ 2,7%; 43,5%-ს კი ჯერ არ შესრულებია 14 წელი.



# რუსეთი სხვა სახელმწიფოებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებას არ სთხოვს...

**რუსეთის პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის განცხადებით, კრემლი სხვა სახელმწიფოებს არ სთხოვს აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის აღიარებას.**

როგორც მედვედევმა ბელორუს ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა, რუსეთისთვის კარგი იქნება, თუ ზემოხსენებულ რეგიონებს უფრო მეტი სახელმწიფო აღიარებს, რადგან ეს იქ მცხოვრებ ხალხებს ეკონომიკის განვითარებისა და ცხოვრების უკეთესი პირობების შექმნის კარგ საშუალებას მისცემს. მედვედევმა პროვოკაცია უწოდა საუბრებს იმის შესახებ, რომ კრემლი ბელორუსზე ზეწოლას ახდენს და აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის აღიარების საკითხით ვაჭრობს. მისი თქმით, რუსეთი სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში არ ერევა და საერთაშორისო თანამეგობრობის წევრებმა თავად უნდა გადაწყვიტონ, აღიარებენ თუ არა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას. რუსეთის პრეზიდენტმა ისიც აღნიშნა, რომ სოხუმისა და ცხინვალის აღიარება მოსკოვისთვისაც რთული გადაწყვეტილება იყო, მაგრამ საქართველოს აგრესიამ რუსეთი აიძულა, დაეცვა ზემოხსენებულ რეგიონებში მცხოვრები თავისი მოქალაქეები.

# ვაჟა ბერიძე: საინტერესოა, ფორუმის ლიდერები თავს მენახირეებად თვლიან თუ არწივებად?..

**დედაქალაქი მერის არჩევნების სამზადისსა და ისტერიაშია. ადგილი, გარემო და პირობები უცვლელია – საქართველო, სააკაშვილის პრეზიდენტობის აუტანელი პირობები, იგივე საარჩევნო კოდექსი, იგივე თარხნიშვილი შეცვლილი გვარ-სახელითა და „ბეგრაუნდით“... არაფერი შეცვლილა ოპოზიციაშიც. ისინი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ვერ თანხმდებიან ერთიან კანდიდატზე, რითაც ნაწილი გაუაზრებლად, ნაწილი კი გააზრებულად თამაშობს ხელისუფლების თამაშს. ხალხი, დღესაც „არქიფო სეთურის გვირაბს თხრის“ და თანამედროვე პიარტექნოლოგიებით „შექმნილი“ მითიური გმირების, ზეციური მხსნელებისა და მიწიერი კერპების ძიებაშია... პოლიტოლოგ ვაჟა ბერიძის აზრით, ქართული საზოგადოება მოკლებულია დამოუკიდებელი სოციოლოგიური კომპანიების ობიექტურ კვლევებს, რომელიც დაადასტურებდა, რომ, როგორც ოპოზიცია უწოდებს სააკაშვილს თვითმარქვია პრეზიდენტს, ისე ბევრი თვითმარქვია ლიდერი ჰყავს თავად ოპოზიციასაც!**



**— ვიდრე კონკრეტულ პერსონათა რეიტინგსა და შესაძლებლობებზე ვისაუბრებთ, როგორ შეაფასებთ გაერთიანებულ ოპოზიციასა და მის მიერ განვლილ პოლიტიკურ გზას?**

— ქართული პოლიტიკური არენა, დიდი ხანია, მარიონეტების თეატრად იქცა, სადაც სხვადასხვა პოლიტიკური ფიზიონომიის მქონე ინდივიდებს რეჟისორ რეზო გაბრიაძეზე მეტი ოსტატობით ათამაშებენ და ამოძრავებენ ხან ამერიკელი და ხან რუსი პოლიტტექნოლოგები... პრაქტიკულად, საქართველოში დღეს პოლიტიკური პროცესი მკვდარია, ოპოზიციად წოდებული პოლიტიკური ძალებისა და ხელისუფლების ურთიერთობა კი წარმოადგენს „ყრუთა დიალოგს ბრმებთან“...

თავის დროზე გაერთიანებული ოპოზიციის შექმნა პოლიტიკური პროცესის ერთადერთი პოზიტიური მოვლენა იყო. ეს ყველაზე მეტად ძმები გაჩეჩილაძეების დამსახურებაა და ამ პოლიტიკური გაერთიანების მარცხიც მათმა შეცდომებმა განაპირობა!..

## ლევან გაჩეჩილაძემ ვერ შეძლო ლიდერის ფუნქციის შესრულება, ხოლო ოპოზიციის ლიდერები (თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა) ხელისუფლების ფარული ან ღია მოკავშირე გახდნენ.

**— გაზეთის „ბანკები და ფინანსები“ სოციოლოგიური ჯგუფისა და სოციოლოგიური და მარკეტინგული კვლევის ცენტრის მიერ ჩატარებული გამოკითხვების შედეგად, ნდობის რეიტინგში ირაკლი ალასანიას 14,2% აქვს, თუმცა დამეთანხმებით, რომ ეს მაჩვენებელი ბევრად ჩამოუვარდება იმ მაჩვენებელს, რომელიც ალასანიას ასპარეზზე გამოსვლის პირველ დღეებში ჰქონდა და, რაც მთავარია, ეს არ არის ის მაჩვენებელი, რომელიც ალასანიას, მით უფრო მისი „ალიანსის“ პოლიტიკურ ამბიციებს გასწვდება...**

— დიახ, ამ გამოკითხვით ირაკლი ალასანია პირველ ადგილზეა, მაგრამ მისი მაჩვენებელი — 14,2 % ბევრად

## ერთ შპს-დ საქართველოს გადაქცევა ქვეყნის სუვერენიტეტს დაამთავრებს!

ნაკლებია 2 თვის წინანდელი გამოკითხვის შედეგზე. მიზეზი მარტივია — ალასანია უკვე აღარ გამოხატავს ელექტორატის უმრავლესობის ინტერესებს. მან საზოგადოების იმედები გაუცრუა, რასაც „მოლოდინის რეიტინგის“ ვარდნა ბუნებრივად მოჰყვა. ალასანიას მიერ შემოთავაზებული გზა მრავალსაფეხურიანი და ბუნდოვანია. პრაქტიკულად, ქართულმა საზოგადოებამ დღემდე ვერ გაიგო, ამ კაცს რა უნდა, ან რა შეუძლია... მარტივ მაგალითს მოგიყვანთ: ალასანია და მისი „ალიანსი საქართველოსთვის“ 9 აპრილის აქციების შემდეგ ხელისუფლებასთან დიალოგს დასთანხმდა, მაგრამ რეალურად მან საკუთარი მხარდამჭერების უფლებებიც კი ვერ დაიცვა, რომლებიც დღემდე ციხეში რჩებიან. შედეგად, ალასანიამ დაკარგა როგორც რადიკალურად განწყობილი, ასევე დიალოგის მომხრე მხარდამჭერები.

**— მეორე ადგილს 11,6%-ით შალვა ნათელაშვილი იკავებს, ანუ პოლიტიკოსი, რომელმაც თავის დროზე სააკაშვილს დაუთმო ჯერ თბილისის და შემდგომში ქვეყნის მართვის რეალური პერსპექტივა. რით ხსნით ე. წ. მშრომელთა ლიდერის პოპულარობას ქალაქში, სადაც მშრომელებს პრაქტიკულად შრომის უფლება დაკარგული აქვთ; ხოლო ვინც შრომობს, ძირითადად, ხელისუფლების სამსახურშია?**

— შალვა ნათელაშვილი განსაკუთრებული ფენომენია. კაცმა სამჯერ მოიგო არჩევნები. ეს მხოლოდ თბილისში. გაიხსენეთ მისი პარტიიდან არჩეული საკრებულოს თავმჯდომარეები ვიქტორ მოსიძე, ლადო კახაძე და ზაზა ბეგაშვილი. ყველამ იცის, რომ მიხეილ სააკაშვილსაც მან დაუთმო საკრებულოს თავმჯდომარის პოსტი, საიდანაც დაიწყო სააკაშვილის პოლიტიკური ზეასვლა. სხვათაშორის, 2003 წლის 2 ნოემბრის არჩევნებიც ლეიბორისტებმა მოიგეს. მე მაშინ ვთანამშრომლობდი სოციოლოგიური კვლევების ცენტრთან „რეიტინგი-კავკასია“, რომელმაც ობიექტური გამოკითხვა ჩაატარა ქვეყნის მასშტაბით. ნათელაშვილს ჰქონდა დაახლოებით 21 %, მეორე ადგილზე მყოფ ნაციონალებს 19 %, მაგრამ მოქალაქეთა კავშირი და შევარდნაძე არ წავიდნენ ლეიბორისტებთან ალიანსზე, მოუმატეს ხმები „ბურჯანაძე — დემოკრატებს“, ჩაშალეს არჩევნები და მოახდინეს „რევოლუცია“!

მეც მიმიცია ხმა ლეიბორისტებისთვის, მაგრამ ნათელაშვილს პირდაპირ მინდა ვუთხრა – მისი საპრეზიდენტო ამბიციები გადაჭარბებულია და ის ვერასდროს ვერ გახდება საქართველოს პრეზიდენტი!.. მათ შორის, ობიქტური და სამართლიანი არჩევნებისა, გახსნილი საინფორმაციო სივრცის პირობებშიც კი ის 15 %-ზე მეტს ვერ აიღებს.

**— ლევან გაჩეჩილაძე 10,2%-ით მესამე პოზიციაზეა, თუმცა ამ მაჩვენებლით ლიდერობაზე საუბარი ნაკლებად შეიძლება...**

— გაუთავებელი საიდუმლო სერობები მიხეილ სააკაშვილთან, უმიზნო მოძრაობა და ფუსფუსი, მერყეობა გადაწყვეტილებების მიღებისას, რა თქმა უნდა, ლევან გაჩეჩილაძის იმიჯს სასიკეთოდ არ წაადგა. თუ პოლიტიკოსი ხარ, უნდა იარო წინ და გაბედული ნაბიჯები გადადგა. ლევან გაჩეჩილაძეს არ შეუძლია ის, რაც შეეძლოთ ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას, გია ჭანტურიას, ედუარდ შევარდნაძეს, რაც შეძლო მიხეილ სააკაშვილმა. ამის გარეშე კი პოლიტიკოსი არ არსებობს, პოლიტიკოსი ბუტაფორიაა. ასეთი ტიპის განცხადებები — მე სისხლს ვერ დავღვრი და ასე შემდეგ, პაციფისტურია და არა ▶

## ...შალვა ნათელაშვილი განსაკუთრებული ფენომენია. კაცმა სამჯერ მოიგო არჩევნები, ეს მხოლოდ თბილისში. გაიხსენეთ მისი პარტიიდან არჩეული საკრებულოს თავმჯდომარეები ვიქტორ მოსიძე, ლადო კახაძე და ზაზა ბეგაშვილი. ყველამ იცის, რომ მიხეილ სააკაშვილსაც მან დაუთმო საკრებულოს თავმჯდომარის პოსტი, საიდანაც დაიწყო სააკაშვილის პოლიტიკური ზეასვლა...







# ქართული პოლიტიკური არენა, დიდი ხანია, მარიონეტების თეატრად იქცა

◀შორსმჭვრეტელური. დიახ, სისხლი არ უნდა დაღვარო, მაგრამ მიზანს უნდა მიაღწიო! თუ ვერ მიაღწევ, ასპარეზი სხვას დაუთმე. სალაყბოების ჩამოყალიბება პოლიტიკოსობა არ არის!.. მიუხედავად ამისა, „თბილისის დეფაქტო პრეზიდენტს“, ლევან გაჩეჩილაძეს, სამართლიანი არჩევნების პირობებში, თბილისის მერობისა და საქართველოს პრეზიდენტობის ყველაზე მეტი შანსი აქვს დღესაც.

**— ეს მხოლოდ ლევან გაჩეჩილაძის მიერ მოპოვებული შანსია, თუ ძმები გაჩეჩილაძეების ერთად „შეკრებილი შანსები“?**

— „უცნობს“, გია გაჩეჩილაძეს მივცემ ერთ რჩევას – ამ მამაც ადამიანს პოლიტიკური ალღო და, შესაძლოა, გამჭრიახობაც აშკარად არ ჰყოფნის. ამხელა მოძრაობის „ამგორებელი“ კაცი და ამდენი ადამიანის ლიდერი ამბობს, რომ პოლიტიკოსი არ არის. ეს, რა თქმა უნდა, აბსურდია. თუ პოლიტიკოსი არ ხარ, ნურც პოლიტიკურ ტელეპროექტს აკეთებ („საკანი№5“- ს ვგულისხმობ) და ნურც 70000 კაცს უხმობ ეროვნულ სტადიონზე, რომელიც მერე პატრიარქთან მიგყავს...

რას ნიშნავს: „მე პოლიტიკოსი არ ვარ“?! რა, პოლიტიკოსებს ფრთები ამოსდით, თუ თავზე ჯიღა ადგათ? ან რა განცხადებაა, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა პოლიტიკა არ უნდა აკეთონ და ქვეყანას ხალხმა უნდა მოუაროს. როგორ, საკითხები „ვეჩეზე“ უნდა გადაწყდეს როგორც ძველ ნოვგოროდში, ხალხის ბღავილის სიძლიერის მიხედვით? თუ როგორც ძველ ათენში, ყველა მოქალაქის მიერ სხვადასხვა ფერის კენჭების ჩაყრით ქვის ყუთში?.. პოლიტიკა, და ეს უნდა იცოდეს „უცნობმა“ — გია გაჩეჩილაძემ, პოლიტიკური პარტიების შეჯიბრის არენაა, რომლებიც ცივილიზებული წესების დაცვითა და ერთმანეთთან შეჯიბრით უნდა მოვიდნენ ხელისუფლებაში; მერე კი ყოველდღე ხალხს ანგარიში აბარონ იმის თაობაზე, თუ რა გააკეთეს. ყველა სხვა გზა ავტორიტარიზმის, ტირანიისა და მაფიურ-კლანურ-განგსტერული სახელმწიფოს შენების გზაა. სხვათაშორის,

### რასაც გია გაჩეჩილაძე ამბობს, იმასვე ამბობდა ჯაბა იოსელიანი, რომლის მსოფლმხედველობა უპარტიო მმართველობა და „ავტორიტეტების“ მიერ მართული საქართველოს შექმნა იყო.

**— თავისთავად ის ფაქტი, რომ პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მეოთხე ადგილზეა და მასზე წინ ნდობის რეიტინგში ოპოზიციის სამი ლიდერი დგას, რაზე მიანიშნებს?**

— მიხეილ სააკაშვილს, ვფიქრობ, კარგი მაჩვენებელი აქვს. 10% თბილისში ნიშნავს 20%-ს მთელ ქვეყანაში. სააკაშვილი უდაოდ ნიჭიერი პიროვნებაა, მოქნილი და ენერგიული პოლიტიკოსი, მაგრამ, სამწუხაროდ, მან პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებისა და ქვეყნის განვითარების არასწორი გეზი აირჩია. დემოკრატიისა და დემოკრატიული ინსტიტუტების შეზღუდვა არ აღმოჩნდა ეფექტიანი, სინგაპურიზაცია და ოფშორიზაცია, აგრეთვე, რუსეთთან უკიდურესი კონფრონტაცია საქართველოს დაშლის წინაპირობა გახდა. ერთ შპს-დ, ერთ კომპანიად საქართველოს გადაქცევა ქვეყნის სუვერენიტეტს დაამთავრებს და მის დექართველიზაციას დააკანონებს! ამის შემდეგ გინდა ცათამბჯენები აუშენე აქ მცხოვრებ ადამიანებს და გინდა, როგორც სულთანის სასახლეშია, ყველას ოქროს უნიტაზი დაუდგი, მნიშვნელობა აღარ ექნება!..

**— „ეროვნული ფორუმის“ ერთ-ერთი ლიდერი გუბაზ სანიკიძე გამოკითხულთა 7,2%-ის ნდობას იმსახურებს. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ გაერთიანებული ოპოზიციისაგან გამიჯვნამ „ფორუმი“ იმ მომგებიან პოზიციაში ჩააყენა, რომელშიც დგანან ხოლმე ჩაძირული გემიდან დროულად ნაპირზე გადმოსულები?**

—არ ვფიქრობ ასე. „ეროვნული ფორუმი“ მომგებიან პოზიციაში კი არა, წამგებიან პოზიციაშია. გუბაზ სანიკიძის რეიტინგიც მნიშვნელოვნად შემცირდა. ამის მიზეზი „ეროვნული ფორუმის“ იმპულსურობაა. ბევრს აფრთხობს მათი ნაციონალ-რადიკალიზმიც. ხალხს მოსწონს „ფორუმის“ ლიდერების გულწრფელობა და პატრიოტიზმი, მაგრამ გაუგებარია მათი პოლიტიკური პრაგმატიზმის დონე. ადამიანებს არ

### ოპოზიციად წოდებული პოლიტიკური ძალებისა და ხელისუფლების ურთიერთობა წარმოადგენს „ყრუთა დიალოგს ბრმებთან“...

აქვთ წარმოდგენა ამ მოძრაობის რეალურ მიზნებზე. განათლებული და ინტელექტუალი გუბაზ სანიკიძე, ლევან სანიკიძის ვაჟი, საზოგადოებისთვის მისაღებია, მაგრამ, როცა ის ხალხს ნახირად მოიხსენიებს, ბევრი კითხვა ჩნდება. განა ის ხალხი, რომელმაც გუბაზ სანიკიძე, კახა შარტავა, რეზო შავიშვილი, ირაკლი მელაშვილი, ნიკო ორველაშვილი შვა და აღზარდა, ჰო, სწორედ ეს ხალხი, ნახირად და საქონლად წოდების და მოხსენიების ღირსია? იქნებ, იმიტომ არის ეს ხალხი ნახირი, რომ პოლიტიკური ლიდერები არ უვარგა? საინტერესოა, „ფორუმის“ ლიდერები თავს მენახირეებად თვლიან თუ არწივებად?..

**— ჩამოთვლილი ხუთეულიდან თბილისის მერის არჩევნებში მონაწილეობის სურვილი ჯერჯერობით მხოლოდ ირაკლი ალასანიამ დააფიქსირა. ლევან გაჩეჩილაძე არ ჩქარობს... შალვა ნათელაშვილს „ეს კინო ნანახი აქვს“, გუბაზ სანიკიძე და მისი „ფორუმი“ არჩევნებში მონაწილეობას პრინციპულად არ აპირებენ... მიხეილ სააკაშვილი კი ისედაც პრეზიდენტია... სამაგიეროდ, დედაქალაქის მერობაზე პრეტენზიას კობა დავითაშვილი და ზვიად ძიძიგური გამოთქვამენ... ეს უკანასკნელი საერთოდ ვერ მოხვდა ნდობის რეიტინგში, ხოლო კობა დავითაშვილს გამოკითხულთა მხოლოდ 0,8%-მა გამოუცხადა ნდობა... მორიგ პოლიტიკურ ანომალიასთან გვაქვს საქმე?**

— აურზაური მერის არჩევნებთან დაკავშირებით ხელისუფლების პროპაგანდისტული მანქანის მიერაა ატეხილი. მიზანი მარტივია — მათ უნდათ სხვა, უფრო რეალური პრობლემები გადაფარონ. ნაციონალებს ბევრს ვერაფერს დააკლებს ამ ვითარებაში არჩეული თბილისის ოპოზიციონერი მერი, თუმცა არც მცირე პრობლემების შექმნა სურთ. ამიტომაც გამოიდეს თავი 30%-იან ბარიერთან დაკავშირებით, რაც მათი კანდიდატისთვის — გიგი უგულავასთვის რეალური შანსია. თუ ასე არ მოხდა, მაშინ ნაციონალები, ბუნებრივია, მათთან ფარულ ალიანსში მყოფ რომელიმე ოპოზიციურ კანდიდატს გაიყვანენ მერად.

ახლა ისინი ოპოზიციაში თავიანთი სატელიტების მეშვეობით ცდილობენ, სამიოთხი ისეთი კანდიდატურა წამოაყენებინონ, რომლებიც შეძლებენ, მათთვის სახიფათო ოპოზიციონერ კანდიდატს 7-10% წაართვან. რაც შეეხება კობა დავითაშვილსა და ზვიად ძიძიგურს, მათ არც მერის არჩევნებში და არც პრაიმერში არანაირი შანსი არ აქვთ. მინდა ვუთხრა და ვურჩიო მთელ პოლიტიკურ სპექტრს – ჩახედეთ ობიექტურად ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებს. მეგობრებო, ვისაც 2%-ზე ნაკლები რეიტინგი გაქვთ, რატომ გიჭირავთ თავი ასე ყინჩად?.. რატომ გიკავიათ მახვშის პოზა და რატომ არიგებთ მთელ საქართველოს, თუნდაც შაგრენის ტყავივით გალეულს, ასე მედიდურად ჭკუას?

ესაუბრა
**ელგა ფოლადიშვილი**

# «შეიცვალოს მედროვეების ფსიქოლოგია»

**„ედინაია რასიას“ ლიდერი და რუსეთის პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინი პეტერბურგში გამართულ პარტიის XI ყრილობაზე სიტყვით გამოვიდა და თანაპარტიელებს ქვეყნის ეკონომიკის კრიზისიდან გამოსვლისთვის ხელისუფლების გეგმები გააცნო. ამავე დროს მიუთითა, თუ რომელ მიმართულებებს დაეხმარება ხელისუფლება უპირველესად და პრიორიტეტად ვაჭრობის სფეროს განვითარების სტიმულირება დაასახელა.**



ეს გამოსვლა, როგორც მოსალოდნელი იყო, ქვეყნის პრეზიდენტის — დიმიტრი მედვედევის მიერ ფედერალური ყრილობისთვის გაგზავნილი მიმართვის გაგრძელებას წარმოადგენდა. პრემიერი გამოსვლისას, ძირითადად, ეკონომიკურ თემებზე იყო ორიენტირებული, ქვეყნის მოდერნიზების დაჩქარების მეთოდებზე საუბრობდა და რუსეთის პრეზიდენტის თეზისებს აკონკრეტებდა.

პუტინმა საუბარი იმით დაიწყო, რომ 2010 წელს რუსეთის მეწარმეებს საშუალება ექნებათ, სახელმწიფო გარანტიების ხარჯზე 500 მილიარდ რუბლზე მეტი კრედიტები მოიზიდონ.

ქვეყნის ფინანსური კრიზისიდან გამოსვლაზე საუბრისას პრემიერმა საკრედიტო სისტემის ეტაპობრივ განკურნებაზე ისაუბრა და ბიზნესმენებს, რომლებიც წარმოებებიდან უკანასკნელ წვენს წურავენ მომავალში სახელმწიფო დახმარების მიღების იმედად, „მედროვეების ფსიქოლოგიისგან“ გათავისუფლებისკენ მოუწოდა. ამგვარი ფსიქოლოგიით თანამედროვე ეკონომიკას ვერ ავაშენებთ“, — ბრძანა პუტინმა. წარმოების სტიმულირებაზე საუბრისას მან აღნიშნა, რომ თავდაცვის სფეროში სახელმწიფო დაკვეთა 2010 წელს 8,5%-ით გაიზრდება და 1,175 ტრილიონ რუბლს შეადგენს. მისი თქმით, სახელმწიფომ არამც თუ არ დაუშვა ვარნდა თავდაცვით-სამეწარმეო კომპლექსში, არამედ ამ სფეროში წარმოების 4%-იან მატებასაც მიაღწია.

ავტობაზრის გაჯანსაღებისთვის სახელმწიფო უტილიზაციის პროგრამას აამუშავებს. ყველა, ვინც 10 და მეტი წლის მანქანას ჩააბარებს, მიიღებს 50 ათას რუბლს და ამ თანხას ახლის შეძენას მოახმარს. პრემიერის თქმით, მნიშვნელობა არ ექნება, რომელი მარკის მანქანას შეიძენენ ეს ადამიანები, მთავარია, ის რუსეთში იყოს აწყობილი.

გარდა ამისა, პრემიერის თქმით, ქვეყანაში გაჩნდება საგარეო ვაჭრობის კონტრაქტების დაზღვევის სახელმწიფო სააგენტო. მუშაობისთვის ის 13 მილიონამდე რუბლს მიიღებს და სამამულო წარმოების პროდუქციის უცხოურ ბაზრებზე ადგილის დამკვიდრებას შეუწყობს ხელს. მაღალტექნოლოგიური ექსპორტის მხარდაჭერისთვის 2010 წელს ხელისუფლება სახელმწიფო გარანტიის სახით 60 მილიარდამდე რუბლს გაიღებს, კიდევ 3 მილიარდი საექსპორტო კრედიტების პროცენტული წილის სუბსიდირებას მოხმარდება.

სოციალურ პროგრამებთან დაკავშირებით პუტინმა ბრძანა, რომ მომავალ წელს რუსეთი იპოთეკას დამატებითი 250 მილიარდი რუბლით დაუჭერს მხარს. უფრო მეტიც, იგი ქვეყანას საცხოვრებელ-კომუნალური მეურნეობის პროექტების 2013 წლამდე გაგრძელებას დაჰპირდა. ამ პროექტების წყალობით რუსეთში 2008-2009 წლებში საცხოვრებელი პირობები გაუუმჯობესდა 10 მილიონამდე მოქალაქეს, მომავალი წლის პირველ ნახევარში კი ავარიული ბინებიდან ახლებში 150 ათასი ადამიანი გადავა.

რაც შეეხება განათლების მხარდაჭერას, მომავალი სამი წლის განმავლობაში ხელისუფლება ყოველწლიურად 30 მილიარდ რუბლს მისცემს ქვეყნის წამყვან უნივერსიტეტებს. „კურჩატოვის ინსტიტუტის“ განვითარებისთვის დამატებით კიდევ 10 მილიარდი რუბლი გამოიყოფა.

სასაქონლო ბაზრის მოდერნიზაციისთვის ხელისუფლება ერთნახევარჯერ შეამცირებს აუცილებელი სერთიფიცირების ასორტიმენტის სიას, რომელშიც ახლა ქვეყანაში გაყიდვადი საქონლის 78% შედის. როგორც სახელმწიფო დუმის ვიცე-სპიკერმა ნადეჟდა გერასიმოვამ მოგვიანებით განაცხადა, პრემიერის მოხსენებას თავიდან ბოლომდე წითელი ზოლივით გასდევდა აზრი, რომ „ჩვენ ვცხოვრობთ ამ ქვეყანაში, ჩვენ არსად ვაპირებთ წასვლას და ჩვენ შევქმნით კომფორტულ პირობებს ჩვენი მოქალაქეების ცხოვრებისათვის“.

# მედვედევის ადმინისტრაცია იუშჩენკოს შანტაჟში ამხელს



**არჩევნების წინ იუშჩენკომ მედვედევთან მიმოწერა გააბა და საკუთარ საიტზე რუსეთის პრეზიდენტისადმი ღია წერილი გამოაქვეყნა.**

რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწემ სერგეი პრიხოდკომ განაცხადა, რომ კრემლში გაეცნენ ვიქტორ იუშჩენკოს ღია წერილს დიმიტრი მედვედევისადმი და ჩათვალეს, რომ „ეს უკვე პოლიტიკური შანტაჟია“. პრიხოდკომ განაცხადა, რომ თემა, რომელსაც წერილი ეხება — რუსულ-უკრაინული თანამშრომლობა გაზის სფეროში — ძალზე მნიშვნელოვანია. მისივე თქმით, სამწუხაროა, რომ ესოდენ მნიშვნელოვანი გზავნილის შესახებ ინტერნეტით შეიტყვეს და, მსოფლიო პრაქტიკის შესაბამისად, პირადად არ მიუღიათ.

საკუთარ საიტზე გამოქვეყნებულ ღია წერილში იუშჩენკო მედვედევს მოუწოდებს, სასწრაფოდ შეცვალოს მიმდინარე წლის იანვარში გაზთან დაკავშირებით გაფორმებული კონტრაქტები. მისი აზრით, გაზის ტრანზიტისა და მიწოდების ხელშეკრულებები უკრაინისთვის არამომგებიანი და უსამართლოა, რის გამოც ითხოვს მათ გადახედვას.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# მთვრალი გივი თარგამაძე ზუგდიდში ლტოლვილებს დაერია

**ქართული სუფრა სადღეგრძელოების გარეშე ხომ წარმოუდგენელია. რა ჯობია კარგ მოლხენას, ყანწის ბოლომდე გამოცლას და მეორე დღეს ნაბახუსევზე — ცივ ლუდს.
და ვის არ მორევია ბახუსი, რიგითი მოქალაქეებით დაწყებული, პრეზიდენტებით დამთავრებული. ზოგიერთი მათგანი ნასვამ მდგომარეობაში არც სამიტების დასწრებასა და ტელევიზიით გამოჩენაზე ამბობს უარს, რაც ზოგჯერ სკანდალით მთავრდება. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა იაპონიის ყოფილ ფინანსთა მინისტრს შოიჩი ნაკაგავას გადახდა თავს. ფინანსთა მინისტრის პოსტიდან იგი თებერვალში გადადგა, მას შემდეგ, რაც რომში „დიდი შვიდიანის“ შეხვედრის ერთ-ერთ კონფერენციაზე ფინანსთა მინისტრი ჟურნალისტებს არათანმიმდევრულ პასუხებს აძლევდა, ხოლო შემდეგ ჩაეძინა კიდეც. როგორც აღმოჩნდა, ფინანსთა მინისტრი პრესკონფერენციაზე ნასვამი მივიდა.**



„დიდი შვიდიანის“ სამიტის რა მოგახსენოთ, მაგრამ სამეგრელოში თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავჯდომარე გივი თარგამაძე ნასვამი რომ დარბოდა, ფაქტია. ზუგდიდთან ახლოს არის სოფელი ჭითაწყარი. სწორედ ამ სოფელში, ბახუსმორეული გივი თარგამაზე დარბოდა და მოსახლეობას სახლში უვარდებოდა. ზუგდიდელების ინფორმაციით, ნასვამი გივი თარგამაძე დაცვის წევრებს არ დაემორჩილა, მანქანიდან გადმოხტა და უაზროდ დაიწყო აქეთ-იქით ხეტიალი.

ამ ფაქტთან დაკავშირებით „საქართველო და მსოფლიო“ ზუგდიდის რამდენიმე მცხოვრებს ესაუბრა.

**ნაზი ხუბუტია**: „ჩვენს კორპუსთან ახლოს არის სტადიონი, სადაც კვირაში რამდენჯერმე მთავრობის წევრები თვითმფრინავით ჩამოდიან ხოლმე. ამიტომ მხოლოდ მაშინ გავიხედე გარეთ, როცა ჩოჩქოლისა და ყვირილი მომესმა და რას ვხედავ — ჩვენი პარლამენტის წევრი, გივი თარგამაძე გალეშილი მთვრალი ძლივს მოდის, უკან კი დაცვის ბიჭები მოჰყვებოდნენ და აშოშმინებდნენ, მაგრამ ეს არ უჯერებდა. რამდენიმე წუთში მთელი უბანი გამოეფინა, ყველა მას უყურებდა. ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, თუ გივი თარგამაძეს ოდესმე ასეთ მდგომაეობაში ვიხილავდი. ისეთი მთვრალი იყო, რომ თავს ვერ აკონტროლებდა, ლაპარაკიც კი არ შეეძლო, რაღაც უცნაურ ბგერებს გამოსცემდა. ახალგაზრდა ბიჭი დაინახა და დაედევნა; იმ საწყალმა, რამე შარს არ გადავეყაროო, უკან მოუხედავად მოკურცხლა. ახლა მეორე სართულზე ჩემს მეზობელს მიადგა, დაცვამ ძლივს ჩამოიყვანა. რომ არა დაცვის ბიჭების აქტიურობა, ღმერთმა უწყის, რას მოიმოქმედებდა. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. ნუთუ ამათ ხელშია დღეს ქვეყანა?! ვინ არ დამთვრალა, მაგრამ, როცა მთავრობის წევრი ხარ, უფრო მეტი მოგეთხოვება, ვიდრე ჩვეულებრივ მოქალაქეს.“

**ნოდარ ნადარაია, 75 წლის პენსიონერი**: „ამ ხნის კაცი ვარ და ჩემს ცხოვრებაში ასეთი რამ არ მინახავს. გაგონილა, კაცო, მთავრობის წევრი მთვრალი ქუჩაში დარბოდეს და მოსახლეობას სახლში უვარდებოდეს?! ნუთუ ასეთი მთავრობა ააყვავებს ჩვენს ქვეყანას და დაკარგულ ტერიტორიებს დაგვიბრუნებს?! სხვა ქვეყანაში მთავრობის წევრს ასეთი საქციელისთვის სამსახურიდან გაათავისუფლებდნენ. ამ ხნის კაცმა ცხოვრებაში პირველად ვინანე, რომ ვიდეოკამერა არ მქონდა და ეს ფაქტი ვერ გადავიღე.“

ისე, წარმოიდგინეთ, რა სანახავი იქნებოდა ნასვამი გივი თარგამაძე, რომელიც ახალგაზრდა კაცს მისდევს და თან ვერაფერს ამბობს (ჩვენი ძვირფასი პარლამენტარი ფხიზელ მდგომარეობაში ძლივ საუბრობს, ნასვამი რაღას იზამდა?!). ალბათ, ის ახალგაზრდა, თვალში რომ არ მოუვიდა, ოპოზიციის წევრად მოეჩვენა. ვაი, რომ არ შეეძლო ჩვენს გივის პირის გაღება, თორემ ნაძირალას მაინც დაუძახებდა, მაგრამ ვაი, რომ არ შეეძლო...

ან წარმოიდგინეთ თარგამაძე, რომელიც კორპუსის შესასვლელთან დგას და ყვირის (თუნდაც გულში): „კარი გამიღეთ, მე ვარ გიიივიიი!“ მეგრელები სტუმართმოყვარენი არიან და კი შეუშვებდნენ სახლში, მაგრამ, გულში, ალბათ, ფიქრობდნენ: „დღეს სტუმარი ხარ შენ ჩვენი, თუნდ ზღვა გემართოს სისხლისაო.“

კურიოზებს რა გამოლევს ჩვენს ქვეყანაში და ერთი კურიოზული სიტუაცია საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერს (მაშინ სოფლის მეურნეობის მინისტრი გახლდათ), პეტრე ცისკარიშვილსაც გადახდა. როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტრო იუწყებოდა, პეტრე ცისკარიშვილის ავტომანქანა ნასვამმა ახალგაზრდამ დააზიანა. თურმე ნასვამ ახალგაზრდას ფეხი აუცურდა (პეტრე ავტომანქანას სრულიად ფხიზელი მართავდა (?!)) და სახე სოფლის მეურნეობის მინისტრის ავტომანქანის სახელურს ჩამოარტყა. ამ დროს ჩვენმა პეტრემ გულისხმიერება გამოიჩინა, აღნიშნული ახალგაზრდა ციხეში ჩასასმელად ვერ გაიმეტა და შეიწყალა. ასეთი გულისხმიერი მთავრობა გვყავს, ჩვენ კიდევ არ მოგვწონს და არ ვაფასებთ.

საქართველოს მთავრობა უკანასკნელად გაფრთხილებთ, ნასვამ მდგომარეობაში ქუჩაში ნუ დადიხართ, თორემ, შესაძლოა, თავი მინისტრის ავტომანქანას ჩამოარტყათ და მერე „კაპუტ“. ყველა მინისტრი პეტრესავით გულისხმიერი კი არ არის.

**P.S. ჩვენი მცდელობის მიუხედავად, ბატონ გივისთან დაკავშირება ვერ შევძელით. იგი ჩვენს სატელეფონო ზარებს არ პასუხობდა — ან არ ეცალა, ან „პახმელიაზე“ თავს მაღლა ვერ წევდა.**

**ეჰ! ჩვენ ვხუმრობთ, ჩვენი გივი კი რა მდგომარეობაშია, ღმერთმა იცის, ალბათ, „პახმელიისგან“ თავი უსკდება. არაფერია, ბატონო გივი, წაიკითხეთ ეს სტატია, ხმამაღლა დაიყვირეთ: „ეს ნაძირლები ესენი!“ და „პახმელიამ“ თუ არ გაგიარათ, გულზე მაინც მოგეშვებათ.**

**მამა აფრიკა**

# სააკაშვილის აყვავებული ეკონომიკა და ბადრიჯნისფერი მათხოვარი პეკინზე

**მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ მთელ მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისის ბუმია, იგი საქართველოს ნაკლებად შეეხო. ამ კრიზისის შედაგად, როგორც ჩვენი მეზობელი ქვეყნების, ასევე ევროკავშირის სხვა სახელმწიფოების ეკონომიკა სრულიად ჩამოინგრა, ჩვენი ქვეყანა კი მათთან შედარებით კარგ მდგომარეობაშია და ეკონომიკაც ვითარდება.
ჩვენი პრეზიდენტი საზღვარგარეთის ქვეყნებში დადის და იქაურ ინვესტორებს ხვდება. ამაში პრეზიდენტს ბებიაც ეხმარება, რომელმაც ქუვეითელ და ყატარელ ინვესტორებს თავბრუ დაახვია და რამდენიმემილიონიანი ინვესტიციაც გამოსტყუა. ჩვენი ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალმა და ბებიაშვილიშვილის შესაძლებლობებმა უდიდესი ინტერესი გამოიწვია. ამის დასტურია ბიზნესდელეგაციის საპასუხო ვიზიტი ყატარიდან.**



ეკონომიკის ახალი მინისტრის — ზურაბ პოლოლიკაშვილის მოსვლის შემდეგ ქართული ეკონომიკა უფრო აყვავდა. მისი მთავარი საზრუნავი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა იყო, რაც „ხუთიანზე“ შესრულა. ბოლო შეხვედრები პოტენციურ ინვესტორებთან სპარსეთის ყურის სახელმწიფოებში ჩაატარა, საიდანაც, წინასწარი ინფორმაციით, უახლოეს მომავალში საქართველოს ეკონომიკაში ორი მილიონის ინვესტიცია უნდა განხორციელდეს.

საქართველოში არსებული ლიბერალური გარემო, გადასახადების გამარტივებისა და შემცირების პოლიტიკა, თავისუფალი ინდუსტრიული ზონები, სადაც ბიზნესი გათავისუფლებულია რიგი გადასახადებისგან – ყოველივე ეს დამატებითი სტიმულია ინვესტორთათვის.

ჩვენმა პრემიერ-მინისტრმაც დაადასტურა ქვეყანაში ეკონომიკის აყვავება და დაგვაიმედა, რომ მომავალ წელს ბიუჯეტის რამდენიმე პროცენტით ზრდას ვარაუდობს.

**თურმე გვეშველა და ეგ არის, ხალხო. ამიერიდან საქართველო უმდიდრესი ქვეყანა გახდება, სადაც ყველა ქართველს შეეძლება ფუფუნებაში ცხოვრება. აღარ მოგვიწევს ქუჩაში თოვლჭყაპში სირბილი და ბოლო ხმაზე ყვირილი: „აბა, ცხელი ხააჭაპური“. ვეღარ დავინახავთ მეტროს შესასვლელებთან თუ ქალაქის სხვა ადგილებში ადამიანებს, რომლებიც იმედის თვალით გიყურებენ და მუდარით გეუბნებიან: „დამეხმარე, შენი ლამაზი თვალების ჭირიმე!“ წავიდა, ხალხო, ეს დრო, წარსულს ჩაბარდა სიღატაკე და სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობა. ვივა მიშას, ჩვენს მხსნელსა და გადამრჩენელს! სწორედ მიშამ ამოგვიყვანა წუმპიდან და დაგვანახა ნამდვილი ცხოვრება, ცხოვრება ტანჯვისა და მათხოვრობის გარეშე. ახალა კი მჯერა, რომ საქართველოს ისტორია 2003 წლის 23 ნოემბრიდან იწყება.**

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა ისე აყვავდა, ისე აშენდა ქვეყანა, რომ სამათხოვროდ უკვე აფრიკის ქვეყნებიდან გვაკითხავენ. რა, არ გჯერათ? ისე იმ ყველაფრის, რაც ზემოთ დავწერე, რაღა დაგიმალოთ და, არც მე მჯერა. ამის მხოლოდ იმათ სჯერათ, ვინც ძვირადღირებულ ჩამუქებულმინებიან ჯიპებში სხედან და იქიდან ქვეყანასა და გარემოს ვარდისფერი სათვალიდან ან მინიდან უყურებენ. შავკანიან მათხოვარზე კი რაც გითხარით, რეალობაა.

**ამ რამდენიმე ხნის წინათ პეკინზე მოვდიოდი და ჩემთვის რაღაცას ვფიქრობდი. ამ ფიქრში ისეთ სურათს წავაწყდი, რომ ყბა ჩამომივარდა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. შუა პეკინზე დგას ახოვანი შავკანიანი ახალგაზრდა (რა არ ხდება ამ პეკინზე! აქეთ ჯანდაცვის სამინისტროა, იქით — მსუბუქი ყოფაქცევის ქალები, ახლა კიდევ შავკანიანი მათხოვარიც დაემატა (ნამდვილი პარადოქსია), რომელიც შუქნიშანთან გაჩერებულ მანქანებთან მიდის და მძღოლებს დამტვრეული ქართულით ეუბნება: „დამეკმარეტ“ (ეს შავკანიანი მეტროშიც მათხოვრობს და ვარაზის ხევთანაც). სანახაობით გამხიარულებული ზოგიერთი მძღოლი ამ უცხო ფერისა და რჯულის მათხოვარს ხელში ქაღალდის 5 და 10 ლარიანებს აჩეჩებს.**

ისე, ამ ხალხისაც გამკვირვებია, იმ ზანგის ადგილას მოხუცი ქალი ან კაცი რომ მისულიყო, კარგად შეუკურთხებდნენ ან დიდი-დიდი 10-თეთრიანი მიეგდოთ. თუმცა არც უნდა გაგვიკვირდეს, ქართველები ხომ „მაგარი ტიპები“ ვართ, ხომ უნდა „ვიბლატაოთ“ მერე ნაცნობ-მეგობრებში, რომ აფრიკელ მათხოვარს დავეხმარეთ. თუმცა ხალხის „ბლატაობა“ რა მოსატანია, როცა თავად ხელისუფლება „გვებლატავება“ და თვალში ნაცარს გვაყრის, თითქოს ქვეყანა შენდება და ქვეყნის ბიუჯეტი ისე სწრაფად იზრდება, რომ დათვლასაც კი ვერ ასწრებენ. საკითხავია, ვისთვის იზრდება ეს ბიუჯეტი და სად მიდის ეს თანხები, რადგან ქვეყანასა და ხალხს ბიუჯეტის გაზრდის არაფერი ეტყობათ. უამრავი ადამიანი ქუჩაში დგას და ლუკმის ფულს ამით შოულობს.

**ჩვენი ჯიბეგამოტენილი მინისტრები ერთხელ მაინც ჩავიდნენ მეტროში და ნახონ ის მოხუცი ადამიანები, რომლებიც გამვლელ-გამომვლელებს დახმარებას თხოვენ. ნუთუ ასეთი სურათის ნახვის შემდეგ კიდევ ეყოფათ ნამუსი იმის სათქმელად, რომ ეკონომიკა ყვავის და ქვეყანა ვითარდება. თუმცა სად აქვთ ამათ ნამუსი, ნამუსი რომ ჰქონდეთ, ხალხის ფულებს კი არ ჩაიჯიბავდნენ.**

ახლა შეიძლება ხელისუფლების რომელიმე თავგადაკლული დამცველი შემომედაოს და მითხრას, რომ არც ისეა საქმე, როგორც მე აღვწერე და ქვეყანა ვითარდება, ამის მაგალითად კი ზემოთნახსენები შავკანიანი მათხოვარი მოიყვანოს და თქვას, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა ისე ყვავის, ისე მივქრივართ წინ, რომ სამათხოვროდ უკვე აფრიკიდანაც კი გვაკითხავენო. თუ ასე ყვავის ქვეყანა და უამრავი სამუშაო ადგილი გაჩნდა, რატომ მიდის მოსახლეობა საზღვარგარეთ, განა მათ უხარიათ საკუთარი ოჯახისა და შვილების დატოვება?

**ეჰ, ბატონო პრეზიდენტო და ბატონო მინისტრებო, მორჩით ამ ფუქსავატობასა და ტყუილ დაპირებებს, ამის უკვე აღარავის ჯერა, მითუმეტეს — არც თქვენ. ნუღარ თამაშობთ ქართველი ერის ნერვებზე, თორემ თქვენს თავზე ჩამოწოლილი ღრუბელი თანდათან ისე გაშავდება, როგორც პეკინზე მდგომი მათხოვარი.**

გვერდი მოამზადა ალექსანდრე აკობიამ

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

### მუჰამედ ტაიბი (ერაყის ელჩი საქართველოში):

# აქ იმისთვის ჩამოვედით, რომ მხარში ამოვუდგეთ და დავეხმაროთ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობაში

**საქართველოში ერაყის წარმომადგენლობა არსებობის მცირე დროს ითვლის, ხოლო სრულუფლებიანი ელჩი, ბატონი მუჰამედ ტაიბი ამ თანამდებობაზე რამდენიმე კვირის დანიშნულია. ამისთვის მას მშობლიურ ქვეყანაში წასვლა მოუხდა. ერაყიდან დაბრუნებული ელჩი დაწვრილებით გვესაუბრა მის სამშობლოში არსებულ სიტუაციასა და საქართველოში დიპლომატიური მოღვაწეობის შესახებ.**



**— ჩვენს ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობის ჩამოყალიბებაში მთავარი როლი რამ შეასრულა?**

— საქართველომ 2003 წელს, ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობისას, ცნო ერაყი, თუმცა იმ პერიოდში ერაყის ოფიციალური წარმომადგენლობა საქართველოში ჯერ კიდევ არ არსებობდა. სადამ ჰუსეინის რეჟიმისგან განთავისუფლების შემდეგ, 2003 წელს, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ერაყში საჯარისო შენაერთები გაგზავნა, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ჩვენს ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობები დამყარებული არ იყო. საქართველოში 2008 წელს ჩამოვედით და საელჩოც მაშინ გაიხსნა. ერაყი ერთადერთი არაბული ქვეყანაა არაბული ქვეყნების ლიგიდან (ამ ლიგაში 24 სახელმწიფოა), რომელმაც საქართველოში ოფიციალური წარმომადგენლობა გახსნა.

საქართველოში ერაყის საელჩოს გახსნის რამდენიმე მიზეზი არსებობდა: 2003 წლიდან დღემდე საქართველომ ერაყში თავისი სამხედრო წარმომადგენლობა დაახლოებით 3 000 ჯარისკაცამდე გაზარდა, რაც საქართველოს მხრიდან დიდი დახმარება იყო ერაყის აღმშენებლობისა და ქვეყანაში უსაფრთხოების დამყარებისთვის. მეორე მიზეზია ის, რომ, გეოგრაფიული თვალსაზრისით, საქართველო ძალიან ახლოსაა ერაყთან; ქართველი ხალხი კულტურულად ძალიან განვითარებულია; დიდ პერიოდს მოიცავს ქართული დამწერლობა. ერთი მომენტია კიდევ: საქართველო ძალიან მცირე პერიოდში იყო დამოუკიდებელი ქვეყანა. აქ იმისთვის ჩამოვედით, რომ მხარში ამოვუდგეთ და დავეხმაროთ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობაში.

**— გვიამბეთ თქვენი დიპლომატიური საქმიანობის შესახებ, უპირველესად, რა არის ელჩისთვის პრიორიტეტული თავის საქმიანობაში?**

— საქართველოში ჩამოსვლისას ბევრი პრობლემა დაგვხვდა — არ გვქონდა საელჩოს შენობა, მოსაძებნი იყო მომსახურე პერსონალი და ა.შ გარდა ამისა, აქ ჩამოსვლამდე ცოტა რამ ვიცოდი საქართველოს შესახებ. დავიწყეთ კულტურული ურთიერთობების განვითარება ორ ქვეყანას შორის. კულტურულ ურთიერთობებში, ძირითადად, ყურადღებას ვამახვილებთ სასწავლო პროგრამებზე, რათა საქართველოს უნივერსიტეტებსა და ერაყის შესაბამის დაწესებულებებს შორის ურთიერთობა დამყარდეს.

ამავე დროს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ საქართველოსა და ერაყს შორის ეკონომიკური კავშირების განვითარებას. ჩვენ დავუკავშირდით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს და ვთხოვეთ, გამოეგზავნათ, თუ რა სჭირდება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სფეროში — ინვესტიციები, მცირე ბიზნესი თუ დიდი ბიზნესი. ასევე, დავუკავშირდით ერაყის საგარეო საქმეთა და ეკონომიკის სამინისტროებს, საიდანაც გვიპასუხეს: ჯერჯერობით ქვეყანა ისეთ მდგომარეობაშია, რომ არ შეუძლია ისეთი რაოდენობის ინვესტიციების ჩადება, როგორც ამას აკეთებს არაბეთის გაერთიანებული საემიროები. ერაყის ეკონომიკა რეკონსტრუქციის გზაზეა. პრაქტიკულად ქვეყანა 30 წლის მანძილზე საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდა ყველა თავის გარშემომყოფ სახელმწიფოებთან. იმედი მაქვს და სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ დაახლოებით სამ წელიწადში, როცა ერაყში სიტუცია დაწყნარდება და ეკონომიკური განვითარების დონე აიწევს, ჩვენ უფრო მეტს გავაკეთებთ ინვესტიციების სფეროში, ვიდრე ამას დღეს გაერთიანებული საემიროები აკეთებენ. შესაბამისად, არც სავაჭრო გაცვლა-გამოცვლა არ მიმდინარეობს ჩვენს ქვეყნებს შორის. ასევე, გვაინტერესებდა, რისი ექსპორტი შეიძლება საქართველოდან ერაყში. გვითხრეს, ღვინისა და მინერალური წყლებისო. ეს ორი პროდუქტი ერაყისთვის ნაკლებად საინტერესოა, ერაყში წყლის პრობლემა არ არის. ამიტომ ჯერჯერობით არ ვიცით, რისი გატანა შეუძლია საქართველოს ერაყში. დღეს საქართველოს ეკონომიკა სუსტია. მოსახლეობა, ძირითადად, თურქული წარმოების პროდუქტს ყიდულობს. ადგილობრივ პროდუქციას დიდ სუპერმარკეტებში ვერ ნახავთ.

**— კიდევ რა სფეროში მიმდინარეობს აქტიური ურთიერთ თანამშრომლობა?**

— საბჭოთა კავშირის დროს ერაყის ჯარი, ძირითადად, საბჭოთა წარმოების იარაღით იყო შეიარაღებული, განსაკუთრებით თვითმფრინავებით (საუბარია „სუხოისა“ და „მიგის“ თვითმფრინავებზე).

**ჩვენ გავიგეთ, რომ თბილისში „სუხოის“ თვითმფრინავები იწარმოებოდა და ამით დავინტერესდით. ერაყის არმიას ამ თვითმფრინავებისთვის სათადარიგო ნაწილები შეიძლება დასჭირდეს.**

ვეწვიეთ ქარხანას და მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია ერაყის თავდაცვის სამინისტროში გავაგზავნეთ.

უსაფრთხოების სფეროშიც ვთანამშრომლობთ. შს მინისტრი მერაბიშვილი ორი ქვეყნის სამინისტროებს შორის ურთიერთობების განვითარებისადმი დიდ ინტერესს იჩენს. მან საქრთველოში მოიწვია ერაყის ეროვნული უშიშროების მინისტრი. იმედი მაქვს, როდესაც მომავალი წლის იანვარში ერაყში არჩევნები ჩატარდება, ერაყის მხარის წარმომადგენლობა საქართველოში ვიზიტით ჩამოვა.

**— რატომ დაინტერესდით საქართველოში წარმოებული იარაღით? მაღალი ხარისხისაა თუ ფასებია ხელმისაწვდომი?**

— ეს ინიციატივა ქართული მხარისგან წამოვიდა. მათ იციან, რომ ერაყის საჰაერო ძალების შეირაღებაში დღემდე არის „სუხოის“ თვითმფრინავები, თუმცა ომში არ გამოუყენებიათ. ქართული ქარხანა დაინტერესდა, სჭირდება თუ არა ერაყულ მხარეს ამ თვითმფრინავების შეკეთება, მომსახურება ან სათადარიგო ნაწილები. მინდა ხაზი გავუსვა, რომ მე პირადად არ მსურს, ჩვენს ქვეყნებს შორის მხოლოდ სამხედრო ურთიერთობა განვითარდეს, რადგან ჩემთვის, უპირველესად, მშვიდობა და უსაფრთხოებაა მთავარი, მერე — სხვა დანარჩენი. შეიძლება ხუმრობად ჩამითვალოთ, მაგრამ, თუ ჩვენი მეზობლები ისე მოიქცევიან, რომ პრობლემები არ შეგვექმნება სამხედრო და უსაფრთხოების სფეროში, ანდა ამას უზრუნველყოფს რომელიმე დიდი სახელმწიფო ან თუნდაც გაერო, შეიძლება ძალიან შევამციროთ ჯარების რაოდენობა, რომელთაც საგამოძიებო ფუნქციები ექნებათ. იმ თანხას კი, რომელსაც მათ შენახვაზე ვხარჯავთ, ქვეყნის რეკონსტრუქციას მოვახმართ. დავიღალეთ ომებით.

**— ახლახან ერაყში ბრძანდებოდით, გვიამბეთ იქ არსებული მდგომარეობის შესახებ.**

— საქართველოში დროებით რწმუნებულად ვიყავი. ახლანდელი ვიზიტისას ელჩად დავინიშნე; პროტოკოლით გათვალისწინებული იყო, რომ ელჩის ფიცი ერაყის პრეზიდენტის წინაშე უნდა დამედო, ამიტომაც მომიწია სამშობლოში გამგზავრება. რაც შეეხება ერაყში არსებულ მდგომარეობას, ერთ დღეს აფეთქებებია, მეორე დღეს სიტუაცია მშვიდდება და ა.შ. ჩვენ გვინდა, რომ დამოუკიდებელი ქვეყანა ვიყოთ. არც არავის დავესხმებით თავს და მოვითხოვთ, რომ ჩვენც მოგვცენ მშვიდად ცხოვრების საშუალება.

გაეროს ერაყში სპეციალური წარმომადგენლის გამოგზავნა ვთხოვეთ, რომელიც ერაყში მიმდინარე მოვლენებზე გამოძიებას ჩაატარებდა. არ ვამბობ, რომ ერაყელები ამ მოვლენებში არ მონაწილეობენ, მაგრამ იმ ადამიანთა უმრავლესობა, რომლებიც ერაყში ტერორისტულ აქტებს აწყობენ, მეზობელი ქვეყნებიდან შემოდიან. მეზობელი ქვეყნების არც ერთ ოფიცილურ წარმომადგენელს არ ვადანაშაულებ ტერორისტების მხარდაჭერაში, ერაყში მათ შემოგზავნაში, მაგრამ ფაქტია, რომ გარკვეული ორგანიზაციები იმავე მეზობელ ქვეყნებში წვრთნიან ტერორიტებს. ჩვენმა მეზობლებმა მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინონ, რომ ქვეყანაში ტერორიზმი არ განვითარდეს. გაეროს გენერალურმა მდივანმა სპეციალურ წარმომადგენლად ბატონი ფერნანდესი დანიშნა, რომელიც კომისიასთან ერთად ერაყში ჩამოვა და გამოძიებას დაიწყებს.

**— წლების მანძილზე ერაყს სადამ ჰუსეინი მართავდა. რა შეიცვალა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჰუსეინის შემდეგ?**

— სადამ ჰუსეინის რეჟიმი ერთპარტიულ და ერთპიროვნულ მმართველობაზე იყო დამყარებული. მაგალითად, ჰუსეინის მმართველობის დროს თუ ვინმეს ხელიდან გაუვარდებოდა გაზეთი, რომელშიც ჰუსეინის ფოტო იყო დაბეჭდილი, ამ ადამიანს საკმაოდ დიდი პრობლემები შეექმნებოდა. დღეს ასე აღარ არის. ერაყში, უამრავი პოლიტიკური პარტიაა. საპარლამენტო არჩევნებში (რომელიც მომავალი წლის იანვარში გაიმართება) მონაწილეობის მისაღებად ოფიციალურად რეგისტრაცია 290 პოლიტიკურმა ერთეულმა გაიარა. რაც შეეხება პოლიტიკურ პარტიებს, 50-ზე მეტი პარტიაა. ამ მხრივ აბსოლუტური პოლიტიკური თავისუფლებაა. არანაირი კონტროლი ამ პარტიებზე დაწესებული არ არის. ასევე, თავისუფალია პრესა. ერაყში 150 ყოველდღიური გაზეთი გამოდის, რომ არაფერი ვთქვათ ჟურნალებზე. გაზეთები ან კერძო მფლობელობაშია, ან რომელიმე პოლიტიკურ პარტიას ან ორგანიზაციას ეკუთვნის. ერაყში 30-ზე მეტი სატელევიზიო არხია, უმეტესობა — ოპოზიციური, რომლებიც დილიდან საღამომდე ხელისუფლებას აკრიტიკებენ. ისეთი არავინ არის, ვინც მათ გააკონტროლებს; არადა, ხანდახან ტელეარხებს, მართლაც, ზედმეტი მოსდით.

**— რაც შეეხება ქართველ ჯარისკაცებს, რომლებსაც საქართველოს ხელისუფლება ყოველწლიურად სამშვიდობო მისიით ერაყში აგზავნის, თავდაპირველად ჩვენში ამ ფაქტს უარყოფითი გამოხმაურება მოჰყვა. როგორია ამასთან თავად ერაყელების დამოკიდებულება?**

— ქართველები, ძირითადად, ყაზარმებში არიან და ადგილობრივ მოსახლეობას თითქმის არ ეკონტაქტებიან. მე არ გამიგია, რომ ქართველებსა და ერაყელებს რაიმე პრობლემები ჰქონდათ ერთმანეთთან. მაგრამ ზოგჯერ ხდებოდა ისე, რომ პატრულირების დროს ქართველები მანქანებს არ აჩერებდნენ. არადა, ქართველი ჯარისკაცების გარდა, ერაყში 30 ქვეყნის წარმომადგენლები იმყოფებიან. ირან-ერაყისა და სპარსეთის ყურის ორი ომის შედეგად ერაყი პრაქტიკულად მიწასთან იყო გასწორებული. აშშ-მა დიდძალი თანხა დახარჯა ქვეყნის რეკონსტრუქცია-განვითარებისთვის: ბევრი ფაბრიკა და ელექტროსადგური ააშენეს, გაიყვანეს გზები.

**— დაბოლოს, რამდენად კარგად იცნობენ ერაყელები ჩვენს ქვეყანას და რამდენად ხშირად ჩამოდიან საქართველოში?**

— ერაყელებისთვის ნაცნობია თურქეთი, ბულგარეთი, ევროპული ქვეყნები, მაგრამ საქართველო — ნაკლებად. ერთ-ერთი პრობლემაა ის, რომ ერაყიდან საქართველოში ჩამოსვლა ძალიან ძვირი ჯდება — 1 250 დოლარი. თბილისიდან ერაყის ქურთისტანში პირდაპირი რეისი რომ დაინიშნოს, ამას უფრო მცირე დრო დასჭირდება, ვიდრე თბილისიდან სტამბულში გამგზავრებას. თქვენი ქვეყანა საკმაოდ ლამაზია და ძალიან კარგი ტურისტული პოტენციალი აქვს, ამიტომ, კარგი იქნება, ეს პრობლემა თუ მოგვარდება.

ესაუბრა
**სალომე გოგოხია**



## ნაპოვნია ადოლფ ჰიტლერის შპიონური დოსიე

**საფრანგეთის ეროვნული არქივის დირექტორმა იზაბელ ნოიშვანდერმა განაცხადა, რომ საფრანგეთის დაზვერვის მიერ 1924 წელს შედგენილია შპიონური დოსიე ადოლფ ჰიტლერის შესახებ.**

დოსიე „რკინის ყუთში“ — არქივის ყველაზე ფასეული ქაღალდების არქივში ინახებოდა. დოკუმენტში ჰიტლერი მოხსენიებულია ადოლფ იაკობად და 1920 წელს ნაცისტების მიერ ნაყიდი გაზეთის „Volkischer Beobachter“-ის ჟურნალისტია. დოსიეში, ასევე, არაა ზუსტად მითითებული მისი დაბადების ადგილი და დრო. დოკუმენტში ჰიტლერს ჭკვიან და გამოცდილ დემაგოგად, ასევე, „გერმანელ მუსოლინიდ“ მოიხსენიებენ. გარდა ამისა, ფრანგები ახსენებენ ჰიტლერის სრულ მარცხს 1923 წლის გადატრიალების თავიდან აცილების მცდელობისას. დოსიეში გამოთქმულია აზრი, რომ ამ გადატრიალებაში ჰიტლერი მხოლოდ უმნიშვნელო პაიკის როლსა და გარკვეული პოლიტიკური ძალების მითითებებს ასრულებდა. არავინ იცის, რატომ ინახებოდა ეს დოკუმენტი ყველაზე მნიშვნელოვან ქაღალდებს შორის ან როგორ მოხვდა იქ. ჰიტლერის დოსიე არც ეროვნული არქივის საიტზე და არც მის უკანასკნელ — 2008 წლის კატალოგში ნახსენები არ არის.

## რუსმა ჰაკერებმა მეცნიერებს ნიღაბი ჩამოხსნეს

**რუსმა ჰაკერებმა კლიმატის ცვალებადობის თემებზე მომუშავე ბრიტანული უნივერსიტეტის სერვერები გატეხეს და ათასობით დოკუმენტისა და წერილის ასლი გააკეთეს.**

მეცნიერებს ნიღბები ჩამოეხსნათ. საქმე ისაა, რომ ამ გზავნილებში ისინი თავად უარყოფენ გლობალური დათბობის მონაცემებს. მიმოწერაში მონაწილეობდნენ ბრიტანელი მეცნიერები, ნასას სპეციალისტები და აშშ-ის უნივერსიტეტების თანამშრომლები. მას შემდეგ, რაც მიმოწერა გამოქვეყნდა, გაირკვა, რომ უკანასკნელ წლებში დედამიწაზე ტემპერატურა მომატების ნაცვლად იკლებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გლობალური დათბობის თაობაზე ატეხილი მსოფლიო პანიკა მხოლოდ მითია.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## არნო ხიდირბეგიშვილი:

# ვინ არის მტყუან-მართალი და ვინ — ტვინმართული...

ძვირფასო მკითხველებო! **2009 წლის 27 ოქტომბერს** რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, სტატს-მდივანმა **გრიგორი კარასინმა** ოპოზიციური პარტიის „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ ლიდერი **ზურაბ ნოღაიდელი** მიიღო, რათა, როგორც მედია იუწყებოდა, *„ორი ქვეყნის ურთიერთობაში არსებულ სიტუაციაზე ემსჯელათ“*.

საგულისხმოა, რომ **ზურაბ ნოღაიდელი** განათლებით ფიზიკოსია, თუმცა ამ გარემოებას ხელი არ შეუძლია მისთვის, თავბრუდამხვევი კარიერა გაეკეთებინა და როგორც **შევარდნაძის**, ისე **სააკაშვილის** მმართველობის დროს ფინანსთა მინისტრი გამხდარიყო. ასევე, ამ უკანასკნელის მმართველობისას, **2005 წლის თებერვალში,** დაეკავებინა პრემიერ-მინისტრის სავარძელი, რომელიც, მისი მასწავლებლისა და მეგობრის **ზურაბ ჟვანიას** უეცარი, საიდუმლოებით მოცული სიკვდილის შემდეგ ჯერაც არ გაციებულიყო...

საქართველოს პრემიერმინისტრობისას, **2007 წლის ნოემბრამდეც კი,** განსვენებული **ჟვანიას სეხნია**, საქართველოს კანონმდებლობისა და ფიზიკის კანონების ყოველგვარი დარღვევით, სინდისის ქენჯნის გარეშე, იმავე დროს ბიზნესსაქმიანობას ეწეოდა, რითაც ასობით მილიონი დოლარის კაპიტალი დააგროვა.

არცთუ დიდი ხნის წინათ კი, **ქობულეთელი ბიჭი**, ყველა „ძალოვანი“ სტრუქტურის ექს-მინისტრის, **ოქრუაშვილისა** და პარლამენტის ექსსპიკერის, **ბურჯანაძის** კვალდაკვალ, „ოპოზიციონერობს“ და საქართველოს პრეზიდენტის სავარძელს ეზომება, რომლის მოხელთებაც, რუსეთ-საქართველოს „მარყუჟის“ გახსნის დაპირების გარეშე, როგორც თავადაც ხვდებით, დღეს ნებისმიერი კანდიდატისთვის არარეალურია!

თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ თბილისსა და მოსკოვს შორის „ხიდის“ გადებისას ის პრეზიდენტ **სააკაშვილის** უშუალო საიდუმლო დავალებით მოქმედებდეს და კრემლს ამ უკანასკნელისთვის, მისი შესაძლო გადადგომის შემთხვევაში, ხელშეუხებლობის გარანტიაზე, თავისთვის კი ინდულგენციის მიღებაზე ევაჭრებოდეს, რათა **სააკაშვილის** შემდეგ ჯერაც გაუციებელ საპრეზიდენტო სავარძელში ჩასკუპდეს...

და ეს უფრო მეტად წააგავს სიმართლეს, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ, რომ **ნოღაიდელი,** რომელიც **შევარდნაძის** დროს, პრაქტიკულად, მმართველი პარტიის — *„საქართველოს მოქალაქეთა კავშირის“* მოლარე და მისი თავმჯდომარის — **ჟვანიას** უახლოესი თანამებრძოლი იყო, ამჯერად რუსეთში თავისი უფროსი ბიზნესპარტნიორისა და მეგობრის, ე. წ. საქართველოს ხალხების ასამბლეის პრეზიდენტის, **გოჩა ძასოხოვის** მიწვევით გაემგზავრა, რომელიც 2008 წლის აგვისტომდე **(ჩემი ღრმა რწმენით, კი — დღემდე!) მიხეილ სააკაშვილის** მეგობარიც იყო.






АДМИНИСТРАЦИЯ ПРЕЗИДЕНТА РОССИЙСКОЙ ФЕДЕРАЦИИ
УПРАВЛЕНИЕ ПРЕЗИДЕНТА РОССИЙСКОЙ ФЕДЕРАЦИИ ПО МЕЖРЕГИОНАЛЬНЫМ И КУЛЬТУРНЫМ СВЯЗЯМ С ЗАРУБЕЖНЫМИ СТРАНАМИ

Старая площадь, д. 4, Москва, 103132
тел. (495) 606-58-74, факс (495) 606-07-88

28 сентября 2009 г.
№ А69-489

Хидирбегишвили А.А.
ул. Э.Ниношвили, д.32
г.ТБИЛИСИ
ГРУЗИЯ
0112

Уважаемый Арно Альбертович!

Ваши обращения в Администрации Президента Российской Федерации внимательно рассмотрены.

Искренне благодарим Вас за заинтересованное отношение к сложнейшим проблемам, которые имеются сегодня между Россией и Грузией. Ваши конкретные предложения по нормализации двусторонних связей прорабатываются.

Для нас важно мнение всех представителей грузинского общества, которые так же, как и многие люди в России, искренне болеют за отношения между нашими странами. Полностью разделяем Ваши тревогу и боль за то, что происходит в этих отношениях, особенно в последнее время. Как особо подчеркнул Президент Российской Федерации Д.А.Медведев, Россия не отождествляет правящий в Грузии режим с грузинским обществом и стремится к сохранению тесных связей между российским и грузинским народами.

Надеемся, что усилия общественности двух стран принесут свои плоды и добрососедство между нашими государствами будет восстановлено. На это же направлена и наша работа.

С уважением

Начальник Управления С.Винокуров

2 100000 88598 5

პარტიაში კი **ნოღაიდელის** „მარჯვენა ხელი“ **პეტრე მამრაძეა,** რომელიც, მის მსგავსად, განათლებით ფიზიკოსია და სახელმწიფო კანცელარიის აპარატის უფროსი იყო პრეზიდენტ **შევარდნაძისა** და პრეზიდენტ **სააკაშვილის** დროსაც. რამდენიმე წლის წინათ საქართველოს უშიშროების ექს-მინისტრმა **იგორ გიორგაძემ** ღია ეთერში, სკანდალურად ცნობილი ტელეხიდისას, **მამრაძეს** პირში მიახალა, КГБ-ს აგენტი ხარო; მამრაძეს, რომელიც მისი უშუალო ხელმძღვანელობით მუშაობდა, აგენტურული მეტსახელიც შეახსენა...

რასთან დაკავშირებით გამახსენდა?! ახლავე მოგახსენებთ: პატივცემულო მკითხველო, თქვენ წინაშეა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის — **გრიგორი კარასინის** სამუშაო რვეულის გვერდი, მისივე ხელით გაკეთებული ჩანაწერით ***(იხ. ფოტო №1),*** რომელიც მან **2007 წლის 22 აპრილს** (ანუ, სულ რაღაც ორი წლის წინათ, როცა **„ქობულეთელი ფენომენი“** სახელმწიფოში ჯერ კიდევ მესამე პირი — საქართველოს პრემიერ-მინისტრი და **სააკაშვილის** უახლოესი თანამოაზრე გახლდათ!) გააკეთა.

საქმე ისაა, რომ მაშინ მოსკოვში გახლდით РИА «НОВОСТИ»-ს მიწვევით და იმ დღეს **(2007 წლის 22 აპრილს)** რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში ბატონ **კარასინს** შევხვდი ***(იხ. ფოტო №2)***. ჩვენს საუბრამდე 15 წუთით ადრე, **გრიგორი ბორისის ძემ,** მისივე თქმით, თავის სამუშაო რვეულში რამდენიმე შენიშვნა შეიტანა, რომლებიც ქართული მიწის იმ შვილთა ჩამონათვალით იწყება, რომლებმაც სახელი გაითქვეს რუსეთში და სახელი გაუთქვეს რუსეთსა და საქართველოს: ***„ჯუღაშვილი, ბაგრატიონი, ორჯონიკიძე, სვანიძე, ოკუჯავა, დანელია, ანდრონიკოვი, წერეთელი, გვერდწითელი, კიკაბიძე, ანანიაშვილი, ცისკარიძე, ყავაზაშვილი, „მონანიების“ რეჟისორი თ. აბულაძე, ტოვსტონოგოვი, ლ. ბოკერია, მ. სტურუა, კ. ლესელიძე, მ. ქანთარია, აფაქიძე (მფრინავი-გამანადგურებელი), დ. იოსელიანი (ექიმი), იაკობაშვილი („ვიმ-ბილ-დანი“), ბურაკოვსკი, პრიმაკოვი“.*** შემდეგ ვკითხულობთ, ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვან ფრაზებს: **„პატივისცემისა და კეთილი ნების აუცილებლობა. ამის გარეშე ჩიხია და ფუჭი ემოციები. მეზობლის გაცურება ბრიყვული სურვილია!“**

საუბრის დასასრულს, **კარასინის** ნებართვით, რამდენიმე ფოტო გადავიღე, რომელთა შორის ერთგან მოხვდა ზემომოყვანილფრაგმენტებიანი სამუშაო რვეულიც. ვიმედოვნებ, რომ **გრიგორი ბორისის ძე** ამის გამო არ გამინაწყენდება.

სურათის სისრულისათვის, ძვირფასო მკითხველო, გთავაზობთ ჩემი მაშინდელი საუბრის ტექსტს რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან, **გრიგორი კარასინთან** (უმნიშვნელო შემოკლებით):

**ხიდირბეგიშვილი:** — *გრიგორი ბორისის ძევ! ამ უწყებას, რომელშიც ამჟამად ვიმყოფებით, ხელმძღვანელობდა კაცი, რომელმაც ოდესღაც თქვა: „საქართველოსთვის მზე ჩრდილოეთიდან ამოდის!“ მხედველობაში, რა თქმა უნდა, შევარდნაძე მყავს. არ დაფიქრებულხართ, რატომ შეიცვალა ასე მკვეთრად საქართველოს პოლიტიკური ვექტორი და მისთვის დღეს მზე ოკეანის გაღმიდან ამოდის? აცნობიერებენ თუ არა დღეს რუსეთის ხელმძღვანელობაში, რომ, შესაძლოა, სწორედ რუსეთის ზოგიერთმა ქმედებამ ან უმოქმედობამ აიძულა მიხეილ სააკაშვილი, ალტერნატიული მოკავშირე შორეული ამერიკის სახით ეძებნა?*

**კარასინი:** — არნო ალბერტის ძევ, მინდა გითხრათ, რომ ამ წლების განმავლობაში ჩვენ შორის უამრავი ემოციური ნეგატივი დაგროვდა. და დღეს, როცა აფხაზეთიდან, ოსეთიდან მიღებულ ახალ ამბებზე ანდა გაეროს უსაფრთოების საბჭოს რეზოლუციაზე ვმსჯელობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, საიდან წარმოიშვა ეს ყველაფერი. ამაში გეთანხმებით. გეთნხმებით იმაშიც, რომ ისტორიას, ხალხს ახსოვს საბრძოლო მოქმედებები, ახსოვს სოხუმი... მაგრამ, მერწმუნეთ, პრობლემები წარმოიქმნა არა რომელიმე მხარის ავი განზრახვით ან ბრალეულობით, არამედ 1991 წელს საბჭოთა კავშირის დრამატული დაშლის შედეგად და ეს პრობლემები დღემდე გადაუჭრელია...

მაშ, როგორ მოვიქცეთ დღეს?! რაღა თქმა უნდა, საჭიროა ისტორიის, მომხდარის მიზეზების შესწავლა. ასევე, **აუცილებელია იმ ერების, ხალხების პატივისცემა, რომლებიც ამ ისტორიის ინტერპრეტირებას სხვაგვარად ახდენენ: მათი აზრიც ხომ აზრია!** და როცა ჩვენ შევძლებთ, ურთიერთპატივისცემით მოვეკიდოთ ამ კონფლიქტურ საკითხებს, ამით ახალი პოლიტიკური კულტურის აუცილებელ ნაწილს შევიმეცნებთ. რამდენადაც უფრო მალე მოხდება ეს ყველაფერი საქართველოში, უკრაინაში, ბელორუსიასა და უზბეკეთში — მით მალე და, რაღა თქმა უნდა, კეთილმეზობლურად გადაწყდება ეს პრობლემები. თუ ამას ვერ ვისწავლით, ხალხთა შორის გაღიზიანება და ემოციური ფონი მოიმატებს.

რაც შეეხება აფხაზეთს, თუ თქვენ ეს გქონდათ მხედველობაში — **ჩვენ კატეგორიულად წინააღმდეგი ვართ, რომ რუსეთში მხოლოდ ერთ მხარეს განიხილავდნენ დამნაშავედ იმაში, რაც მოხდა და ხდება.** ეს ასე არ არის! ჩვენი მშვიდობისმყოფელები უბრალოდ უნარჩუნებენ სიტუაციას სტატუს-კვოს ჯერჯერობით დაურეგულირებელი კონფლიქტების ზონაში (არ მიყვარს სიტყვა „გაყინული“ კონფლიქტი, ეს დაურეგულირებელი კონფლიქტია, სიტყვა „გაყინული“ შეურაცხყოფს როგორც აფხაზებს, ისე ქართველებს, ეს ხომ ადამიანური ტრაგედიაა და ძალის გამოყენება ამ საკითხთა გადაჭრაში უნდა გამოირიცხოს!).

ეს მნიშვნელოვანი მომენტი გათვალისწინებული უნდა იქნას ახალი ატმოსფეროს შექმნისას, თუმცა, როცა კონფლიქტის ზონაში სპეცოპერაციები ტარდება, ჩნდება ალტერნატიული სახელისუფლო სტრუქტურები, 150 ძალოვანი, რომელთაგან 50 სპეცრაზმელია — მხედველობაში მაქვს კოდორის ხეობაცა და სამხრეთ ოსეთიც — მინდა, გკითხოთ: თქვენ, რა, მართლა მიგაჩნიათ, რომ ეს დაეხმარება აფხაზებს, უკეთ ჩაწვდნენ ქართული მხარის განზრახვას? თუ ეს ჩვენს ქვეყნებს შორის ნდობის უკანასკნელ ნარჩენებსაც ანადგურებს?! **ნუ დაივიწყებთ — ყველა ერს თავისი ეროვნული სიამაყე გააჩნია და, თუ ფსონს ალტერნატიულ სახელისუფლო სტრუქტურებზე ჩამოხვალთ, ეს განხეთქილების, ძალის გამოყენების სპეცმეთოდებით საკუთარი მიზნების მიღწევაზე დადებული ფსონი იქნება! ეს კი, თავის მხრივ, „მშვიდობიანი“ სცენარის ჩარჩოებს სცილდება... თუკი სისხლი და ძალადობა იქნება, კონფლიქტის მშვიდობიანად გადაწყვეტა უნდა დავივიწყოთ!** როცა ამგვარ ძალისმიერ ▶

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ სცენარებს გეგმავ, ფრთხილად და გააზრებულად უნდა იმოქმედო. შთაბეჭდილება მრჩება, რომ ამას უკვე ხვდებიან საქართველოს ხელმძღვანელობაც და ჩვენი დასავლელი პარტნიორებიც, რომლებთანაც ბოლო ხანებში სულ უფრო ხშირად ვსხდებით მოლაპარაკებათა მაგიდასთან.

**ამასთან, გახსოვდეთ, რომ ნდობა არა მარტო მასებს, არამედ კონკრეტულ ადამიანებს შორისაც უნდა არსებობდეს, რადგან პოლიტიკას სწორედ კონკრეტული ადამიანები აკეთებენ!**

**ხიდირბეგიშვილი:** — *გრიგორი ბორისის ძევ, დავუშვათ, მოხდა უჩვეულო რამ — მიხეილ სააკაშვილმა გაითვალისწინა ჩემი აზრი — მხედველობაში მაქვს საქართველოს პოლიტიკური და სამხედრო ნეიტრალიტეტი, რომლის მომხრეც ვარ, აგერ უკვე მეოთხე წელია: რა დამოკიდებულება გექნებათ ამის მიმართ?*

**კარასინი:** — ნეიტრალიტეტი მე პირადად მომწონს, მაგრამ გადაწყვეტილება ქართველმა ხალხმა, ქართველმა ამომრჩევლებმა, საქართველოს ხელისუფლებამ უნდა მიიღონ. ჩვენ არ შეგვიძლია, სუვერენულ სახელმწიფოს ვუკარნახოთ, რა მიმართულებით უნდა განვითარდეს, თუმცა ჯანსაღი ლოგიკა გვკარნახობს, რომ საქართველოს სახით, ბუნებრივია, მხოლოდ კეთილი მეზობლის, მეგობრისა და მშვიდობიანი, აყვავებული სახელმწიფოს ხილვა გვსურს! **თუმცა, თუ სხვა ვარიანტს აამოქმედებთ, ვშიშობ, რომ კეთილმეზობლური მომავალი არ გვიწერია — ის, უბრალოდ, ვერ შედგება, რადგან, გვსურს ეს თუ არა, სამხედრო-პოლიტიკური ბლოკები ამადვე რჩებიან და თითოეულმა ქვეყანამ თავისი საზღვრების უსაფრთხოებაზე უნდა იზრუნოს.**

**ხიდირბეგიშვილი:** — *ნუთუ შეუძლებელია აქედან, საგარეო საქმეთა სამინისტროდან, ბაღაფშისა და კოკოითის დონის ხელმძღვანელებთან პრობლემების გადაწყვეტა?! ცოტა გონს რომ მოეგონ — კონფლიქტის დარეგულირების, ლტოლვილთა დაბრუნების, მათი ინტერესების გათვალისწინების გზაზე ქართულ მხარესთან შემხვედრი ნაბიჯი გადადგან? რაკი რჩევისთვის აქ ჩამოდიან, ესე იგი უსიტყვოდ ემორჩილებიან მოსკოვის გადაწყვეტილებას ამ საკითხში, რადგან მოსკოვში მხარდაჭერასაც გრძნობენ და მომავალსაც ხედავენ: დაელაპარაკეთ, ეგებ მაშინ პრობლემები სრულებით გაქრეს.*

**კარასინი:** — ღმერთია მოწმე, რომ ამაში გეხმარებით! **სერგეი ბაღაფშთან, ედუარდ კოკოითთან** და სხვა მოღვაწეებთან ყველა ჩვენი შეხვედრა და საუბარი, ძირითადად, კონფლიქტის გადაწყვეტის ფორმების ძიებას ეძღვნება მისი დარეგულირების გზაზე. მინდა გითხრათ, რომ ეს საუბრები ყოველთვის მშვიდად როდი მიმდინარეობს, რადგან მათ თავიანთი აზრი აქვთ; და კიდევ იმიტომ, რომ 10 წლის წინათ სხვაგვარი სიტუაცია იყო, ახლა კი სხვაა, რადგან დროს თავისი მიაქვს, თუმცა ჩვენი თხოვნა იქნება — **თქვენც აღიქვათ რუსეთი იმ ქვეყნად, რომელსაც მართლაც სურს, კარგი მეზობლები ჰყავდეს! ჩვენ ყოველთვის ვლაპარაკობთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე და მწარედ ცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ კარასინი ამავე დროს ერის თვითგამორკვევის უფლებას გულისხმობს.** ეს ასე არაა!!! **საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა გულისხმობს, რომ საქართველოს ხელისუფლება პატივისცემით ეკიდება მის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ხალხებს და რომ არსებობს რაღაც ფორმები — კონფედერაცია ან კიდევ რომელიმე, რომლის დროსაც იქ ცხოვრება გაცილებით უკეთესი, მშვიდი და უსაფრთხო იქნება!** ჯერჯერობით, სამწუხაროდ, ეს შედეგი მიღწეული არ არის და ოდიოზური პოლიტიკოსები ხშირად გულს გვტკენენ...

*(22 აპრილი, 2007 წ. მოსკოვი, რფ-ის საგარეო საქმეთა სამინისტრო, 11-13 საათი)*

მითხარით, გეთაყვა, განა რუსეთის საგარეო-პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელის მოადგილის, რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე პასუხისმგებელი უმაღლესი კლასის დიპლომატის პასუხებში არ სჭვივის ტკივილი და წუხილი საქართველოს ბედის გამო, გულწრფელი სურვილი, შეცვალოს შექმნილი მდგომარეობა?!

**სამწუხაროდ, იმ მესიჯებს, რომლებსაც მისი პასუხები შეიცავდა, საქართველოს ხელისუფლებამ, მათ შორის, აღმასრულებელი ხელისუფლების მაშინდელმა ხელმძღვანელმა პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა ყური არ ათხოვა, სხვაგვარად ხომ ერთი წლის შემდეგ 08.08.08 ომი არ მოხდებოდა!**

დასასრულ, კიდევ ერთი დოკუმენტი, თუმცა უფრო „ახალი“, სულ რაღაც ორიოდე თვის წინანდელი. ამჯერად, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის, **დიმიტრი მედვედევის** საიტზე სტუმრობისას, მე მას შემდეგი შინაარსის წერილი მივწერე:

***პატივცემულო დიმიტრი ანატოლის ძევ!***

***საქართველოდან გწერთ პუბლიცისტი და ჟურნალისტი არნო ხიდირბეგიშვილი. ჩემი პუბლიკაციების მთავარ თემად იყო და რჩება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები (შესაძლოა, იცნობთ კიდეც ზოგიერთ მათგანს, რომლებიც წარმოდგენილია ვებსაიტებზე: www.geworld.net www.georgians.ru www.svobodnaya-gruzia.com და სხვ.).***

***გთხოვთ, გაეცნოთ ბოლო პუბლიკაციას „მოდი ერთმანეთს სიტყვა მივცეთ!“ (URL-მისამართი: http://geworld.net/ru/politics/427.html***

***გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ № 28, 2009 წლის 9 სექტემბერი). ის მიმართულია რუსეთის ხელმძღვანელობისადმი და ნაკარნახევია მარტოოდენ კეთილი განზრახვით — მომავალში თავიდან ავიცილოთ ის სავალალო შეცდომები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა წარსულში და გარკვეულწილად ხელი შეუწყო რუსეთ-საქართველოს სახელმწიფოებრივ ურთიერთობებში ამჟამინდელ კოლაფსს. ვიმედოვნებ, რომ ზოგიერთ რამეს ყურადღების ღირსად მიიჩნევთ.***

***პატივისცემით,***
***არნო ხიდირბეგიშვილი***
***09.09.2009, თბილისი, საქართველო.***



(მათ საყურადღებოდ, ვინც არ იცნობს ზემომოყვანილ წერილში მითითებულ პუბლიკაციას, განვმარტავ, რომ ის მთლიანად ეძღვნება რუსული ბიუროკრატიის — ყველა რანგის პოლიტიკოსებისა და ხელმძღვანელი ჩინოვნიკების, საზოგადო მოღვაწეთა და ექსპერტთა კრიტიკას, რომელთა დაუდევრობისა და დოყლაპიობის გამო, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში ამჟამინდელ კატასტროფამდე მივედით; ასევე, შემოთავაზებულია გამოსავალი გზები შექმნილი მდგომარეობიდან).

და აი, 19 დღის შემდეგ — **2009 წლის 28 სექტემბერს** მივიღე პასუხი, **წერილი რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან, უცხოეთის ქვეყნებთან რეგიონთაშორისი და კულტურული კავშირების სფეროში რფ-ის პრეზიდენტის სამმართველოს ხელმძღვანელის ს. ვინოკუროვისგან,** საქართველოში შვეიცარიის საელჩოსთან არსებული, რუსეთის ფედერაციის ინტერესთა სექციიდან თანმხლები წერილითურთ ***(იხ. ფოტო № 3)***:

***პატივცემულო არნო ალბერტის ძევ!***

***თქვენი მიმართვა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ადმინისტრაციისადმი ყურადღებით იქნა განხილული.***

***გულწრფელ მადლობას გიხდით დაინტერესებული დამოკიდებულებისათვის იმ ურთულესი პრობლემებისადმი, რომლებიც დღეს რუსეთსა და საქართველოს შორის არსებობს. თქვენი კონკრეტული წინადადებები ორმხრივი ურთიერთობის ნორმალიზებისთვის მუშავდება.***

***ჩვენთვის მნიშვნელოვანია ქართველი საზოგადოების ყველა წარმომადგენლის აზრი, რომლებსაც, ისევე, როგორც ბევრ ადამიანს რუსეთში, გულწრფელად შესტკივათ გული ჩვენს ქვეყნებს შორის არსებულ ურთიერთობაზე. სავსებით ვიზიარებთ თქვენს წუხილსა და ტკივილს იმის გამო, რაც ამ ურთიერთობებში, განსაკუთრებით, ბოლო ხანებში, ხდება. როგორც რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა განსაკუთრებული ხაზგასმით აღნიშნა, რუსეთი საქართველოს მმართველ რეჟიმს არ აიგივებს ქართველ საზოგადოებასთან და რუსი და ქართველი ხალხების მჭიდრო კავშირის შენარჩუნებისკენ მიისწრაფვის.***

***ვიმედოვნებთ, რომ ორი ქვეყნის საზოგადოებრიობის ძალისხმევა თავის ნაყოფს გამოიღებს და ჩვენს სახელმწიფოებს შორის კეთილმეზობლობა აღდგება. ამისკენაა მიმართული ჩვენი მუშაობაც.***

***პატივისცემით,***
***ს. ვინოკუროვი.***

მაშ ასე, ძვირფასო მკითხველებო, თქვენ წინაშეა უმაღლესი რანგის რუსი ჩინოვნიკების — ბატონების **კარასინისა** და **ვინოკურის** მოღვაწეობის ორი მაგალითი: შეადარეთ ისინი საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელ ჩინოვნიკთა — მინისტრების, პარლამენტარების, პოლიტიკოსებისა თუ სხვათა საქციელს და დასკვნაც თავად გამოიტანეთ: **ვინ არის აქ მტყუან-მართალი და ვინ — ტვინმართული...**

# «პრინცი გურგენის» საქმენი საგმირონი და სახალხო ბანკის სამარცხვინო აფერა

**ჩვენი „აღმშენებლი“ საჭეთმპყრობელის ბაქიობის მიუხედავად, კრიზისი საქართველოსაც შეეხო და განსაკუთრებით ქართულ ბანკებზე აისახა. რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა სახალხო ბანკი, რომლის ფინანსური პრობლემების შესახებ ბოლო დროს ხშირად საუბრობდნენ. ბანკი ზარალს განიცდიდა, რის გამოც პირველი კვარტლის ფინანსური შედეგების გამოქვეყნებას თავი აარიდა. ექვსი თვის შედეგებით, ბანკის ზარალმა 20 მილიონ ლარს მიაღწია. ამის გამო შეწყდა კრედიტების გაცემა და იკლო დეპოზიტებმა.**



ლამის გაკოტრების პირას მისულ სახალხო ბანკს მშვეღელად არაბულ, უფრო სწორად, რუმინულ რაშზე ამხედრებული „პრინცი გურგენი“, იგივე ლადო გურგენიძე გამოუჩნდა, რომელმაც ხალხის სამსახურში მყოფი „მძინარე“ ბანკი გამოაღვიძა და გაკოტრებას გადაარჩინა. ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, რომელსაც ფულის სიყვარულის გამო, ჯერ კიდევ პრემიერობისას, სათვალიანი ვირთხა შეარქვეს (ბოდიში, მაგრამ ოპოზიცია ასე ეძახდა), სახალხო ბანკის აქციათა 91% რუმინელ ბიზნესპარტნიორთან, „რომპეტროლის“ ყოფილ მფლობელ დინუ პატრიციუსთან ერთად 15 მლნ აშშ დოლარად შეიძინა.

**საინტერესოა, როგორ მოახერხა გურგენიძემ ზარალიანი ბანკის ყიდვაზე რუმინელი მილიარდერის დაყოლიება, თუმცა ფაქტი ჯიუტია: დაიყოლია და რუმინეთში ყველაზე მდიდარი ადამიანის ბიზნესპარტნიორიც გახდა. შეგახსენებთ, რომ**

## ჟურნალ „ფორბსის“ მონაცემებით, დინუ პატრიციუ რუმინეთში უმდიდრესი კაცია და მისი ქონება 2,5 მლრდ დოლარს აღწევს. იგი კომპანია „რომპეტროლის“ დამფუძნებელია, რომელიც შარშან ყაზახურ „ყაზმუნაიგაზს“ მიჰყიდა. სწორედ ამ ადამიანის ბიზნესპარტნიორი გახდა ჩვენი „პრინცი გურგენი“.

ურიგო არ იქნება ჩვენი „პრინცის“ მოკლე ბიოგრაფიაზე თვალის გადავლება. **2006 წლის მაისში ლადო გურგენიძე არჩეულ იქნა საქართველოს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრად. სამეთვალყურეო საბჭოში არჩევამდე, 2004 წლის ოქტომბრიდან მოყოლებული, ლადო გურგენიძე საქართველოს ბანკის გენერალურ დირექტორად მუშაობდა. 2007 წლის 22 ნოემბრიდან 2008 წლის 27 ოქტომბრამდე იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრი. ამჯერად კი კომპანია Liberty-ს გენერალური დირექტორის თანამდებობა უკავია.**

როგორც ვხედავთ, გურგენიძემ მოკლე დროში ბიზნესში წარმატებას მიაღწია, თუმცა მისი ბიზნესწარმატება ხშირად პოლიტიკური ძალების ინტერესის თანხვედრი რომ იყო, ფაქტია. იმ ქვეყნებში, სადაც დემოკრატია არ არის, ძალიან მარტივად შეიძლება პოლიტიკური ინტერესები ბიზნესინტერესებს დაემთხვეს. ამის გამოცდილება „პრინც გურგენს“ უკვე აქვს. ახლა კი საინტერესოა, რამდენად დაეხმარება მას ეს გამოცდილება სახალხო ბანკის აღორძინებაში.

**შეგახსენებთ, რომ პენსიების, საყოფაცხოვრებო სუბსიდიების, აკადემიური სტიპენდიების გაცემას სახალხო ბანკი ბოლო 6 წელია ეწევა. მან 2012 წლამდე პენსიების გაცემის უფლება მოიპოვა, თუმცა აქედან ბანკი მოგებასაც ნახულობს. 2009 წლის იანვრიდან მოყოლებული, სახალხო ბანკი საპენსიო მომსახურებაში საკომისიოს სახით — 1,7%-ს, დევნილთა დახმარებების გაცემაში კი 1.33%-ს იღებს. გურგენიძის თქმით, სახალხო ბანკს განვითარების დიდი პოტენციალი აქვს ყოვლისმომცველი ფილიალების ქსელისა და საპენსიო მომსახურების ხარჯზე. ის ეცდება სახალხო ბანკი ქართული ბანკების პირველ ხუთეულში მოახვედროს. თუმცა სახალხო ბანკმა ისეთი ტემპით თუ განაგრძო მოსახლეობის ყვლეფა, როგორც ახლა, შესაძლოა, პირველ ადგილზეც აღმოჩნდეს.**

სახალხო ბანკის მომსახურებით სულ უფრო მეტი ადამიანია უკმაყოფილო. აღარაფერს ვამბობ სამუშაო პერსონალის დაბალ კვალიფიკაციასა და უტაქტობაზე, თუმცა ახლა სულ სხვა რამეზე მინდა თქვენი ყურადღება გავამახვილო. ეს ამბავი თავს თქვენს მონა-მორჩილს გადამხდა.

ჯერ კიდევ სტუდენტობისას სახალხო ბანკიდან ერთი წლის ვადით სტუდენტური სესხი გამოვიტანე, რაც სამ თვეში მთლიანად დავფარე. მას შემდეგ უკვე ორი წელი გავიდა და სახალხო ბანკთან არანაირი შეხება არ მქონია. რამდენიმე დღის წინათ ბანკის კრედიტ-ოფიცერმა შემახსენა თავი, მითხრა, ბანკში ჩემს სახელზე რიცხული დავალიანება დამეფარა. გამიკვირდა და გადავამოწმე, თუ რა დავალიანებაზე იყო საუბარი. ბანკში ვერაფერი ვერ ამიხსნეს, მხოლოდ მითხრეს, რომ დავალიანებაა ჩემს სახელზე, თუმცა საიდან გაჩნდა ეს დავალიანება, არ იციან.

**თურმე ამ დროში შავ სიაში ჩემი, როგორც ურჩი გადამხდელის, „გაწევრებაც“ მოუსწრიათ. მიუხედავად დიდი მცდელობისა, ვერაფერი გავარკვიე, მითხრეს, — უნდა გადაიხადო, სხვა გამოსავალი არ არისო.**

როცა ამას მეუბნებოდნენ, ქალბატონის ყვირილის ხმა მომესმა. აღმოჩნდა, რომ ისიც ჩემს მდგომარეობაში ყოფილა. სრულად დაუფარავს ბანკიდან გამოტანილი კრედიტი, ახლა კი ეუბნებიან, — დავალიანება გერიცხებათ და უნდა გადაიხადოთო. ქალბატონი ამ თანხის გადახდაზე არ თანხმდებოდა და მოლარეს დაემუქრა: **„გიჩივლებთ და ორ ამდენს აქეთ გადაგახდევინებთ!“** და ბანკიდან გავიდა. მეც რაღა დამრჩენოდა, გამოვედი.

**საინტერესოა, სად იყო ამდენი ხნის განმავლობაში ბანკი ან ეს კრედიტ-ოფიცერი, რატომ დროულად არ შემატყობინეს მე ან თუნდაც იმ ქალბატონს, რომ დავალიანება გვქონდა, ეს ხომ კლიენტის უპატივცემულობა და აბუჩად აგდებაა?! განა ამას ქვია ხალხის სამსახური? ნუთუ ასეთი მაქინაციებით უნდა გურგენიძეს ქართული ბანკების ხუთეულში მოხვედრა და რესტრუქტურიზაცია? ჯერ იყო და, პრემიერ-მინისტრობისას ხალხი სხვა მინისტრებთან ერთად ყვლიფა, ახლა კიდევ ბანკის საშუალებით უნდა ამის გაკეთება.** ნუთუ არ შეიძლება ამ ადამიანებისგან საბოლოოდ გათავისუფლება, როდემდე უნდა ასხდნენ ქართველ ხალხს წურბელებივით და სისხლს სწოვდნენ?!.. ალბათ, მანამ, სანამ ქართველი ხალხი ერთხელ და სამუდამოდ არ ეტყვის მათ ჩვენი „აღმშენებელი“ პრეზიდენტის საყვარელ და საამაყო ფრაზას: **„ნურას უკაცრავად, ვერ მოგართვით!!!“**

**ალექსანდრე აკობია**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ზურაბ გაგნიძე:

# გიგი წერეთელი ჩვეულებრივი მედროვეა

**ფსიქოლოგიაში ყველაზე რთული საკუთარი თავის მართვის ბერკეტების მოძიებაა. რამდენად სრულყოფილად ფლობს ამ მეთოდს საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი გიგი წერეთელი, ამის შესახებ გვესაუბრება ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი ზურაბ გაგნიძე.**



**— ბატონო ზურაბ, გიგი წერეთელს ზოგი სრულყოფილების ეტალონად მიიჩნევს, ზოგიც მის აქტიორული გარდასახვის ნიჭზე მიგვითითებს, ფსიქოლოგთა ნაწილი მიიჩნევს, რომ იგი თვითრეგულიზაციის ხერხებს ფლობს, თქვენ რას გვეტყვით?**

— პოლიტიკოსები გარშემომყოფთა ფსიქიკურ „გამოსხივებას“ განიცდიან და მათ გავლენის ქვეშ მაინც ექცევიან. ზოგიერთი ზემდგომთა რუპორი და ასლი ხდება. გიგი წერეთელი გამონაკლისი არაა, რადგან ინდივიდუალობა აკლია. ის ცდილობს, საკუთარი თავი შეცვალოს სასურველი მიმართულებით, დროისა და გარემოების გათვალისწინებით. მუდმივად დაძაბულია, რაც ფსიქოლოგისთვის ადვილად შესამჩნევია, განუწყვეტლივ ფორიაქობს, რადგან მისი ქვეცნობიერი მუდმივად და ყოველი მხრიდან ვერაგობის, სიცრუისა და საფრთხის მოლოდინშია. თვალების განუწყვეტელი ხამხამი მიგვანიშნებს, რომ ფსიქოტიპი დატვირთულია რაღაც ფობიით. მეტყველებს ფრთხილად, ზომიერად, ქცევის ნორმების მკაცრი დაცვით. თავდახრილი და მომთმენი თანაგრძნობით ყურს უგდებს ყველას, რითაც, კარნეგის თუ დავუჯერებთ, კეთილგანწყობას იმკის. დისკუსიებშიც ფრთხილად ებმება, მაგრამ მისი შეფასებები ყოველთვის საორჭოფოა. ხალხი ამაზე ამბობს: „არც მწვადს დაწვავს და არც შამფურსო“, რაც ბატონი გიგის შეთვისებული ტაქტისა და სტრატეგიის ქვაკუთხედია და მთელ მის მოღვაწეობას რეფრენივით გასდევს. მოწინააღმდეგეთა გასანეიტრალებლად კი სახეზე მუდამ შემწყნარებლური ღიმილი გადაჰფენია. პრეზიდენტის უვიცობის გასამართლებადაც ამ ხერხებს მიმართავს: „დღემდე ვიცოდი, რომ თამარ მეფე ქართველი იყო, მისი ქმარი დავით სოსლანი კი — ოსი. თუმცა, შესაძლოა, რადგან მეუღლე იყო ოსი, საakaშვილი უბრალოდ მათ ოჯახს გულისხმობდა“.

არანაკლებ მეტყველია გიგის კომენტარი სანდრო გირგვლიანის მკვლელების გათავისუფლებაზე: „ზოგადად, მხარს ვუჭერ ჰუმანურ გადაწყვეტილებებს... გირგვლიანის საქმე ძალიან ცუდი და მძიმე ფაქტი იყო, მაგრამ, თუკი ადამიანი ჩადენილ დანაშაულს ინანიებს, მისი შეწყალება კარგია“. მოყვანილ მაგალითებში გიგი წერეთლის ფრთხილი ტაქტიანობა ზემდგომთა სურვილებს უფრო ითვალისწინებდა, ვიდრე სამართლიანობასა და საზოგადოებრივ განწყობას. მისი სულიერი კონსტიტუცია ორპირობა, აზროვნების დუალიზმია, რითაც შინაგანი არსის კადნიერება შენიღბულია „ტაქტიანობით“, რაც მის ჯენტლმენად ამღიარებელს ხელს უშლის მისი სულიერების დანახვასა და შეცნობაში.

**— როგორ ინარჩუნებს 14 წლის განმავლობაში სამთავრობო კარუსელების სიხშირეში გიგი წერეთელი თანამდებობრივ სტაბილურობას?**

— უერთგულესი ქვეშევრდომია, ამ სიტყვის ღრმა მნიშვნელობით. რიდითა და შიშით ეკიდება ზემდგომებთან ურთიერთობებს. მისი ინტუიცია ბიოგამოსხივების საფუძველზე ჭვრეტს ადამიანთა გუნება-განწყობილებას. იგი ფლობს საოცარ ბიორიტმს, რომელიც ყველაზე ნაკლებად იწვევს ადამიანთა გაღიზიანებას. ცდილობს, თავი წარმოაჩინოს დახვეწილი, მდიდარი სულიერების, სათნოებისა და მადლის მატარებელ პიროვნებად, რეალურად კი დახვეწილი, ჰალსტუხიანი ავაზაკია, წინდახედული, მაგრამ მერკანტილიზმით შეპყრობილი, პრაგმატული, მაგრამ ამბიციებით სავსე, რომლისთვის მთავარი „მე“ და უსაფრთხოებაა. თვითრეგულაციის უნარი, აღზრდა და განათლება ეხმარება, შენიღბოს ვნებანი და მანკიერებანი. ისწავლა თავშეკავება, დაეუფლა კულტურულ ჩვევებს, მაგრამ სულიერებით „მესაკუთრემ“ და მორალით „მეკობრემ“ ხელოვნურად ვერ შეძლო „კაი ყმის“ ტყავში შეძრომა და „ცხვრის ქურქის“ ძალით მორგება. ნებელობის ასეთი გზით წარმართვის მცდელობა თრგუნავს მის სულიერ პოზიტივებს, აქვეითებს სუბიექტის ემოციური ველის გამოვლენას. მის ფსიქოწყობას გვირგვინად ადგას ზომიერების გრძნობა, რამაც მისი თვითდამკვიდრების კარიერაში დომინანტური როლი ითამაშა.

**— ბატონი გიგი ხშირად გვევლინება ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შემფასებლად, თანაც ყველაზე დაძაბულ მომენტებში, ამას როგორ ახსნით?**

— პროფესიით ექიმ-ნევროლოგს 14 წელი პოლიტიკაში ყოფნამ გამოცდილება შეჰმატა. გიგი საკუთარ თავზე მუშაობს.

ხელისუფლება მცდარად მიიჩნევს მას ინტელექტუალურ პრაგმატისტად და პოლიტიკური დინების კალაპოტში ფონის მონახვის დიდოსტატად.

სახელმწიფო მოხელეთა საჯაროდ წარმოთქმული სიცრუე იწვევს ადამიანთა ნორმალური არსებობის მთლიან მოშლას და მიდის უდიდეს კატასტროფამდე. რაც უფრო მეტია ადამიანის სულიერებაში შეჭრილი ცდუნების ძალა, მით უფრო მეტ სიცრუეს ვისმენთ მისგან. სიცრუის ხელოვნება პოლიტიკაში ის ბერკეტია, რომლითაც ხელისუფალნი თვითონ იქმნიან ბედნიერ მდგომარეობას. ამის მაგალითია „თვალფახულა“ გიგი.

იგი იყენებს მეორე ბერკეტსაც — ხალხში შიშის გრძნობას თესავს: „ჩვენს ქვეყანას უმძიმესი მდგომარეობა აქვს საგარეო პოლიტიკური თვალსაზრისითაც, ამიტომ გვმართებს მეტი კონსოლიდაცია, რათა ერთიანად წინ აღვუდგეთ იმას, რომ რუსეთი ცდილობს ექსპანსიას“.

ბატონ გიგის ჟურნალისტის შეკითხვების სიმძაფრე აიძულებს, უმართავ ზონაში გადავიდეს — თვითკონტროლიდან გაქცეული ფსიქიკის შეუმჩნეველი მექანიზმი აღვიძებს ქვეცნობიერს და ამბობს: „რუსეთი, სამწუხაროდ, ინარჩუნებდა უფრო ძლიერ პოზიციას, ვიდრე საქართველო.“ რესპონდენტს უკვე უჭირს თავის დამორჩილება. ხელოვნური ფსიქოტრენინგებით ჩაკეტილი ქვეცნობიერის საკეტები იხსნება და პიროვნება სულიერად შიშვლდება. ქვეცნობიერის შენჯღრევა მის ნამდვილ სახეს წარმოაჩენს. ამ მეთოდს ხშირად იყენებენ კრიმინალისტიკაში დამნაშავის აღმოსაჩენად. გიგის ჟურნალისტთან პაექრობაში საუბრის დინება მიაქანებს და ქვეცნობიერიდან სიმართლის მარცვლები ერევა მის პასუხებს. ნუ დაგვავიწყდება, რომ მისი პიროვნება სიცრუის მატარებელია, რომლის ფსიქოსიმპტომებია: დაურწმუნებლობა, სიმართლის გამჟღავნებისას გაკილვის შიშის მოლოდინი, რომელზეც მიბმულია გაბედულების უკმარობა, საუბრისას პრობლემის მუდმივი შინაგანი „გადაღეჭვა“ (ვაიმე, რამე არ წამომცდესო), სულიერი ფორიაქი, რომელშიც აქტიურად ერთვება იმპულსები და სიმართლე ჟონავს. ამ ფსიქოპროცესს ხალხი ასე ხსნის: „ქურდს რომ მოუსმინო, დღეში ცხრაჯერ გამოტყდებაო“. აი, გიგი წერეთლის ექვსი სიმართლე: 1. „მე აქ ოპოზიციასთან სალაპარაკოდ არ მოვსულვარ“; 2. „თქვენი განცხადება არის ტენდენციური“; 3. „რატომ გინდათ, რომ გიპასუხოთ, რაც თქვენ გინდათ?“ 4. მე გპასუხობთ იმას, რაც მე მინდა“; 5. „ხომ ხედავთ, ძალიან ტოლერანტულები ვართ საწინააღმდეგო აზრის მიმართ, მე პირადად ასეთი ვარ“; 6. „აბა, გცოდნიათ“.

**— ბატონო ზურაბ, ამბობენ, გიგი წერეთელი ახალი ოპოზიციური პარტიების შექმნაზე ალაპარაკდა, რას ნიშნავს ეს?**

— გიგიმ ახალი პოლიტიკური პარტიების შექმნის შესახებ თქვა, რომ ახალი პარტიები პოზიციის ზომიერი ნაწილის ნიშას დაიკავებენ, მაგრამ არც აქ დაუკონკრეტებია, ახალი პარტიები მმართველი გუნდის წიაღში შეიქმნება თუ მის გარეთ. ამით ის ტყავის გამოსაცვლელად ფსიქოლოგიურ მზადყოფნას ამჟღავნებს. სიტყვები თვითშეგონების ეტაპია.

დასკვნა: გიგი წერეთელი ცბიერი, თვალთმაქცი, ფარისეველია და უდიდესი პოლიტიკოსის — ნიკოლო მაკიაველის ფსიქოშტრიხებს ატარებს, არწმუნებს საზოგადოებას, რომ გონიერი, ზრდილი და ელეგანტურია...

თინა სანთელაძე:

# ჩემი ქალიშვილი ემიგრაციიდან

**დრო გადის და ემიგრაცია სულ უფრო მეტ შვილს ართმევს სამშობლოს.**
**ქართველთა ამაყი, თავისუფლებისა და ბედნიერების მაძიებელი ხასიათი ვერა და ვერ ურიგდება საკუთარ მენტალობაზე უარის თქმას, სხვაში გათქვეფასა და ეროვნულ გაუცხოებას. უფრო მეტიც, მათი დაობლებული, უთვისტომო სულიერება უცხოელთა მონობაში ყოფნის ტკივილსა და სიმძიმეს ვერ უძლებს და ათასი სულიერი და ფიზიკური სენით ავადდება.**
**თითოეული ქართველი ემიგრანტი კი ჩვენი ხორცისა და სულის ნაწილია. ჩვენი ვალია, შევეხმიანოთ მათ, დავეხმაროთ და გავამხნევოთ.**
**საკუთარი შვილის უცნაურ თავგადასავალზე გვესაუბრება ქალბატონი თინა სანთელაძე.**



**— ქალბატონო თინა, რამ გადააწყვეტინა თქვენს ქალიშვილს უცხოეთში გამგზავრება?**

— ლიკას არასოდეს დაუმალავს თავისი ხვაშიადი. ბავშვობიდანვე იზიდავდა დასავლეთის ცხოვრების სტილი. საძინებელი აჭრელებული ჰქონდა უცხოელ მსახიობთა და მოდელთა ფოტოებით. წარმოიდგინეთ, ყველაფერს უცხოურს შენატროდა; ცდილობდა, ამერიკელთა ორეულად ქცეულიყო. ვფიქრობდი — ახალგაზრდაა, გაუვლის, მაგრამ ამაოდ... საქართველოს აღდგენის მესიადაც ამერიკა ესახებოდა, მაოცებდა მისი კამათის ემოციური სიმძაფრე ამ საკითხში. ამერიკა იქცა ლიკას საოცნებო ქვეყნად, სადაც, მისი აზრით, დემოკრატია მეფობდა, იყო მიზნის მიღწევის უსაზღვრო შესაძლებლობები, იდეალურად მოწყობილი სამყარო, შვება, განცხრომა, სიამე, სიბრძნის, ცოდნისა და გონიერების სახელმწიფო.

ერთ მშვენიერ დღეს გამოგვიცხადა, რომ ამერიკაში სამუშაოდ წასვლას აპირებდა. მიუხედავად ოჯახის დიდი წინააღმდეგობისა, ვერ შევძელით მისი ცნობიერებიდან ეს მიზანსწრაფვა ამოგვეშალა. ღმერთს ვევედრებოდი, ჩემი ქალიშვილი გონზე მოეყვანა, მაგრამ ლიკა ათეისტი იყო, ჩემი ვედრება სასაცილოდ არ ჰყოფნიდა. ადამიანებთან კი საერთო ენის გამონახვა არ უჭირდა, ნდობას ადვილად იმსახურებდა, ვინმე თუ სჭირდებოდა, კუდს ძაღლივით უქიცინებდა. წასასვლელი გზაც იპოვა, ფულიც მოიძია და თანამგზავრიც მონახა. მუქარამაც ვერ გაჭრა. გული მიკვნესოდა, როცა ჩემს „დედის წინ მორბენალ კვიცს“ ვაცილებდი.

**— მალე იშოვა სამუშაო, ისეთი აღმოჩნდა ამერიკა, როგორიც ეგონა?**

— არა... გაუჭირდა სამუშაოს შოვნა, მას ხომ იქამდე არსად ემსახურა, ძალიან ახალგაზრდა და გამოუცდელი იყო. პირველად რომ დამირეკა, არ უთქვამს, მაგრამ შევამჩნიე გულაცრუება და დარდი. სამი თვე მეგობრების ხარჯზე იყო, შემდეგ ვიღაც მხატვრის სალონში დამლაგებლის ადგილი იშოვა. უწევდა რამდენიმე ოთახის დალაგება; დარბაზის ფილები ყოველდღიურად უნდა გაეხეხა, რათა მოეშორებია საღებავები და თიხის ნარჩენები, რადგან იქ ქანდაკებებიც კეთდებოდა, სპეციალურ ხსნარში რეცხავდა უამრავ სხვადასხვა ზომის ფუნჯებს ცალ-ცალკე, ალაგებდა ქაღალდებს, უვლიდა მისაღებს, საძინებლებსა და კაბინეტს, სამზარეულოსა და სააბაზანოს; წუწუნებდა საქმის სიმძიმეზე, პატრონის ბოჰემურ ცხოვრებასა და ორგიებზე, მენატურე ქალების ქედმაღლობაზე, სტუმართა სიხშირეზე. ყველაზე მეტად წუხდა იმაზე, რომ მას ისინი ადამიანადაც არ თვლიდნენ, არც კი ესალმებოდნენ; მიხვდა, რომ მათი მეგობარი ვერ გახდებოდა. ინგლისურ ენას გატაცებით სწავლობდა და ესმოდა ის დაცინვა, რაც მისი მისამართით ითქმებოდა. მეუბნებოდა, ჩემს სახელს ვერ იმახსოვრებენ და რა სახელით აღარ მამკობენო.

მოგვიანებით, ვიგრძენი, რომ ლიკას გული შურითა და ღვარძლით აივსო. მთელ ხელფასს საკუთარ თავს ახმარდა — მოდურად იცმევდა, რაც იქ მის სტატუსს სრულიად არ შეეფერებოდა. ოჯახს დღესასწაულებზე თუ გამოგვიგზავნიდა თანხას.

ლიკას ახირება — ამერიკელებს დამსგავსებოდა და მათი ცხოვრების წესით ეცხოვრა — თანდათან სახიფათო ხდებოდა. სარწმუნოების შეცვლაც კი გადაწყვიტა, რაშიც არალეგალობამ შეუშალა ხელი. ამის შესახებ მისმა მეგობარმა ნატამ მიამბო.

**— რას მიაღწია ამით?**

— გარეგნულად მან შეძლო ყურადღების მიპყრობა. ტელეფონი ხშირად ჰქონდა გამორთული და ველარ ვუკავშირდებოდი. ღამით კი იმ სახლში ვრეკავდი, სადაც ლიკა თანამემამულეებთან ერთად ქირით ცხოვრობდა. გოგოები ათას რამეს იგონებდნენ ჩემს დასამშვიდებლად. ბოლოს კი თავმობეზრებულებმა გამიმხილეს: ლიკამ მეგობარი ბიჭი გაიჩინა და მასთან ხშირად რჩებაო, ხან კი სალონში ათენებს ღამესო. წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა. ის უკვე ცხოვრობდა ამერიკულად. მაგრამ ამის ჩემთვის გამხელას არ აპირებდა. ▶

## გუგული მაღრაძე:

# თუ «მანია გრანდიოზოთი» დაავადებული ადამიანი მაღალი რანგის პოლიტიკოსია, ეს ქვეყნისთვის დამანგრეველია

**საქართველო ზესახელმწიფოთა სულიერ-ფსიქოლოგიური ხერხების ზეგავლენას განიცდის, რომელიც ტანკებსა და ავიაციაზე ბევრად ეფექტიანია. მათი იდეოლოგია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ინერგება. ისინი განვითარებად ქვეყნებს არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულებებით აძლევენ სესხს, შემდგომ კი ამ ქვეყნებში რეაქციულ, მარიონეტულ რეჟიმებს ქმნიან. თუ ქვეყნის მესვეურებსაც ფსიქოლოგიურად ტიპოლოგიური თავისებურებები ახასიათებთ, ეს მტრის წისქვილზე ასხამს წყალს. ამის შესახებ გვესაუბრება ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, უნივერსიტეტის პროფესორი და ქალთა პარტიის ლიდერი გუგული მაღრაძე.**



**— ქალბატონო გუგული, რა როლს თამაშობს ქართველ პოლიტიკოსებში პირველობის ჭია ანუ „მანია გრანდიოზო,“ როგორც ფსიქოლოგები უწოდებენ?**

— ამ ფსიქოგანწყობას აქვს თავისი მინუს-პლუსები. დადებითია, როდესაც ადამიანს აქვს პირველობის მოთხოვნილება. ამ დროს ადამიანი უფრო მაღალ მიზანს ისახავს, გაცილებით ქმედითი და მოტივირებულია. მინუსი ისაა, რომ შესაძლოა, ადამიანს პირველობის მოთხოვნილება ჰქონდეს, მაგრამ შესაბამისი რესურსი არ გააჩნდეს. ამ შემთხვევაში სუბიექტი ხდება აგრესიული და აგრესიას ხშირად არამიზნობრივად, ყველასა და ყველაფრისკენ მიმართავს. სახელმწიფოს განვითარების გარკვეულ ეტაპზე ჩვენ გვქონდა პრეტენზია, პირველები გამოვსულიყავით საბჭოთა კავშირიდან. ეს კი უსისხლოდ ვერ დამთავრდა, მაშინ, როდესაც აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიისპირეთის ქვეყნებმა ეს გზა დადებითი ვექტორით გაიარეს.

ამ მანიით შეპყრობილ ხელისუფლებას, ძნელია, ხელიდან გამოგლიჯო ძალაუფლება, ამიტომ გაცილებით მეტად ებღაუჭებიან მართვის სადავეებს. მათთვის ადგილების დაკარგვა საშინელებაა, რადგან მათი მეშვეობით იკმაყოფილებენ პატივმოყვარეობას, მოპოვებული აქვთ მატერიალური კეთილდღეობა და პატივისცემა საზოგადოებაში. მანიის მკვებავი წყარო კი ხალხია. ძალაუფლებისადმი პატივისცემა ვერა და ვერ ამოვიდა ქართველთა მენტალობიდან. პატივი უნდა ვცეთ ადამიანის პიროვნულ და პროფესიონალურ ღირსებებს და არა თანამდებობრივ სტატუსს. როდესაც საზოგადოება არასწორი ღირებულებებით ხელმძღვანელობს, განდიდების მანიით შეპყრობილისგან ქმნის კულტს. ეს გზა კი მეორე უკიდურესობისკენ მიდის — მას ამხობენ. ვერცერთ ხელმძღვანელს ვერ შეიპყრობს განდიდების მანია და ვერ იქნება ავტოკრატი დიქტატორი, თუ მას გარშემო არ ჰყავს მასა, რომელიც აღიარებს, ტაშს უკრავს, მის სახელს სკანდირებს, მის პორტრეტებს მოჰფენს ქალაქში, მიუძღვნის ლექსებსა და სიმღერებს.

„მანია გრანდიოზოს“ ტიპოლოგიურ გამოვლენას საფუძვლად უდევს ჩვენი მენტალობა, უმწიფარ პიროვნებათა აღზევება, გარე საფრთხეები, რაც შიდა პოლიტიკის გაგრძელებაა. ციხე შიგნიდან ტყდება.

ამ მანიით შეპყრობილი ადამიანი თავს არასოდეს იდანაშაულებს; თავსაც არ უტყდება, რომ რაღაცას ვერ მიაღწია. ფსიქოლოგიაში ამ მდგომარეობას ლოკუს-კონტროლს უწოდებენ. ადამიანებს, ვისაც ლოკუს-კონტროლი შიგნით აქვთ, თვითკრიტიკა გააჩნიათ. განდიდებით დაავადებულებს კი ლოკუს-კონტროლი გარეთ აქვთ. ასეთები ცდილობენ, უკეთესად წარმოაჩინონ თავი და ნიღბებით ცხოვრობენ.

**— ქალბატონო გუგული, რას ნიშნავს პრეზიდენტის სლოგანად ქცეული გამოთქმები „პირველად მე“, „პირველად საქართველოში“ ან „პირველად მსოფლიოში“?**

— ეს „პირველად“ არის განდიდების მანია, რომ მასთან ერთად იწყება ყველაფერი. იგი გაუნათლებელია და არ იცნობს მსოფლიო ისტორიას. „მანია გრანდიოზო“ ყალიბდება და იკვებება რეალობით და თაყვანისმცემელთა აპლოდისმენტებით. მანიით შეპყრობილი ადამიანი ნორმაშია, სანამ მიმდევრები და ტაშისდამკვრელები ჰყავს. ამიტომ ხელისუფლებაში მყოფი ხალხი ცდილობს, იყიდოს აღიარება! გაყიდული ადამიანები კი ამისგან დიდ მოგებას ნახულობენ ათასჯერ დიდი ხელფასებითა და მთელი რიგი პრივილეგიებით. ხელისუფლება ასეთ ადამიანებზე დგას.

„მანია გრანდიოზო“ ეტაპობრივად ვითარდება. თუკი ერთ მშვენიერ დღეს აღმოჩნდება, რომ ადამიანი მარტოა და იძახის, — მე დიდი რეფორმატორი, დიდი პოლიტიკოსი ვარ — ეს უკვე ფსიქიკური დაავადებაა. მას საწყის ეტაპზე აქვს დაკარგული რეალობა, მაგრამ საზოგადოებასთან ინტეგრირებისას საზოგადოებასაც რეალობის არაადეკვატური აღქმა უჩნდება და ქვეყანა ილუზიურ სამყაროში ცხოვრობს. განდიდების მაგიერ, თვალი უნდა გაუსწორო იმას, რომ არაფერს წარმოადგენ. ეს კი ურთულესი პროცესია, რადგან რეალური და მოგონილი „მე“ ურთიერთწინააღმდეგობაში მოდის, რის გამოც ადამიანები თვითმკვლელობამდე მიდიან.

პატარა ადამიანებსაც აქვთ ეს ფსიქოლოგიური თავისებურება ანუ განდიდების ჭია, მაგრამ თუ ამ მანიით შეპყრობილი სახელმწიფოს ხელმძღვანელია, ამას შეიძლება უდიდესი კატასტროფები მოჰყვეს. გავიხსენოთ ნაპოლეონი და ჰიტლერი. ჩვენისთანა პატარა სახელმწიფოსთვის კი ეს ტრაგედიაა.

**— ქალბატონო გუგული, არჩევნებამდე რატომ არ მოწმდება კანდიდატთა ფსიქოლოგიური მდგომარეობა?**

— ესაა დემოკრატიული კულტურა, რაც ჩვენში ჯერ არა დამკვიდრებულა. ამერიკის შეერთებულ შტატებში წელიწადში ერთხელ საჯაროდ ქვეყნდება ცნობები პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

ძალაუფლება ადამიანის ყველაზე დიდი გამოცდაა. უნდა არსებობდეს მექანიზმები, უკან გამოვიწვიოთ ის, ვინც არასწორად ავირჩიეთ. არავის უნდა ჰქონდეს უფლება, სახელმწიფო სტრუქტურები ერთპიროვნულად გამოიყენოს.

„მანია გრანდიოზოთი“ შეპყრობილ ხელისუფალს ხელს არ აძლევს მოსახლეობის კეთილდღეობა, ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი ბიზნესი, დამოუკიდებელი სასამართლო, ძლიერი განათლების სისტემა, იმიტომ, რომ პირველობის განუსაზღვრელი მოთხოვნილება აქვს, ყველგან და ყველაფერში თვითონ უნდა იყოს ლიდერი. ყველაზე ცუდი კი მაინც ისაა, რომ თავად საზოგადოება წარმოშობს ამ ფსიქოგადახრას და კარნახობს რჩეულს.

**— ქალბატონო გუგული, რას გვეტყვით ლოგორეას, ანუ სიტყვიერი ფაღარათის შესახებ, როდესაც ქვეყნის პრეზიდენტი აკეთებს 6-საათიან სატელევიზიო გამოსვლას ან საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე 3 საათის განმავლობაში კითხულობს კომისიის დასკვნის ტექსტს?**

— ხალხს მოსწონს ქარიზმა. თავიდან ხიბლავთ ასეთი ლიდერები, მათი ენერგია, ტემპერამენტი, სიტყვამრავლობა. მერე კი შედეგებზე ორიენტირებენ და აღარ მოსწონთ ვრცელი დაპირებები. მოლა ნასრედინისა არ იყოს „რაც არ უნდა თქვა ჰალვა-ჰალვა, თუ პირში არ ჩაიდე, სიტკბო არ გექნება“. ცარიელი სიტყვით მოსახლეობას თუ ვერ დააპურებ, ვეღარც გააბრიყვებ. ლოგორეაც ფსიქოლოგიური თავისებურება და თვითშეგონების ერთ-ერთი მეთოდია. მახსოვს ქვეყნის პირველი პირის მეუღლე, რომელიც სამსახურში მოსვლისთანავე იძახდა: „რა კარგია ცხოვრება, როგორ გამოსწორდა!“ ლოგორეათი დაავადებულები ქმნიან საკუთარ სამყაროს, თვითშეფასების მაღალი ხარისხი აქვთ. ამ გაუთავებელი, უპაუზო ლაპარაკით, საკუთარ მნიშვნელოვნებას განიმტკიცებენ, ამიტომ ლოგორეას ხშირად ლაპარაკის თერაპიასაც უწოდებენ. სიტყვიერ ფაღარათშეყრილებს ხშირად აუდიტორია გაურბის. ამის დასტურია პრეზიდენტის ხშირი შეხვედრა-საუბრები პენსიონერებთან და ბავშვებთან. მას საუბარს არავინ აწყვეტინებს და არც ოპონირებას აქვს ადგილი. პირიქით იქ მას უცინიან, კვერს უკრავენ და ეფერებიან. რაკიღა ბევრს ლაპარაკობენ, შეცდომების ალბათობაც მაღალია. ხშირად ისინი გაუწონასწორებელი და რისკიანი ადამიანები არიან, ნაკლებად აწუხებთ პასუხისმგებლობის გრძნობა. მართალია, ესეც თავისებური გადახრაა, მაგრამ, როგორც გრანდიოზული სანახაობები, მაინც პიარტექნოლოგიის ნაწილია. ლოგორეა ზოგჯერ მეტად მომგებიანია, ვიდრე აწონილი, ასჯერ გაზომილი სიტყვა, რადგან, სანამ ჭოჭმანობ და სიტყვას ეძებ, შესაძლებელია მომგებიანი დრო და შექმნილი სიტუაცია ხელიდან გაგექცეს. ლოგორეას მატარებლები კი თვითონ ქმნიან სიტუაციასა და აუდიტორიას და ხშირად თავიანთ ნათქვამს თვითონვე გულწრფელად იჯერებენ, რადგან ეს შინაგანი სიმტკიცის შესანარჩუნებლად, თავის მოსატყუებლად სჭირდებათ. ხალხს უნდა ჰქონდეს საშუალება, რეაგირებდეს პირველივე ცრუ სიტყვაზე. უხვსიტყვაობით არ უნდა გაბრუვდეს და კრიტიკული დამოკიდებულება უნდა შეინარჩუნოს. ვინც ბევრს ლაპარაკობს, უხეშად რომ ვთქვათ „გახვევს“!

# ავადმყოფი დამიბრუნდა

მითხრა, გოგოები ეჭვობენ, თორემ ხელფასი მომიმატეს, გამოფენები მზადდება, საქმე თავზე მაყრია და დროს აღარ ვკარგავ გზაში სიარულშიო.

იმ დროს, როდესაც ეს ჭორი გავიგე, ნატას დედამ დამიბარა, კომპიუტერში გოგოების გამოგზავნილი სურათები რომ ეჩვენებინა. მან დამათვალიერებინა ნატას გამოგზავნილი ფულით გარემონტებული ბინა, ახალი შეძენილი ნივთები, მაჩვენა კომპიუტერი, რომელიც ნატამ თავის პატარა ძმას საშობაოდ უყიდა... ლიკა იმ სურათებში დაუჯერებლად ლამაზი იყო, დახვეწილი და მდიდრულად შემოსილი, მაგრამ სევდიანი. ერთ სურათში კი თითქმის შიშველი იყო, ტანზე დაუდევრად შემოხვეული ჰქონდა ჰაეროვანი და გამჭვირვალე ქსოვილი. ერთგან კი აგიზგიზებული ცეცხლოვანი თვალებით, ოდნავ გაპობილი ბაგეებით, ჩაშავებული თვალთა უპეებით მომეჩვენა თითქოს მეძახდა: „დედა, მიშველე!“ ეს უსიამო გრძნობა დღემდე მომყვება. ჩემს მეხსიერებას შემორჩა, აგრეთვე, მის გვერდით მდგომი ათლეტი, კუშტი, მაგრამ დენდივით გამოწყობილი. დღესაც ვფიქრობ და ვეჭვობ, რომ ლიკამ მცდარი ცხოვრების გზა აირჩია, მაგრამ ფაქტები არც მაშინ მქონდა და არც დღეს მაქვს. ამერიკით გატაცება მარტო მისი საყმაწვილო სენი არ აღმოჩნდა, მისი სულიერი ავადმყოფობის მიზეზიც გახდა.

4 წლის წინათ მასთან მცხოვრებმა გოგოებმა დამირეკეს, ლიკა ავადაა, მთელი დღეები წევს, არ ჭამს, არც გველაპარაკება. ექიმმა გვითხრა, ეს პოსტტრამვული სტრესული რეაქციაა, დარღვეული აქვს გარემოში ორიენტაცია, ძილ-ბურანშია და გარემოს ვერ აღიქვამსო. მის კლინიკაში გადაყვანასა და მკურნალობას ვერ შევძლებთ; გადავწყვიტეთ მისი სამშობლოში დაბრუნება, ერთი ქართველი ემიგრანტი უპატრონებს გზაში, თქვენ კი მანდ დახვდითო.

აეროპორტში ვნახე სულმთლად გაჭაღარავებული ლიკა, მოტეხილი, დაავადებული, ჩამქრალი. როგორც ექიმები ამბობენ, დაკარგული აქვს ემოციური რეაგირების უნარი, თავის განცდებშია ჩაფლული. მირჩიეს, რაც შეიძლება ნაკლებად ეკონტაქტოს ადამიანებს, მყავდეს სახლში და მოვუარო. ერთხელ თვალები უცბად აევსო ცრემლით, სახეზე შიში და ბოროტება გამოეხატა. მკურნალ ექიმს დავურეკე, მითხრა: „ნუ გეშინიათ, გადატანილი ფსიქოტრამვის შემდეგ ასეთი რამ მოსალოდნელიაო.“

რა პირობებში მოხვდა იმ დაწყევლილ ამერიკაში ჩემი გოგო, რა სულიერი კატასტროფა გადაიტანა ან სად — სახლში თუ სამსახურში, იქნებ გზაში, ის ხომ არალეგალი იყო, შეძლებდა პოლიციის გამოძახებას ან თავის შველას?.. ამის გაგება შეუძლებელია. სანამ ცოცხალი ვარ, მოვუვლი, მერე?.. ამას იმიტომ გიყვებით, რომ ლიკას ამბავი სხვებისთვის მაინც იქცეს ცხოვრებისეულ გაკვეთილად.

**— ქალბატონო თინა, ამ პირად ტრაგედიაში სახელმწიფო პოლიტიკის კვალს თუ ხედავთ?**

— ლიკას უბედურება გარკვეულწილად ქვეყნის ავკარგიანობიდან მომდინარეობს. ჩემი გოგონა დროისა და ეპოქის შვილიც იყო, მის გადარევას ხელი არსებულმა სიტუაციამაც შეუწყო იმით, რომ დანგრეული ქვეყნის შვილი პირად ბედსვიანობასა და გამართლებას უცხოეთში ეძებდა. პოლიტიკა ქვეყანაში ერის მენტალობასა და მათ მოთხოვნებზე უნდა იყოს აგებული. დღეს კი ადამიანების პრობლემები პოლიტიკის მიღმა დარჩა. რად გვინდა გზები, რომელზეც ვერ გაივლი ან ახალი საავადმყოფოები, თუ იქ მკურნალობას ვერ შევძლებთ. განახლებულ თეატრებსა და კინო-დარბაზებში ვინ ივლის, როდესაც ხალხს არც ფული აქვს და არც განწყობა?..

საერთოდ ვის ვბაძავთ, რატომ გავაფეტიშეთ ამერიკა და ინგლისური ენა, ესაა დამოუკიდებლობა და თავისუფლება? რატომ გვაქვს ტელესივრცეში უცხოურიდან გადმოღებული პროექტები, ამერიკული მოდის უნიჭო ეპიგონები ვართ? ჩემი ქალიშვილი ამერიკულ მოდაზე აყოლითა და მიმბაძველობით ემიგრაციიდან ავადმყოფი დამიბრუნდა. იგივე დაემართება ჩვენს ქვეყანასაც, თუ ეროვნული ღირებულებები არ დაფასდება. მუხრან მაჭავარიანისა არ იყოს, „სხვისი მისაბაძი რა გვჭირს, თვარა კი“.

გვერდები მოამზადა **ლალი შაშიაშვილმა**

25 ნოემბერი — 1 დეკემბერი, 2009 წელი. №39
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



# ბჟეზინსკიმ აღმოსავლეთ ევროპა დატუქსა

## მულო, შენ გეუბნებიან, რძალო, შენ გაიგონეო

**„რუსეთი ამერიკის შეერთებული შტატების მოწინააღმდეგე არ არის“**
**ჩვენი ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლები ხშირ-ხშირად რომ დარბიან ვაშინგტონში ერთმანეთზე საჩივლელად და ორ ხმაში — რუსეთზე, ეს ამერიკას აშკარად აღიზიანებს. ისევე, როგორც პატარა ბავშვების სრუტუნითა და ცრემლნარევი ხმით უფროსებთან გამუდმებული ენატანიობა.**



## რა დასკვნები უნდა გამოიტანოს საქართველომ ბჟეზინსკის განცხადებიდან?

ახლახან ეს გაამჟღავნა პრეზიდენტ ჯიმი კარტერის ყოფილმა თანაშემწემ ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, ცნობილმა პოლიტოლოგმა ზბიგნევ ბჟეზინსკიმ ჩეხეთის ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში.

პირდაპირ არ უთქვამს, საქართველო არ დაუსახელებია, აღმოსავლეთევროპელებზე ილაპარაკა, მაგრამ რა დიდი მიხვედრა სჭირდება იმას, რომ ამ საქმეში ღრმად ჩახედული ადამიანის დასკვნები ჩვენც გვეხება, სრულად და მთლიანად თუ არა, პრინციპულად მაინც: სხვის გასაგონად კოკას რომ ეუბნებოდნენ, თუნდაც იქიდან გამომდინარე.

მთავარი დასკვნა, რომელიც პოლიტოლოგებს ამ საპროგრამო ინტერვიუდან გამოაქვთ, შემდეგია: **აშშ-ს არ ცალია ევროპისთვის, მისი ყურადღება გადატანილია წყნარი ოკეანის რეგიონზე.**

ბჟეზინსკი აღიარებს, რომ დასავლეთის პირველობა მსოფლიოში მთავრდება, მაგრამ არა იმიტომ, რომ დასავლეთი სასიცოცხლო ძალას კარგავს, არამედ იმიტომ, რომ აზია ძლიერდება.

ასეთ ვითარებაში, როგორც ჩანს, ჩვენი ხელისუფლების პირველმა პირებმა ცოტა უნდა დაუწიონ პატრუქს და ტელეპროპაგანდისტულ სიტყვაუხვობას იმის თაობაზე, რომ საქართველო აშშ-ს თავისი საგარეო პოლიტიკის ცენტრში ჰყავს მოქცეული.

არ არის ასე.

ბჟეზინსკი, როგორც ამერიკელ პოლიტოლოგთა უმრავლესობა, სრულად იზიარებს ჯინ შარპის თეორიულ პოსტულატს, რომ არაეფექტიანი და მცდარია „დაჩაგრული დემოკრატიის“ პოლიტიკური კრედო, რომელიც დიქტატურისგან გათავისუფლების შესაძლებლობას უცხოელი მხსნელის მოვლინებაზე აგებს.

მავნეა, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ დემოკრატიული ოპოზიციის მოდუნებას იწვევს.

მავნეა იმიტომაც, რომ საზღვარგარეთიდან მოვლენილი „მხსნელი“ თავისი საკუთარი მიზნებისა და მისწრაფებების განხორციელებას შეეცდება „მოიმედეთა ქვეყანაში“.

დემოკრატიისთვის ბრძოლის ასპარეზი „სასწაულების მინდორი“ არ არის და ყველა, ვინც პოლიტიკურ სასწაულებზე ამყარებს იმედს, რისკავს, რომ აღმოჩნდება „სულელების მინდორზე“.

ზოგადიდან კონკრეტულზე რომ გადავიდეთ, ეს ნიშნავს, რომ **ამერიკა რუსეთთან გაუმჯობესებული ურთიერთობის ნორმალიზებას საქართველოს გამო არ გაიფუჭებს.**

ამას ამბობს ბჟეზინსკი, ოღონდ ჩეხეთის მაგალითზე.

ჩეხეთს, საქართველოსავით, რუსეთის პრობლემა უდგას საფუძვლიანი, რადგან რუსეთი ცდილობს თავისი გავლენის აღდგენას ორივე ქვეყანაზე. განსხვავება მეთოდებშია. ჩეხეთთან წინა პლანზე ეკონომიკური პრობლემებია გამოტანილი, მაგალითად, ენერგომომარაგების სისტემის სტრატეგიულ კომპანიებზე კონტროლის დაწესება.

საქართველოში — ტერიტორიული მთლიანობისა და სამხედრო ძალის ერთობლიობა.

ბჟეზინსკი ჩეხებს ეუბნება, რომ საჭირო არ არის პრობლემის დრამატიზება, რომ პრობლემაში გარკვევა და მისი მოგვარება, ძირითადად, მათვე მოუწევთ.

და ცოტასაც გაჰკენწლავს იმ საყვედურების გამო, რომლებიც აღმოსავლეთ ევროპის ყოფილმა დისიდენტმა ლიდერებმა — ჰაველმა, ვალენსამ და სხვებმა აშშ პრეზიდენტისადმი გაგზავნილ ღია წერილში გამოთქვეს.

მართალია, ბჟეზინსკი ამ წერილს არ ახსენებს, მაგრამ სწორედ მასზე მიუთითებს, როცა შენიშნავს: იმაზე ლაპარაკი, რომ აშშ-ის პოზიცია ჩეხეთისა და პოლონეთის მიმართ „ანტირაკეტული ფარის“ ერთობლივ მშენებლობაზეა დამოკიდებული, უაზრობაა.

და ამასთანავე: „შთაბეჭდილების შექმნა, რომ ეს „ფარი“ რუსეთის წინააღმდეგაა მიმართული კონტროდუქტიულია“.

რატომაა აშშ ასეთი ლოიალური რუსეთის მიმართ?

იმიტომ, რომ მსოფლიოში შექმნილი ვითარება „ცივი ომის“ პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნადაა შეცვლილი. სსრ კავშირთან დაპირისპირების ისტორიულ მონაკვეთში შეერთებული შტატები, ბჟეზინსკის თქმით, გულწრფელად იბრძოდა ადამიანის უფლებათა დასაცავად, მაგრამ ეს ხდებოდა ქვეყნებს შორის ქიშპობის პირობებში: ამერიკა ვერ გარისკავდა, დაეკარგა გავლენა იმაზე, რაც საბჭოთა კავშირში ხდებოდა.

ამჟამად, როგორც რუსეთთან, ასევე, ჩინეთთან ურთიერთობა თანამშრომლობის ხასიათს ატარებს.

ბჟეზინსკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ერთია, როცა ქვეყანას მტრული ურთიერთობა უყალიბდება ზესახელმწიფოსთან და სულ სხვაა, როცა თანამშრომლობს ზესახელმწიფოსთან, მიუხედავად იმისა, რომ მისი საშინაო პოლიტიკა არ მოსწონს.

ასეთ ვითარებაში **აშშ-ს უაზრობად მიაჩნია დემონსტრაციული სიმბოლური ნაბიჯების გადადგმა, რომლებიც ვერ გააუმჯობესებს ადამიანის უფლებებს მოცემულ სახელმწიფოში, სამაგიეროდ გააბრაზებს ჩინელებს თუ რუსებს და უარყოფითად იმოქმედებს თანამშრომლობის ატმოსფეროზე.**

უფრო გასაგებად ვერ იტყვი. მაგრამ ამასაც რომ ვერ იგებენ ჩვენი სქელშუბლა პოლიტიკოსები?

პარლამენტარ წვრილფეხობას თავი რომ დავანებოთ, ორიოდ დღის წინათ კიევის ტელევიზიის პოლიტიკურ თოკშოუში მონაწილეობისას მიხეილ სააკაშვილმა დაამტკიცა, რომ ამის გასაგებად და შესაგნებლად ვერა და ვერ გადაულახავს ბუშის მიერ აგებული სხვისი მოიმედეობისა და ყოვლისმძლეობის ყალბი ბარიერი.

სწორედ ამგვარი ბავშვური ჩვეულების უაზრობაზე მიუთითა ზბიგნევ ბჟეზინსკიმ აღმოსავლეთ ევროპის ლიდერებს.

ჩვენც ხომ „მაშასადამე ევროპელები“ ვართ?

ან, იქნებ, „უკვე ამერიკელობაში“ გადავინაცვლეთ?!

მით უფრო უნდა მოვიფხანოთ კეფა, როცა ამერიკის პოლიტიკის მეორე ვეშაპი, ყოფილი სახელმწიფო მდივანი **ჰენრი ალფრედ კისინჯერი** იგივეს ამბობს აშშ-რუსეთის დღევანდელ ურთიერთობაზე.



## ჰენრი კისინჯერი: „ქვეყნის საგარეო პოლიტიკა განიცდის ამ ქვეყნის ისტორიის გავლენას“

„ორივე მხარესი, კერძოდ, აშშ-ში შემორჩენილია დაძველებული მემკვიდრეობა 60-წლიან პერიოდში რუსეთთან არსებული წინააღმდეგობების თაობაზე. ახლახან ვმონაწილეობდი განხილვაში, სადაც ერთი ჯგუფი ამტკიცებდა, რომ **რუსეთი ყოველთვის ერთნაირად იქცევა** და ფრთხილად უნდა ვიყოთო. მეც მიმაჩნია, რომ **ფრთხილად უნდა ვიყოთ, მაგრამ უნდა შევიგნოთ, რომ მსოფლიო შეიცვალა. რუსეთი აშშ-ის იდეოლოგიური მოწინააღმდეგე არ არის, ჩვენ გაცილებით ნაკლები გვაქვს დაპირისპირებული ეროვნული ინტერესები და ბევრი — საერთო ინტერესი...**

**ვფიქრობ, რომ პროგრესი ჩვენს ურთიერთობებში გაგრძელდება“.**

ეს არის ციტატა კისინჯერის ინტერვიუდან, რომელიც მან 19 ნოემბერს რუსეთის „RT“-ის კორესპონდენტს დინა გუსოვსკის მისცა.

ადრე ფიქრობს კისინჯერი. ჩვენებს კი რატომღაც ჰგონიათ, რომ აშშ იყო და რჩება რუსეთის დაუძინებელი მტერი და მათი დაპირისპირების წინა ხაზზე ბრძოლა საქართველოს ეროვნულ ინტერესებს შეესაბამება.

ჰენრი კისინჯერი ერთი იმათგანი იყო, ვინც პრეზიდენტ ობამას ურჩია მოსკოვთან ურთიერთობის აღდგენა.

აშშ პრეზიდენტმა ყურად იღო მისი რჩევა.

საქართველოს პრეზიდენტისთვის კისინჯერი, ცხადია, ვერ მოიცლის, მაგრამ კი უნდა აინტერესებდეს მიხეილ სააკაშვილს მისი აზრი და კიდეც უნდა ითვალისწინებდეს.

თუ მარტო ვაშაძის ჭკუაზე დადის?!

კისინჯერს ჰკითხეს, ხედავს თუ არა იგი რუსეთისა და აშშ-ის ურთიერთობაში სერიოზული გარღვევის ნიშნებს?

კისინჯერის პასუხი კატეგორიულია: **„რუსეთისა და აშშ-ს ურთიერთობაში სერიოზული გარღვევა უკვე მოხდა...** რიგ ფაქტობრივ საკითხებში რუსეთი და აშშ სიტუაციას ერთმანეთის მსგავსად აანალიზებენ“.

მაშასადამე, გარღვევა არის, მაშასადამე, ურთიერთობა უმჯობესდება. რატომ უნდა შეწყვიტოს ეს პროგრესული ტენდენცია ან ერთმა ან მეორე მხარემ?! მაშასადამე, არ უნდა შეწყვიტონ. უთუოდ ასე, იქნება, რაგინდ ხმამაღლა ვუკიჟინოთ რუსეთს კავკასიის ქედის გადმოღმიდან.

მართალია, იგივე ჰენრი კისინჯერის მიხედვით, „ქვეყნის საგარეო პოლიტიკა განიცდის ამ ქვეყნის ისტორიის გავლენას“, რაც ასე დამახასიათებელია დღევანდელი ქართველი პოლიტიკოს-პოლიტოლოგებისთვის, მაგრამ ამავე დროს, ობიექტური სიტუაცია და სხვა სახელმწიფოების პოზიცია, ასევე, მნიშვნელოვანი გავლენის მომხდენია.

ესეც კისინჯერის ნათქვამია.

ქართული საგარეო პოლიტიკის დღევანდელ ვარიანტს თუ დავუკვირდებით, უთუოდ შევამჩნევთ, რომ მას არც რომელიმე ფარვატერში ჩადგომა აურჩევია, არც დამოუკიდებელი ნავიგაციის უნარი გამოუმუშავებია.

კისინჯერის იმ ინტერვიუში, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, კორესპონდენტის შეკითხვაზე, რას ურჩევდა იგი ბარაკ ობამას ავღანეთში დამატებითი ძალების გაგზავნაარგაგზავნის თაობაზე, აშშ-ის საგარეო პოლიტიკის პატრიარქი უპასუხებს: „ერთხელ ვიღაცამ თქვა, რომ საგარეო პოლიტიკაში გამბედაობა წარმატების აუცილებელი პირობაა. მე მას ვურჩევდი, გააკეთოს ის, რასაც გული ეუბნება და არ დაეყრდნოს ურიცხვ გაანგარიშებას“.

ობამას გულში რა ჩაგვახედებს, სამაგიეროდ, სააკაშვილის გულში ჩახედვა სულაც არ არის აუცილებელი: სანამ ობამა ფიქრობს, როგორი კონტიგენტი გააგზავნოს, რა ოდენობის და გააგზავნოს თუ არა საერთოდ დამატებითი ჯარის ნაწილები ავღანეთში, მიხეილ სააკაშვილმა ქართული ასეული ორი კვირის წინათ მიავლინა ქაბულში.

ეტყობა, ძალიან გაბედულები ვართ სხვის ხარჯზე.

**არმაზ სანებლიძე**

**P.S. „დაეპატრონენ მახლობელ და შორეულ სამეფოებს და ყველას, ვინც მათ სახელს გაიგონებდა, შიში იპყრობდა.**
**ვის შეწევნასაც და გამეფებასაც მოისურვებენ, ამეფებენ; თუ მოისურვებენ, გადააყენებენ. დიდად აღზევებულნი არიან“.** (I მაკაბ., 8, 12-13).

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ხელისუფლების არაძალადობრივი დამხობის 198 ხერხი

## გიგა ბოკერიას საწვრთნელი სახელმძღვანელო




გაგრძელება. დასაწყისი იხ. №38





**ახალი ხროვა უწინდელზე უფრო დაუნდობელი და უფრო პატივმოყვარე შეიძლება აღმოჩნდეს.**

### თავისუფლება ძალადობის გზით?

**როგორ უნდა მოვიქცეთ ასეთ ვითარებაში? კონსტიტუციური და საკანონმდებლო ბარიერები, სასამართლოს გადაწყვეტილებანი და საზოგადოებრივი აზრი, ჩვეულებრივ, იგნორირებულია დიქტატორების მიერ.**

ჩვეულებრივ, ტანჯვა-წამების, ადამიანების გაქრობისა და მკვლელობის საპასუხო ქმედებად, დიქტატურის აღსაკვეთად ძალადობას მიიჩნევენ. გააფთრებულ მსხვერპლთა ბრძოლა დიქტატურის წინააღმდეგ, რომლის დროსაც გამოიყენებდნენ ძალადობისა და ომის ნებისმიერ საშუალებას, ზოგჯერ მნიშვნელოვანი შედეგით მთავრდებოდა, მაგრამ იშვიათად მოიპოვებდნენ თავისუფლებას. უმძაფრეს აჯანყებებს შეიძლება დაუნდობელი რეპრესიები მოჰყვეს, რაც უწინდელზე უფრო ასუსტებს მოსახლეობას.

**როგორიც გინდა იყოს ძალადობის მეთოდების ღირსება, ერთი რამ ცხადია: ადამიანები ირჩევენ ბრძოლის ისეთ ტიპს, რომელსაც მჩაგვრელები თითქმის ყოველთვის უკეთ ფლობენ. ძალის გამოსაყენებლად დიქტატორები შესანიშნავად არიან მომზადებულები. დემოკრატიის ასეთ მომხრეთა მოქმედების ხანგრძლივობის მიუხედავად, მკაცრი და დაუნდობელი სამხედრო რეალობა გარდუვალი ხდება. დიქტატორები თითქმის ყოველთვის ფლობენ უპირატესობას სამხედრო ტექნიკაში, შეიარაღებაში, ტრანსპორტსა და შეიარაღებულ ძალებში.**

სიმამაცის მიუხედავად, დემოკრატები დიქტატორს (თითქმის ყოველთვის) ვერაფერს უპირისპირებენ.

**როცა სამხედრო აჯანყებას არარეალურად მიიჩნევენ, დისიდენტები პარტიზანულ ბრძოლას ამჯობინებენ. მაგრამ პარტიზანულ ბრძოლას იშვიათად ან საერთოდ არავითარი სიკეთე არ მოაქვს ჩაგრული მოსახლეობისთვის და ვერ უზრუნველყოფს დემოკრატიას.**

პარტიზანული მოძრაობა უტყუარი გადაწყვეტილება არ არის, რადგან საკუთარი მოსახლეობის უდიდესი დანაკარგების უძლიერესი ტენდენციის შემცველია. ასეთი მიდგომა, შესაბამისი თეორიული და სტრატეგიული ანალიზისა და ზოგჯერ საერთაშორისო დახმარების მიღების მიუხედავად, დამარცხების თავიდან არიდების გარანტიას არ იძლევა. პარტიზანული ბრძოლა ხშირად ძალიან დიდხანს გრძელდება. მმართველი წრეები არცთუ იშვიათად გადაასახლებენ ხოლმე ადგილობრივ მოსახლეობას უდიდესი ტანჯვისა და სოციალური ნგრევის საფასურად.

**გამარჯვების შემთხვევაშიც კი პარტიზანულ ბრძოლას ხანგრძლივი და მნიშვნელოვანი უარყოფითი შედეგები მოსდევს. რეჟიმი, რომელსაც შეუტევენ, წინააღმდეგობის განხორციელების ღონისძიებების წყალობით, დაუყოვნებლივ უფრო დიქტატორული ხდება. თუ პარტიზანები ბოლოს და ბოლოს გაიმარჯვებენ, ახალი რეჟიმი ხშირად უწინდელზე უფრო დიქტატორულად ყალიბდება. ამის მიზეზი, როგორც წესი, გაფართოებული სამხედრო ძალების ცენტრალიზებული გავლენა და ბრძოლის დროს საზოგადოების ინსტიტუტების ნგრევა და დასუსტებაა, იმ ორგანოებისა, რომლებიც დემოკრატიული საზოგადოების შექმნისა და მხარდაჭერისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია.**

**დიქტატურის მოწინააღმდეგეებმა სხვა საშუალებები უნდა ეძებონ.**

### გადატრიალება, არჩევნები, მხსნელები უცხოეთიდან?

სამხედრო გადატრიალება შეიძლება უფრო იოლი და სწრაფი საშუალება მოგვეჩვენოს განსაკუთრებით საზიზღარი რეჟიმის მოსაცილებლად, მაგრამ ამ საშუალებას სერიოზული ნაკლოვანებანი გააჩნია. უმთავრესი კი ისაა, რომ იგი ხელუხლებელს ტოვებს ძალაუფლების განაწილებას მოსახლეობასა და ელიტას შორის, რომელიც მართავს მთავრობასა და შეიარაღებულ ძალებს. გარკვეულ პიროვნებათა და ხროვათა მოცილება მმართველობის პოზიციებიდან საშუალებას აძლევს სხვა ჯგუფს, დაიკავოს მათი ადგილი. თეორიულად ასეთი ჯგუფი შეიძლება აღმოჩნდეს უფრო შემწყნარებელი და გახსნილი შეზღუდული დემოკრატიული რეფორმებისთვის, მაგრამ შეიძლება, საწინააღმდეგოც მოხდეს.

საკუთარი მდგომარეობის გამყარების შემდეგ, **ახალი ხროვა უწინდელზე უფრო დაუნდობელი და უფრო პატივმოყვარე შეიძლება აღმოჩნდეს**. შესაბამისად, ახალმა ხროვამ, რომლის იმედიც აქვთ, შეიძლება განახორციელოს ნებისმიერი ღონისძიება ისე, რომ სულაც არ დაფიქრდეს დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებზე. ეს არ არის დიქტატურის პრობლემის გადაჭრის მისაღები გადაწყვეტილება.

**დიქტატურის პირობებში არჩევნები არ გამოდგება მნიშვნელოვან პოლიტიკურ ცვლილებათა ეფექტიან იარაღად**. ზოგიერთი დიქტატორული რეჟიმი, მაგალითად, საბჭოთა კავშირის ბატონობის ქვეშ მყოფი აღმოსავლეთის ქვეყნების ბლოკის ქვეყნებში, უფლებას რთავდა კანდიდატების დასასახელებლად, რათა დემოკრატიულობის შთაბეჭდილება შეექმნა. მაგრამ ასეთი არჩევნები, ფაქტობრივად, მკაცრად კონტროლირებადი პლებისციტი იყო, რომელიც დიქტატორების მიერ წინასწარ შერჩეული კანდიდატების სახალხო მოწონებას უზრუნველყოფდა.

**ზემოქმედების პირობებში დიქტატორები შეიძლება დათანხმდნენ ახალ არჩევნებს,** მაგრამ სხვადასხვა მანიპულირებით სამოქალაქო მარიონეტებს მთავრობის კაბინეტებში სვამენ. თუ ოპოზიციის კანდიდატებს საშუალება მიეცემათ, მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში და გაიმარჯვონ, როგორც ეს 1990 წელს ბირმაში და 1993 წელს ნიგერიაში მოხდა, შედეგებს არავითარ მნიშვნელობას არ მიანიჭებენ და გამარჯვებულებს მუქარა, დაპატიმრება და წამებაც კი არ ასცდებათ. დიქტატორები ძალაუფლებას ხელთ იმიტომ არ იგდებენ, რომ ნება დართონ, გაიმართოს ისეთი არჩევნები, რომლებიც მათ ტახტიდან ჩამოაგდებს **(ავტორი, ამ შემთხვევაში, ზედმეტად კატეგორიულია, რაც მისი ტენდენციურობის მაჩვენებელია, რადგან პინოჩეტის მაგალითი ჩილეში და ფრანკოს მაგალითი ესპანეთში აბსოლუტურად საწინააღმდეგოს ამტკიცებს. — რედ.).**

ბევრ ადამიანს, ვინც დღეს სასტიკი დიქტატურის გამო იტანჯება ან ანგარიშსწორებას განერიდა დაუყოვნებლივ სხვა ქვეყანაში გახიზნვით, არ სჯერა, რომ ჩაგრულებს დამოუკიდებლად გათავისუფლების ძალა შესწევთ. მიაჩნიათ, რომ მათი მშობელი ხალხის გათავისუფლება ხელეწიფება ვინმე სხვას. ასეთი ადამიანები ფსონს გარე ძალებზე დებენ. მიაჩნიათ, რომ მხოლოდ საერთაშორისო დახმარება შეიძლება აღმოჩნდეს საკმარისად ძლიერი დიქტატორის დასამხობად.

**მოსაზრება, რომ ჩაგრულებს ეფექტიანი მოქმედება არ შეუძლიათ, მხოლოდ დროის გარკვეულ მონაკვეთშია სწორი.** ჩაგრულ ხალხს ხშირად არ სურს და დროებით ბრძოლის უნარსაა მოკლებული, რადგან არ სჯერა თავისი ძალისა, დაუნდობელ დიქტატურას წინ რომ აღუდგეს; არ იცის, სად ეძიოს გადარჩენის გზები. ამიტომ გასაგებია, რომ **ბევრნი თავის გადარჩენის იმედს სხვებზე ამყარებენ. ასეთი გარეშე ძალა შეიძლება იყოს „საზოგადოებრივი აზრი“, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, გარკვეული ქვეყანა ანდა ეკონომიკური და პოლიტიკური სანქციები.**

ასეთი სცენარი ხელსაყრელი შეიძლება მოგვეჩვენოს, მაგრამ **გარეშე მსმენელის იმედად ყოფნა სერიოზულ პრობლემებს შეიცავს.** ასეთი იმედი შეიძლება მთლიანად გაცუდდეს. ჩვეულებრივ, უცხოელი მხსნელი არ გამოჩნდება ხოლმე, მაგრამ, თუ რომელიმე სახელმწიფო ჩაერევა, მას, როგორც წესი, არ უნდა ვენდოთ.

აქ უპრიანია, ხაზი გავუსვათ რამდენიმე არასასიამოვნო მომენტს, რომლებიც უცხოეთის ჩარევაზე ფსონის დადებასთანაა დაკავშირებული:

**— უცხოეთის სახელმწიფოები, ჩვეულებრივ, ეგუებიან დიქტატურას ან ეხმარებიან კიდეც მას საკუთარი ეკონომიკური ან პოლიტიკური მიზნების დასაკმაყოფილებლად.**

**— უცხოეთის სახელმწიფოებს, ასევე, შეუძლიათ, უღალატონ დაჩაგრულ ხალხს და არ შეასრულონ მისი გათავისუფლების საქმეში დახმარების აღმოსაჩენად აღებული ვალდებულებანი...**

**— უცხოეთის ზოგიერთი სახელმწიფო განახორციელებს დიქტატურის საწინააღმდეგო ღონისძიებებს, რათა დაამყაროს თავისი ეკონომიკური, პოლიტიკური ან სამხედრო კონტროლი მოცემულ ქვეყანაზე.**

**— უცხოეთის ქვეყნები პოზიტიური მიზნით შეიძლება აქტიურად ჩაერიონ მხოლოდ მაშინ, როცა და თუ წინააღმდეგობის შიდა მოძრაობამ უკვე დაიწყო დიქტატურის შერყევა და საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყურადღება რეჟიმის სასტიკ ბუნებას მიაპყრო.**

დიქტატურა, ძირითადად, ქვეყნის შიგნით ძალაუფლების განაწილების წყალობით წარმოიქმნება. მოსახლეობა და საზოგადოებრიობა მეტისმეტად სუსტია საიმისოდ, დიქტატურას სერიოზული პრობლემები რომ შეუქმნას, რადგან სიმდიდრე და ძალაუფლება ერთი მუჭა ადამიანების ხელშია თავმოყრილი. დიქტატურას შეუძლია თავის სასარგებლოდ გამოიყენოს საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევა ან დასუსტდეს კიდეც მისი მოქმედებით, მაგრამ მისი დამხობა, ძირითადად, შიდა ფაქტორებზეა დამოკიდებული.

საერთაშორისო თანამეგობრობის ზემოქმედება შეიძლება ფრიად სასარგებლოც აღმოჩნდეს, როცა იგი მხარს დაუჭერს ძლიერი წინააღმდეგობის მოძრაობას ქვეყნის შიგნით. ამ შემთხვევაში, მაგალითად, საერთაშორისო ბოიკოტი, ემბარგო, დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტა, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან გარიცხვა, გაეროს ორგანოების მიერ გაკიცხვა და ა.შ. შეიძლება დიდად დაეხმაროს დემოკრატიულ ძალებს. მიუხედავად ამისა, წინააღმდეგობის ძლიერი შინაგანი მოძრაობის გარეშე ასეთი მოქმედება, საეჭვოა, განხორციელდეს.

### ულმობელი ჭეშმარიტების წინაშე

დასკვნის გაკეთება ადვილი არ არის. დიქტატურის ეფექტიანი დამხობა მინიმალური დანაკარგებით, ოთხი პირველი რიგის ამოცანის გადაწყვეტას საჭიროებს:

**— აუცილებელია ჩაგრული მოსახლეობის გამბედაობის, საკუთარ თავში დარწმუნებისა და წინააღმდეგობის გაწევის ჩვევების განმტკიცება;**

**— აუცილებელია ჩაგრული ხალხის, დამოუკიდებელი სოციალური ჯგუფებისა და ინსტიტუტების განმტკიცება;**

**— აუცილებელია მძლავრი წინააღმდეგობის შექმნა;**

**— აუცილებელია, შემუშავდეს გათავისუფლების გონივრული, სტრატეგიული გეგმა და ზუსტად შესრულდეს იგი.**

გათავისუფლებისთვის ბრძოლა მოითხოვს საკუთარი ძალების იმედად ყოფნას და ქვეყნის შიგნით მებრძოლი ჯგუფის გაძლიერებას...

ოპოზიციის დამოუკიდებელი ძალის წინაშე, ბრძნული სტრატეგიის, დისციპლინებული და გაბედული მოქმედებისა და რეალური ძალის პირობებში, დიქტატურა ბოლოს და ბოლოს დაემხობა. მაგრამ ამისთვის ოთხი მითითებული მოთხოვნის შესრულებაა აუცილებელი.

როგორც ზემოთ თქმულიდან ჩანს, **დიქტატურისგან გათავისუფლება დამოკიდებულია ხალხის უნარზე, გათავისუფლდეს საკუთარი ძალებით.** პოლიტიკური დაუმორჩილებლობის წარმატებული მაგალითები, ანუ პოლიტიკური მიზნების მისაღწევად არაძალადობრივი ბრძოლის მაგალითები, რომლებიც ზემოთ იყო დასახელებული, გვიჩვენებს, რომ მოსახლეობისთვის არსებობს საკუთარი ძალებით თავისუფლების მოპოვების საშუალებანი, მაგრამ ასეთი საშუალებანი სათანადოდ არ არის დამუშავებული. ამ საშუალებებს მომდევნო თავებში განვიხილავთ. ახლა კი ვისაუბრებთ მოლაპარაკების საკითხზე, როგორც დიქტატურის შერყევის ერთ-ერთ ხერხზე.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# მორწმუნე ადამიანის ლოცვა შვიდ წინა და სამ მომავალ თაობას სწვდება

**სამწუხაროდ, თანამედროვე ადამიანები სულ განკითხვაში ვართ და გვიჭირს ერთმანეთის პატიება, თუმცა ჭეშმარიტმა მორწმუნემ არ უნდა ითხოვოს ღმერთისგან ვინმესთვის ის, რასაც საკუთარ თავს არ უსურვებს. ქრისტიანი იმით განსხვავდება სხვებისგან, რომ გაჭირვებულებზე ლოცულობს, რადგანაც ყველაზე დიდი ვაჟკაცობაა, თუ მტრობას მტრობით არ უპასუხებთ. რატომ არ უნდა განვიკითხოთ მოყვასი?.. სწორედ ამ თემაზე გვესაუბრება დეკანოზი ამირან ამირანაშვილი, თბილისის სიონის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის მოძღვარი.**





— **მამაო, რატომ განვიკითხავთ ადამიანები ერთმანეთს?**

— უხილავის ჭვრეტის უნარი არ გვაქვს. ისეთი დაბრმავებულები ვართ შინაგანის დანახვაში, რომ ხშირად ადამიანს განვსჯით გარეგნულად იმის მიხედვით, თუ როგორ უჭირავს თავი, როგორი ხმა აქვს, რანაირად მეტყველებს და არ ვფიქრობთ, რამხელა უფსკრულია ყოველივე ამის მიღმა. ადამიანის გარეგნობის მიღმა მთელი მისი ცხოვრება, ტანჯვა, ოცნება, გაცრუებული იმედები, გაბოროტებაა, სხვათა სისასტიკითა და გულგრილობით გამოწვეული.

— **როგორი დამოკიდებულება უნდა გვქონდეს მოყვასთან?**

— ამაზე ყველა ქრისტიანი უნდა დაფიქრდეს... რა დამოკიდებულება გვაქვს მათ მიმართ, ვინც უცხოა და არ გვიყვარს, შესაძლოა, გვძულს კიდეც... უმიზეზოდ ან, იქნებ, რაიმე ქცევისა თუ ნათქვამის გამო. მოდი დავეკითხოთ საკუთარ თავს, რატომ გვიყვარს ის, ვინც გვიყვარს?.. იქნებ, იმიტომ, რომ გვეპირფერება ან, იქნებ, იმიტომ, რომ მასთან თავისუფლად ვართ, ანდა გულუბრყვილოა და ადვილად ვატყუებთ, თავს იმად ვაჩვენებთ, ვისი დანახვაც სურს ჩვენში?..

— **რისკენ უნდა ისწრაფვოდეს ნამდვილი ქრისტიანი?**

— ზაქეს იგავს შეგახსენებთ!.. მან დიდების მოყვარეობაზე გაიმარჯვა. არად ჩააგდო ადამიანთა დაცინვა, გაკიცხვა, რადგანაც ქრისტეს დანახვა სჭირდებოდა. ზაქე სხვა რამეს არ ეძებდა, არაფერზე ოცნებობდა. რა გააკეთა მან, როცა ქრისტემ უხმო? წარსული ცხოვრების გამო მხოლოდ სიტყვიერ მონანიებას როდი დასჯერდა, თავი ვალდებულად ცნო, ოთხმაგად დაებრუნებინა ყველასთვის, შეცდომები გამოესწორებინა, საფუძვლამდე დაერღვია ცხოვრებაში ჩადენილი ყოველი უსამართლობა, რათა მომავალში აღარავინ გამხდარიყო მისი მსხვერპლი.

— **როდის გვპატიობს ღმერთი ცოდვებს?**

— გამოსწორების შემთხვევაში!.. სამწუხაროდ, იშვიათია ბოროტების გამოსწორების სურვილი ადამიანებში, სინანულისა და აღსარების შემდეგაც კი. მონანიება არ არის საკმარისი, ვალი უნდა გადავიხადოთ ზაქესავით.

— **განა სინანული არ არის საკმარისი?**

— აღსარება, ღვთის წინაშე სინანული, მოძღვართან სირცხვილის გამოხატვა, ყოველივე სიცრუეა, თუ არ გამოვსწორდებით, თუ არ ვუმკურნალებთ სულს, რომელსაც ვატკინეთ. უნდა გამოვასწოროთ სხვათა მიმართ ჩადენილი ბოროტება, ნებსით თუ უნებლიეთ, ჩვენი სიბრმავით, სხვათა ბედისა და საკუთარი სინდისისადმი გულგრილობით. სამწუხაროდ, იმ მცნებებსაც არ ვიცავთ, ზეპირად რომ ვიცით. შევდივართ ტაძარში, დაუდევრად ვისახავთ პირჯვარს, აქეთ-იქით ვიყურებით და ვერ ვგრძნობთ, რომ ღვთის სახლში ვართ, იმ ადგილას, სადაც ანგელოზები კრძალვით დგანან ღვთის წინაშე, ჩვენ კი ყველაფრის „უფლება გვაქვს“, რასაც ეკლესია გვთავაზობს...

— **რას გულისხმობთ?**

— „უფლება გვაქვს“ მივიღოთ ცოდვათა შენდობა, რომელთა გამოსწორებასაც არ ვაპირებთ, ვეზიაროთ წმიდა საიდუმლოს, რადგანაც შევინანეთ საკუთარი არასრულყოფილება. რომელი ჩვენგანი ჰგავს მეზვერეს, რომელიც ღვთის სახლში შესვლას ვერ ბედავს? დიახ, ის მეზვერე იყო, მაგრამ ცოცხალი სინდისი ჰქონდა. იცოდა, ვინ არის ღმერთი.

— **სინანული არაფერს ნიშნავს?**

— ბევრს ჰგონია, რომ საკმარისია სინანულის გამოხატვა და ღმერთი მოგვიტევებს. ტყუილია, უსასყიდლოდ ვერავინ მიიღებს ცოდვათა შენდობას. ღმერთი გვაპატიებს, მაგრამ რა მნიშვნელობა ექნება ამას, თუ ჩვენი ცხოვრება არაფრით შეიცვლება? თუ საკუთარი თავი შეიცანით, როგორ შეგიძლიათ, არ აპატიოთ სხვას, თქვენსავით უმწეოს საკუთარი ვნებებისა და ბოროტების წინაშე? განა შეგიძლიათ, ვინმე განსაჯოთ?.. მიდით მასთან, ვისზეც ყველაზე მეტად ხართ გაბოროტებული ან ვინც სხვებზე ძალიან გაწყენინათ და პატიება სთხოვეთ იმ გრძნობისთვის, რაც მის მიმართ გაქვთ. ილოცეთ, რომ თქვენთვის საძულველმა ადამიანმა შესთხოვოს ღმერთს, მოგანიჭოთ მიტევების უნარი.

— **წყენის დავიწყება იოლი არ არის...**

— ლოთობისა და მრუშობისთვის თავის დანებებაზე ძნელია იმ წყენის დავიწყება, რაც სხვისგან მოყენებული შეურაცხყოფით სახლდება ჩვენში. ქრისტიანობა მოგვიწოდებს, არ ჩავიდოთ წყენა გულში, სიძულვილით არ განვიმსჭვალოთ. როცა კაცი შინაგანად ვერ პატიობს სხვას, მის ქრისტიანობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. თუ ადამიანს რწმენა აქვს, მან ისიც იცის, რა საშინელებაა ჯოჯოხეთი და იქ გასაგზავნად ვერავის გაიმეტებს. ადამიანი ხომ სწორედ ცოდვათა მიუტევებლობით ხვდება ჯოჯოხეთში. სახარებაში ვკითხულობთ: „თუ არ მიუტევებთ ერთმანეთს შეცოდებებს, არც მე მოგიტევებთ მათ“, — ბრძანებს უფალი. სამწუხაროდ, იმის ნაცვლად, რომ სხვისი მდგომარეობა გავიზიაროთ, განკითხვას ვიწყებთ. ამასთან დაკავშირებით გამახსენდა... ერთხელ მონასტერში სტუმრად მისულმა ბერმა იმდენი ჭამა, რომ განკითხვაში ჩააგდო ბერები. მიხვდა ამას და გულახდილად აღიარა, ექვსი დღეა, არაფერი მიჭამიაო. თითქოსდა უმნიშვნელო ამბავია, მაგრამ — ბევრის მთქმელი. ამიტომ თავი უნდა შევიკავოთ განკითხვისგან, მოთმინება და დაფიქრება გვმართებს, სანამ რამეს ვიტყვით. ადამიანის შინაგანი მდგომარეობა უნდა გავიაზროთ და ვუთანაგრძნოთ.

— **როცა ადამიანი ტაძარში შეუფერებლად ჩაცმული შემოდის ან მარხვას არ ინახავს, მაშინაც არ მივცეთ შენიშვნა?**

— გოგონა, რომელიც ტაძარში შარვლით შემოვიდა და მკაცრადაც განვიკითხეთ ამისთვის, შეიძლება მონასტერში წავიდეს და მონაზვნად აღიკვეცოს. დღეს თუ არ იცის, რომ ტაძარში შარვლით შესვლა არ შეიძლება, ეს იმას არ ნიშნავს, რომ თავს უფლება მივცეთ, მკაცრად მოვეპყრათ. რაც შეეხება მარხვას, ზოგს არ შეუძლია შენახვა, არც ეს უნდა გახდეს განკითხვის საბაბი, რადგანაც არ ვიცით პიროვნების შინაგანი მდგომარეობა. გარეგნულად, შეიძლება, ძლიერი ჩანდეს, მაგრამ მზად არ იყოს ეშმაკთან საბრძოლველად, ამიტომ ნურავის განიკითხავთ.

— **ზოგიერთები მარხვას იმიტომ არ ინახავენ, რომ ჰგონიათ, უჭმელობით დაავადდებიან...**

— მარხვა ზოგიერთი საკვებისგან თავის შეკავებასა და, საერთოდ, საკუთარ ვნებებთან ბრძოლას ნიშნავს. ვისაც ჰგონია, რომ უჭმელობით დაავადდება, ძალიან ცდება. მათ გასაგონად, მინდა, ვთქვა: ყოველგვარი სენი ღვთისგან მოდის და არა — საკვების შეზღუდვისგან. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ადამიანი ღმერთს მხოლოდ მარხვისა და ლოცვის დროს შეიგრძნობს.

— **მამაო, თქვენ თვითონ აღნიშნეთ, რომ წყენის დავიწყება ძალიან ძნელია, როგორ მოვახერხოთ პატიება?**

— ამასთან დაკავშირებით ერთ ამბავს გავიხსენებ... მორწმუნე ქალს მეძავობა დასწამეს, რამაც ძალიან გაამწარა და ღმერთს მთელი ღამე თანასოფლელთა დასჯას ევედრებოდა. დილით გარეთ გამოვიდა და რას ხედავს, სოფელი მიწასთანაა გასწორებული. აი, მაშინ მიხვდა, რაც გააკეთა და საშინლად ინანა.

— **რით გამოისყიდა დანაშაული?**

— სინანულში ჩავარდნილმა დარჩენილი ცხოვრება ლოცვა-ვედრებაში გაატარა. იგი ღმერთს სთხოვდა, შეენდო მისი თანასოფლელებისთვის ცოდვა და სასუფეველში დაემკვიდრებინა ისინი. მორწმუნე ადამიანს ღმერთი უსმენს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, სხვისი დაღუპვა ვითხოვოთ, იმ ქვეყნად მისი სულისთვის ჩვენ მოგვთხოვენ პასუხს. ამიტომ, როცა ვილაც სცოდავს, კი ნუ დაწყევლით, არამედ პირიქით, ილოცეთ, რომ ღმერთმა შეუნდოს. მერწმუნეთ, ეს უფრო მეტია ღვთის წინაშე, ვიდრე მხილება.

— **მარხვის დროს ბევრ წინააღმდეგობას აწყდება ხოლმე ადამიანი. რატომ ხდება ასე?**

— ადამიანი მარხვას რომ შეუდგება, ხან ეჩხუბებიან, ხან ტყუილად უხირდებიან, მაინცდამაინც მაშინ შესთავაზებენ ისეთ კერძებს, სანატრებელი რომ ჰქონდა. შევეცდები, აგიხსნათ, რატომ ხდება ასე... საერთოდ, მარხვა უფლისადმი ერთგულების გამოხატვაა. რამდენჯერაც დავეცემით, იმდენჯერ უნდა წამოვდგეთ და გზა გავაგრძელოთ. ზოგჯერ ადამიანი მარხვას სიწუწკის გამო არღვევს, რითაც ამჟღავნებს ამქვეყნიურ სიამეთა სიყვარულს, მაგრამ ამან ხელი არ უნდა ჩაგვაქნევინოს. ტალახში თუ ჩავვარდით, არ ავდგებით და წუმპეში წოლას გავაგრძელებთ? რა თქმა უნდა, არა! მარხვის დარღვევის დროსაც ასე უნდა მოვიქცეთ. უფალმა მონანიების შესაძლებლობა მოგვცა, რაც ყველაფრის თავიდან დაწყების შანსია. წავიქცევით? უნდა წამოვდგეთ! ისევ წავიქცევით? ისევ უნდა წამოვდგეთ და ასე გავაგრძელოთ, სანამ ფეხზე მყარად არ დავდგებით.

— **მარხვის დროს ლოცვაშიც ხშირად ეშლება ხელი ადამიანს...**

— ნუ გაგიკვირდებათ, თუ მარხვის დაწყებისთანავე განსაცდელს განსაცდელი მოჰყვეს თქვენს ოჯახში, ანუ ისეთი გარემო შეიქმნას, რომ ლოცვაში ხელი შეეშალოს.

— **რა არის ამის მიზეზი?**

— ამგვარ ოინებს ბოროტი აწყობს. მარხვა რომ დაიწყეთ, ე.ი. უფლისკენ მიიხედეთ, რაც ეშმაკის დაგმობას ნიშნავს, უწმინდურს ხელიდან ეცლებით და ისიც ცდილობს, დაბრკოლებები შეგიქმნათ და ძველ ცხოვრებაში დაგაბრუნოთ, განწმენდაზე უარი გათქმევინოთ. სწორედ ის აგზავნის სხვადასხვა ადამიანს თქვენს გასაღიზიანებლად. ერთი რამ იცოდეთ: ნამდვილად არ იციან, რომ მათ ეშმაკი იარაღად იყენებს, ვერ გრძნობენ, თუ ვინმე აკეთებინებს. ამიტომ მტრულად ნუ განეწყობით და ლოცვა გააძლიერეთ, არ დათმოთ.

— **ზოგჯერ რატომ ვერ უდებს ხოლმე ლოცვას გულს ადამიანი?**

— ზოგჯერ ლოცვის დროს კაცი უცებ გრძნობს, რომ ღმერთამდე ავიდა, ღრუბლები გააპო, გული გაუთბა, მასში სიხარული შევიდა, თუმცა პირიქითაც ხდება — ლოცვას გულს ვერ უდებს, გაღიზიანებულია, რაღაც ხელს უშლის.

— **კერძოდ, რა?**

— მართალია, ადამიანი ვერ ხედავს, მაგრამ, როცა კარგად ლოცულობს, მის გარშემო ანგელოზები არიან და ბოროტს არ უშვებენ, რათა ლოცვის ძალა იგრძნოს. როცა გაძლიერდება, ხანდახან მასთან ეშმაკს უშვებენ, რომ თავისით მოერიოს. ანგელოზების მფარველობის ქვეშ ლოცვა ადვილია. როცა გაგვეცლებიან, ვმძიმდებით, მაგრამ ეს აუცილებელია სულიერი გამოწრთობისთვის.

— **ბევრისგან გამიგონია: ხასიათზე არ ვარ და თავს ლოცვას ვერ დავაძალებო...**

— ადამიანები ხშირად ასე იმართლებენ თავს, მაგრამ ხასიათზე მაშინ არიან, როცა მათთან ანგელოზია, ეს პირადი ღვაწლით კი არა, ანგელოზის შემწეობით ხდება. პირადი ღვაწლია, როცა საკუთარ თავს მოერევა და ლოცვას აიძულებს.

— **რა ვქნათ, როცა ჩვენი ლოცვა ახლობლებსაც აღიზიანებთ და თავს გვესხმიან?**

— მოთმინებითა და რუდუნებით თანდათანობით უნდა მოვაქციოთ ჩვენი ახლობლები. ყველაფერს დრო სჭირდება. ილოცეთ, რომ გონს მოეგონ. სამწუხაროდ, ადამიანები, ნაცვლად იმისა, რომ ილოცონ ერთმანეთისთვის, ახლობლების მხილებას იწყებენ და ამით კიდევ უფრო აღიზიანებენ მათ. მთვრალი რომ მოვა კაცი სახლში და ჭკუის დარიგებას დაუწყებთ, როგორ ფიქრობთ, რამეს გააგებინებთ? ყველაფრის თქმას ტაქტი უნდა. შემწეობა სთხოვეთ ღვთისმშობელს, წმიდა ნიკოლოზსა და სხვა წმიდანებს, ისინი უთუოდ დაგეხმარებიან. მორწმუნე ადამიანის ლოცვა შვიდ წინა და სამ მომავალ თაობას სწვდება.

— **ნამდვილად ძნელი წარმოსადგენია...**

— ბევრს აინტერესებს, ამდენს როგორ სწვდებაო... გიპასუხებთ: როგორ და სინდისით. მლოცველი ადამიანის შთამომავლობა სინდისზე რეაგირებს და, როცა ცუდის გაკეთება სურს, შინაგანი ხმა — სინდისი თავს ახსენებს და აჩერებს. თუ კაცს არ ჰყავს ასეთი მლოცველი, ნამუსი იკარგება, ამიტომ, შეძლებისდაგვარად ყველაზე უნდა ვილოცოთ, არავინ იცის, ვის როგორი აღსასრული ექნება. ამბობენ, სასუფეველში მოხვედრილ ადამიანს, პირველ რიგში, გაკვირვება იპყრობს.

— **რა აკვირვებს?**

— იქ ვერ დაინახავს მას, ვისაც ელოდება და ნახავს, ვისაც არ ელისო... ღმერთს ცოდვილი ადამიანი ეცოდება, ხოლო მართალი უყვარს და ისმენს მის ვედრებას, ამიტომ არასოდეს უნდა ითხოვოს სხვისთვის ის, რასაც საკუთარი თავისთვის არ ისურვებდა. ქრისტიანი გაჭირვებულზე ლოცულობს, ამით არის გამორჩეული. ყველაზე დიდი ვაჟკაცობაა, თუ მტრობას მტრობით არ უპასუხებთ, ლოცვით შეავედრეთ ღმერთს ერთმანეთი, რათა ეშმაკი დაითრგუნოს და მართლმადიდებლობამ იზეიმოს.

— **სამწუხაროდ, ადამიანები დღეს სულ ერთმანეთის განკითხვაში ვართ...**

— ერთ ამბავს მოგიყვებით... მონასტერში მსმელი ბერი გარდაიცვალა და ყველამ ჩათვალა, რომ ჯოჯოხეთში მოხვდა. ძმებმა დაიწყეს მისთვის პანაშვიდების გადახდა. ერთხელ მონასტრის წინამძღვარმა უფალს შესთხოვა, ეჩვენებინა მისთვის, თუ სად მოხვდა მსმელი ბერი. ღამით სიზმარში იხილა თეთრებში ჩაცმული გარდაცვლილი ძმა, სასუფეველში გაბრწყინებული და ჰკითხა, აქ როგორ მოხვდიო. იცით, რა უპასუხა? — ჩემს ცხოვრებაში არავინ განმიკითხავს და ღმერთმა არც მე განმიკითხაო.

ესაუბრა
**ნინო გოძიაშვილი**

# რატომ ითვლება სიზარმაცე ცოდვად

**სიზარმაცე უქმად ყოფნაა, რაც ქრისტიანისთვის დაუშვებელია. ადამიანი მოწოდებულია შრომისთვის, მან უნდა იღვაწოს და სიკეთე აკეთოს. სიზარმაცე კაცს აკნინებს.**

შეგახსენებთ უფლის მიერ ნათქვამ იგავს: ბატონმა თავის მონებს სხვადასხვა რაოდენობის ტალანტი (ფულის ერთეული) დაურიგა. ორმა მათგანმა, გარკვეული დროის მერე, ბოძებული თანხა ორმაგად დაუბრუნა პატრონს, რითაც მისი კეთილგანწყობა და ქება დაიმსახურა.

მესამემ მიწაში ჩაფლა ტალანტი, რის გამოც ბატონი განურისხდა. ყველასთვის გასაგებია ამ იგავის აზრი — ღმერთი სხვადასხვა ნიჭს აძლევს თითოეულ ჩვენგანს და მოითხოვს, გავამდიდროთ საკუთარი შრომითა და ძალისხმევით, ვიღვაწოთ სათნოებით, დავეშუროთ საღმრთო მოქალაქეობას, რაც გრიგოლ ნოსელის სიტყვებით ასე გამოითქმის: „მარადის საკუთარ თავზე მაღლა“.

ეს წუთისოფელი ჩვენთვის ერთგვარი ასპარეზია და ღვთისმოშიშებით უნდა ვიღვაწოთ. წმიდა ილია მართალი გვასწავლის, რომ ღვთისა და მამულის მსახურება, სიკეთის აღსრულება ადამიანის ღირსების საქმეა. მაცხოვარი გვირჩევს, ზეცაში მოვაგროვოთ საუნჯე და არა ამქვეყნად. ამ საუნჯის მოგროვება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა კაცი წუთისოფელში ეძლევა ღვაწლს, რომელიც სიკეთით, სათნოებითა და პატიოსანი შრომით უნდა აღასრულოს.

სიზარმაცეს იწვევს ნაყროვანება, სასოწარკვეთილება და ამპარტავნება.

# სულისთვის სასარგებლო რჩევები



● უფალი მცირე კეთილ საქმესაც არ დატოვებს უსასყიდლოდ.

● თუ სნეულება შეგეყარა, ეცადე, სარგებლობა მოგიტანოს, ავადმყოფობით შეიძლება, ბევრი დანაშაული გეპატიოს. ცოდვას გადახდა უნდა. ღმერთს სურს, თავისი მოწყალებით, აღსარებისა და ზიარების მერე სნეულებითაც გაზღვევინოს დანაშაული. ამიტომ იყავი მომთმენი და ღვთის მადლიერი. რაც არ უნდა მძიმე სენი გჭირდეს, ჯოჯოხეთის ტანჯვასთან შედარებით მაინც არაფრად ჩაითვლება.

● თუ ნაცნობს შეხვდები, ნუ დაელოდები, როდის მოგესალმება, რათა უპასუხო. ეს სიამაყისა და უგუნურების ნიშანია. მოყვარესაც და არაკეთილმოსურნესაც მუდამ პირველი მიესალმე.

● იცოდეთ, სულიწმიდას ისე არაფერი გვაშორებს, როგორც ამაო საუბრები.

● ბოროტი გულისთქმანი სულის ცხონებაში დაგვეხმარება, თუ მათ ბიწიერებას გავაცნობიერებთ, შევეწინააღმდეგებით და საქმედ არ ვაქცევთ.

● კაცის ბედნიერება მხოლოდ ის არ არის, სრულიად განთავისუფლდეს ცოდვისგან და თავისი კეთილი სურვილი შეისრულოს. ის განსაცდელი აღარ ჩაითვლება განსაცდელად, როცა ჭირს ღვთისგან მოვლენილ სიკეთედ მიიღებ.

● სხვისი ნაკლულოვანება თუ იცი, შენთანვე დაშთეს, ნურავისთან იტყვი. თუ მისი მოქცევა გინდა, განმარტოებით ელაპარაკე ტკბილად, კეთილი განზრახვით.

# წმიდა მარინემ ლეიკემიით დაავადებული ბავშვი გადაარჩინა

**ჭეშმარიტი მორწმუნისთვის, ვინც წმინდანების მეოხებით ღმერთს შეწევნას ევედრება, მიწიერ და ზეციურ ეკლესიებს შორის უშუალო კავშირი ჩვეულებრივი მოვლენაა. ამ ორიოდე წლის წინათ ვასილიუსების ოჯახი კვიპროსიდან მძიმე განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა. მათ ლეიკოზით დაავადებული მცირეწლოვანი ანდრიასთვის ზურგის ტვინის გადასარჩენად დონორი ესაჭიროებოდათ. ინფორმაცია ტელევიზიით გადაიცა, დონორიც გამოჩნდა და ოჯახი აშშ-ში გასამგზავრებლად მოემზადა, რადგან სწორედ იქ უნდა გაეკეთებინათ ბავშვისთვის ურთულესი ოპერაცია.**



როგორ გულმხურვალედ ევედრებოდნენ უფალ იესო ქრისტეს შვილის გადარჩენას მშობლები, სატელევიზიო სიუჟეტიდანაც ჩანდა. გამგზავრებამდე მათ წმიდა მარინეს სასწაულების შესახებ შეიტყვეს და გადაწყვიტეს, მისი სახელობის მონასტრიდან ლოცვა-კურთხევა აეღოთ. ისინი კუნძულ ანდროსზე მდებარე წმ. მარინეს სახელობის მონასტრის იღუმენს — არქიმანდრიტ კვიპრიანეს ტელეფონით ესაუბრნენ, რომელიც შეჰპირდა, თქვენთვის ვილოცებო და უსურვა, რომ ოპერაციის დროს წმიდა მარინე ყოფილიყო ბავშვის შემწე. მართლაც, მამა კვიპრიანეს ლოცვითა და წმიდა მარინესადმი უსაზღვრო რწმენით მშობლები პატარა ანდრიასთან ერთად აშშ-ში გაემგზავრნენ.

შესაბამისი გამოკვლევისა და მომზადების შემდეგ, პატარა ანდრია ურთულეს ოპერაციაზე შეიყვანეს, რომლის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე ქირურგთან ერთი ქალი მივიდა და განუცხადა, პატარა პაციენტის პირადი ექიმი ვარ და ოპერაციაზე დასწრება მსურსო. საუბარში ქალმა ისეთი სამედიცინო ცოდნა გამოამჟღავნა, რომ ქირურგს მასში ეჭვიც არ შეჰპარვია, თუმცა აუხსნა, რომ ასეთ რთულ ოპერაციაზე უცხო ექიმის დასწრება დაუშვებელია და მათ პრაქტიკაში მსგავსი არაფერი მომხდარა. თუმცა ქალის დაჟინებულმა თხოვნამ ქირურგს აზრი შეაცვლევინა. ოპერაციაზე შესვლამდე მან ქალი მდივანთან გაგზავნა, სადაც თავისი მონაცემები უნდა ჩაეწერა.

უცნობი ექიმი ქალი არა მარტო დაესწრო, არამედ ენერგიულად ჩაერთო პატარა ანდრიას ოპერაციის მსვლელობაში და მას რამდენჯერმე ძალზე მნიშვნელოვანი მიმართულება მისცა. ყველაფერმა კარგად ჩაიარა, ქირურგმა უცნობ ექიმ ქალს მადლობა გადაუხადა და საოპერაციოდან გამოვიდა. პატარა ანდრიას მშობლები, როგორც კი ქირურგი დაინახეს, შედეგის გასაგებად მისცვივდნენ: „ყველაფერმა კარგად ჩაიარა“, — უთხრა მათ ქირურგმა და დაამატა: „თუმცა, ვერ გამიგია, რატომ მომმართეთ მე, თუკი ასეთი ექიმი გყავდათ?“. გაოცებულმა მშობლებმა თქვეს, რომ არავითარი ექიმი არ ჩამოჰყოლიათ და ასეთ ვინმეს არც კი იცნობენ. მაშინ ქირურგმა ურჩია, ცოტაც მოეთმინათ, ვიდრე უცნობი ექიმი სხვებთან ერთად საოპერაციოდან გამოვიდოდა... ამაოდ უცდიდნენ და ეძებდნენ ყველგან უცნობ ექიმ ქალს, იგი გაუჩინარდა. პატარა ანდრიას მშობლებმა ბოლოს ივარაუდეს, ალბათ, რომელიმე ექიმი საბერძნეთიდან ან კვიპროსიდან მათი თანადგომისთვის ოპერაციაზე დასასწრებად აშშ-ში ჩამოვიდაო. ისინი მდივანთან მივიდნენ, რათა უცნობი ექიმის მისამართი მაინც გაეგოთ და მადლობა გადაეხადათ. ყველასთვის გასაოცრად, უცნობ ექიმ ქალს ჟურნალში თავისი სახელი — მარინე ანდროსიდან ჩაეწერა. ბავშვის მშობლები საკუთარ თვალებს არ უჯერებდნენ, კარგა ხანს იდგნენ გაოგნებულები. მათი თვალები სიხარულისა და წმიდა მარინესადმი მადლიერების ცრემლებით აივსო. მაშინ გაიხსენეს მონასტრის იღუმენის სიტყვები: „წადით ამერიკაში, დაე, წმიდა მარინე გყავდეთ შემწე საოპერაციაშიო“.

უსაზღვრო სიხარულითა და მადლიერებით აუწყა ვასილიუსთა ოჯახმა საინფორმაციო საშუალებებს პატარა ანდრიას გამოჯანმრთელებისა და ნამდვილი სასწაულის შესახებ. ამ ამბის შემდეგ ოჯახმა აღთქმა დადო, რომ კუნძულ ანდროსზე, წმიდა მარინეს მონასტერში, ყოველწლიურად დასწრებოდნენ ამ სასწაულმოქმედი დიდმოწამის დღესასწაულს.

ღვთის მადლით, მართლმადიდებლურ ეკლესიაში ყოველთვის მრავლად აღესრულება წმინდანთა სასწაულები, რომელთა მეშვეობით, ყოვლადმოწყალე უფალი იესო ქრისტე, თითოეული ჩვენგანის რწმენაში განმტკიცებას ცდილობს.

# კითხვა-პასუხი

**რა ასაკიდან უნდა ჩააბაროს მოძღვარს ბავშვმა აღსარება და როგორ მოვექცეთ მოზარდს გარდატეხის პერიოდში?**

— ბავშვი აღსარებას 7 წლამდე არ აბარებს მოძღვარს, იმიტომ კი არა, რომ სრულიად უცოდველია, არამედ იმიტომ, რომ საკუთარი ცოდვების გაცნობიერება და მათთან შებრძოლება არ ძალუძს, რის გამოც არ ეკისრება პასუხისმგებლობა ჩადენილ ცოდვებზე. ჩვილობა შედარებით უსაფრთხოა აღზრდის თვალსაზრისით, რადგანაც ახალშობილი მაინც უმანკოების ხატია, მისთვის უცნობია ცოდვის უსამართლობა. რაც შეეხება გარდატეხის ასაკს, მოზარდი ცდილობს თვითდამკვიდრებას, განსაკუთრებით — ოჯახში, ჯიუტობს, მშობლებს ეწინააღმდეგება. ამ დროს დედ-მამას დიდი მოთმინება მართებთ, შვილების უხეშობას მათ სიყვარული უნდა დაუპირისპირონ. წმიდა იოანე ოქროპირი წერს: „როგორები იქნებიან ბავშვები გარდატეხის ასაკის შემდეგ, კარგები თუ ცუდები, არავინ იცის ღმერთის გარდა. ეს ყველაზე ძნელი ასაკია ადამიანისთვის“.

**ამბობენ, საიქიოში ყველა 33 წლისა იქნებაო. მართალია?**

— ითვლება, რომ ჯანმრთელობისა და ცხოვრების ნორმალური პირობების შემთხვევაში ადამიანის ხორციელი ბუნება ოპტიმალურ მდგომარეობას 33 წლის ასაკში აღწევს. ეს პერიოდი ქრისტეს ასაკად იწოდება, რადგანაც მაცხოვარი 33 წლისა აღესრულა ჯვარზე. გარდაცვალებისას ადამიანური ბუნების გახლეჩა სულად და ხორცად დროებითი მოვლენაა. ადამიანი მარადისობას სრული ბუნებით იმკვიდრებს, სულითაც და ხორცითაც. თუმცა შეუძლებელია, ითქვას, თუ როგორი იქნება მკვდრეთით აღმდგარი ადამიანის ხორციელი ბუნება, რამეთუ ამის გამოცდილება არ გაგვაჩნია, ამიტომ გამოთქმა „ვიქნებით 33 წლისანი“, უფრო სრულყოფილების, ქრისტესთან მიმსგავსების მაჩვენებელია. შენიშვნის სახით დავძენ, რომ აქ საუბარია გადარჩენილ, ანუ ცხონებულ ადამიანებზე.

**რატომ არ შეიძლება ჯვრისწერა მაისში?**

— რა თქმა უნდა, შეიძლება, მაგრამ არსებობს ცრურწმენა, თანაც, რუსული, თითქოს მაისში ჯვრისწერა არ შეიძლება. სამწუხაროა, რომ ხალხი აყოლილია ამ ცრურწმენას.

რუბრიკას უძღვება **ნინო გოძიაშვილი**

# ქრისტე ღმერთია ჩვენი, შენ კი ანგელოზი ხარ ჩემი!..

# სოფიკო (დოდო) კობიაშვილი-ციხისთავის გახსენება

**ბატონ გია ციხისთავს სიკვდილმა უდროოდ წაართვა უსათნოესი მეუღლე, ერთგული მეგობარი და კეთილშობილებით გამორჩეული პიროვნება — ქალბატონი დოდო (სოფიკო). მის ცხოვრებაში გაჩნდა სიცარიელე, რომელსაც ვერავინ და ვერაფერი ავსებს. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ბატონმა გიამ მის არქივში შემთხვევით იპოვა მისი და მისი მეუღლის წერილები, ერთმანეთისთვის სხვადასხვა დროს მიწერილი, რომლებსაც თურმე ქალბატონი დოდო ინახავდა.**



ახლა მას ამ გაყვითლებულ ფურცლებზე შემორჩენილი სტრიქონებიღა ეფერება მეუღლის ნაცვლად, ეჩურჩულება სიყვარულით გამთბარ სიტყვებს: „ღმერთს ვთხოვ, ხანგრძლივი, ჯანმრთელი, ლამაზი სიცოცხლე გაჩუქოს. კარგად მეყოლე, ჩემო ციხევ და გალავანო, გკოცნი შენი ერთგული მეუღლე“... ეს არის ნაწყვეტი ბარათიდან, რომლითაც დოდო ქმარს დაბადების დღეს ულოცავს. ბატონმა გიამ არქივში თავისი წერილიც იპოვა. აი, რას ევედრება იგი ავადმყოფ მეუღლეს: „ჩემო სიცოცხლევ, კიდევ ერთხელ და საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლია. გთხოვ, რაც შეიძლება მალე გამოჯანმრთელდე და მხარი დამიმშვენო“.

უცრემლოდ ვერ კითხულობს ქორწინების 25 წლისთავზე დოდოს ხელით დაწერილ ბარათს: „25 წელიწადი ერთად გაგვიტარებია, ერთმანეთის ღირსება და ნაკლი შეგვიცნია. სიხარულიც ყოფილა ჩვენს ცხოვრებაში და გულისტკივილიც, გაჭირვებაც და დალხინებაც, მაგრამ ყველაფერს ერთად მოვერიეთ: შენ — უკეთესად, მე — როგორც შემეძლო, ოჯახს გავუძეხით, შვილები აღვზარდეთ. მაპატიე, თუ ამ წლების მანძილზე ვერ გაგიმართლე ყველა იმედი, ყოველთვის ვერ გედექი მხარში ისე, როგორც ეს შენ გჭირდებოდა, მაგრამ იცოდე, რომ მიყვარდი და ყოველთვის განვიცდიდი ამას, განსაკუთრებით ბოლო წლებში. შევუნდოთ ერთმანეთს, შეგვინდოს უფალმა! ჩემი საყრდენი, სიამაყე და იმედი იყავი მუდამ, ოჯახის მძიმე ტვირთის მზიდველი, რომელსაც დღენიადაგ მიმსუბუქებდი, რისთვისაც დიდად მადლობელი და მადლიერი ვარ. ღმერთმა გაგამარჯვებინოს შენი ვაჟკაცური, უღალატო ბუნებით. უფალმა დაიფაროს ჩვენი ოჯახი ყოველივე ავისგან და ერთი წუთითაც ნუ მაცოცხლოს უშენოდ“.

ქალბატონი დოდო ხშირად ავადმყოფობდა და 1991 წლის აღდგომასაც საავადმყოფოში შეხვდა. აი, რა მისწერა ბატონმა გიამ ძვირფას მეუღლეს: „გილოცავ ქრისტეს აღდგომის დღეს, ამ უდიდეს დღესასწაულს. ქრისტე ღმერთია ჩვენი, შენ კი ანგელოზი ხარ ჩემი! გკოცნი ღვთიური სიყვარულით. ქრისტე აღსდგა!..“ ქალბატონმა დოდომ, მართლაც, ანგელოზივით იცხოვრა, ყველას გაჭირვება მიჰქონდა გულთან, მუდამ მზად იყო, დახმარებოდა მოყვასს, ხშირად შეუძლებელს აკეთებდა მათთვის, დასნეულებულიც სხვებზე ზრუნავდა სიცოცხლის ბოლომდე... ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი უკვდავი სული!

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# 13 წლის გოგონა მამამ დააფეხმძიმა!

**რამდენიმე დღის წინათ თბილისის ერთ-ერთი უბნის მცხოვრებლებმა ამაზრზენი ამბავი შეიტყვეს. მათ მეზობლად მცხოვრებმა მამაკაცმა საკუთარი, 13 წლის ქალიშვილი გააუპატიურა, თანაც — არაერთგზის. გაუპატიურება თავისთავად შემზრავი ფაქტია, მაგრამ ამ ისტორიაში კიდევ უფრო შემზარავია ის ფაქტი, რომ გოგონა საკუთარი მამისგან დაფეხმძიმდა(!). იგი 5 თვის ორსულია.**

13 წლის მ. გ.-ს (ეთიკური მოსაზრების გამო მოქმედ პირთა გვარს არ ვასახელებთ) მამა — რ. გ. სამართალდამცველებმა 20 ნოემბერს, დაახლოებით საღამოს 8 საათზე სამსახურში დააკავეს, მაგრამ იგი თავს დამნაშავედ არ ცნობს.

რ. გ. თავიდან ყველაფერს უარყოფდა და ამბობდა, რომ მისი ქალიშვილი **„უზომო ჭამისგან ღორივით გასუქდა და მუცელიც ამიტომ გამოებერა“**, თუმცა ბოლოს მაინც აღიარა.

რ. გ.-ს მიმართ ერთდროულად რამდენიმე მუხლით არის სისხლის სამართლის საქმე აღძრული – სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან და სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება. პირველი სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ან 1-დან 3 წლამდე თავისუფლების შეზღუდვით ისჯება, ხოლო მეორე 4-დან 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ამ ოჯახში დატრიალებული უბედურება დაკავებულის მეუღლისთვის მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც დედამ შვილს ცვლილებები შეამჩნია – ბავშვს მუცელი გამოებერა, გასუქდა.

დედა მიხვდა, რომ მისი შვილი ფეხმძიმედ იყო და მხოლოდ იმის გაგებას ცდილობდა, თუ ვისგან დაფეხმძიმდა მისი 13 წლის გოგონა. როდესაც ბავშვმა სიმართლე თქვა, ალბათ, ძნელი წარმოსადგენი არ არის დედის რეაქცია. ამის გამგონე ბიძა (დედის ძმა) სიძის მოსაკლავად გარეთ გავარდა. მართალია, სიძის სამსახურის ზუსტი მისამართი მისთვის უცნობი იყო, მაგრამ დაახლოებით იცოდა, სად მდებარეობდა.

ამასობაში, მომხდარის შესახებ მეზობლებმაც შეიტყვეს, რადგან გამწარებულმა დედამ სიმწრისაგან კივილით მთელი სადარბაზო შეძრა. ბუნებრივია, ხმაურზე მეზობლები გამოვიდნენ. როდესაც შეიტყვეს, რომ გოგონას ბიძა მამამისის მოსაკლავად გაქცეულიყო, მაშინვე პოლიცია გამოიძახეს. სამართალდამცავებმა ბავშვის ბიძას ადგილზე მისვლა დაასწრეს და რ. გ. დააკავეს.



მან შვილთან სექსუალური კავშირის თაობაზე თქვა, რომ ეს პირველად რამდენიმე თვის წინათ მოხდა, შემდეგ კი სისტემატიური ხასიათი მიიღო. პირველი შემთხვევა მან ასე აღწერა: **„სახლში მარტო ვიყავით, მე დივანზე წამოწოლილი ტელევიზორს ვუყურებდი. მ.-ს ვუთხარი, რომ საჭმელი გამოეტანა. მას „ელასტიკი“ ეცვა, როცა პურის ასაღებად დაიხარა, გავღიზიანდი და მასთან სქესობრივი კავშირი დავამყარე,“** — ამბობს მოძალადე მამა.

თუმცა ის სულაც არ თვლის, რომ მოძალადეა, რადგან, როგორც განაცხადა, ეს პირველი შემთხვევა იყო ძალმომრეობითი, თორემ სხვა დროს შვილთან სექსუალური კავშირი ნებაყოფლობით ხდებოდა. მას თავხედობა ეყო და გამომძიებას ისიც კი უთხრა, რომ მისი გოგონა ქალიშვილი არ აღმოჩნდა.

იგი ამბობს, რომ თავს დამნაშავედ არ თვლის, რადგან მასსა და მის ქალიშვილს შორის ყველაფერი ნებაყოფლობით ხდებოდა.

რაც შეეხება თავად გოგონას, იგი ამბობს, რომ მამა მას მოკვლით ემუქრებოდა, თუ ვინმეს სიმართლეს უამბობდა. ამიტომ ის იძულებული იყო, მამის ნება-სურვილი შეესრულებინა. იგი უკვე 5 თვის ორსულია.

აღსანიშნავია, რომ ეს ოჯახი თბილისში რაიონიდან რამდენიმე წლის წინათ ჩამოვიდა. საგულისხმოა, რომ ორი შვილი — 18-19 წლის ბიჭები — რაიონში გადავიდნენ საცხოვრებლად. მართალია, ვერსიებზე საუბარი ჯერ ნაადრევია, რადგან გამოძიება ახლახან დაიწყო, მაგრამ ერთ-ერთი ვერსიით, გამოძიება არ გამორიცხავს, რომ შესაძლოა მამას თავის ბიჭებთანაც „იალღიში“ მოსვლოდა. ამას გამოძიება დაადგენს, ხოლო მოძალადე მამას ფსიქიატრიულ ექსპერტიზასაც დაუნიშნავენ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ რ. გ.-ს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა უკვე შეუფარდა. აღსანიშნავია, რომ როგორც ოჯახმა, ასევე დაკავებულის ნაცნობებმა, ნათესავებმა მისთვის ადვოკატის აყვანაზე უარი განაცხადეს. მეტიც, აღმკვეთი პროცესი დახურეს, რადგან იქ მისულ ხალხს ბრალდებული არ ჩაექოლა.

ამ შემზარავი ისტორიის დეტალებს ნათელი ორი თვის შემდეგ მოეფინება, როცა საქმეზე წინასწარი გამოძიება დასრულდება და სასამართლოში საქმის არსებითი განხილვა დაიწყება. თუ როგორ განვითარდება მოვლენები საქმის გარშემო, ამის შესახებ ინფორმაციას ჩვენს მკითხველს მომავალში მივაწვდით.

**ნანა არევაძე**



# საგადასახადო ოფიცრები მცირე მეწარმეების დასაჯარიმებლად მანანწალა ბავშვებს იყენებენ



**ბიუჯეტში თანხების მობილიზება სერიოზულად ჭირს. მართალია, ხელისუფლება ამ ფაქტს არ აღიარებს, მაგრამ ამის დასტურია თუნდაც პარლამენტში მიხეილ სააკაშვილის ბოლო გამოსვლა. ბატონმა პრეზიდენტმა საკანონმდებლო ორგანოს ეკონომიკური თავისუფლების აქტი წარუდგინა და მთავრობის მიერ ქამრების კიდევ უფრო შემოჭერის აუცილებლობაზე გააკეთა აქცენტი. სხვათაშორის, 2010 წლის ბიუჯეტის პროექტში ხარჯვითი ნაწილი საკმაოდ შემცირებულია.**

ხელისუფლება ერთგვარი დილემის წინაშე დგას, როგორ შეასრულოს საკუთარი მოსახლეობისთვის მიცემული დაპირებები, როგორ გაისტუმროს სახელფასო, საპენსიო და სოციალური ვალდებულებები და როგორ დაეხმაროს სტიქიური უბედურებებით დაზარალებულთ. მითუმეტეს მაშინ, როცა სულ რაღაც ექვს თვეში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ტარდება. მოსახლეობამ თბილისის მერი პირდაპირი არჩევნების გზით უნდა აირჩიოს. ქვეყანაში კი წასართმევ-წასაგლეჯი და გასაყიდ-გასასხვისებელი თითქმის აღარაფერი დარჩა, რითაც ხელისუფლება საკუთარი კანდიდატის წინასაარჩევნო კამპანიას დააფინანსებს და მოსახლეობაც შეძლებისდაგვარად კმაყოფილი ეყოლება. სახელისუფლებო ტერორსა და ეკონომიკურ კრიზისს შეწირულ ბიზნესს აღარ შესწევს ძალა, ხელისუფლებას ხარკი უხადოს.



ბიუჯეტში თანხების მობილიზებისთვის მმართველი გუნდი აქტიურად იყენებს საერთაშორისო დახმარებებს, საბანკო სექტორიდან შიდა ვალი აიღო და პარალელურად ადმინისტრაციული მექანიზმებიც გაამკაცრა. მაშინ, როცა მიხეილ სააკაშვილი ეკონომიკური თავისუფლების აქტით, რომლის ძირითადი პრინციპები თავისუფლება, შესაძლებლობა, თანასწორობა და ღირსებაა, საკანონმდებლო ორგანოს წინაშე თავს იწონებდა, პრეზიდენტის „ამბიციური დოკუმენტით“ აღფრთოვანებული საპარლამენტო უმრავლესობა კი ტაშის დაკვრით ხელისგულებს იტყავებდა, მცირე ბიზნესს კალიასავით შესეული საგადასახადო ინსპექცია ატერორებდა. ქალაქში თითქმის არ დარჩა მეწარმე, რომელიც ერთხელ მაინც არ დაჯარიმებულა სალარო აპარატის გაუმართაობის, საქონელზე ფასის აღმნიშვნელი ეტიკეტის უქონლობის, კლიენტისთვის საერთოდ გამოუწერელი ან შეცდომით გამოწერილი ქვითრის მიზეზით. თუ აქამდე მეწარმეს შეეძლო ჯარიმის ეტაპობრივად დაფარვა, ახალი „ინსტრუქციით“ საჯარიმო უწყების მოსვლიდან უმოკლეს ვადაში სრულად უნდა გადაიხადოს თანხა. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამორიცხული არ არის, ობიექტი დაულუქონ და ფინანსურმა პოლიციამ მისი სამეწარმეო საქმიანობის შესწავლა დაიწყოს. საგადასახადო ოფიცრები მეწარმეებს ადმინისტრაციული მექანიზმების გამკაცრების მიზეზს შემდეგნაირად განუმარტავენ: **„მიწისძვრამ და წყალდიდობამ ნახევარი საქართველო დააზარალა. ხალხს დახმარება სჭირდება. ბიუჯეტში ფული არ არის და დროულად უნდა გადაიხადოთ. მთავრობამაც რა ქნას“...**

საგადასახადო ინსპექცია ჩასაფრებულია, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, როგორმე დააჯარიმოს მეწარმე. მიზნის მისაღწევად მაწანწალა ბავშვებსაც კი იყენებს. **„ერთი ბავშვი, რომელიც ხშირად მინახავს, ქუჩაში მოწყალებას როგორ თხოულობდა, მთელი კვირის განმავლობაში თითქმის ყოველდღე შემოდიოდა მაღაზიაში,** — აღნიშნა ჩვენთან საუბრისას ერთ-ერთმა რუსთაველმა მეწარმემ, — **ხან ჯოხიან კანფეტს ყიდულობდა, ხან — კევს, ბოლოს 20-თეთრიანი სანთებელა იყიდა. ჩეკს ყოველთვის ვუწერდი, მაგრამ იმ დღეს ძალიან ბევრი კლიენტი მეხვია გარს და სიჩქარეში ჩეკის გამოწერა დამავიწყდა. თითქოს მიწიდან ამოძვრნენო, მაშინვე ორი ზორბა კაცი დამადგა თავს. ოქმი შეადგინეს და 600 ლარით დამაჯარიმეს. ვერ წარმოვიდგენდი, რომ ერთი კვირის განმავლობაში მაწანწალა ბავშვს მიგზავნიდნენ, როგორმე რომ დავეჯარიმებინე“.**

არა ერთი და ორი ფაქტია, როცა მეწარმეების „გამოსაჭერად“ მოზარდებს იყენებენ. ან კი რა გასაკვირია, ყველანაირი მეთოდით შეეცადონ, რაც შეიძლება მეტი მეწარმე დააჯარიმონ, მაშინ, როცა, როგორც ამბობენ, თითოეულ შედგენილ საჯარიმო ოქმზე ფულადი პრემიებით ახალისებენ და ერთგვარი გეგმაც კი აქვთ, დღის განმავლობაში რამდენი ოქმი უნდა შეადგინონ.

ბიუჯეტში თანხების მობილიზება რომ ჭირს და ხელისუფლება ყველანაირ ადმინისტრაციულ მეთოდს იყენებს ხაზინის შესავსებად, **ექსპერტი ეკონომიკის საკითხში, ბატონი დავით ნარმანიაც** ადასტურებს და თვლის, რომ გამკაცრებული ადმინისტრაციული მექანიზმები ბიზნესსექტორში შექმნილი პრობლემების მხოლოდ ერთი მხარეა, ხელისუფლების მიერ წარდგენილი ეკონომიკური თავისუფლების აქტი კი ზოგადი დოკუმენტია, რომელზეც კომენტარის გაკეთება შეუძლებელია მანამ, სანამ ის კონკრეტულად გაწერილი გეგმის სახეს არ მიიღებს.

**დავით ნარმანია:** „ხშირად კანონმდებლობა ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებებს მოიცავს და მას სხვადასხვანაირად აღიქვამენ სახელმწიფო ორგანოებისა და ბიზნესის წარმომადგენლები. ეს განსაკუთრებით საგადასახადო კოდექსს ეხება და დღესდღეობით ქართული ეკონომიკის ყველაზე სერიოზული პრობლემაა. პრობლემას წარმოადგენს ბიზნესის მარეგულირებელი კანონმდებლობაც, რომელსაც ცალკეული ცვლილება კი არ სჭირდება, როგორც ამას ხელისუფლება გვთავაზობს, არამედ სერიოზული სამართლებრივი და ეკონომიკური ექსპერტიზა. მისაღებია ბევრი ახალი კანონი, რის შემდეგაც შეიძლება ვილაპარაკოთ მოწესრიგებულ სისტემაზე და ისეთ ბიზნესგარემოზე, რომელშიც ნაკლებად ჩაერთვება სახელმწიფო“.

**— ბატონო დავით, ეკონომიკური თავისუფლების აქტში საუბარი არ არის ანტიმონოპოლიური სამსახურის შექმნაზე. როგორც ექსპერტი, როგორ ფიქრობთ, აღნიშნული სამსახურის აღდგენა გააუმჯობესებს ბიზნესგარემოს?**

— ხელისუფლება შეგნებულად არიდებს თავს ამ საკითხზე საუბარს, რადგან რეალურად ქმედითი ანტიმონოპოლიური სამსახური რომ შეიქმნას, ბევრი ისეთი ფაქტი გამოვლინდება ბაზარზე, რასაც ბოლო პერიოდში ჰქონდა ადგილი და რასაც ხელისუფლების წარმომადგენლები ან სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული პირები ლობირებდნენ. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, ანტიმონოპოლიური სამსახურის შექმნა ხელისუფლებას ხელს არ აძლევს. როგორც წესი, დაინტერესებული უნდა იყოს ამგვარი ცვლილების განხორციელებით, რადგან გარკვეული კატეგორიის საქონლის მოსაწოდებელი ფასი აღარ გაიზრდება. ამავე დროს, ბაზარზე შენარჩუნდება შედარებით სტაბილური მდგომარეობა და საზოგადოებაც მეტად კმაყოფილი იქნება.

**— ზემოაღნიშნული ლობირების კონკრეტულ ფაქტს თუ დაასახელებთ?**

— ასეთი ფაქტები არც თუ იშვიათია ბაზარზე, როცა რიგითი მოქალაქე წამოიწყებს კონკრეტული ბიზნესს, მოძებნის ინვესტორს, მაგრამ მასთან მიდიან გარკვეული პირები და აფრთხილებენ, რომ ხელისუფლებიდან ესა და ეს პირი ლობირებს ამ ბიზნესს. აჯობებს, მსგავსი შემთხვევები თავად ხელისუფლებამ მოიძიოს, სად რა ხდება, ვინ რა ბიზნესს კურირებს და მერე ისაუბროს ეკონომიკის რეორგანიზაციაზე.

**— ბოლო დროს საგადასახადო ინსპექცია ჩასაფრებულის პოზიციიდან უყურებს მცირე ბიზნესს. ხშირია მაწანწალა ბავშვების გამოყენების ფაქტები სავაჭრო ობიექტებში დარღვევების გამოსავლენად. როგორ ფიქრობთ, ასეთ რადიკალურ ხერხს რატომ მიმართავს ხელისუფლება?**

— ბიუჯეტში სერიოზულად ჭირს შემოსავლების მობილიზება და ხელისუფლება ყველანაირი ადმინისტრაციული მეთოდის გამოყენებას ცდილობს, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხალხისთვის მიცემულ დაპირებებს ვერ შეასრულებს. მომდევნო წელს კი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებია, შემდეგ — საპარლამენტო, საპრეზიდენტო და თუკი ხელისუფლება მოსახლეობის წინაშე აღებულ ვალდებულებებს თავს ვერ გაართმევს, შესაძლოა, არჩევნებში კოვზი ნაცარში ჩაუვარდეს.

**ნათია ქადაგიშვილი**

# ევროპარლამენტზე მეოცნებე დეპუტატები ევროკალენდრით ხელმძღვანელობენ, ქვეყანაში კი ქართული პრობლემები გროვდება


კადრი ფილმიდან „მიმინო“



**ცხოვრება მშვენიერია, თუკი ყველა იმ სიკეთით სარგებლობ, რაც 2003 წლის 23 ნოემბრის ავანტიურამ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საერთაშორისო მდივანს, იმხანად ჯერ კიდევ 30 წლის ირაკლი ქავთარაძეს მოუტანა. მის ცხოვრებაში სრულიად ახალი ერა დაიწყო, რომელიც რადიკალურად განსხვავდებოდა ოზურგეთელი ახალგაზრდა ყმაწვილის წარსულისგან. ამჟამად ბატონი ირაკლი ყველა ჯარისკაცივით, შესაძლოა, გენერლობაზე ოცნებობს, მაგრამ თუ „ოპლას“ იზამდა და ერთი ნახტომით პირდაპირ პარლამენტის სხდომათა დარბაზში აღმოჩნდებოდა, ადრე ამასაც ვერ წარმოიდგენდა.**

პარლამენტში ნაუცბადევად მოხვედრილი ირაკლი ქავთარაძე ისე მიეჩვია საკანონმდებლო ორგანოს თბილ და კომფორტულ გარემოს, რომ თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის რანგში გატარებული ოთხი წელი ეცოტავა და კანონშემოქმედებითი საქმიანობა მეორე ვადით საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობაზე განაგრძო. პარალელურად ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის წევრია და ნატოს საპარლამენტო ასამბლეაში მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციის სათადარიგო შემადგენლობაშიც შედის.

ჩვენ გულდასმით გადავათვალიერეთ როგორც საგარეო ურთიერთობათა და ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტების ვებგვერდები, ასევე, ნატოს საპარლამენტო ასამბლეაში მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციის ანგარიშები. გვსურდა, ირაკლი ქავთარაძის კანონშემოქმედებით საქმიანობას საფუძვლიანად გავცნობოდით და დეპუტატი საზოგადოებისთვის მხოლოდ სახელითა და გვარით არ წარგვედგინა. ჩვენდა სამწუხაროდ, ნატოს საპარლამენტო ასამბლეაში მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციის ანგარიშები ღია და ხელმისაწვდომი არ აღმოჩნდა, სხვა მუდმივმოქმედი დელეგაციების ანგარიშებისგან განსხვავებით. საინტერესოა, „დეიდა ნატოსთან“ ისეთს რას ჩურჩულებენ ქართველი დეპუტატები, რომ საჯარო ინფორმაციას არ წარმოადგენს (?!). საგარეო ურთიერთობათა კომიტეტს სამი ოქმი ედო საიტზე, რომელშიც ირაკლი ქავთარაძე საერთოდ არ იყო ნახსენები. შესაბამისად, ჩვენთვის უცნობი დარჩა, კომიტეტის სხდომებზე მოვალეობის მოხდის მიზნით მაინც თუ დადიოდა ბატონი ირაკლი ან რეალურად თუ იყო ჩართული ამა თუ იმ კანონის შექმნაში. რაც შეეხება ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტს, მის ვებგვერდზე კომიტეტის სხდომების ოქმებისა და სხდომაზე განხილული კანონ-პროექტების ნაცვლად დაიჯესტი იყო წარმოდგენილი, სახელწოდებით „ევროპის დროით“. აღნიშნულ დაიჯესტში შრიფტის გარდა არაფერი იყო ქართული. ვერ გეტყვით რა განსხვავებაა ქართულ და ევროპულ კალენდრებს შორის, მაგრამ როგორც დავით დარჩიაშვილი გვარწმუნებს, სიტყვა „ომბუდსმენი“ განმარტებას ევროლექსიკონით მოითხოვს. ასე უფრო დავუახლოვდებით თავისუფალ ერთა ევროპულ ოჯახს.

ვარდების რევოლუციის შემდეგ ჩამოყალიბებულ ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის ძირითადი მიზანი კომიტეტის ხელმძღვანელის, დავით დარჩიაშვილის აზრით, საქართველოში ევროპული ორიენტაციისა და თავისუფალ ერთა ევროპულ ოჯახთან დასაახლოებლად საჭირო რეფორმების განხორციელების ხელშეწყობაა. ამ საქმეში რამდენადაა ჩართული და როგორ ახერხებს საქართველო-ევროპის დაახლოებას დეპუტატი ირაკლი ქავთარაძე, ძნელი წარმოსადგენია, რადგან 6 წლის მანძილზე მან პარლამენტში ინტეგრირებაც კი ვერ მოახერხა. იგი იმ დეპუტატთა თანრიგს განეკუთვნება, რომლებიც ქართული ხალხური ანდაზის ჭეშმარიტებას ამტკიცებენ: „დუმილი ოქროა რჩეული“ და დროის დიდ ნაწილს მდუმარებაში ატარებენ.

მკითხველი ვერ გაიხსენებს, პარლამენტის სესიებზე ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხების განხილვისას ირაკლი ქავთარაძის მიერ თუნდაც ერთხელ ნათქვამ სიტყვას, რომელსაც საზოგადოებაში დიდი რეზონანსი მოჰყვა ან კვირის ფრაზად იქცა.

არადა, ბატონ დეპუტატს საუკეთესო განათლება აქვს მიღებული და მის ასეთ მოკრძალებასა და რიდს კოლეგებისა და ჟურნალისტების წინაშე უცოდინარობას ვერ მივაწერთ. თუ პარლამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ირაკლი ქავთარაძის ბიოგრაფიას ვენდობით, მან ჯერ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური გეოგრაფიის ფაკულტეტი დაამთავრა; შემდგომ სწავლა განაგრძო საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში სახელმწიფო მართვის სპეციალობაზე და მიიღო სახელმწიფო მართვის მაგისტრის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო მართვის მაგისტრს შრომითი საქმიანობაც სწორედ რომ შესაფერისი აქვს. ის 1996-1997 წლებში შპს „იბერია-პრაიმ ჯგუფში“ პროგრამების ანალიტიკოსად მუშაობდა; 1997-1999 წლებში უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობის ცენტრში — ფინანსურ ანალიტიკოსად; 1999-2000 წლებში მომავალი დეპუტატი ნავთობგადამამუშავებელ ქარხანა „ველში“ ფინანსური დირექტორია; 2001-2002 წლებში — გაეროს განვითარების პროგრამის ანალიტიკოსი; 2002 წლიდან დღემდე კი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საერთაშორისო მდივანია.

მიუხედავად იმისა, რომ ბატონ ირაკლის საზოგადოების დიდი ნაწილი თითქმის არ იცნობს, ის სანიმუშო დეპუტატია, სესიები და კომიტეტის სხდომები არასაპატიო მიზეზით ერთხელაც არ გაუცდენია. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის პულტზე თითის დაჭერაში კარგადაა გაწაფული და ამ ფრიად საპასუხისმგებლო საქმეს თვალებდახუჭულიც ართმევს თავს. ნამდვილად იმსახურებს პრეზიდენტისგან წახალისებას, მაგრამ ამ დრომდე მას არც ერთი ჯილდო არ მიუღია, რაც ძალზე „სამწუხაროა“.

მისთვის ყველაზე სასურველი ესპანეთის, იაპონიის, სლოვაკეთისა და შვედეთის პარლამენტებთან დამეგობრებაა. ალბათ, მიხვდით, ის ამ ქვეყნების პარლამენტებთან მეგობრობის ჯგუფის წევრია (სხვათაშორის, ამერიკის შემდეგ ქართველი დეპუტატების საოცნებო ქვეყანა იაპონიაა).

მოდი ვიკითხოთ, ვინ იცნობს მას საქართველოში:

**ნუნუ გაბუნია, კომპოზიტორი**

**— ქალბატონო ნუნუ, იცით თუ არა, ვინ არის ირაკლი ქავთარაძე?**

— ირაკლი ქავთარაძე?.. ელჩი ხომ არ არის?

**— ბატონი ირაკლი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სიით არჩეული დეპუტატია. უნდა ცნობდეს თუ არა საზოგადოება მის მიერ არჩეულ დეპუტატებს?**

— საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რა გაუკეთებიათ ამ ადამიანებს საქართველოსთვის და, საერთოდ, საიდან მოვიდნენ. ეს კითხვა ძალიან ხშირად მიჩნდება.

**— როგორ უნდა გასცეს ამ კითხვას საზოგადოებამ პასუხი, რაშია დღევანდელი პარლამენტის პრობლემა?**

— პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ, როგორც „ნაციონალურ მოძრაობაში“, ასევე ოპოზიციურ პარტიებში, აწევრებენ ყველა იმ პიროვნებას, ვისაც ამის სურვილი გაუჩნდება. ადამიანს, რომელსაც აქვს ნიჭი, დაკავებულია თავისი საყვარელი საქმიანობით, არასოდეს მოინდომებს პარტიაში გაწევრებას იმ მიზნით, რომ შემდეგ პარლამენტში მოხვდეს და უკეთესი ცხოვრება შეიქმნას. ვფიქრობ, პარტიის ლიდერები ისეთ პოლიტიკოსებს უნდა იყენებდნენ გვერდით, რომლებიც საქართველოს წაადგებიან თავიანთი განათლებით, ნიჭითა და პროფესიონალიზმით. დღეს არაპროფესიონალიზმმა მიგვიყვანა იმ მდგომარეობამდე, რომ ქვეყანა ფეხზე ველარ დამდგარა.

**— პარლამენტარი ცნობადი სახე უნდა იყოს?**

— აუცილებლად, როგორ შეიძლება, არ ვიცოდეთ პარლამენტში ვინ ვინ არის. დეპუტატს ქვეყნისთვის უნდა ჰქონდეს გაწეული სამსახური და არა სოფელსა თუ ქალაქში არჩევნების წინ ადგილობრივი მოსახლეობა მომადლიერებული. მერე კი ისინიც ვილას ახსოვს, რომ მოკალათდებიან პარლამენტში.

ამავე კითხვით **მსახიობ გია ბურჯანაძესაც** მივმართეთ. როგორც მოსალოდნელი იყო, მასაც წარმოდგენა არ აქვს, ვინაა ირაკლი ქავთარაძე და ამაზე კომენტარის გასაკეთებლად დროც ვერ გაიმეტა.

**ნანა კაკაბაძე**, **„ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ ორგანიზაციის თავმჯდომარე**

**— ქალბატონო ნანა, თუ იცით, ვინ არის ირაკლი ქავთარაძე?**

— არა.

**— ის „ნაციონალური მოძრაობის“ სიით არჩეული დეპუტატია. თქვენი აზრით, რატომ არ იცნობს მას საზოგადოება?**

— დეპუტატს, რომელიც ხელფასს იღებს და არაფერს აკეთებს, როგორ უნდა ცნობდნენ? ამასთან, არჩევნების დროს იმდენად სერიოზულ გაყალბებას ჰქონდა ადგილი, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ ხმების 85 პროცენტი აიღო, რაც თავისთავად ანომალიაა. ბუნებრივია, საკანონმდებლო ორგანოში აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებსაც არც პოლიტიკასთან აქვთ არანაირი შეხება და არც ხალხთან. აქედან გამომდინარე, მათ არავინ იცნობს. პარლამენტში კი ხალხის ფულის ჭამის მეტს არაფერს აკეთებენ.

**— პრობლემაა, როცა პარლამენტარს არ იცნობს საზოგადოება?**

— რა თქმა უნდა, პრობლემაა, მითუმეტეს ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორიც საქართველოა. ჩვენთან როცა ყველა ყველას იცნობს, წარმოიდგინეთ როგორი უნდა იყოს დეპუტატი, რომელსაც არ იცნობენ.

**ნათია ქადაგიშვილი**

# კრიზისის პერიოდში ინდოეთში მილიარდერთა რაოდენობა გაიზარდა

**უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში ინდოეთში მილიარდერთა რაოდენობა 27-დან 52-მდე გაიზარდა. ეს კრიზისის შემდგომ ეროვნული ეკონომიკის აღდგენისა და საფონდო ბირჟაზე დიდი ზრდის ხარჯზე მოხდა. ამრიგად, 2008 წელს 54 მილიარდერის განახევრების შემდეგ მათი რაოდენობრივი მაჩვენებელი თითქმის აღდგენილია.**



სიის ლიდერი კვლავაც ქვეყნის უმსხვილესი კომპანიის „Reliance“-ს ხელმძღვანელი მუკეშ ამბანია. მისი ქონება 32 მილიარდ დოლარადაა შეფასებული. სამეულშია მისი ძმა ანილიც, რომლის ქონებაც 17,5 მილიარდს უტოლდება.

2009 წელს საფონდო ბირჟის ინდექსი 76 პროცენტით გაიზარდა. აქციების ღირებულების ზრდის შედეგად ინდოეთის მდიდრებს შანსი მიეცათ, მნიშვნელოვნად გაეზარდათ საკუთარი ქონება.

აღსანიშნავია, რომ ინდოელი მილიარდერები აზიის მეორე უმსხვილესი ეკონომიკის ქვეყნის, ჩინეთის მილიარდერებზე ბევრად უფრო მდიდრები არიან.

100 უმდიდრესი ინდოელი 276 მილიარდი დოლარის მფლობელია, 100 უმდიდრესი ჩინელი კი — მხოლოდ 170 მილიარდი დოლარის. ამასთანავე, ჩინეთის საერთო შიდა პროდუქტი მოცულობით სამჯერ აღემატება ინდოეთისას.



# უგო ჩავესი «ცუდ ბიჭებს» იცავს

**ვენესუელის პრეზიდენტი საფრანგეთის ციხეში დაპატიმრებულ საერთაშორისო ტერორისტ კარლოს შაკალას იცავს და მას პალესტინელი ხალხის სიმართლისათვის მებრძოლ რევოლუციონერს უწოდებს. „მე მას ვიცავ და მნიშვნელობა არ აქვს, რას იტყვიან ევროპაში ამაზე“, — განაცხადა სახელმწიფოს მეთაურმა.**

ამასთანავე, მან განაცხადა, რომ მზადაა, დაიცვას რამდენიმე მშვიდობიანი ლიდერი, რომლებსაც „უსამართლოდ თვლიან ცუდ ბიჭებად“ და დააკონკრეტა, რომ ზიმბაბვესა და ირანის ახლანდელ პრეზიდენტებს გულისხმობს.

ფიდელ კასტროს მეგობარი უგო ჩავესი ყოველთვის ცნობილი იყო თავისი ექსტრავაგანტულობით, სარკაზმითა და სწორად დასმული მახვილებით. თავის დროზე ის ამერიკის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს „პოლიტიკურ გვამს“, „ტერორისტს“, „მატყუარების ხელმწიფესა“ და „მისტერ საფრთხეს“ უწოდებდა. „მე თუ მომკლავენ, პლანეტაზე ყველაზე დიდი დამნაშავე პრეზიდენტი ჯორჯ ბუში იქნება და თუ უწმინდურის ძალით ეს გეგმები დაგვირგვინდება, დაივიწყეთ ვენესუელის ნავთობი, ბატონო პრეზიდენტო“, — აცხადებდა უგო ჩავესი.

# ადამიანის ქონით მოვაჭრეები დააკავეს

**პერუს პოლიციამ დააკავა დამნაშავეები, რომლებმაც, სულ მცირე, 60 მკვლელობა ჩაიდინეს. აღნიშნული ოთხი დაკავებული, სავარაუდოდ, იმ დაჯგუფების წევრია, რომელიც, ადამიანებს იმისთვის კლავდა, რომ სხეულიდან ქონი გამოეცალა და პერუში ან ეგვიპტეში კოსმოსური საშუალებების მწარმოებელი კომპანიებისთვის მიეყიდა.**

ამჯერად პოლიცია დაჯგუფების დანარჩენ წევრებს ეძებს. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ნოემბერში პოლიციამ ორი ადამიანი დააკავა. მათ ხელში პლასტიკატში გადახვეული გრაგნილი ეჭირათ. როგორც გაირკვა, ეს სექტემბერში მოკლული აბელ მატოს არანდას სხეულიდან გამოცლილი ქონი იყო. პოლიციის აზრით, დაკავებულები ცნობილი დაჯგუფების „Pishtacos“-ის წევრები არიან, ისინი ქუჩაში თავს ესხმიან ადამიანებს, კლავენ, ხორცს ჭამენ, ქონს კი ყიდიან. გამომძიებელთა მტკიცებით, ამ „ნედლეულის“ 375 მილილიტრში ევროპელები 15 ათას დოლარს იხდიდნენ.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# სამი ახალგაზრდა წარბშეუხრელად ჩაცხრილეს


მურად გორგაძე


მარად ართმელაძე


რომან სურმანიძე

**ვარდების რევოლუციის შემდეგ ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი სპეცოპერაცია სამგორში, ნავთლუღის ბაზრის შორიახლო განხორციელდა. 2006 წლის 13 იანვარს მეტროსადგურ „სამგორთან“ ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად 3 კრიმინალის ლიკვიდაცია მოხდა. საინფორმაციო საშუალებებმა ეს ინფორმაცია იმავე დღეს გაავრცელეს.**

**მურად გორგაძე, რომან სურმანიძე და მარად ართმელაძე** შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის (კუდი) თანამშრომლებმა თბილისში სპეცოპერაციის დროს მოკლეს. **თითოეულ მათგანს რვა და მეტი ტყვია ჰქონდა მოხვედრილი. პოლიციელების მიერ დამნაშავეთა შეპყრობისთვის აუცილებელი ზომების გადაცილებით მკვლელობის ფაქტზე ძიება თბილისის პროკურატურამ დაიწყო,** თუმცა საქმე ბოლომდე არ მისულა. 2007 წლის 25 ივნისს პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის პროკურორმა მაჭარაშვილმა ძიება შეწყვიტა.

დაღუპულების ინტერესების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციის „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ წევრმა, ადვოკატმა ლაშა ჭინჭარაულმა ძიების შეწყვეტა საქართველოში მოქმედ სამივე ინსტანციის სასამართლოში გაასაჩივრა, რასაც შედეგი დღემდე არ მოჰყოლია.

„საქართველო და მსოფლიო“ დაღუპული ბიჭების ოჯახებს დაუკავშირდა. ისინი დღემდე სამართლეს ეძებენ. დამოუკიდებლად ცდილობენ, საზოგადოებას თავიანთი შვილების უდანაშაულობა დაუმტკიცონ, თუმცა, რამდენად მოახერხებენ ამას, ძნელი სათქმელია. ფაქტია: მეტროსთან დაჩოქილი სამი ახალგაზრდა წარბშეუხრელად ჩაცხრილეს. მათი ლიკვიდაციისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროში შემოსული საეჭვო წერილიც საკმარისი აღმოჩნდა.

მკითხველს ვთავაზობთ თბილისის პროკურატურის პროკურორის ოფიციალური დადგენილების ძირითად ნაწილს, თუ რის საფუძველზე შეწყდა წინასწარი გამოძიება. მისი ობიექტურობის განსჯაც თქვენთვის მოგვინდვია. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით მაჭარაშვილმა დაადგინა: „2006 წლის 12 იანვარს კუდში შემოვიდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წერილი, რომლის მიხედვითაც რუსთავის №1 საერთო რეჟიმის დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულის, გია გორგაძის ძმა მურად გორგაძე, პატიმართა მასობრივი გაქცევის ორგანიზების მიზნით, ჯგუფთან ერთად გეგმავდა ამ დაწესებულებაზე შეიარაღებულ თავდასხმას.

ამ პირების დადგენა-დაკავება კუდის აქტიურ ღონისძიებათა სამსახურის სპეციალური დანიშნულების რაზმს დაევალა. ოპერატიული ინფორმაციით, ამ ჯგუფის წევრების შეხვედრა უნდა შემდგარიყო ნავთლუღის ავტოსადგურის ტერიტორიაზე 2006 წლის 12 იანვარს, დაახლოებით 20-21 საათისთვის.

აღნიშნულ ადგილას სპეცრაზმი დაახლოებით 19 საათზე მივიდა, რომელმაც ვიზუალური კონტროლის დროს სამი საეჭვო პიროვნება დააფიქსირა, რომელთაგან ერთ-ერთი იდენტიფიცირებულ იქნა, როგორც გია გორგაძის ძმა — მურად გორგაძე.

სპეცრაზმმა ისინი ალყაში მოაქცია და იარაღის დაყრა მოსთხოვა. თანხმობის მიღების შემდეგ სპეცრაზმის წევრი, რომელსაც მომარჯვებული ჰქონდა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, სწრაფად გაემართა ჯგუფისკენ. როდესაც იგი დამნაშავეებს დაახლოებით ერთ მეტრში მიუახლოვდა, მოულოდნელად მათი მხრიდან გაისმა იარაღის გადატენვის ხმა, რასაც გასროლა მოჰყვა.

სამართალდამცავები იძულებული გახდნენ, საპასუხო ცეცხლი გაეხსნათ. **ლიკვიდირებულ იქნენ მურად გორგაძე და მისი თანმხლები პირები: რომან სურმანიძე და მარად ართმელაძე.**

მათ აღმოაჩნდათ სამი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი მჭიდებითა და ვაზნებით.“

წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია,

## პროკურატურამ საქმე ისე გამოიძია, რომ მასში დაღუპულთა ოჯახების წევრების ჩართვა საჭიროდ არ მიიჩნია.

უფრო მეტიც, გულგრილობამ ყოველგვარ ზღვარს გადააბიჯა — ოჯახი მხოლოდ სასამართლოდან მისული უწყებებით იგებდა საქმის ვითარებას. ვერც ადვოკატმა შეძლო შესაბამისი დახმარების აღმოჩენა, რადგან ვერაფერს გახდა. ნათქვამია, „ძალა აღმართს ხნავსო“. ამჯერადაც ასე მოხდა. ადვოკატი ლაშა ჭინჭარაული მარად ართმელაძისა და რომან სურმანიძის ინტერესებს იცავდა. მისი თქმით, საქმეში ძალიან ბევრი უზუსტობაა; მაგალითად, **შემთხვევის ადგილიდან ამოღებული იარაღიდან გასროლა არ მომხდარა.** ბრალდების მიხედვით, დაღუპულები, რომლებსაც უბრალო ჟილეტები ეცვათ, ავტომატებით იყვნენ შეიარაღებულნი: **„ჟილეტის შიგნით ავტომატი როგორ მოთავსდა ან სამი ავტომატიანი პიროვნება როგორ დასეირნობდა ხალხმრავალ ადგილას, გაუგებარია.** სპეცრაზმის წევრები გამოძიებამ მას შემდეგ დაკითხა, რაც ექსპერტიზის დასკვნა დაიდო — ისინი დააკვალიანეს, რა როგორ უნდა ეთქვათ და წელიწად-ნახევრის შემდეგ მიაცემინეს ჩვენება.

**ერთ-ერთ მათგანს ახლოდან ესროლეს, ორს კი — თავში დამიზნებით. ახლო მანძილიდან სროლა დახვრეტას ნიშნავს. ისინი დაცხრილულნი იყვნენ — თითოეულს 7-8 ტყვიაზე მეტი ჰქონდა მოხვედრილი**“, — დასძენს ადვოკატი.

საინტერესოა, დახვრეტილი ახალგაზრდები რამდენად საშიშნი იყვნენ საზოგადოებისთვის, სინამდვილეში ჰქონდათ თუ არა რამე კავშირი ციხის ბუნტთან და რამდენად სამართლიანია, დაუზუსტებელ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ახალგაზრდების ასე გამეტება ან **დაჩოქილი და ხელაწეული ბიჭების აყვანა რატომ უნდა გასჭირვებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცრაზმს?** რომან სურმანიძის დის, ნანას განცხადებით ახალგაზრდები შინაგან საქმეთა სამინისტრომ ტყუილუბრალოდ გაწირა. ისინი დამნაშავეები არ ყოფილან. ოჯახისთვის დღემდე არავის არაფერი აუხსნია. „2006 წლის 13 იანვარს ტელევიზიით შევიტყვეთ ეს ტრაგედია, — ამბობს ნანა სურმანიძე, — რომანი მეგობრებთან ერთად წალკაში იყო წასული და სახლში 13 იანვარს უნდა დაბრუნებულიყო. მამა მოვიდა და მითხრა, — რომანს ველოდებოდი, არ ჩამოვიდა, ვერც ტელეფონით ვუკავშირდებით და ძალიან ნერვიულობდა. შემდეგ ნაშუადღევს მასმედიის საშუალებით გავიგეთ, რომ სამგორში, ნავთლუღის სადგურთან სპეცოპერაცია ჩატარდა და სამი ახალგაზრდა ჩაცხრილეს. საღამოს ჩემი მეუღლე და მამა წავიდნენ თბილისში ცხედრების მორგში ამოსაცნობად. ეს იყო შემზარავი ფაქტი. უდანაშაულო ბიჭები ჩაცხრილეს და ჩვენთვის მომხდარზე არავის არაფერი აუხსნია.

## «მიცვალებულის ტანსაცმელიც კი არ გვაღირსეს»

**ერთ-ერთ მათგანს ახლოდან ესროლეს, ორს კი — თავში დამიზნებით**

ჩემი ძმა სტუდენტი იყო. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სტომატოლოგიურ ფაკულტეტზე დაუსწრებლად სწავლობდა, თან თურქეთში სამუშაოდ მამასთან ერთად დადიოდა. 20 წლის იყო, როდესაც ეს უბედურება დატრიალდა. იარაღის ტარებასა და ციხის ბუნტის ორგანიზებაში დასდეს ბრალი. რომანი კრიმინალი რომ ყოფილიყო, ფიზიკურად იმუშავებდა? ის არანაირ სამუშაოს არ თაკილობდა და საკუთარი შრომით იხდიდა სწავლის ქირასაც. **მოვითხოვეთ, აეხსნათ, რატომ და რისთვის დაცხრილეს ეს ახალგაზრდები, რა მოხდა სინამდვილეში, მაგრამ — ამაოდ. ამ ამბიდან რამდენიმე ხანში მოხდა ციხეზე თავდასხმა და ისინი ბუნტის ორგანიზატორებად შერაცხეს.“**

სურმანიძის ოჯახის წევრები მომხდართან დაკავშირებით დღესაც ცდილობენ დეტალების დადგენას. მათი განცხადებით, გამოძიება მეტად უცნაურად წარიმართა. ოჯახს არაფერს ეუბნებოდნენ. ერთ მშვენიერ დღეს კი, მიიღეს უწყება, სადაც გამოძიების შეწყვეტას ატყობინებდნენ. ოჯახს არც გარდაცვლილის ტანისამოსის გადაცემა აღირსეს. „სასამართლოს იმედი არ გვქონდა. მამა საკუთარი ძალებით ცდილობდა, სიმართლე დაედგინა, მაგრამ ამ ყველაფერს ჯერჯერობით აზრი არ აქვს. ეს ხელისუფლება არასოდეს აღიარებს თავის დანაშაულს. რისი იმედი უნდა გვქონდეს, **მიცვალებულის ტანსაცმელიც კი არ გვაღირსეს. ჯერ თქვეს, გამოძიებას სჭირდებაო. შემდგომ მამა დაიბარეს და უთხრეს, თუ როდის გამოატანდნენ, მაგრამ ესეც ტყუილი აღმოჩნდა.**

რაც შეეხება გამოძიებას, მეტად უცნაური რამ მოხდა. სახლში მოგვივიდა უწყება გამოძიების შეწყვეტის თაობაზე, სადაც ეწერა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ სპეცოპერაცია სამართლიანად ჩაატარა და გამოძიებაც ამის საფუძველზე შეწყდაო. საქმეში იყო ადვოკატი ლაშა ჭინჭარაული. მან თქვა: შინაგან საქმეთა სამინისტროში შევიდა ზარი, რომ ეს სამი ახალგაზრდა ციხეზე თავდასხმას აპირებდა და ამის ნიადაგზე მოხდა მათი ლიკვიდაციაო. სულ ეგ ვიცით. მამა შვილმკვდარი მამების ორგანიზაციაში „გადაარჩინე სიცოცხლე“ გაწევრდა. **ვიცით, დაღუპულებს არაფერი ეშველება და ვერც სამართალს ვიპოვით, მაგრამ ამ ძალადობას მაინც შევაჩერებთ.**

**სამივე ახალგაზრდა მამასთან ერთად შრომობდა თურქეთში. მართალია, მურადის ძმა სასჯელს იხდიდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მურადიც დამნაშავე იყო.** ის პატიოსანი შრომით ინახავდა ოჯახს. სამივე ახალგაზრდა იმდენს მუშაობდა, რომ ხელები დაკოჟრილი ჰქონდათ.

ძალიან მინდა, სიმართლე გავიგო. **ჩემი ძმა დღემდე მოღალატის სახელით წევს მიწაში.** არ მინდა, ცუდი ადამიანის სახელით განისვენებდეს. მინდა, ბიჭებს ის ჩირქი ჩამორეცხონ, რაც უკანონოდ და უმიზეზოდ მიაცხეს.“

რომანის მამის, ოთარ სურმანიძის თქმით, მის შვილს სამართალდამცავებთან საქმე არასდროს ჰქონია. ისინი დეკემბრის შუა რიცხვებში ერთი თვით ჩამოვიდნენ თურქეთიდან. ნაკვეთი ჰქონდათ აღებული და სამუშაო უნდა დაესრულებინათ. „ჩვენ მალე უნდა გავბრუნებულიყავით. ამას ადასტურებს ჩვენივე პასპორტები, სადაც ყველაფერია აღნიშნული. ვერ გეტყვით, თუ რატომ მიიტანეს მათზე ეჭვი. ბიჭები თბილისში სულ სხვა მიზნით ჩავიდნენ. მარადი ართმელაძე მუსლიმანურად ნათლავდა ბავშვებს და ამიტომაც წავიდნენ წალკაში.

**მერაბიშვილსა და ახალაიებს ციხეზე ზეწოლა რომ მოეხდინათ, დარწმუნებული ვარ, ბიჭები ამიტომ გაიწირნენ.** ბევრი ვიბრძოლეთ, მაგრამ, სადაც ირინა ენუქიძე ვერაფერს გახდა, იქ მე რა უნდა მექნა?! გამოძიება, როგორც მათ აწყობდათ, ისე წარიმართა. სამჯერ შევიტანე განაცხადი, რომ არ ვემხრობოდი მათ გადაწყვეტილებას, თუმცა ამაოდ. როდესაც მერაბიშვილი, სააკაშვილი და ახალაიები ამ მთავრობას მოშორდებიან, მხოლოდ მაშინ გავიტანთ სიმართლეს.

**თვითმხილველებმა მითხრეს, რომ სამივე მუხლებზე დაჩოქილი და თავზე ხელებშემოდებული ეხვეწებოდა პოლიციელებს, არ გვესროლოთო.** ეს მოწმეები ჩვენების მიცემას ერიდებიან — უსაფრთხოების გარანტიებს ითხოვენ, რასაც მე ვერ მივცემ. მუხლში ნასროლი ტყვია ფეხის გულში ჰქონდა გასული. ეს იმის დასტურია, რომ დაჩოქილი იყო.

**ჩემი შვილი ტერორისტად გამოაცხადეს. თუ ასეა, რატომ არ დაინტერესდა გამოძიება — სახლი ხომ მაინც უნდა გაეჩხრიკათ?! იქნებ, მეც საშიში ვარ საზოგადოებისთვის.** გორგაძის ძმის ციხეში ყოფნა დამთხვევაა. საინტერესოა, თუ რუსთავის ციხეზე გეგმავდნენ თავდასხმას, სამგორში რა უნდოდათ?! დარწმუნებული ვარ, ამ ბიჭების მოკვლა ახალაიებს დასჭირდათ.“

„საქართველო და მსოფლიო“ მურად გორგაძის დედას ნარგიზ გორგაძესაც დაუკავშირდა. მომხდარმა უბედურებამ ოჯახი საბოლოოდ დააქცია. შვილის ამბავს მამის სიცოცხლეც შეეწირა. ის ჯავრს გადაჰყვა. ქალბატონ ნარგიზს მურადის შვიდი თვის პატარა დარჩა და დღეს შვილიშვილის მოვლითაა დაკავებული.

„2006 წლის 13 დეკემბერს დამიხოცეს შვილები, — ამბობს ნარგიზ გორგაძე, — სამივე თანაბრად მტკივა. ვეძებ სიმართლეს და, ალბათ, დავადგენ. უდანაშაულო ბიჭები დახვრიტეს. **მურადს შვიდი თვის ბავშვი დარჩა. უკვე ოთხი წლისაა. ცოტა ხანში რომ მკითხავს მამაზე, რა ვუთხრა, მოღალატე იყო და მოკლეს-მეთქი?!** 17 წლის მურადი საზოგადოებისთვის საშიში როგორ იქნებოდა, როცა დღე და ღამეს შრომაში ასწორებდა. დაკოჟრილი ხელებით ჩავიდა სამარეში და ამას მოვითმენ?! რატომ, რა დააშავეს, მითხრან და დავმშვიდდები. ბიჭები ნათლობაზე წავიდნენ და მკვდრები ჩამოგვისვენეს. მინდა, სიმართლე ვიცოდე. **უბედურებამ წელში გაგვტეხა. ჩემი მეუღლე ნერვიულობას გადაჰყვა.** ღმერთი მოწყალეა და ყველა იმ ადამიანს, ვისაც ჩვენი ოჯახების უბედურებაში წვლილი მიუძღვის, საკადრისი მიეზღვება“.

გვინდოდა, მარად ართმელაძის ოჯახსაც დავკავშირებოდით, მაგრამ ვერ შევძელით. როგორც შეგვატყობინეს, უბედურების შემდეგ ოჯახმა ბათუმი დატოვა და სოფელში გადასახლდა.

**ირმა ჩიტაია**

# როდესაც მერაბიშვილი, სააკაშვილი და ახალაიები ამ მთავრობას მოშორდებიან, სიმართლეს მაშინ გავიტანთ!

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# თაღლით ქალებს სასამართლომ უმკაცრესი განაჩენი გამოუტანა

## ერთი სასჯელაღსრულების ყოფილი თანამშრომელია, მეორე კი — შს სამინისტროს ყოფილი გამომძიებელი

**თაღლითობის ბრალდებით დაკავებულს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილ თანამშრომელსა და ყოფილ გამომძიებელს გასულ კვირას თბილისის საქალაქო სასამართლომ მკაცრი განაჩენი გამოუტანა. პატიმრების ახლობლებისგან თაღლითური გზით ფულის გამოძალვისთვის 58 წლის სვეტლანა მაისურაძეს 26 წლით თავისუფლების აღკვეთა და 20 500 ლარის გადახდა დააკისრა, ხოლო 42 წლის ნინო ჯარიაშვილს — 30 წლით თავისუფლების აღკვეთა და 13 500 ლარის გადახდა.**



მსჯავრდებულების ადვოკატები განაჩენის გასაჩივრებას აპირებენ. დაკავებულები ისე გაასამართლეს, რომ მათ წარდგენილ ბრალდებაში თავი დამნაშავედ არ უცვნიათ.

განსასჯელი ნინო ჯარიაშვილი სასამართლო პროცესებს ბოლომდე არ დასწრებია, რადგან ერთ-ერთ დაზარალებულთან შელაპარაკება მოუვიდა. მან პროცესზე უცენზურო სიტყვებით მიმართა ბრალდების მხარეს და სასამართლოსაც. მოსამართლის გაფრთხილების მიუხედავად, ჯალიაშვილი განაგრძობდა შეურაცხმყოფელი სიტყვებით საუბარს, რის გამოც იგი დარბაზიდან გააძევეს. მოგვიანებით კი სხვა სხდომებზე დასწრებაზე თავად განაცხადა უარი.

დაკავებული ნინო ჯარიაშვილი ყოფილი გამომძიებელია. წარსულში იგი შს სამინისტროს თანამშრომელი იყო, დაკავებამდე კი ადვოკატად მუშაობდა. მეორე დაკავებული, სვეტლანა მაისურაძე სასჯელაღსრულების დეპარტამენტში უფროს ფინანსისტად მუშაობდა. დაკავებამდე რამდენიმე ხნით ადრე იგი შტატის შემცირების გამო უმუშევარი დარჩა. მაისურაძის ადვოკატის, ვლადიმერ ტაბაღუას თქმით, მის კლიენტს ადმინისტრაციულ სასამართლოში სამსახურში აღდგენის თაობაზე საჩივარი ჰქონდა შეტანილი.

საქმის მასალების მიხედვით, ჯარიაშვილი და მაისურაძე პატიმრების ახლობლებს უკავშირდებოდნენ ან თავად პატიმრებს აკავშირებდნენ ოჯახის წევრებთან და საპროცესო გარიგებით ან შეწყალებით გათავისუფლებას ჰპირდებოდნენ. სანაცვლოდ მაისურაძე და ჯარიაშვილი პატიმრების ახლობლებისგან ათეულათასობით დოლარს იღებდნენ. საერთო ჯამში თაღლითობის გზით 127 ათასი დოლარი მიითვისეს. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არც ერთი დაკავებული დანაშაულს არ აღიარებს.

ნინო ჯარიაშვილი და სვეტლანა მაისურაძე ახლობლები იყვნენ. **„მაისურაძე ეროვნებით ბერძენია, იგი ქმრის გვარს ატარებს. როცა საბერძნეთში ნათესავებთან მიდიოდა, გზაში ჯარიაშვილი გაიცნო, რომელმაც უთხრა, რომ ყოფილი გამომძიებელია, ახლა კი ადვოკატობს; მაღალ ეშელონებში ნათესავები ჰყავს და საპროცესო შეთანხმებებს აკეთებს,“** — განაცხადა მაისურაძის ადვოკატმა ვლადიმერ ტაბაღუამ.

მისივე თქმით, საქართველოში დაბრუნების შემდეგ მაისურაძემ ოთხი თავისი თანამშრომელი გააცნო ჯარიაშვილს, რომლებსაც პატიმარი ახლობლები ჰყავდათ და მათ გათავისუფლებას დაჰპირდა.

**„ოთხი პიროვნება მაისურაძემ გააცნო, ორი კი ჯარიაშვილმა თვითონ მოძებნა. ჯერ ეუბნებოდა, რომ დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით შეწყალების სიები დგინდებაო, როცა დანაპირები ვერ შეასრულა, 23 ნოემბრისთვის იქნებაო, მერე — საახალწლოდო და ასე ატყუებდა ამ ხალხს,“** — ამბობს ტაბაღუა.

საქმეში ექვსი დაზარალებულია: ელეონორა დომენცევა, იოსებ ხოსიტაშვილი, ბესიკ ხმალაძე, აკაკი კობეშავიძე, გიორგი ტუხიაშვილი და თბილისში ცნობილი მეწამლე მიხეილ ჯანაშვილი, იგივე „ჩაშკა“, რომლის ქალიშვილი, ხათუნა ჯანაშვილი ნარკოტიკებისთვის არის დაკავებული.

ერთ-ერთი დაზარალებული კობეშავიძე ამბობს, მას ციხიდან დედა დაუკავშირდა და უთხრა, რომ დაკავშირებოდა ნინო ჯარიაშვილს, რომელიც 50 ათას დოლარად საპროცესო შეთანხმებას ჰპირდებოდა.

ამის შემდეგ კობეშავიძე მიხეილ ჯანაშვილს, იგივე „ჩაშკას“ დაუკავშირდა, რომლის ქალიშვილსაც, ასევე, ჰპირდებოდნენ საპროცესო შეთანხმებას (ცნობისთვის, კობეშავიძის დედა და ჯანაშვილის ქალიშვილი ერთად იხდიან სასჯელს).

კობეშავიძის ადვოკატის, თეიმურაზ ნასარიას თქმით, მაისურაძემ და ჯარიაშვილმა თაღლითური გზით პატიმართა ახლობლებს ზოგს 50 ათასი, ზოგს 20 ათასი, ზოგს კი 6 ათასი დოლარი გამოსძალეს.

ნასარიას თქმით, მსჯავრდებულები პატიმრების ოჯახის წევრებს უკავშირდებოდნენ და საკმაოდ სოლიდური თანხის სანაცვლოდ საპროცესო შეთანხმებას სთავაზობდნენ. ასე მოხდა ჯანაშვილისა და კობეშავიძის შემთხვევაშიც.

**„როგორც მახსოვს, ჯერ ჯანაშვილის ოჯახს დაუკავშირდნენ, შემდეგ კი — კობეშავიძის. ჯარიაშვილმა კობეშავიძეს საპროცესო შეთანხმება შესთავაზა, სანაცვლოდ კი 50 ათასი დოლარი უნდა გადაეხადა. როგორც ვიცი, კობეშავიძემ 48 ათასი დოლარი გადაიხადა. ფული აიღეს, მაგრამ პირობა არ შეასრულეს. ისინი პატიმრების ოჯახს საპროცესო შეთანხმებას, ან შეწყალებას, ან ვადამდე ადრე გათავისუფლებას, ჰპირდებოდნენ; ყველას — სხვადასხვანაირად,“** — აცხადებს საუბარში ნასარია.

მისივე თქმით, პირობის შეუსრულებლობის შემდეგ დაზარალებულებმა სამართალდამცავებს მიმართეს. ისინი ჯერ მოწმის სახით დაკითხეს, შემდეგ კი, როცა ზიანის რაოდენობა დაზუსტდა, — დაზარალებულების სტატუსით, და სს საქმეც აღიძრა.

**„რაც შეეხება ჯანაშვილს, მამამისთან ჯარიაშვილი მივიდა და უთხრა, რომ მის შვილს შეწყალებით გამოიყვანადა, რადგან პროცესი უკვე დამთავრებული იყო და საპროცესო შეთანხმებას არ გაუკეთებდნენ,“** — ამბობს ნასარია. მისივე თქმით, ახლა, როცა განაჩენი გამოტანილია, თაღლითური გზით მითვისებული თანხების უკან დაბრუნებაზე იზრუნებენ. თანხის დასაბრუნებლად დაზარალებულები სამოქალაქო დავასთან დაკავშირებით სასამართლოში სარჩელს შეიტანენ.

სვეტლანა მაისურაძის ადვოკატი ამტკიცებს, რომ მის კლიენტს დანაშაული არ ჩაუდენია.

**„ის უფროს ფინანსისტად მუშაობდა, როგორ შეეძლო ფინანსისტს შეწყალებები ეკეთებინა? მაისურაძემ სასამართლოს ვრცელი ჩვენება მისცა. თავიდან ის დუმილის უფლებას იყენებდა. შემდეგ კი პროცესზე განაცხადა, როგორც საბრალდებო დასკვნაში წერია, თითქოს ჯარიაშვილთან ერთად პატიმრების ახლობლებს მოვიძიებდი, რომ მათთვის ფული გამოგვეძალა, სიმართლე არ არისო; ჯერ ერთი, ზემდგომ ორგანოებში არავინ არ მყავდა; მეორეც, როგორც სასჯელაღსრულების თანამშრომელს 4 კი არა, 400 კაცის მოძიებაც შემეძლო, მაგრამ ასე არ მოვქცეულვარ, რადგან თაღლითი არ ვარო. მან თავი დამნაშავედ არ ცნო.**

**მან მხოლოდ შუამავლის როლი შეასრულა, ეს პიროვნებები გააცნო ჯარიაშვილს, ფულთან შეხება მას არ ჰქონია,“** — აცხადებს ტაბაღუა.

# 15 წლის მოზარდი საკუთარ დაბადების დღეზე მოკლეს

## მკვლელი, სავარაუდოდ, მშობლებთან ერთად ამერიკაში იმყოფება

**15 წლის ერეკლე გოგბერაშვილის მკვლელობისთვის თბილისის საქალაქო სასამართლოში 17 წლის ზურაბ კიკაბიძე დაუსწრებლად გაასამართლეს. მოსამართლე ლელა შკუბულიანმა მას 10 წლით პატიმრობა მიუსაჯა. მან მეგობარი მის დაბადების დღეზე სასიკვდილოდ გაიმეტა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. პოლიცია მას დღემდე უშედეგოდ ეძებს.**

სს საქმე ზურაბ კიკაბიძის მიმართ 109-მუხლის „დ“ ქვეპუნქტით იყო აღძრული – განზრახ მკვლელობისთვის დამამძიმებელ გარემოებებში. როგორც პროკურორი ნინო ჟღენტი საბრალდებო დასკვნაში აღწერს, შელაპარაკების ნიადაგზე კიკაბიძემ გოგბერაშვილს გულმკერდის არეში რამდენჯერმე დაარტყა დანა.

**„2006 წელის 4 თებერვალს გოგბერაშვილი დაბადების დღეს მისი მეგობრის, ირაკლი ბლიაძის სახლში აღნიშნავდა. დაახლოებით საღამოს ხუთ საათზე კიკაბიძე გოგბერაშვილისათვის დაბადების დღის მისალოცად მივიდა. წვეულების დროს არასრულწლოვანები შეკამათდნენ. ურთიერთობის გასარკვევად ქუჩაში გავიდნენ და საუბარი სახლის წინ გააგრძელეს.**

**„კიკაბიძისა და გოგბერაშვილის დასაწყნარებლად ბლიაძეც გამოვიდა, რომელმაც ბიჭებს სთხოვა, დავა შეეწყვიტათ, მაგრამ გოგბერაშვილმა ბლიაძე დაარწმუნა, რომ კიკაბიძესთან რაიმე გართულებას ადგილი არ ექნებოდა და სთხოვა, სახლში დაბრუნებულიყო. ბლიაძის წასვლის შემდეგ გოგბერაშვილსა და კიკაბიძეს შორის ურთიერთობა დაიძაბა და ჩხუბში გადაიზარდა. ჩხუბის დროს კიკაბიძემ ჯიბიდან დანა ამოიღო და გოგბერაშვილს გულმკერდის არეში რამდენჯერმე დაარტყა. ერთ-ერთი დარტყმა მარცხენა ზედაპირზე განხორციელდა, რის შემდეგაც გოგბერაშვილი გარდაიცვალა,“** — განაცხადა პროცესზე პროკურორმა ჟღენტმა.

მოკლულის მამა, ივერი გოგბერაშვილი მკვლელობის დღეს დეტალურად იხსენებს. მისი თქმით, კიკაბიძე და მისი შვილი მეგობრობდნენ და კიკაბიძემ დაბადების დღეზე 50 დოლარიც კი აჩუქა.

**„ერეკლემ ზუკა ზაფხულში გაიცნო. ცემში იყო დასასვენებლად და იქ დამეგობრდნენ. ერთხელ როცა ავაკითხე, ერეკლემ ზუკა მეც გამაცნო. ხშირად ურეკავდნენ ერთმანეთს. ჩემი მეუღლე და დედამისიც ხშირად საუბრობდნენ ტელეფონით; იმდენად დაახლოვდნენ, რომ ახალ წელს ერეკლე ზუკას სახლში შეხვდა.**

**„4 თებერვალს ჩემს ბიჭს დაბადების დღე ჰქონდა. მას დაბადების დღის აღნიშვნა კაფე „ალბატროსში“ უნდოდა და 50 ლარი მივეცი, ზუკასაც 50 დოლარი უჩუქებია, უთქვამს – ხვალ შეიძლება ვერ განახო და ეს საჩუქარი ჩემგან გქონდესო. ერეკლე რომ წავიდა, ჩემი მეუღლის მობილური გავატანეთ და ხშირად ვამოწმებდით, სახლში ცხრა საათამდე უნდა მოსულიყო. ცხრაზე დავურეკე და მითხრა, მალე მოვალო, მაგრამ, რომ არ მოვიდა, ერთ საათში კვლავ დავურეკე, არავინ მპასუხობდა; 11 საათზე კიდევ დავურეკე, ტელეფონი უკვე გათიშული იყო. მერე ჩემმა მეუღლემ კიკაბიძის დედასთან დარეკა და მანაც არაფერი იცოდა. მოგვიანებით ორი ბიჭი მოვიდა ჩვენთან და გვითხრეს, რომ ჩემი შვილი ბერძენიშვილის ქუჩაზე მოეკლათ.**

**„როგორც გავარკვიე, ერეკლე თურმე დაბადების დღეს კაფეში კი არა მისი მეგობრის, ირაკლი ბლიაძის სახლში აღნიშნავდა. ზუკასთვის თურმე დედამისს მიუკითხავს და მას დედისთვის ცუდი სიტყვებით მიუმართავს. სწორედ ამაზე უკამათიათ ჩემს შვილსა და ზუკას, მერე ქუჩაში გასულან. ბლიაძეს შეუნიშნავს, რომ მაგიდაზე დანა აღარ იდო და ბიჭებს გაჰკიდებია. როგორც ჩანს, კიკაბიძეს წინასწარ ჰქონდა განზრახული ჩემი შვილის მოკვლა. სუფრაზეც უტრაბახია, ადრე სამი კაცი მყავს დაჭრილი და „ტრუპი“ ვერ გავაკეთეო. გარეთ გასული ბლიაძე ჩემს შვილს დაუმშვიდებია – მეგობრები ვართ ვილაპარაკებთ და შემოვალთ, შენ შინ შედიო. ბლიაძე შესულა. რამდენიმე წუთში კვლავ გამოსულა და ჩქარი ნაბიჯებით მიმავალი ზუკა უნახავს; უკითხავს — სად მიდიხარ, ერეკლე სად არისო, მაგრამ ზუკას ხმა არ გაუცია, ეზოში მდგომ დედამისის მანქანაში ჩამხტარა და გაქცეულა,“** — იხსენებს მომხდარს მოკლული გოგბერაშვილის მამა.

საქმეზე მოწმის სახით დაკითხულმა ბლიაძემ განაცხადა, რომ ჩხუბისას წაქცეულ გოგბერაშვლს სისხლი სდიოდა, კიკაბიძე კი მის დანახვაზე გაიქცა და მას წასაყვანად მისული დედის, ხათუნა ანიკაშვილის მანქანით შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

კიკაბიძე დღემდე მიმალვაშია. როგორც მეზობლები აცხადებენ, იგი მშობლებთან ერთად ამერიკაში მყოფება. მის საცხოვრებელ მისამართზე ამჟამად არავინ ცხოვრობს. თბილისის საქალაქო სასამართლოში კიკაბიძის საქმე მის დაუსწრებლად განიხილეს. ბრალდებულს პროცესზე სახაზინო წესით დანიშნული ადვოკატი კობა ქარქაშაძე იცავდა.

**„მე ვარ სახაზინო ადვოკატი, შევეცადე, შემესრულებინა ჩემი მოვალეობა და ბოლომდე დავიცავი ბრალდებული. დღემდე მისი ახლობლების ნახვა ვერ მოვახერხე, ვინაიდან მისი ოჯახის წევრები საქართველოში არ იმყოფებიან. ვერ გეტყვით, რა პოზიცია აქვს განსასჯელს, ის დღემდე მიმალვაშია. ჩვენ არ ვიცით, აღიარებს თუ არა ის დანაშაულს...“** — ამბობს ადვოკატი.

კიკაბიძისადმი წარდგენილი მუხლი 14-დან 17 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს, თუმცა, როგორც პროკურორმა განაცხადა **„ვინაიდან კიკაბიძე არასრულწლოვანა, კანონით 10 წელზე მეტის მოთხოვნის უფლება არ მაქვს.“**

პროკურორმა პროცესზე კიკაბიძის 10 წლით დაპატიმრება იშუამდგომლა, რაც მოსამართლემ დააკმაყოფილა.

**„უკვე იმდენი დრო გავიდა, რომ ვაპატიე კიდეც, მაგრამ პოლიციის ვალდებულებაა, დასაჯოს ჩემი შვილის მკვლელი. მეტს არაფერს ვითხოვდი სასამართლოსგან. რაღა მნიშვნელობა აქვს, რამდენს მიუსჯიან კიკაბიძეს, თუ ის თავისუფლად ივლის და არ დაისჯება?!“** — დასძინა მოკლულის მამამ.

გვერდი მოამზადა **მაკა ქობალიამ**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ავაჰმე, პირველო სადროშოვ!..

## შულავრის ხეობა

**გაზაფხულზე ისევ მივაკითხეთ შულავრის ხეობას, სადაც ლამის 6 ათასი წლის წინანდელი დასახლებების კვალს მიაგნეს ჩვენმა არქეოლოგებმა (შულავერის გორა, იმირის გორა, დანგრეული გორა). აღმოჩნდა მტკვარ-არაქსის კულტურის წინარე ეპოქის ადამიანთა საცხოვრისები, ქვის იარაღები, კერამიკის ნაშთები, ძვლები და სხვა ნაშთები. ადგილმდებარეობაც ხომ თავისთავად და, სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობაც მკაფიოდ გვეუბნება ერთ რამეს: ქვემო ქართლი გაცილებით ადრე აითვისეს ჩვენმა მიწათმოქმედმა ტომებმა, ვიდრე შიდა ქართლი. მისი ნოყიერი ნიადაგი და ზომიერი ჰავა ხომ ორი მოსავლის შესაძლებლობას იძლევა. აქაური ველები ტყიანი ბორცვებითაა შემოსაზღვრული. შესაძლოა, პირველ მოახალშენეთა გამოჩენამდე ეს ველებიც ტყის მასივს ეკავა, მაგრამ ოფსიდიანისა და ძვლის ცულებმა გაკაფა ისინი, რათა ბორცვებზე დაბანაკებულ ადამიანებს ხვნა-თესვისათვის მოეკიდათ ხელი.**



შაუმიანის ეკლესია

შულავრის ხეობაში მოგზაურობა თანმიმდევრული რომ გაგვეხადა, ისევ წერაქვს ავაკითხეთ და ხეობას იქიდან დავუყევით. სიონიდან ჩრდილოეთით მოვდივართ, შაუმიანისაკენ. ...ტყეებს ხასხასა მწვანე ფერი დაკრავს, ხეხილს კი ჯერ ისევ შერჩენია აქა-იქ ყვავილი. გზაზე სახედარშებმული ურიკები გვხვდება, ქართული სახეები სომხურმა შეცვალა. ავაჰმე, ჩემო ქართლის პირველო სადროშოვ!..

სიონიდან ერთი კილომეტრიც არ გვექნება გამოვლილი, რომ ჩვენი მეგზური, სიონის თავკაცი ლაზარე კუპატაძე, დასავლეთით, ვიწრო ხეობაში გადახვევას გვირჩევს — სამ-ოთხ კილომეტრში საინტერესო ნაეკლესიარს გაჩვენებთო. ეს კარმიქარის ანუ წითელქვის მცირე ხეობაა. ხევგაღმა მართლაც მოწითალო კლდეები ჩანს. მანქანით გრუნტის გზას ბოლომდე ავდივართ და სერის თავზე ვჩერდებით. ხელმარცხნივ, ტყეში ყორე-ნასახლართა კვალია. როგორც ლაზარე გვეუბნება, ამ ნასოფლარს ბორჩალოელთაგან შემორჩენილი სახელი ხუდი ჰქვია. ვახუშტი ბატონიშვილმა ეს სახელი არ იცის. იგი აქ, თავის რუკაზე, კარმიქარსა და დაღარს გვიწერს. მაგრამ ვახუშტის მონაცემები XVII-XVIII საუკუნეთა გარდამავალ წლებს ეფუძნება, ნაეკლესიარი კი, რომელიც წმინდა გიორგის სახელითაა შემონახული, გაცილებით ძველია. იგი ბილიკიდან ხელმარჯვნივ, ზედ სერის კორტოხზე დგას. საყდარი, შიდა გეგმარებით, რამდენადმე გორულთან ახლოს მდებარე წალკოტის ეკლესიას ჰგავს. შიგნით მასაც მინიატურული სამკვეთლო და სადიაკვნო აქვს, რომლებიც ღრმა ნიშების დარადაა შედგმული აღმოსავლეთ კედელში. მაგრამ „წალკოტისაგან“ განსხვავებით ეს ეკლესია ქვების ქაოტური წყობითაა ნაგები, უფრო მეტადაა შელახული და XV საუკუნეზე ადრინდელი არ უნდა იყოს.

უკან ვბრუნდებით და შულავრის ხეობას კვლავ დაღმა მოვყვებით. აქაც სომხები ცხოვრობენ. ხეობის ცენტრი დაბა შაუმიანია, რომელსაც ადრე შულავერი ერქვა. „შულავერი“ ადრინდელი ქართული სახელწოდების „შუა ველის“ დამახინჯებული ფორმა უნდა იყოს, მგონი. მას შემდეგ, რაც აქ სომხები დასახლდნენ და დაბას შაუმიანი გადაარქვეს, სახელწოდება „შულავერი“ აქედან ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე თარაქამებით (ელის ტომი) დასახლებულ სოფელზე გადავიდა.



ბინაძორის აღმოსავლეთ ფასადი

დაბა შაუმიანს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან თავს დასცქერის მაღალ ბორცვზე მდგარი XII-XIII საუკუნეების მონასტერი. მას ადგილობრივები „გირიაგარს“ უწოდებენ. ეს ჩვენი წინაპრების მიერ აგებული „წმინდა გიორგია“. მონასტრის გალავნიდან რამდენიმე კედელია შემონახული. ეკლესიისა და მისი მინაშენის აღმოსავლეთის ფასადები ამ გალავანშია ჩართული. საყდარი სიგრძეში 7.5 მეტრია და უმეტესად ნაგებია ზურმუხტისფერი და იმ მეწამული ქვით, რომელიც მეზობლად, კარმიქარის ხეობაში, მოიპოვება. დრო-ჟამისაგან დამდნარი მეწამული კვადრები განსაკუთრებით მეტყველია ტაძრის ჩრდილოეთ ფასადზე.

ეკვდერი რამდენადმე გვიანდელია და მისი რუხი ქვა ადგილობრივია. გარკვეული ეტაპიდან 1980 წლამდე მთავარ დარბაზს კამარა ჩამოქცეული ჰქონდა და მთელი დატვირთვა სომხურ მოსახლეობას ეკვდერზე ჰქონდა გადატანილი. მერე ძირითადი დარბაზი, სოფლურად აღუდგენიათ და სომხური ტრადიციით საკურთხევლის იატაკის დონე გვარიანად აუმაღლებიათ. იგი მინაშენთან შესაბამისობაში მოუყვანიათ. საკურთხევლის წინ კანკელის მაგივრობას მეწამული ფარდა ასრულებს. რას იზამ, გემოვნებაზე არ დაობენ... მონასტრის ეზოში ახალი, ქვის დიდი სამრეკლო დგას.

* * *

გეზი შაუმიანიდან დასავლეთით გვიჭირავს. გახვრეტილ კლდეს, ანუ დევის ხვრელს, გვერდს ვუქცევთ და კიდევ ერთ ვიწრო, ტყიან ხეობაში შევდივართ.

მოსასვენებელი ფანჩატურიდან, რომელიც შაუმიანელების მოსალხენ ადგილსაც წარმოადგენს, ფეხით მივუყვებით ხევს, რომელსაც „ბინაძორი“ ჰქვია. ბინაძორი სომხური სიტყვაა და მას ქართული საისტორიო მწერლობა არ იცნობს. ქართულად იგი ითარგმნება, როგორც მყუდრო სადგომი, საბინადრო ხევი. მაშასადამე აქ ბერებს უნდა ეცხოვრათ, რასაც მშვენიერი ნამონასტრალი ადასტურებს.

სომხური სახელწოდების ქართული თარგმანი, თითქოს, იმაზე მიგვანიშნებს, რომ საქმე გვაქვს ვახუშტის რუკაზე აღნიშნულ სოფელ მყუდროსთან. ბატონიშვილს „მყუდროს“ თავში კოშკის მსგავსი ნაგებობა აქვს მიხატული, მაგრამ ზედ ჯვარი არ აზის. ასეა თუ ისე, ამ ადგილის როგორც ქართული ისე სომხური სახელწოდება, შეფარვით სამონასტრო სამყოფელზე მიგვანიშნებს. და მართლაც, ორასიოდე მეტრის გავლის შემდეგ, ერთ მშვენიერ ნამონასტრალს წავადგებით, — ჩვენს წინაშეა XII-XIII საუკუნეების წმინდა ქართული ხელწერის ხუროთმოძღვრული ძეგლი.

ეკლესიას ორი მინაშენი აქვს: ჩრდილოეთის მინაშენი ძირითადი დარბაზის თანამედროვეა და მას გარედან არქიტრავული და შიგნიდან თაღოვანი კარის ღიობით უკავშირდება. ეს მინაშენი ორ ნაწილადაა დაყოფილი: აღმოსავლეთ მონაკვეთი, ნალისებრი ფორმის აფსიდით, სამკვეთლოს ფუნქციასაც თუ ასრულებდა, ალბათ, დასავლეთის მინაშენი — დამხმარე სათავსოსას. ტაძრის სამხრეთი მინაშენი ნართექსია, რომლის წირთხლებში ჩუქურთმებია ამოჭრილი. მთავარი დარბაზის კედლები დეკორატიული თაღებითაა გამაგრებული, იგი შელესილი და მოხატული ყოფილა. ამ დარბაზის მშვენიერი გეგმარებისა და ლაღი სივრცის მიუხედავად, მისი მთავარი მხატვრული ღირსება მაინც ფასადები უნდა ყოფილიყო. მართალია, მათგან დღეს ბევრი აღარაფერია შემორჩენილი, მაგრამ აღმოსავლეთ კედლის ჩვენამდე მოღწეული ნატიფი ვარდისფერი პერანგი და სარკმლის არშიები ამ სილამაზეს საცნაურს ხდის. განსაკუთრებით მეტყველი უნდა ყოფილიყო სამხრეთი ფასადი, რომლის ზედა ნაწილი აღარ არსებობს.

აქ უნდა ყოფილიყო ის სამი მშვენიერი სარკმელი, რომლითაც უხვად განათდებოდა 110 კვ. მეტრის მქონე დარბაზი.

თითქმის აღარაფერია გადარჩენილი ნართექსიდან, რომელიც ასევე ჩუქურთმებით იქნებოდა სავსე. ახლა აქ მხოლოდ საიდანღაც მოტანილი გვიანი შუასაუკუნეებისათვის დამახასიათებელი სხვა ეკლესიის ჯვრიანი ქვები აწყვია.

ვარაუდობენ, და ეს ასეც უნდა იყოს, რომ „ბინაძორი“ და ბოლნისის რაიონის „თევდორეწმინდა“ დაახლოებით



მანხუტის მე-7 საუკუნის ეკლესია



მანხუტის მე-6 საუკუნის ეკლესია

ერთნაირი ნატაძრალებია. „თევდორეწმინდას“ ჩვენ აუცილებლად გავეცნობით მომდევნო მოგზაურობის დროს.

„ბინაძორიდან“ მანხუტის ხევი ერთი ხელის გაწვდენაზეა დასავლეთით, მაგრამ შუაში გაუვალი, ტყიანი წყალგამყოფი სერია. აქეთ მარნეულის რაიონია, იქით — ბოლნისის. იერლის ტომით დასახლებული ბოლნისის რაიონის სოფელი სარჩლო ძველი ქართული სოფლების მამხუტის და ნუგზარას სოფლის ადგილზე უნდა იყოს აღმოცენებული. ამას ვახუშტის შედგენილი რუკა ადასტურებს. სარაჩლოში ერთი პატარა ხევიც ჩამოდის მანხუტამდე, რომლის ბორცვზე წითელი ქვით ნაგები კედელია აღმართული. ეს განვითარებული შუასაუკუნეების ნაეკლესიარის ჩრდილოეთ კედელია. საყდრის ზეძირკველი და გეგმა გაჭირვებით იკითხება, მაგრამ ძალიან კოხტა კი ყოფილა. ამას ადასტურებს შემორჩენილი კედლის გარეთა მხარე, რომლის ქვათა წყობამ შეუძლებელია გულგრილი დაგტოვოთ.

ნატაძრალის შორიახლო ძველი სოფლის ნაყორალი მეტად რთული გასარჩევია. იქნებ, სწორედ აქ იყო ნუგზარას სოფელი?..

ნასოფლარის უფრო შთამბეჭდავ სურათს, კერძოდ კი ძველი სასაფლაოს კვალს ვხვდებით თავად მანხუტის ხევში, საიდანაც რთული გზით წერაქვსა და გორულში შეიძლება გადასვლა. მანხუტის ხევის შუაწელზე, დასავლეთ მხარეს, სარაჩლოდან სამხრეთ-დასავლეთით 3 კილომეტრში, ფერდობზე, ერთმანეთისაგან 100 მეტრში დგას ორი დიდებული საყდარი.

ამ ორი ეკლესიიდან ქვედა, შესაძლოა, უფრო ძველიც, სულაც VI საუკუნის დასაწყისისა იყოს. არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ მისი ამგები კარგი ხუროთმოძღვარი ყოფილა.

მართალია, ეს საყდარი მასშტაბებით ოდნავ ჩამორჩება ქვემო ბოლნისის ტაძარს, მაგრამ სილამაზით, მგონი, აჭარბებს. ოქროსფერი, ზურმუხტისფერი და იასამნისფერი ქვების მხატვრულ მონაცვლეობას დიდი გემოვნება უდევს საფუძვლად. ამ სანახაობას, თითქოს, მხარს უბამს ჩრდილოეთ კედელთან ამოსული აყვავებული ტყემლის ხე.

საყდრის სიგრძე 10 მეტრია, სიგანე — 4,5, სიმაღლე — 6,5. კედლების სისქე 1 მეტრს აღწევს.

კბილანა ლავგარდანი, ნალისებრი თაღები და აფსიდი კიდევ ერთხელ გვიდასტურებს, რომ, ჩვენს წინაშეა კლასიკური ეპოქის ძეგლი. ამ ეპოქის სუნთქვას შეიგრძნობთ ინტერიერშიც...

მანხუტის ზედა ეკლესია ქვედაზე მოზრდილია, ოღონდ არა სიგძეში (8,5 მ), არამედ სიგანესა და სიმაღლეში. იქმნება შთაბეჭდილება, რომ იგი ოდნავ მოგვიანებით (VII ს.) აიგო. ქვედა ტაძრისგან განმასხვავებლად, მის ხუროთმოძღვარს შედარებით მონოტონური პერანგი შეუქმნია და ლალისფერი ქვა გამოუყენებია უმეტესად. გარდა ამისა ძირითადი დარბაზისათვის ჩრდილოეთიდან ეკვდერიც მიუდგამს. ქვედა ტაძარი უფრო ჰაეროვანია, ზედა — რამდენადმე მძიმე.

გულისტკივილს იწვევს ერთი გარემოება: გასულ საუკუნეში ტაძრის რესტავრატორებს დიდი ყურადღებით არ შეურჩევიათ და გაუთლიათ ახალი ქვები. ადგილობრივმა თარაქამა მწყემსმა ტაძრიდან 50 მეტრში ორი ქვა გვიჩვენა ჯაგებში. ამათგან ერთი რომელიღაც სამკაულის ქვედა ნაწილი აღმოჩნდა, მეორე, გულდაღმა დაწოლილი, — ქვემო ქართლის გაცილებით გვიანდელი ეპოქისათვის დამახასიათებელი განედლებული ქვაჯვარი, ერთი დიდი და ოთხი პატარა ჯვრით.

გასაკვირია, ვინ, როდის და რატომ მოიტანა ისინი აქ?..

**ბელა ქოქიაშვილი**

**ავტორის ფოტოები**

# რუსეთ-თურქეთის 1877–1878 წლების ომი და საქართველო

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №37-38

**ერევნის რაზმზე თურქთა დაწოლის შენელების მიზნით გენ. ლორის-მელიქოვი თვით ზივინის პოზიციების მიმართულებით დაიძრა. მუხთარ ფაშამ მართლაც მიანება თავი ტერ-გუკასოვის ნაწილებთან ბრძოლას და ზივინის მიდამოებში დაიბანაკა. მართალია, ერევნის რაზმმა თავი დააღწია გასაჭირს, მაგრამ სამაგიეროდ კრიტიკულ მდგომარეობაში ჩავარდნენ ზურგს მოწყვეტილი და მტრის ტერიტორიის სიღრმეში შეჭრილი რუსთა ჯარის ძირითადი ნაწილები.**

ზივინთან ბრძოლა 25 ივნისს მოხდა. რიცხობრივი უპირატესობის წყალობით თურქებმა წარმატებას მიაღწიეს. რუსთა ჯარის ცენტრი და მარცხენა ფრთა იძულებული გახდა, უკან დაეხია. ამით გამხნევებული თურქები შეტევაზე გადავიდნენ და თანდათან დაიბრუნეს რუსთა ჯარის მიერ ომის დაწყების პირველ თვეს დაკავებული ტერიტორიები.

1877 წლის ივნისიდან სექტემბრის ბოლომდე რუსთა ჯარის მდგომარეობა მცირეაზიის ფრონტზე კრიტიკული იყო. წინა პერიოდის წარმატებები შეიცვალა მარცხითა და უკან დახევით. ამის მიზეზად მიჩნეულ იქნა ის, რომ რუსეთის ჯარი მოქმედებდა დანაწევრებულად – სამ კოლონად, რაც ასუსტებდა მას, მტერს კი მანევრირების საშუალებას აძლევდა. რუსთა მოქმედი კორპუსი იძულებული გახდა, დაეტოვებინა მტრის მთელი ტერიტორია და ერევნის გუბერნიის ნაწილიც კი.

რუსეთის ჯარმა მარცხი განიცადა კავკასიის ფრონტის შავი ზღვისპირა უბანზეც. მართალია, რუსთა ჯარის ნაწილებმა ქართველ მოლაშქრეთა დახმარებით ბათუმისაკენ შეტევის გზაზე დაიკავეს სოფლები მუხაესტატე და ხუცუბანი, მაგრამ საერთოდ, აჭარაში შეტევას წარმატება არ მოჰყოლია. ეს განპირობებული იყო იმით, რომ რუსეთს შავ ზღვაში სამხედრო ფლოტი არ ჰყავდა. იქ ბატონობდნენ თურქეთის სამხედრო გემები, რომელნიც ბომბავდნენ რუსეთის სანაპირო სიმაგრეებს, ახალ-ახალი ნაწილები გამოჰყავდათ ბრძოლის ველზე და შეუფერხებლად ამარაგებდნენ არმიას იარაღით და სურსათ-სანოვაგით. ასეთ პირობებში შავი ზღვის სანაპირო ხაზით შეტევის წარმოება აშკარა შეცდომა იყო, მაგრამ რუსთა ჯარის სარდლობა შეუპოვრად ცდილობდა ბათუმისაკენ გაჭრას.

1877 წ. ივნისში დიდი ბრძოლა გაიმართა ციხისძირთან. ეს სიმაგრე შეუვალად ითვლებოდა და მისი დაცვა მცირე ძალებით შეიძლებოდა. მაგრამ ოსმალეთის მთავრობამ ციხისძირის დასაცავად 35 ათასი ჯარისკაცი გამოყო, რუსთა შემტევ ჯარში კი მხოლოდ 25 ათასი კაცი ითვლებოდა. ძალთა ასეთი თანაშეფარდების პირობებში, ბუნებრივია, რუსეთის ჯარმა ვერ შეძლო ციხისძირის აღება და უკან დაიხია.

1877 წ. 11 მაისს თურქებმა დესანტი გადმოსხეს გუდაუთის ახლოს და სოხუმისაკენ დაძრეს იგი. სოხუმის გარნიზონის უფროსი გენ. კრავჩენკო გაუბედავად მოქმედებდა. მან ვერ გაბედა შედარებით ძლიერ მტერთან შებმა და ქალაქი დათმო. თურქებმა თითქმის აფხაზეთის ნახევარი დაიკავეს და აფხაზები აიძულეს რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებულიყვნენ.

გენ. კრავჩენკოს ნაწილების დასახმარებლად და აფხაზეთის გასათავისუფლებლად გაიგზავნა გენ. ალხაზიშვილი რუს-ქართველთა ჯარით. გადამწყვეტი ბრძოლა ოქუმის მიდამოებში მოხდა. მტერი დამარცხდა და უკან დახევა დაიწყო. 1 აგვისტოს თურქებმა დატოვეს ოჩამჩირე, 2 სექტემბერს კი რუსთა ჯარი სოხუმში შევიდა. მალე აფხაზეთის მთელი ტერიტორია გაწმენდილ იქნა ოკუპანტებისაგან.

ამავე დროს რუსეთის სარდლობა კონტრშეტევისათვის ემზადებოდა მცირე აზიის ფრონტზე. 1877 წლის სექტემბრის ბოლოსათვის კავკასიის მოქმედ კორპუსს შეემატა ორი ახალი დივიზია და მილიციონერთა რაზმები. მაგრამ არც თურქები ისხდნენ გულხელდაკრეფილი. მუხთარ ფაშას არმიაც შეივსო ახალი ნაწილებით. გადამწყვეტი ბრძოლის დაწყების წინ კავკასია-მცირე აზიის ფრონტის მთავარ უბანზე (პატარა იანგი – ალაჯის სიმაღლეები – ყიზილ თაფას ხაზი) რუსთა სარდლობას განლაგებული ჰყავდა 50 ათასი კაცი, თურქებს – 37 ათასი.

გენერალური ბრძოლა 2 ოქტომბერს დაიწყო. მოწინააღმდეგეები თავდაპირველად ავალიარის მიდამოებში შეეტაკნენ ერთმანეთს. ბრძოლა ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა. პოზიციები ხელიდან ხელში გადადიოდა. ბრძოლის მესამე დღეს რუსთა ჯარმა თავის საწყის პოზიციებზეც კი დაიხია, მაგრამ სისხლი ამაოდ არ დაღვრილა. მტერმა გამანადგურებელი ზარალი განიცადა – ბრძოლის ველზე დატოვა 8 500 კაცი. რუსთა ჯარის გააფთრებული შეტევებითა და დიდი დანაკარგით დემორალიზებული თურქები აქტიურ მოქმედებას ველარ ბედავდნენ და ინიციატივას თანდათან რუსებს უთმობდნენ. 14 ოქტომბერის ბრძოლაში რუსთა ჯარმა ახალი წარმატება იზეიმა. მაგრამ გადამწყვეტი გამარჯვება მოპოვებულ იქნა 15 ოქტომბერს, როცა რუსეთის რეგულარული ჯარის ნაწილებმა და კავკასიელმა მილიციონერებმა ალაჯის სიმაგრეებზე გაანადგურეს თურქთა ძირითადი ძალები. ამ ბრძოლაში თურქებმა დახოცილ-დაჭრილთა სახით 13 ათასი ჯარისკაცი დაკარგეს. 7 ფაშა, 250 ოფიცერი და 7 000 ჯარისკაცი ტყვედ იქნა წამოყვანილი. რუსთა ნაწილების დანაკარგი შედარებით უმნიშვნელო იყო, დაჭრილ-დახოცილთა სახით მათ რიგებს გამოაკლდა 1 400 კაცი. სამხედრო თვალსაზრისით 2–4 ოქტომბრისა და 14 –15 ოქტომბრის ბრძოლები იყო ერთი ოპერაციის ორი ეტაპი, რომელიც დამთავრდა თურქთა ანატოლიის კორპუსის განადგურებით. რუსეთის ჯარებმა კვლავ დაიკავეს ვრცელი ტერიტორია სოღანლუღის მთებამდე.

ავლიარ-ალაჯის ბრძოლის შემდეგ თურქთა განადგურებული კორპუსის სარდალი მუხთარ ფაშა თავის ჯარის ნაშთებთან ერთად თავდაპირველად ყარსის ციხეს შეეფარა, რამდენიმე დღის შემდეგ ქალაქის გარნიზონი ჰუსეინ ხამი ფაშას ჩააბარა, თვითონ კი 3 ათასი კაცით უკან დაიხია ქვეყნის სიღრმეში, თავი მოუყარა მცირე აზიაში გაფანტულ თურქეთის ჯარებს და შეეცადა, ბრძოლის მსვლელობა თავის სასარგებლოდ შემოებრუნებინა. მაგრამ გამარჯვებით გამხნევებული რუსი ჯარისკაცები, ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი და სხვ. მოლაშქრეები დამარცხებულ მტერს სულის მოთქმას არ აცდიდნენ და სწრაფად მიიწევდნენ არზრუმისაკენ. მუხთარ ფაშამ მაინც შეძლო თავისი ჯარის კონცენტრაცია და 20 ათასი კაცით 5 ნოემბერს დევე ბოინის მთასთან დიდი ბრძოლა გაუმართა რუსებს, მაგრამ ამჯერადაც გამანადგურებელი მარცხი განიცადა – ბრძოლის ველზე დატოვა 3 ათასი გვამი და 42 ქვემეხი.

დევე ბოინი უკანასკნელი დაბრკოლება იყო არზრუმისაკენ შეტევის გზაზე. 10 ნოემბერს რუსთა ჯარის ნაწილები ანატოლიის ამ მთავარ ქალაქს მიადგნენ და მოულოდნელი შეტევით სცადეს მისი აღება. მაგრამ მოუმზადებელ იერიშს წარმატება არ მოჰყოლია.

იმ დროს, როცა რუსთა ჯარის ერთი ნაწილი დამარცხებულ მტერს მისდევდა და არზრუმს უახლოვდებოდა, მეორე ნაწილი თანდათან ავიწროებდა რკალს ყარსის გარშემო. მართალია, ყარსის სიმაგრეებზე მდგარი 300 ქვემეხის განუწყვეტელი ზალპით შემტევ ჯარებს საგრძნობი ზარალი მოსდევდა, მაგრამ რუსი და ქართველი მებრძოლები უშიშრად მიიწევდნენ წინ. 17–18 ნოემბერს ღამით რუსთა ჯარებმა გენ. ლორის-მელიქოვის სარდლობით გადამწყვეტი იერიში მიიტანეს ყარსზე და გათენებისას შეძლეს მისი აღება. თურქებმა ამ ბრძოლაში დაკარგეს 2 500 კაცი მოკლულთა და 17 000 ტყვეთა სახით. მათ შორის ტყვედ იქნა წამოყვანილი 5 ფაშა და 800 ოფიცერი. რუსთა დანაკლისი მოკლულ-დაჭრილთა სახით 2 ათას კაცს არ აღემატებოდა.

გაგრძელება
შემდეგ ნომერში



გამოვიდა
სამეცნიერო-პოპულარული
ჟურნალის
«ისტორიული
მემკვიდრეობა»
მეორე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს. ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.



არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 38-41-97.

უნივერსალური წყალი
„ისიდა“
მათთვის, ვისთვისაც ქვირფასია ჯანმრთელობა



**სუფრის წყალი „ისიდა“ აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო“) მოთხოვნებს და შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ და შეუცვლელ მიკროელემენტებს დღიური ნორმის ოდენობით:**

**იოდი** — ხელს უწყობს დედის ორგანიზმში ნაყოფის განვითარებას (დეფიციტი იწვევს კრეტინიზმს); მოქმედებს მოზარდის ნორმალურ განვითარებაზე; იცავს ადამიანს ჩიყვისგან; მოქმედებს გულსისხლძარღვთა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.

**ფტორი** — მინერალიზაციის პროცესების ბიოკატალიზატორია. მისი დეფიციტი იწვევს მინერალიზაციის დარღვევას, კბილის კარიესს.

**მანგანუმი** — მოქმედებს ჰორმონებსა და ფერმენტებზე. მისი დეფიციტი იწვევს ინსულიარული აპარატის მოშლას, პოტენციის დაქვეითებასა და პათოლოგიურ სიმსუქნეს.

**კალციუმი** — მონაწილეობს ძვლის უჯრედების წარმოქმნაში. მოქმედებს სისხლის შედედებაზე, ნერვული იმპულსების გადაცემაზე, ფერმენტული პროცესების აქტივობაზე.

**კალიუმი** — უზრუნველყოფს გულის კუნთის მუშაობასა და მის ბუნებრივ აქტივობას, ხელს უწყობს მეხსიერების გაუმჯობესებას.

**მაგნიუმი** — ამაგრებს ჩონჩხის ძვლებს, კბილის მინანქარს. ხელს უწყობს თირკმელების, ღვიძლის, გულისა და ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებას.

**ნატრიუმი** — ფიზიოლოგიური (უჯრედგარეთ) სითხის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. არეგულირებს სისხლის წნევას და იცავს სისხლის ბუფერობას.

**თუთია** — შედის თითქმის ყველა უჯრედის შემადგენლობაში, არეგულირებს მოზარდი ორგანიზმის ნორმალურ განვითარებასა და სქესობრივ მომწიფებას.

საერთო მინერალიზაცია შეადგენს 350 მგ/ლიტრზე, რაც უზრუნველყოფს გულის კუნთის ნორმალურ მუშაობას, ტვინის ქერქისა და ქერქქვეშა ცენტრების აქტივობას, თირკმლის ნორმალურ ფუნქციონირებას, ზრდის ღვიძლის დეტოქსიკაციურ ფუნქციას და ინარჩუნებს ძვლოვანი ქსოვილების ნორმალურ შემადგენლობას.

„ისიდა“ გამიზნულია ოჯახური მოხმარებისთვის, ისხმება 20-ლიტრიან ბალონებში.

მსურველებმა დარეკონ თბილისში: 899-16-30-219 890-26-15-15 (ოფისი); რუსთავში: 890-11-50-99; 895-91-24-14.

# მორფი ხელს უწყობს სიმსივნის ზრდას



ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ნარკოტიკული გამაყუჩებელი საშუალებები, რომლებიც ფართოდ გამოიყენება ონკოლოგიაში, ხელს უწყობს სიმსივნის ზრდას! ამიტომ მკვლევარები ფიქრობენ, რომ ონკოლოგიაში მათი გამოყენება გადახედვასა და შესწავლას საჭიროებს.

# იმპოტენციის მკურნალობის ახალი მეთოდი

ევროპის სექსოლოგიის შემსწავლელ მეცნიერთა საზოგადოებამ კვლევებით დაამტკიცა, რომ ულტრაბგერითი იმპულსებით თერაპია, ეფექტურია ერექციის დისფუნქციის სამკურნალოდ. ექიმთა აზრით, ამ მეთოდით იმპოტენტ მამაკაცთა მკურნალობამ გაამართლა 20-დან 15 შემთხვევაში, ხოლო კურსის გამეორების შემთხვევაში მკურნალობა სრული წარმატებით დამთავრდა.



# გახდომა გემრიელი საკვებით

ამჟამად აშშ-ში, კერძოდ, ნიუ იორკში, იყიდება სპეციალური საკვები აეროზოლები ხორცის, თევზისა და სხვა ნებისმიერი კერძის არომატით. ეს საკვები სალათის ფურცლებსაც რომ მიასხუროთ და მიირთვათ, ისეთი შეგრძნება დაგეუფლებათ, თითქოს შემწვარ ხორცს ჭამთ და, რაც მთავარია, წონაში არ მოიმატებთ. ეს ახალი მეთოდი უკვე წარმატებით დაინერგა ნიუ იორკის მრავალ რესტორანში, რომელთაც ის ხალხი სტუმრობს, ვისაც წონაში მომატება არ სურს.



# ტკივილგამაყუჩებელმა პრეპარატებმა შეიძლება ინფარქტი ჩამოაყალიბოს

**აშშ-ში ჩატარებული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ სხვადასხვა დასახელების ტკივილგამაყუჩებელი საშუალების ხშირმა და ექიმთან შეუთანხმებელმა მიღებამ, შეიძლება ინფარქტი გამოიწვიოს.**

დღეისათვის აიკრძალა ბევრი ტკივილგამაყუჩებელი თუ ანთების საწინააღმდეგო პრეპარატი, მაგალითად: როფეკოქსიბი, ხოლო ბევრის მოქმედება კი ეჭვქვეშ დადგა. მათ შორის ისეთი გავრცელებული წამლებისა, როგორიცაა: ანალგინი, ასპირინი, დიკლოფენაკი, ნაპროკრენი, იბუპროფენი და სხვ. კვლევებით დადასტურდა, რომ ამ ჩამონათვალიდან 2-3 ტაბლეტის მიღება დღეში დასაშვებია, მაგრამ 4-5 ტაბლეტის მიღება უკვე იწვევს სერიოზულ საფრთხეს. კერძოდ, იწვევს კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის ეროზიასა და წყლულს. ხოლო ანალგინი, ბუტადიონი და რეოპირინი — სისხლის მიმოქცევის მოშლას. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბევრ ევროპულ ქვეყანაში ანალგინი მხოლოდ ექიმის რეცეპტით გაიცემა. ეს პრეპარატი საშიშია იმითაც, რომ მისი მთელი თვის განმავლობაში ყოველდღიური მიღება სერიოზულად წამლავს ორგანიზმს.

მსოფლიოში ყოველწლიურად 100000 ასეთი შემთხვევა აღინიშნება. აქედან გამომდინარე, ტკივილგამაყუჩებლის მიღება ექიმის დანიშნულების გარეშე 2-3 დღეზე მეტად დაუშვებელია!



# ათეროსკლეროზი უძველესი დაავადებაა

აშშ მკვლევარებმა, რომლებიც ეგვიპტეში მუშაობდნენ მუმიების მეცნიერულ შესწავლაზე, დაადგინეს, რომ ათეროსკლეროზი, როგორც დაავადება, გავრცელებული იყო ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში. მათ შეისწავლეს 20 მუმიის კომპიუტერული ტომოგრამა; დადგინდა, რომ 16-დან ცხრას ჰქონდა როგორც ათეროსკლეროზი, ასევე, გულ-სისხლძარღვთა დაავადება.



# ნიორი კიბოს წინააღმდეგ



**ამერიკის ნაციონალური ცენტრის მეცნიერები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ნიორი არა მხოლოდ გაციების დროს, არამედ პროსტატის, კიბოს შემთხვევებშიც საუკეთესო პროფილაქტიკური საშუალებაა. ამ კვლევების ხელმძღვანელის, პროფესორ ენი ჰინგრის აზრით, ამ დროს მთავარ როლს ასრულებს ნივთიერება ალიუმი, რომელიც ნიორს მძაფრ სუნს ანიჭებს.**




# მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და გამოჯანმრთელებულები ბრუნდებიან

**გაგნიძის პრეპარატი არჩენს**

**ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, პარკინსონს, ასთმას, ჩიყვს, გულისა და თირკმელის დაავადებებს; სპობს აზოტს თირკმელში, კურნავს გაფანტულ სკლეროზს და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ოსტეოქონდროზს, ჰაიმორიტს, ლეიკოზს, სეფსისს, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C ჰეპატიტს, ელენთის, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, ქლამიდიას, კლიმაქსს, წყლულს, ფსორიაზს, სახსრების დაავადებებს, ეპილეფსიას; ამყარებს იმუნიტეტს, ახდენს თავის ტვინის უჯრედების აღდგენა-შენარჩუნებას, დადებითად მოქმედებს სექსუალურ დარღვევებზე და ნარკოტიკებთან დამოკიდებულებაზე.**

**კოორდინატებია:**

**თელავი,**
**კავკასიონის ქუჩა №61-ბ,**
**გაგნიძე ბიჭიკო (დომენტი).**
**ტელ.: 893-22-66-51 8(250) 7-61-24**

**თბილისი,**
**აწყურის 31ა.**

**ბათუმი, ასათიანის 11,**
**(ორშაბათს, ოთხშაბათს**
**და პარასკევს,**
**10-დან 14 საათამდე).**



# სიარულის მანერა გონებრივი შესაძლებლობების მაჩვენებელია

მკვლევარებმა დაადგინეს, რომ სავარძელში გამართული ხერხემლით, სწორად ჯდომა — გონებრივ შესაძლებლობებს ავითარებს. მათი აზრით, ის ადამიანები, რომლებიც ასე ჯდებიან, არიან მიზანმიმართულნი და თავდაჯერებულნი.



**ოჰაიოს** უნივერსიტეტის მეცნიერების მიერ ცდები ჩატარდა სტუდენტებზე. ისინი რომლებიც ამ მდგომარეობაში ისხდნენ, უფრო დამაჯერებლად და ზუსტად ახდენდნენ თავიანთი პროფესიული შესაძლებლობების ზუსტ ფორმულირებას, ვიდრე სხვები. ფსიქოლოგები თვლიან, რომ სწორი, გამართული სიარულის მანერაც, ასევე, დადებითად მოქმედებს ადამიანის გონებრივ შესაძლებლობებზე.

# კარდიოგრამა სალბუნით

დიდ ბრიტანეთში დაიწყო კვლევები ელექტრო სალბუნით. ელექტროსალბუნი საშუალებას მისცემს მეცნიერებს ელექტროკარდიოგრამის სადღეღამისო მონიტორინგის ჩასატარებლად, ტემპერატურის გაზომვას, სუნთქვისა და გლუკოზის დონის შემოწმებას სისხლში.

ამ ახალ ტექნოლოგიას შეუძლია ადამიანის სიცოცხლის ეს აუცილებელი მაჩვენებლები დააფიქსიროს არა მხოლოდ ადამიანის ადგილზე ყოფნისას, არამედ იმ დროსაც, როცა იგი ექიმთან არ იმყოფება. სალბუნს ხელზე დაამაგრებენ და, ის გინდაც სხვაგან იმყოფებოდეს, ტექნოლოგია დააფიქსირებს მისი ჯანმრთელობის პარამეტრებს, ხოლო მკურნალი ექიმი გააკონტროლებს მის ჯანმრთელობას პაციენტის ადგილზე არყოფნის დროსაც.

# 12 წლამდე ასაკის ბავშვებს ლუდი ეკრძალებათ



მოსკოვის ტოქსიკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელმა ვლადიმერ ნუჟნიმ განაცხადა, რომ, ლუდის სამკურნალო პროფილაქტიკური თვისებების მიუხედავად, მისი დალევა კატეგორიულად ეკრძალებათ ბავშვებს 12 წლის ასაკამდე, ვინაიდან მოზარდებში იგი იწვევს: იმუნიტეტის დაქვეითებას, აზიანებს ღვიძლსა და თირკმელს და უარყოფითად მოქმედებს სისხლის ფორმულაზე. ამ ყველაფერთან ერთად, ბავშვის ჩამოუყალიბებელი სხეულისათვის ნებისმიერი სახის ეიფორიული მდგომარეობა უარყოფითად მოქმედებს მის შემდგომ განვითარებაზე. ასევე, მცირედი ალკოჰოლიც იმდენად ცვლის მათ ფსიქიკას, რომ შესაძლებელია მათ სპირტიანი სასმელებისადმი მიდრეკილება გაუჩნდეთ.

# სოსისი და შაშხი შეიძლება კიბოს მიზეზი გახდეს



„გადამუშავებული ხორცის პროდუქტების ხშირი მოხმარება საჭმლის მომნელებელი სისტემის კიბოს რისკს ზრდის," — აცხადებენ კაროლინის ინსტიტუტის მეცნიერები. ამ მიმართულებით მათ უკვე გამოაქვეყნეს 15 გამოკვლევა, სადაც აღწერილია 4704 პაციენტის დაავადების გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების შესწავლის შედეგები. დადგინდა, რომ ყოველდღიურად თუნდაც 30 გრამი გადამუშავებული ხორცის (განსაკუთრებით შებოლილის!) მიღება 38 პროცენტით ზრდის მომნელებელი სისტემის ონკოლოგიური დაავადებების რისკს. მეცნიერთა აზრით, ეს გამოწვეულია გადამუშავებულ პროდუქტებში ნიტრატების არსებობით, ასევე, იმ ტოქსინებით, რომლებიც შებოლილ პროდუქტებშია. მომნელებელი სისტემის ონკოლოგიური დაავადება დღეს მეოთხე ადგილზეა მსოფლიო ონკოლოგიაში.

# სანდო ბანკი




**ბანკის განვითარება წარმოუდგენელია სტაბილური კლიენტურის გარეშე. სტაბილური კი ის კლიენტია, რომელმაც მიიღო ამა თუ იმ ბანკთან თანამშრომლობის გარკვეული გამოცდილება. სწორედ ნდობაა ერთ-ერთი უმთავრესი მონაპოვარი ბანკსა და კლიენტს შორის.**
**ამჯერად გვსურს, ვისაუბრთ ბანკ „რესპუბლიკის" საინტერესო მომსახურების შესახებ, თუ რას გვთავაზობს ის ახალსა და ისეთს, რაც ამ ეკონომიკური კრიზისის დროს გამოგვადგება და რაც მას სხვა ბანკებისაგან გამოარჩევს.**
**ბანკმა „რესპუბლიკამ" დღეს არაერთი ახალი საბანკო პროდუქტი შესთავაზა მომხმარებელს.**

## რა არის ზრდადი ანაბარი?

თუ გსურთ, რომ შეიქმნათ დანაზოგი, მაშინ **ზრდადი** ანაბარი თქვენთვის სუკეთესო არჩევანია, რადგან:

— არ არის აუცილებელი თანხის ერთდროულად შეტანა, შეგიძლიათ დააგროვოთ თანხა ნელ-ნელა, ყოველთვიური შენატანებით;

— მინიმალური შენატანი მხოლოდ 20 ლარია;

— შენატანები შეიძლება იყოს ერთმანეთისაგან განსხვავებული, ანუ ყოველთვე შეიტანოთ სასურველი თანხა;

— ანაბარზე განთავსებულ თანხას ერიცხება მაღალი სარგებელი;

— სარგებლის მიღება შეიძლება მიმდინარე ანგარიშიდან ან საბანკო ბარათიდან;

— ანაბარზე განთავსებული თანხისა და პროცენტის განკარგვა შესაძლებელია ორი მფლობელის მიერ ნოტარიული დამოწმებისა და სხვა იურიდიული პროცედურების გარეშე;

— თუ გარკვეული თანხის სწრაფად მიღება დაგჭირდებათ, როგორც ამ ბანკის მეანაბრეს, შეგიძლიათ მიიღოთ სესხი შეღავათიანი პირობებით;

— გეძლევათ საშუალება, ისარგებლოთ განვადების იაფი ტარიფებით იმ სავაჭრო ობიექტებში, სადაც წარმოდგენილია **ბანკ „რესპუბლიკის"** განვადების პროგრამა **„ოქროს თევზი"**.

**ზრდადი ანაბრის პირობები:**

თანხის შეტანა ხდება ლარში, აშშ დოლარში, ევროში და გირვანქა სტერლინგში. მინიმალური შენატანი — 20 ლარი ან დოლარი, ან ევრო, ან გირვანქა სტერლინგი;

**ვადა** — 3-დან 24 თვემდე;

ანაბარზე თანხის დამატების სიხშირე: მინიმუმ თვეში ერთხელ, ნებისმიერი თანხა.



## მეგობარი ანაბარი



გსურთ, უსაფრთხოდ და სარგებლიანად შეინახოთ თქვენი დანაზოგი ბანკში და ამავე დროს მისი გამოტანა შეგეძლოთ დღე-ღამის განმავლობაში ნებისმიერ დროს, მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, მაშინაც კი, როცა ბანკები დაკეტილია? ამისათვის გახსენით მეგობარი ანაბარი, რომელიც თან ბანკშია, თან სულ თქვენთანაა.

ანაბრიდან თანხის გამოტანა ან დამატება, ნებისმიერ დროს შეგიძლიათ ჩვენი ბანკის ყველა ფილიალიდან.

ანაბარი, სურვილის შეთხვევაში, განთავსდება საბანკო ბარათზე, რომლითაც შეგეძლებათ, გამოიტანოთ დანაზოგი და სარგებელი ნებისმიერი ბანკომატიდან ან ბანკიდან ნებისმიერ დროს. ამრიგად, **მეგობარი ანაბარი** თქვენთანაა მაშინაც, როდესაც ბანკები დაკეტილია.

თანხას, რომელიც მთელი თვის განმავლობაში იქნება ანაბარზე, ერიცხება 10%-მდე სარგებელი.

ამასთან, 2 პროცენტ სარგებელს დამატებით იღებთ თვის განმავლობაში ანაბარზე შეტანილ და ანაბრიდან გამოტანილ თანხაზეც.

ბარათით შეგიძლიათ გამოიტანოთ თქვენი დანაზოგი მსოფლიოს ნებისმიერი ბანკომატიდან და ბანკიდან, ასევე, მიიღოთ ამონაწერი ანგარიშიდან **ბანკ „რესპუბლიკის"** ფილიალებში ან ინტერნეტბანკისა და ბანკომატის საშუალებით, შეცვალოთ ბარათის პინკოდი ბანკომატის საშუალებით.

**უპირატესობები:** ანაბრის გახსნა შესაძლებელია როგორც ბარათით, ისე ბარათის გარეშე თქვენი სურვილისამებრ;

— ანაბრის გახსნა უფასოა;

— ანაბარზე არსებული თანხისა და დარიცხული პროცენტის განკარგვა შესაძლებელია რამდენიმე მფლობელის მიერ რთული იურიდიული პროცედურების გარეშე.

— თქვენი სურვილისამებრ შესაძლებელია დამატებითი ბარათების გაცემა ანაბრის 3 თანამფლობელზე;

**სარგებელი ორგვარია:**

— თვის განმავლობაში ხელუხლებელ დანაზოგზე, ლარში 10 პროცენტი, აშშ დოლარში — 8 პროცენტი, ევროში — 8 პროცენტი, გირვანქა სტერლინგში — 7 პროცენტი;

— ანაბრიდან ერთი თვის მანძილზე გატანილ ან შემოტანილ თანხაზე — 2 პროცენტი;

— ანაბრის გახსნის პირველადი შენატანი — მინიმუმ 100 ერთეული ანაბრის ვალუტით;

— ანაბრის გატანისა და შემოტანის სიხშირე — შეუზღუდავია;

— სარგებლის დარიცხვა ხდება ყოველი თვის ბოლოს;

— ბარათის ტიპი — Visa Electron;

— ბარათის ვადა — 4 წელი;

— თანხის გატანის დღიური ლიმიტი: ბანკომატიდან 5000 ლარი ან მისი ეკვივალენტი სხვა ვალუტით;

**ბანკ „რესპუბლიკის"** ფილიალებიდან — შეუზღუდავი, სხვა ბანკების ფილიალებიდან — 10000 ლარი ან ეკვივალენტი სხვა ვალუტით.

## საბავშვო ანაბარი

თუ გსურთ, თქვენს შვილს შეუქმნათ უზრუნველი მომავალი, შეგიძლიათ, შეუგროვოთ თანხა საბავშვო ანაბარზე და ყოველი წელი მისთვის დამატებითი სარგებლის მომტანი იქნება.

**უპირატესობები:** ყოველთვიური შენატანები სავალდებულო არ არის, შეგიძლიათ შეიტანოთ თანხა ნებისმიერ დროს;

— მინიმალური შენატანი 20 ლარია (ან აშშ დოლარი, ან ევრო, ან გირვანქა სტერლინგი);

— თუ წლის განმავლობაში ანაბარზე ყოველთვე შეგაქვთ თანხა, მაშინ წლის ბოლოს ყოველწლიურ სარგებელთან ერთად თქვენს ანაბარს დამატებით ერიცხება 0,50 პროცენტი ბონუსი;

— ყოველი წლის ბოლოს დაგროვებული სარგებელი ემატება თქვენს ანაბარს, შემდეგ წელს კი სარგებელი ერიცხება როგორც თქვენ მიერ შემოტანილ თანხას, ისე უკვე დარიცხულ სარგებელს (ანუ სარგებელი ერიცხება სარგებელსაც);

— თუ ანაბრის დარღვევა ვადაზე ადრე მოგიხდათ, თქვენ არ კარგავთ სარგებელს სრულად გასულ წლებზე;

— თუ გახსნით ლარის ანაბარს 3 წლით, დაარღვევთ და 2 წლისა და 3 თვის შემდეგ სრულად გასული 2 წლისათვის დაგერიცხებათ წლიური 12.50 პროცენტი, ხოლო დარჩენილ 3 თვეზე კი მიიღებთ წლიურ 1.50 პროცენტს;

— შენატანები შეიძლება იყოს ერთმანეთისაგან განსხვავებული, ანუ ყოველთვიურად შემოგაქვთ თქვენთვის სასურველი თანხა.

**პირობები:** ანაბარი იხსნება ბავშვის სახელზე მშობლის, მეურვის ან ნებისმიერი სხვა პიროვნების მიერ;

— ანაბრის თანხის გამოტანის უფლება შეიძლება ჰქონდეს ერთ-ერთ ან ორივე მშობელს / ან მეურვეს;

— 18 წლის ასაკში ბავშვი ხდება ანაბრის ერთპიროვნული მფლობელი. ამ მომენტიდან მხოლოდ მას აქვს ანაბრიდან თანხის გამოტანის უფლება.



## რა არის კონვერტირებადი ანაბარი




თუ თქვენი ანაბრის ვალუტის კურსი ეცემა, გადაიტანეთ თანხა სხვა ვალუტაში დაგროვილი სარგებლის დაკარგვის გარეშე.

კონვერტირებადი ანაბრის გახსნისას თქვენ ხდებით — მსოფლიო საბანკო ჯგუფ **„სოსიეტე ჟენერალის"** მეანაბრე;

— ანაბარზე გერიცხებათ მაღალი სარგებელი 14 პროცენტამდე;

— ნებისმიერ დროს შეგიძლიათ ანაბარზე არსებული თანხის კონვერტირება სხვა, თქვენთვის სასურველი ვალუტით სარგებლის დაკარგვის გარეშე;

— ანაბარზე განთავსებული თანხის გატანა შეგიძლიათ ნებისმიერი ვალუტით;

**უპირატესობები:**

— შესაძლებელია სარგებლის მიღება მიმდინარე ანგარიშიდან ან საბანკო ბარათიდან;

— ანაბრის თანხის და დარიცხული პროცენტის განკარგვა შესაძლებელია ორი მფლობელის მიერ ნოტარიულ დამოწმებისა და სხვა რთული იურიდიული პროცედურების გარეშე;

— თუ დაგჭირდათ გარკვეული თანხის სწრაფად მიღება, თქვენ, როგორც ჩვენს მეანაბრეს, შეგიძლიათ მიიღოთ სესხი შეღავათიანი პირობებით;

— გეძლევათ საშუალება, ისარგებლოთ განვადების იაფი ტარიფებით იმ სავაჭრო ობიექტებში, სადაც წარმოდგენილია **ბანკ „რესპუბლიკის"** განვადების პროგრამა „ოქროს თევზი".

**პირობები:** ვალუტა: ლარი, აშშ დოლარი, ევრო, გირვანქა სტერლინგი.

— მინიმალური შენატანი: 500 ერთეული ნებისმიერი ვალუტით;

— ვადა — 3-დან 36 თვემდე;

— თანხის კონვერტაცია — ნებისმიერ დროს;

— ანაბრის გახსნის შემთხვევაში მიიღებთ წამახალისებელ საჩუქარს, კერძოდ:

თუ შეტანილი თანხა იქნება:
2000 — Visa Electron-ს;
2000-3000 — Visa Classic-ს;
30000 — Visa Gold-სა და ინდივიდუალური სეიფით სარგებლობის უფლებას.

**შენიშვნა:**

— თანხა უნდა იყოს დოლარის ეკვივალენტი ნებისმიერი ვალუტით.

## გადახდა ინტერნეტით

**— შეგიძლიათ გადასახადები გადაიხადოთ მარტივად, ინტერნეტით — კომუნალური, ტელეფონის, ინტერნეტისა და საპატრულოს გადასახადები;**

**— ონლაინგადასახადები საბანკო ბარათის მეშვეობით;**

**— გადასახადების გადახდა შესაძლებელია ასევე:**

**— ინტერნეტბანკით;**

**— ბანკი-კლიენტით;**

**— „რესპუბლიკის" ბანკომატებით.**



გვერდები მოამზადა **ეთერ კასრელიშვილმა**

25 ნოემბერი — 1 დეკემბერი, 2009 წელი. №39
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# ვინ ჭამს ჭიკარტებს?



**ვენის მკვიდრმა ქალბატონმა ერთ მშვენიერ დღეს ჩვეულებრივ სენდვიჩში შვიდი ცალი ჭიკარტი აღმოაჩინა.**

როგორც შემდგომში ჟურნალისტებს უთხრა, აღნიშნული სენდვიჩი სტუმრებს ერთ-ერთ დაბადების დღეზე მიართვეს. ქალმა ჭიკარტები თავიდან ვერ შენიშნა, თუმცა პირველივე ლუკმა ეუცნაურა და კუჭნაწლავის ტრავმებს მხოლოდ იმის წყალობით გადაურჩა, რომ ლუკმა არ გადაუყლაპავს. წვეულებისთვის საკვების მომწოდებელმა კომპანიამ განაცხადა, რომ წარმოდგენა არ აქვს, საიდან მოხვდა ჭიკარტები სენდვიჩში.

# სად იცის გიგანტური სეტყვა?



**აშშ-ის კოლორადოს შტატში კერძო სახლს ფეხბურთის ბურთის ზომის ყინული დაეცა, სახურავი ჩაანგრია და კედლებიც დააზიანა.**

სახლის ბინადარნი არ დაზარალებულან, ვინაიდან იმ დროს შინ არ იმყოფებოდნენ. სამოქალაქო ავიაციის ფედერალური სამმართველო ამ უცნაურ მოვლენას აღნიშნული რაიონის თავზე გადამფრენ თვითმფრინავს აბრალებს, მაგრამ სპეციალისტები არ ეთანხმებიან, ვინაიდან ციდან ჩამოვარდნილი ყინული არ შეიცავს თვითმფრინავების ტუალეტისათვის განკუთვნილი წყლის სპეციალურ დანამატს.

# სად ხატავენ ჰომოსექსუალურ კომიქსებს?

**პირველი ჰომოსექსუალი სუპერგმირები ბრიტანულ კომიქსებში გაჩნდა. მხატვარ მარტინ იდენის პროექტს „Spandex“-ი ჰქვია.**

კომიქსის შვიდ გმირს (მათ შორისაა, მაგალითად, შავკანიანი ლესბოსელი ქალი ბუტჩი) ცისარტყელის შვიდი ფერის სამოსი აცვია (ცისარტყელა გეი-მოძრაობისა და მისდამი ტოლერანტობის სიმბოლოდ ითვლება). მალე შვიდეულს მერვე გმირი შეემატება. გუნდის ლიდერი ტრანსვესტიტი სუპერგმირი ლიბერტი იქნება. უარყოფითი გმირებიც სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლები იქნებიან. ავტორი ამბობს, რომ კომიქსი მხოლოდ უფროსებისთვისაა განკუთვნილი.




# პარიზში შარვლიან ქალებს სჯიან?

**პარიზში დღემდე არაა გაუქმებული XVIII საუკუნის კანონი, რომლის მიხედვითაც ქალებს შარვლის ჩაცმა ეკრძალებათ.**

ასე რომ, წესი, რომლის დაცვასაც ხელისუფლება რატომღაც არ ითხოვს, ამ დრომდეც ძალაშია. 1800 წელს მიღებული კანონის თანახმად, ქალებს მამაკაცური სამოსის ჩაცმა მხოლოდ განსაკუთრებული ნებართვით შეეძლოთ.

1892 წლიდან საცხენოსნო კოსტიუმის ჩაცმაზე ქალებს ტაბუ მოეხსნათ. 1909 წლიდან ნება მიეცათ, ველოსიპედით მოძრაობისას შარვალი ჩაეცვათ. მას შემდეგ კანონში შესწორება აღარ განხორციელებულა. ბოლოს გენდერული თანასწორობის სამინისტროს ამ კანონის გასაუქმებლად თხოვნით პარლამენტარებმა მიმართეს, მაგრამ პასუხად მიიღეს, რომ შეცვლა-გაუქმებას მისი დარღვევა სჯობს.



# ჩინეთი მსოფლიო ეკონომიკის ლიდერობისკენ მიდის

**ჩინეთის საერთაშორისო იმიჯი ბეწვზე კიდია და ხელისუფლებამ გადაწყვიტა, საქმეს პიარითა და პროპაგანდით უშველოს. პოპულარული ყოველდღიური გადაცემა „დიალოგის“ წამყვანი იანგ რუი თვლის, რომ დასავლური მასმედია, იმის ნაცვლად რომ „ობიექტურად“ გააშუქოს კომუნისტური ნომენკლატურის მიღწევები, უსამართლოდ აკრავს მის ქვეყანას სამარცხვინო ბოძზე.**



სწორედ ამ დამოკიდებულების აღმოსაფხვრელად ჩაერთო ჩინეთი ინფორმაციულ ომში და ახლა გამალებით იბრძვის, მსოფლიო მედიასივრცეში სათანადო წონა მოიპოვოს, რათა საკუთარი, ტიბეტისა და შარშანდელი სხვა მოვლენების შემდეგ საგრძნობლად შელახული იმიჯი აკონტროლოს.

დასაწყისისთვის ხელისუფლებამ ინტერნეტის (უნდა აღინიშნოს, რომ ინტერნეტთან წვდომა მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე კონტროლდება), პარტიული გამოცემების ინგლისურენოვანი ვერსიებისა და მთელს მსოფლიოში ტელეარხების შეძენის მეთოდებით მოინდომა ჩიხიდან გამოსვლა. შედეგად ამ დროისთვის საინფორმაციო სააგენტო „Xinhua“ მსოფლიო მასმედიის 50-მდე წარმომადგენელს, მათ შორის „Reuters“-სა და „CNN“-ს ინგლისურენოვანი ინფორმაციით ამარაგებს. დაგეგმილზე ორი თვით ადრე გაიხსნა არაბულენოვანი ტელეარხი, რომელიც მსოფლიოს 22 ქვეყანაში მაუწყებლობს და სინცზიანის შარშანდელი აურზაურის შემდეგ განაწყენებული მუსლიმანური სამყაროს გულის მოგებას ცდილობს. სექტემბრიდან მუშაობა დაიწყო რუსულმა ტელეარხმა, გადაცემები მზადდება ესპანურ და ფრანგულ ენებზეც.

მსოფლიოზე ჩინეთის მედიაშეტევა პარტიისა და სახელმწიფოს მეთაურის, ხუ ცზინიტაოს ხელმძღვანელობით ხორციელდება. ჩინეთს დაგეგმილ პროპაგანდულ ომში კრიზისგამოვლილ დასავლეთთან შედარებით ერთი უპირატესობა აქვს: ჩინელი კომუნისტების სალაროები ფულითაა სავსე. ზოგიერთი მონაცემით, ჩინეთს გლობალური მედიალაშქრობისთვის 4,4 მილიარდი ევრო აქვს გადადებული.

მაგრამ მსოფლიოსთვის თავის მოსაწონებლად მხოლოდ დიდი ფულის ხარჯვა არ კმარა, ჩინეთი ცუდად ერკვევა ევროპულ გემოვნებაში და მისი მასმედია კი მთლიანად ხელისუფლებას ექვემდებარება. ხელისუფლებას კი ჟურნალისტების კომპეტენტურობაზე მეტად მათი მორჩილება აინტერესებს.

სულ სხვაგვარადაა საქმე ეკონომიკაში. ამერიკული ინვესტბანკის „Goldman Sachs“-ის ექსპერტთა პროგნოზების მიხედვით, იმისათვის, რომ მსოფლიოში ყველაზე მსხვილი და განვითარებული ეკონომიკის ქვეყნად იქცეს, ჩინეთს კიდევ 20 წელი სჭირდება.

20 წელიწადში ჩინეთის ეკონომიკა ამერიკისას დაეწევა და გაუსწრებს. ადრე ანალიტიკოსებს უფრო გრძელვადიანი პროგნოზები ჰქონდათ, მაგრამ კრიზისის პერიოდში ჩინეთის ეკონომიკა ცალსახად იზრდებოდა, მილიონერთა რაოდენობამ კი 25%-ით მოიმატა. ექსპერტების აზრით, სწორედ ჩინეთი გამოიყვანს მსოფლიოს კრიზისიდან და ამერიკის მიერ დაშვებულ მსოფლიო ეკონომიკური ლიდერის დროშასაც ის ააფრიალებს.

საერთო ჯამში, 2001-2008 წლებში ჩინეთის საერთო შიდა პროდუქტი გასამმაგდა და 1,3 ტრილიონიდან 4,3 ტრილიონს მიაღწია. 2010 წლისთვის ეს მაჩვენებელი 5,4 ტრილიონს გაუტოლდება.

ექსპორტის ვარდნის პირობებში ამგვარი ზრდა იმის მაჩვენებელია, რომ ხელისუფლება შიდა მოთხოვნილებების სტიმულირებაზე აკეთებდა აქცენტს. მხოლოდ გზების მშენებლობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სხვა პროექტებისთვის 600 მილიარდი დოლარი იყო გამოყოფილი. ამასთანავე, თუ 2003 წელს ჩინეთში მილიარდელი საერთოდ არავინ იყო, ახლა 359 ადამიანის ქონება ათნიშნიანი რიცხვებით განისაზღვრება.

ფაქტები ფაქტებად რჩება, მაგრამ, რაც შეეხება პროგნოზებს, მსოფლიოს მშვენივრად ახსოვს ის მარტივი ჭეშმარიტება, რომ ხანდახან ექსპერტებიც ცდებიან. მაგალითად, როგორც „The New York Times“-ი წერს, თავის დროზე „Goldman Sachs“-ი ბოდიშებს იხდიდა იმის გამო, რომ მის მიერ დაშვებული შეცდომა მსოფლიო ფინანსური კრიზისის განვითარების ერთ-ერთ მიზეზად იქცა. სწორედ ამ შეცდომის გამო მან პოსტრეცესიულ აშშ-ში მცირე ბიზნესის 10 000 საწარმოს აღსადგენად 500 მილიონი დოლარის გაღება დაივალა. ვინ იცის, იქნებ უახლოეს მომავალში ინვესტბანკს არანაკლები თანხის გაღება მოუხდეს იმ ინვესტორებისათვის, რომლებიც მის ახლანდელ პროგნოზს დაეყრდნობიან და ფულს ჩინეთში დააბანდებენ.

# ნაბუკო კონტრშეტევაზე გადადის

**ის იყო, რუსეთმა „სამხრეთ ნაკადისაკენ“ მიმავალ გზაზე უკანასკნელი წინააღმდეგობა დაძლია და სლოვენიის თანხმობაც მიიღო, რომ კონკურენტი პროექტის — ნაბუკოს აქციონერები კონტრშეტევაზე გადავიდნენ. მათი მტკიცებით, „სამხრეთ ნაკადით“ გაზის ტრანსპორტირების ფასი ნაბუკოსაზე მეოთხედით ძვირი იქნება. ექსპერტები კი ირწმუნებიან, რომ ტარიფი ორივეს ხელოვნურად აქვს გაზრდილი, მათ შორის გამარჯვებულს კი პოლიტიკა გამოავლენს და არა — ეკონომიკა.**

მიუხედავად ამისა, ნაბუკოს ერთერთი აქციონერი, გერმანული RWE ირწმუნება, რომ ამ პროექტს არა მხოლოდ „სამხრეთ ნაკადთან“, არამედ ყველა კონკურენტთან შედარებით დაბალი ტარიფით შეეძლება გაზის ტრანსპორტირება.

გერმანული მხარის მონაცემებით, აზერბაიჯანული პროექტი შახ-დენიზიდან გასაღების ევროპულ ბაზრამდე გაზის ნაბუკოს მარშრუტით ტრანსპორტირებისას დანახარჯები ათას კუბურ მეტრზე 77 ევროს შეადგენს, ხოლო „სამხრეთ ნაკადის“ შემთხვევაში — 106 ევროს. ამრიგად, კასპიის რეგიონის მწარმოებელი ევროპისათვის გაზის ნაბუკოს გავლით მიწოდებისას ჭაბურღილზე უმაღლეს ფასს მიიღებს.

ცნობისთვის: **ნაბუკოს** გაზსადენის პროექტის მიხედვით ცისფერი საწვავი კასპიის რეგიონიდან ევროპას რუსეთის გვერდის ავლით უნდა მიეწოდოს. 3300-კილომეტრიანი გაზსადენის მშენებლობის ბიუჯეტი 7,9 მილიარდ ევროდაა შეფასებული. კონსორციუმის მონაწილეები არიან გერმანული RWE, ავსტრიული OMV, თურქული Botas, რუმინული Transgaz, ბულგარული Bulgargaz და უნგრული MOL. გაზის მომწოდებლებად მოიაზრებიან აზერბაიჯანი, თურქმენეთი და ერაყი. მილსადენის კონსორციუმი გაზის ტრანსპორტირებაზე პირველი კონტრაქტების გაფორმებას 2010 წლისთვის გეგმავს.

თავის მხრივ პროექტი „სამხრეთი ნაკადი“ არის გაზსადენი, რომელიც რუსეთიდან იტალიასა და ავსტრიაში უნდა ჩავიდეს. მასში ინვესტირების მთელი მოცულობა 25 მილიარდ ევროდაა შეფასებული. გეგმის თანახმად, მილმა ჯუბგიდან (ირანი) ბულგარეთამდე შავი ზღვის ფსკერზე უნდა გაიაროს, შემდეგ მილსადენი ორ ტოტად გაიყოფა. სამხრეთი შტო ბულგარეთისა და საბერძნეთის გავლით აპენინის ნახევარკუნძულამდე მივა, ჩრდილოეთი შტო კი სერბეთისა და უნგრეთის გავლით — ავსტრიაში. გაზსადენის სიმძლავრემ წელიწადში 63 მილიარდი კუბური მეტრი უნდა შეადგინოს, პროექტის მშენებლობა კი 2015 წელს უნდა დასრულდეს.

ამ ეტაპზე **გაზპრომი** RWE-ის „სამხრეთ ნაკადის“ სიძვირესთან დაკავშირებულ მონაცემებს არც ეთანხმებიან და არც აპროტესტებენ. ექსპერტები კი თვლიან, რომ, თუ ამ მონაცემების გამოქვეყნებით გერმანულ კომპანიას „სამხრეთ ნაკადის“ პოტენციურ მომხმარებელთა თვალში მისი არაეფექტურობის დემონსტრირება სურდათ, ამ მიზანს ვერ მიაღწიეს. მათი მტკიცებით, ათასი კუბური მეტრის ტრანსპორტირებისთვის დასახელებული ნაბუკოს 77 ევროცა და „სამხრეთ ნაკადის“ 106 ევროც გაბერილი ფასია. გარდა ამისა, ტრანსპორტირების ხარჯი საბოლოო მომხმარებლის მიერ გადასახდელი ღირებულების 15-20%-ს არ აღემატება, ასე რომ, ნაბუკოს არც თუ დიდი ეკონომია გამოსდის.

ექსპერტები იმასაც აღნიშნავენ, რომ ორივე პროექტის დასრულების შემდეგ „სამხრეთ ნაკადით“ გადაზიდული გაზი ევროპელ მომხმარებელს, შესაძლოა, უფრო იაფი დაუჯდეს, ვიდრე ნაბუკოს ჰუმანური ფასების პირობებში. საქმე ისაა, რომ გაზპრომს „სამხრეთ ნაკადის“ ნაწილში დემპინგისთვის მეტი შესაძლებლობები აქვს. „სამხრეთი ნაკადი“ იმითაა კარგი, რომ გამორიცხავს ტრანზიტისას დამატებით რისკებსა და ფასდაკლებებს უკრაინის ტერიტორიის მომარაგებისთვის. ამის ხარჯზე კი მონოპოლიას ფასის დაკლების საშუალება ეძლევა.

ექსპერტების მონაცემებით, **გაზპრომი** უკრაინისათვის ფასდაკლების გამო წელიწადში ორ მილიარდამდე დოლარს კარგავს. „სამხრეთ ნაკადით“ 60 მილიარდი კუბური მეტრი გაზი გაივლის. თანაფარდობა 30 კუბურ მეტრზე 1 დოლარია, ეს კი **გაზპრომს** ავტომატურად აძლევს ნაბუკოსთან შედარებით სიმტკიცის დიდ გარანტიას.

# ევროსასამართლოს ანტიქრისტიანულად განწყობილმა მოსამართლეებმა სკოლებში ქრისტიანობის სიმბოლო აკრძალეს

წყეულიმც იყოს მაწყევარი შენი,
კურთხეულ იყოს მაკურთხებელი შენი.
*(დაბადება, 27,29)*

**სტრასბურგის სასამართლომ ქრისტეს ჯვარცმიანი ჯვრების სკოლებიდან გამოტანის შესახებ მიიღო გადაწყვეტილება.**

**ქრისტიანობის წინააღმდეგ მსოფლიოში აგორებული ტალღის, ქრისტეს რჯულის აღმსარებელთა წინააღმდეგ ახალი შეტევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოვლენად იქცა მაცხოვრის ფეხის მკვნეტელთა ეს ამორალური განაჩენი.**

ერთ-ერთ გამოვლენად და არა ერთადერთად, მით უფრო, არა პირველ ფაქტად, რადგან უფრო ადრე საქართველოში პროვინციული თავგამოდებითა და მაქსიმალიზმით, მძორთა სიმყრალით დაიწყეს ხელისუფლებაში შემძვრალმა იეღოველებმა და სხვა მახინჯებმა მართლმადიდებლობის საწინააღმდეგო კამპანია, დაიწყეს პატრიარქზე მასშტაბური შეტევით. ეს უბედურება ამათი მოგონილი რომ არ იყო, იმთავითვე ჩანდა: დამოუკიდებლად ნაბიჯის გადამდგმელნი რომ არ არიან ეს კატის ნათრევნი, ცნობილია. ხოლო, რაც ცნობილი იყო, ადამიანის უფლებათა დამცველი ევროპული სასამართლოს განაჩენით დამტკიცდა, რითაც წაიბილწა კეთილშობილური დემოკრატიის არსი, რომელიც მის სახელწოდებაშია ნაგულისხმევი: ევროკავშირის სტრუქტურები შეუდგნენ იმ ევროპელთა დისკრიმინაციას, ვინც ჯერ კიდევ შეინარჩუნა მამა-პაპათა რელიგიის ერთგულება — ქრისტიანობის ერთგულება.

მიზეზს ელოდნენ, პროვოკაციისთვის ბიძგის მიმცემს და აჰა, იტალიის მოქალაქემ, წარმოშობით ფინელმა ქალბატონმა სოილე ლაუტსიმ ქალაქ აბანოს სახელმწიფო სკოლის ადმინისტრაციას საჩივრით მიმართა — კლასებიდან გაეტანათ ჯვარცმის გამოსახულება. ქალბატონ სოილეს ორი ქალიშვილი ამ სკოლაში სწავლობდა.

### ამ უღვთო ქალმა ჯერ იტალიის სასამართლოები მოიარა, შემდეგ ევროსასამართლოს მიმართა.

**სტრასბურგის სასამართლოს ვერდიქტით ჯვარცმის სიმბოლიკის კლასებში არსებობა „მოსწავლეთა რელიგიურ თავისუფლებათა“ დარღვევადაა მიჩნეული, რის გამოც იტალიის მთავრობას „მორალური ზარალის“ ასანაზღაურებლად 5 ათასი ევროს გადახდა დაეკისრა.** განაჩენმა, რომელიც ევროკავშირის წევრი ყველა ქვეყნისთვის სავალდებულოა, განსაკუთრებით იტალია და მისი ხელისუფლება აღაშფოთა: იტალიის მთავრობა აპირებს, გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება, რადგან იგი არა მარტო შეურაცხყოფს მილიონობით იტალიელის რელიგიურ რწმენას, არამედ ხელყოფს სახელმწიფოს სუვერენიტეტს.

მთავრობის სხდომაზე, სადაც ეს სკანდალური განაჩენი განიხილეს, საქვეყნოდ განაცხადეს, რომ

### „ევროპის სასამართლო შეცდა. ჯვარცმის გამოსახულება კლასში არა მარტო რელიგიური სიმბოლოა, არამედ — ჩვენი ტრადიციის სიმბოლოც“; „ქრისტიანული იდენტურობა ევროპის ფესვებია“.

სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებას „მცდარი და ბეცი“ უწოდეს.

ციტირებულ დასკვნებში მთავარი სიტყვები **შეცდომა** და **ტრადიციაა**, რომლებიც, უფრო მართებული იქნებოდა, შეეცვალათ რეალობის ამსახველი სიტყვებით — **შეგნებული მოქმედება** და **შეტევა რწმენაზე**, რაც „მსოფლიო მთავრობის“ ამერიკანიზაციის გლობალური პოლიტიკის ამ კონკრეტულ გამოვლენას გაცილებით ობიექტურად წარმოაჩენდა.

**იტალიას შეუტიეს იმიტომ, რომ კათოლიციზმის ცენტრია.**

**საქართველოს შეუტიეს იმიტომ, რომ მართლმადიდებლობის ბურჯია.**

**ეს ბურჯი თუ გამოეცალა ქრისტიანობას, ჩამოიქცევა და თავზე დაგვემხობა ეროვნულობაც.**

**რა არის ეროვნულობა?**

**ის, რაც პასპორტებიდან ამოგვიშალეს: წვრილმანით დაიწყეს, ფართო ფრონტით შემოგვიტიეს.**



ანდრეა მანტენია — „ჯვარცმა“ (ფრაგმენტი)

ჯვარცმის აკრძალვა ეროვნულობასთან უშუალო კავშირში რომ არის, იტალიაში განვითარებულმა პროცესებმა დაადასტურა. იტალიელთა უმრავლესობა, მიუხედავად სარწმუნოებრივი კუთვნილებისა, სასკოლო კლასებიდან ჯვრების გატანას წინ აღუდგა. **აღშფოთება არ დამალეს ათეისტების ორგანიზაციათა წევრებმა.** მათ განაცხადეს, რომ სასამართლომ ხელყო იტალიის კულტურისა და იდენტურობის საფუძვლები.

გაიხსენეთ გაეროში ჩვენი ამჟამინდელი წარმომადგენლის, ძვირფასი კახა (ალექსანდრე) ბორისოვიჩის ხმალშემართული ბრძოლა ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ქართულ სკოლებში სწავლების წინააღმდეგ.

ყველა დიდი ომი ადგილობრივი პროვოკაციებით იწყება, წინასწარ მზადდება ნიადაგი დიდი შეტევისათვის.

ალბათ, ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ ჩვენი განათლებული მკითხველი ყურადღებას მიაქცევს ერთ ფაქტს, რომელსაც ახლა წარმოგიდგენთ.

როგორც ვთქვით,

### იტალიის მთავრობა მაქსიმალურად გამოიყენებს უფლებას, გაასაჩივროს გადაწყვეტილება ჯვარცმის შესახებ.

თუ სასამართლო მხარს დაუჭერს იტალიის ხელისუფლებას, მაშინ აღნიშნულ საქმეს ხელმეორედ განიხილავენ. იმ შემთხვევაში, თუ საჩივარს არ დააკმაყოფილებენ, სასამართლოს ვერდიქტი მიღებიდან სამ თვეში ძალაში შევა. ეს ნიშნავს, რომ სკოლებმა კლასებიდან ჯვარცმა უნდა გაიტანონ, რადგან მისი ადგილზე დატოვება შეიძლება არ მოეწონოთ სხვა აღმსარებლობის ბავშვებს.

და, რაც მთავარია: **ეს არის სტრასბურგის სასამართლოს პირველი გადაწყვეტილება, რომელიც სკოლებში რელიგიური სიმბოლოების არსებობას ეხება.**

ევროსასამართლო შავებით იწყებს და აგებს.

აგებს! შეიძლება სამართლებრივი თვალსაზრისით — არა, მორალურით — განწირულია წაგებისთვის, რადგან ის რეაქცია, რომელიც „სტრასბურგის ვერდიქტს“ მოჰყვა, ადასტურებს, რომ **ევროპა არავის მისცემს უფლებას, მოსპოს ცივილიზაციის მისეული მოდელი.**

### აშკარავდება, რომ ეს განაჩენი მიღებულია ევროპული კულტურიდან ქრისტიანობის რბილად ამოსაძირკვად.

ამასთან, არავისთვის წარმოადგენს საიდუმლოებას ევროკავშირის ფარისევლობა, როცა იგი ამბობს ერთს და აკეთებს საპირისპიროს.

ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა.

ევროკავშირი აცხადებს, რომ რელიგიასთან, ღირსებასთან და მორალურ პრინციპებთან დაკავშირებული საკითხები მონაწილე ქვეყნების კომპეტენციაში რჩება, მაგრამ, როცა პიროვნება ან ადამიანების ჯგუფი მიმართავს ევროპულ სასამართლოებს, ნაცვლად იმისა, რომ გადააგზავნონ მათი საჩივრები შესაბამისი ქვეყნების ანალოგიურ დაწესებულებებში, თვითონ იწყებენ საქმის განხილვას.

ამ რეალობას აფიქსირებს ევროსაბჭოს ეპისკოპოსთა კონფერენციების კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, **ეპისკოპოსი პეტრე იარეცკი**.

„თუ განვაგრძობთ ამ მიმართულებით სვლას, ევროკავშირი დაიშლება“, — ასკვნის იგი.

საამისო პირველი ნიშანი უკვე გამოჩნდა: იტალიის სენატმა ევროპის ქვეყნებს მოუწოდა, გააუქმონ ადამიანის უფლებათა საკითხების ევროპის სასამართლო როგორც უსარგებლო ინსტიტუცია, რომელიც უკიდურეს მემარცხენე შეხედულებებს თავს გვახვევს.

საინტერესოა ისიც, რომ

### სასამართლოს ვერდიქტი იტალიის ყველა პოლიტიკურმა პარტიამ დაგმო. იტალიის გაზეთი „Corriere della sera“ ამტკიცებს, რომ იტალიაში არ არსებობს პოლიტიკური ძალა, რომელიც გაბედავს „სტრასბურგის ვერდიქტის“ მხარდაჭერას.

და კიდევ ერთი, შეიძლება ითქვას, მოულოდნელი რეაქცია: **სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება არ მოიწონეს ისლამისა და იუდაიზმის წარმომადგენლებმა.**

„ვინც ღმერთის ტაძარს დააქცევს, დააქცევს მას ღმერთი. ვინაიდან ღმერთის ტაძარი წმიდაა, ხოლო ესა ხართ თქვენ“. (პირველი კორინთელთა მიმართ, 3,17).

**არმაზ სანებლიძე**

# იეღოველები ზუგდიდში

**„ვარდების რევოლუციამდე“ იეღოველები არც რეგისტრაციაში გაუტარებიათ, არც კონგრესის ჩატარებისა და არც სპეციალური შენობების მშენებლობის უფლებას აძლევდნენ. ყველას ახსოვს ამ 7-8 წლის წინათ ზუგდიდის რაიონის სოფელ ნაწულუკუში მოსახლეობის მიერ იეღოველების განდევნის ფაქტი, რომელთაც კონგრესის ჩატარება სურდათ. მოსახლეობას მაშინ სამართალდამცველებიც დაუდგნენ გვერდით, რის გამოც მათ ხალხმა მადლობაც კი გადაუხადა. ახლა კი ყველაფერი პირიქითაა.**

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ იმავე ნაწულუკუში იეღოველთა გრანდიოზული კონგრესი ჩატარდა, რომელსაც საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან მოწვეული 2000-მდე წარმომადგენელი ესწრებოდა. წესრიგს სამართალდამცავები იცავდნენ. იეღოველებმა 3 დღის განმავლობაში უპრობლემოდ შეძლეს თავიანთი მიზნების განხორციელება და ეს არის „ვარდების რევოლუციის“ გზით მოსული ხელისუფლების დამსახურება, რომელიც ზედმიწევნით ასრულებს „უფროსი ძმის“ დავალებებს.

იეღოველებმა რაც ვერ გააკეთეს წინა ხელისუფლების პერიოდში, ახლა შეასხეს ფრთები. მოსახლეობა ვერ ბედავს შეწინააღმდეგებას, რადგან იცის, რომ „არადემოკრატიული“ საქციელის გამო დაისჯება.

ენგურქაღალდკომბინატის დასახლებაში იეღოველებსა და მოსახლეობას შორის ახალი კონფლიქტი მწიფდება. დავით აღმაშენებლის სახელობის მშენებარე ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე იეღოველებმა სახლი შეისყიდეს, სადაც შტაბ-ბინის მოწყობას აპირებენ. ამის გამო აღშფოთებულნი არიან ამ დასახლების მცხოვრებნი;



აცხადებენ, რომ თავს შეაკლავენ იეღოველებს და მათ აქ დამკვიდრების უფლებას არ მისცემენ, არადა, კანონი იეღოველების მხარესაა. შესაძლოა, ამ დაპირისპირებას სავალალო შედეგი მოჰყვეს, რაც პირველი და უკანასკნელი ნამდვილად არ იქნება.

ზუგდიდის ვლაქერნის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის დეკანოზის — მამა მალხაზ ჭანტურიას განმარტებით, საპატრიარქო, ეკლესია უძლურია, შეეწინააღმდეგოს იეღოველებს, რადგან ისინი იმ კანონებით მოქმედებენ, რომელიც ქვეყანაში არსებობს. „ჩვენი მოსახლეობის აქტიურობით, ლოცვით, მარხვით, მართლმადიდებლური რწმენით უნდა დავუპირისპირდეთ იეღოველებს. მხოლოდ პროტესტის გამოთქმა ვერაფერს გვიშველის, წინააღმდეგ შემთხვევაში, მართლაც, მძიმე დღეში აღმოვჩნდებით,“ — აღნიშნა მამა მალხაზ ჭანტურიამ. მართლაც, თუ არ შემოვკრავთ განგაშის ზარს, ხელისუფლებისგან გათამამებული იეღოველები ეკლესიაშიც აუკრძალავენ მრევლს მისვლას.

**ლადო ქირია**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## ქრონოგრაფი

# რა მოხდა მსოფლიოში სხვადასხვა წელს 25 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე?

### 25 ნოემბერი

**დღის ციტატა:**
**ღმერთებისგან შემდგარ ხალხს რომ ეარსება, დემოკრატიული მმართველობა იქნებოდა, მაგრამ ასეთი სრულყოფილი მმართველობა ადამიანებს არ ძალუძთ.**
**ჟან ჟაკ რუსო**

**1500 წელს** სანტო-დომინგოში დააკავეს და ესპანეთში გაამგზავრეს **ქრისტეფორე კოლუმბი**.

**1562 წელს** დაიბადა ესპანელი დრამატურგი და პოეტი **ლოპე დე ვეგა**.

**1810 წელს** დაიბადა რუსი ექიმი და ღვთისმეტყველი **ნიკოლაი პიროგოვი**.

**1867 წელს** შვედმა გამომგონებელმა **ალფრედ ნობელმა** დინამიტი დააპატენტა.

**1915 წელს** დაიბადა ჩილელი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, სამხედრო ხუნტის მეთაური (1973-1974 წ წ.), ჩილეს პრეზიდენტი **აუგუსტო პინოჩეტი.**

**1970 წელს** ცნობილმა იაპონელმა მწერალმა **იუკიო მიშიმამ** ჰარაკირი გაიკეთა.

### 26 ნოემბერი

**დღის ციტატა:**
**თვითმყოფადს ყველაფერი ღვთისგან ნაბოძები და არა საშუალო სასწავლო დაწესებულებისგან შენაძენი აქვს.**
**დონ ამინადო**

**1724 წელს** პეტრე I-ის ბრძანებით, ქრთამის აღებისა და ეკატერინესთან სასიყვარულო კავშირის გამო სიკვდილით დასაჯეს საიმპერატორო კარის კამერგერი **ვილიმ მონსი**.

**1778 წელს** ინგლისელი მეზღვაური ჯეიმს კუკი გამოკვლევების ჩასატარებლად ჰავაის კუნძულებზე გადაჯდა.

**1810 წელს** დაიბადა ჰიდრავლიკური ამწეს გამომგონებელი, ინგლისელი **უილიამ არმსტრონგი.**

**1855 წელს** ქოლერით გარდაიცვალა პოლონელი პოეტი **ადამ მიცკევიჩი**.

**1876 წელს** დაიბადა ამერიკელი ინჟინერი, ბიზნესმენი, პირველი კონდიციონერების შემქმნელი **უილის კარიე**.

**1949 წელს** ინდოეთმა კონსტიტუცია მიიღო.

### 27 ნოემბერი

**დღის ციტატა:**
**მცდარ ნაბიჯს არაერთხელ მივუყვანივართ ახალი გზების აღმოჩენამდე.**
**ლეშეკ კუმორი**

**1095 წელს რომის პაპმა ურბანმა** პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის დაწყება გამოაცხადა.

**1493 წელს კოლუმბმა** ამერიკაში პირველი ევროპული დასახლება — იზაბელა (დომინიკა) შექმნა.

**1635 წელს** დაიბადა ფრანგი მარკიზა, მეფე ლუდოვიკო XIV-ის უკანონო ცოლი **ფრანსუაზა დ'ობინიე**.

**1701 წელს** დაიბადა შვედი ასტრონომი, თერმომეტრის გამომგონებელი **ანდერს ცელსიუსი**.

**1815 წელს** რუსეთის მეფე **ალექსანდრე I-მა** პოლონეთს კონსტიტუცია უწყალობა.

**1895 წელს** ხელი მოეწერა ანდერძს **ნობელის პრემიის** დაწესების შესახებ.

**1910 წელს** ნიუ იორკში იმ დროისათვის მსოფლიოში უდიდესი რკინიგზის სადგური — **პენსილვანია** გაიხსნა.

**1939 წელს** გერმანიაში ყველა არიელს 12 თვის განმავლობაში ებრაელ მეუღლესთან განქორწინება უბრძანეს.

### 28 ნოემბერი

**დღის ციტატა:**
**ფილოსოფია — ადამიანთა მცდარ შეხედულებებს, ისტორია კი მათ მცდარ საქციელს შეისწავლის.**
**ფილიპ ჰედალა**

**1443 წელს** ალბანეთის თურქმა მმართველმა **გეორგ კასტრიოტამ** თავი ქრისტიანად შერაცხა და თურქეთისგან ალბანეთის დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

**1820 წელს** დაიბადა **ფრიდრიხ ენგელსი**.

**1880 წელს** დაიბადა დიდი რუსი პოეტი **ალექსანდრე ბლოკი**.

**1881 წელს** დაიბადა დიდი ავსტრიელი მწერალი და მოგზაური **შტეფან ცვაიგი.**

**1895 წელს** ილინოისში გაიმართა ამერიკაში პირველი ავტორბოლა. გამარჯვებულმა საათში 12 კმ სიჩქარე განავითარა.

**1943 წელს** გაიმართა თეირანის კონფერენცია.

**1989 წელს** გფრ-ის კანცლერმა ჰელმუტ კოლმა გდრ-სა და გფრ-ს გაერთიანების წინადადება წამოაყენა.

# «პროექტი X» — უოლტ დისნეის ზესაიდუმლო უტოპია

**გრანდიოზული და ოდიოზური „პროექტი X"-ის განხორციელებას ხელი ავტორის სიკვდილმა შეუშალა. არა, საბავშვო მულტფილმებისა და პარკების შემქმნელს ნამდვილად არ უფიქრია მთელი მსოფლიოს აფეთქება.**



1965 წლის 8 ნოემბერს უოლტ დისნეიმ განაცხადა, რომ ბოლოსდაბოლოს შეიძინა თავისი ოცნების მიწა ფლორიდაში, ორლანდოს მახლობლად მდებარე ჭაობები და ქარაგმულად მიანიშნა, ახალშეძენილ ნაკვეთზე მორიგ დისნეილენდზე დიდი რამის აშენება სურს. ქარაგმა კი შემდეგნაირი იყო: „ჩვენ ვფიქრობთ სამაგალითო თანამეგობრობაზე — მომავლის ქალაქზე". მოგვიანებით გაირკვა, რომ დისნეი მკაცრად გასაიდუმლოებულ პირობებში მუშაობდა პროექტზე, რომელსაც პრივატულ საუბრებში „პროექტ X"-ს უწოდებდა.

თავის სტუდიაში დისნეიმ სპეციალური საიდუმლო ოთახი ააშენა, სადაც ზესაიდუმლო შეხვედრებს აწყობდა სანდო პირთა ჯგუფთან, რომელთანაც მომავლის ექსპერიმენტული ქალაქის მშენებლობაზე მსჯელობდა. და იცით რა სურდა? 20 ათასი კაცისგან შემდგარი დახურული თანამეგობრობის ხელმძღვანელობა. ამ 20 ათას კაცს კი მინისხუფიან მაღალტექნოლოგიურ ქალაქში უნდა ეცხოვრა, როგორც მიმოზებს — ბოტანიკურ ბაღში. დღეს ამ თამამ იდეას, „პროექტი X"-ის გარდა, „ფლორიდულ პროექტსაც" უწოდებენ. თუმცა იდეას ოფიციალური სახელწოდებაც აქვს — epcot-ი (experimental prototype community of tomorrow). ალბათ, იტყვით, რომ epcot-ი უკვე არსებობს. მართალია, მაგრამ ეს სულაც არ არის ის, რაც დისნეის ჰქონდა ჩაფიქრებული. მომავლის ქალაქი epcot-ი დისნეის სამყაროს — გიგანტური disney world-ის გული უნდა ყოფილიყო, საერთო ფართით — 43 კვ მილი (დაახლოებით 70 კვ. კმ), ანუ მანჰეტენზე ორჯერ დიდი. ამ მინის ხუფის ქვეშ მოთავსებულ, სრულებით მრგვალ ინდუსტრიულ ქალაქში კლიმატკონტროლით, მარადიული სიმწვანით ყველაფერი იდეალური იქნებოდა. დისნეის ჩანაფიქრით, ქალაქში 30-სართულიანი სასტუმრო, საქმიანი ცენტრი, მაღაზიები, თეატრები, რესტორნები, ღამის კლუბები, საცხოვრებელი და საოფისე შენობები იფუნქციონირებდა. ეს ყველაფერი კი სრულებით დახურულ სივრცეში მოთავსდებოდა. უფრო ზუსტი აღწერილობით, მრგ-



ვალი ქალაქის შუაგულში ცათამბჯენი აღიმართებოდა, შემდეგი წრე — მწვანე საფარი, საბოლოო კი საცხოვრებელი ზონა იქნებოდა. მარცხნიდან მარჯვნივ ქალაქს ცენტრალური მაგისტრალი გადაკვეთდა. სრულყოფილი ქალაქის მცხოვრებლები ყველაზე თანამედროვე და ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტით: ზესიჩქარიანი მონორელსებიანი გზებით, კონვეიერის ტიპის ელექტრული ტაქსებითა და peoples movers-ებით (ადამიანების გადამყვანით) ისარგებლებდნენ. აშენდებოდა მომავლის აეროპორტიც.

თავისი საოცნებო ქალაქის პროექტის საზოგადოებისთვის წარსადგენად და ისეთი ძლიერი სპონსორების მოსაზიდად, როგორებიც general motors-ი, general eleqtric-ი და xerox-ი იყვნენ, უოლტ დისნეიმ 1966 წელს გადაიღო ფილმი epcot-ზე, რომლის ნახვა ინტერნეტში შეიძლება. დისნეი ამბობდა, რომ ქალაქის მშენებლობა არასდროს დასრულდებოდა, რადგან ახალი იდეების სადემონსტრაციოდ ის მუდმივად განვითარდებოდა. სამწუხაროდ, ცნობილი არ არის სამაგალითო ქალაქის სოციალური მხარე: ამ უტოპიის მართვის პრინციპები, ნორმები, კანონები და ა.შ. დისნეის თქმით: „epcot-ი ექსპერიმენტული ქალაქი იქნება, სადაც მრეწველობის, სახელმწიფოს მართვისა და განათლების საუკეთესო იდეები რეალიზდება. აქ იქნება მართვადი თანამეგობრობა, ვიტრინა ამერიკული ინდუსტრიისთვის, მეცნიერებისთვის, კულტურისა და განათლებისთვის. epcot-ში არ იარსებებს სიღატაკე — ამას ჩვენ არ დავუშვებთ. epcot-ში არ იქნება ჯურღმულები, ამას ჩვენ არ დავუშვებთ. არ იარსებებენ მიწათმფლობელები — ადამიანები კი არ შეიძენენ, არამედ მოკრძალებულ ფასად იჯარით აიღებენ უძრავ ქონებას; არ იქნებიან უმუშევრები — ყველა იმუშავებს. ერთ-ერთი ყველაზე მთავარი მოთხოვნა ისაა, რომ epcot-ის მცხოვრებლებმა მის განვითარებას უნდა შეუწყონ ხელი. შეიქმნება ახალი თანამეგობრობის განსაკუთრებული სახეობა. epcot-ში ყველაფერი მიეძღვნება ადამიანების ბედნიერებას".

ასეთი უნდა ყოფილიყო იდეალიზებული ლაბორატორიული ქალაქი, მაგრამ ხვალინდელი დღის ექსპერიმენტული თანამეგობრობა ვერ იშვა — უოლტ დისნეი ფილტვების სიმსივნით აღესრულა 1966 წლის 15 დეკემბერს. მისი იდეის რეალიზება ძმამ, რონმა იტვირთა, რომელიც ამ გრანდიოზული ჩანაფიქრის განსახორციელებლად მზად არ გახლდათ. 1967 წლის 2 თებერვალს რონმა განაცხადა, რომ, დისნეის უკანასკნელი სურვილის თანახმად, კომპანია „გასართობ ცენტრს" ააშენებდა, სადაც მსოფლიოში პირველი „მინისხუფიანი ქალაქიც" იქნებოდა. მშენებლობას 100 მლნ დოლარი დასჭირდა.

1982 წლის 1 ოქტომბერს epcot-ი გაიხსნა. შეიქმნა 20-ათასკაციანი თანამეგობრობაც: ქალაქ celebration-ში დასახლდნენ walt Disney company-ს თანამშრომლები, ააშენეს ოფისები და საგოლფე მინდვრები. თუმცა ეს ყველაფერი დისნეის პირვანდელი ჩანაფიქრისგან ძალიან შორს არის...

# NASA ხომალდს მზისკენ გააგზავნის

**30 წლის წინათ ამ იდეაზე აშშ-ის კოსმოსური ცენტრებისა და ინსტიტუტების სპეციალისტთა დიდი ჯგუფი მუშაობდა. მზისკენ კოსმოსური აპარატის გასაგზავნად ბევრი ტექნიკური ამოცანა უნდა გადაეჭრათ, ეს კი სერიოზულ პრობლემებთან იყო დაკავშირებული.**



ახლა nasa-მ გადაწყვიტა, რომ ამის დროც დადგა. ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის მეცნიერებმა და ინჟინრებმა უკვე დაასრულეს მზის ატმოსფეროსკენ გასაგზავნი საფრენი აპარატის პროექტირება და „დიზაინი".

პროექტის განხორციელებას 750 მლნ დოლარი დასჭირდება. 481 კგ-იანი კომპაქტური აპარატი სოლარ პრობე, რომელიც აღჭურვილი იქნება ნაირგვარი მიმღებითა და ინფორმაციის შესაკრები ხელსაწყოებით, მზეს მინიმალურ მანძილზე — 6,6 მლნ კმ-ით მიუახლოვდება.

მნათობის გავარვარებულ ზედაპირთან ასე ახლოს ჯერ არაფერი გაჭაჭანებულა. საფრენი აპარატის სიჩქარე წამში 210 კმ-ს გადააჭარბებს.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# «გვირაბი» ლონდონი-ნიუ იორკი

**ახლახან ლონდონში ერთობ უცნაური ხელსაწყო, უფრო სწორად, სტიმპანკის სტილის ტექნოლოგიური ინსტალაცია წარმოადგინეს, რომელიც ლონდონსა და ნიუ იორკს მიწისქვეშ აკავშირებს.**



პოლ სენტ-ჯორჯის მიერ შექმნილი ტელექტროსკოპის მეშვეობით ლონდონისა და ნიუ იორკის მცხოვრებლებს შეუძლიათ ერთმანეთს ხელი დაუქნიონ. პოლ სენტ-ჯორჯი ირწმუნება, რომ ინსტალაცია თავისი ბაბუის ნახაზების მიხედვით შექმნა, რომლის ოცნებაც ტრანსატლანტიკური ტელესკოპის შექმნა იყო. ტელესკოპის ერთი ბოლო — ნიუ იორკში, ბრუკლინის ხიდთან, მეორე კი ლონდონში, ტაუერის ხიდთან მდებარეობს.

# ნიკოლა ტესლა — სამყაროს მბრძანებელი?

**ისტორიამ არ იცის სხვა ასეთი იდუმალებით მოცული მეცნიერი. ერთნი მას გენიოსად მიიჩნევდნენ, მეორენი — ჯადოქრად, მესამენი კი, უბრალოდ, — შეშლილად. ტესლამ 300-ზე მეტი გამოგონება დააპატენტა, რომელთა მეშვეობითაც 15 მლნ დოლარი გამოიმუშავა (დღეს ეს 300 მლნ დოლარზე მეტია).**




ნიკოლა ტესლა 1856 წელს სერბი ღვთისმსახურის ოჯახში დაიბადა. ის ერთობ უცნაური ბავშვი იყო. მაგალითად, მარგალიტის დანახვაზე კრუნჩხვა ემართებოდა და უცნაური ხილვებიც ჰქონდა. „სინათლის მძლავრი სხივები რეალურ ობიექტებს ფარავდა და ჩემს აზრებს ენაცვლებოდა, — წერდა ტესლა თავის დღიურში, — ამისგან გასათავისუფლებლად ნორმალურ ცხოვრებაში არსებულ ხილვებზე გადავერთვებოდი...“

თუმცა უცნაურ ხილვებს ხელი არ შეუძლია ტესლასთვის, ორი უნივერსიტეტი დაემთავრებინა და მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მეცნიერი გამხდარიყო.

საგულისხმოა, რომ ნიკოლა ტესლა და, ასევე, უდიდესი მეცნიერი თომას ედისონი დაუძინებელი მტრები იყვნენ. დაპირისპირება კი ასე დაიწყო:

1884 წელს ევროპაში ცნობილი ინჟინერი ტესლა ედისონის მიწვევით აშშ-ში მიემგზავრება, რათა მის ქარხანაში სერიოზული ტექნიკური პრობლემები გადაჭრას, რაშიც ედისონმა მას 50 000 დოლარი უნდა გადაუხადოს. ედისონმა ტესლა მოატყუა და ამ თანხის ნაცვლად კვირაში ხელფასზე დამატებით 10 დოლარის გადახდას დაჰპირდა. ნიკოლამ ეს წინადადება იუკადრისა და ამერიკა დატოვა. რამდენიმე წლის შემდეგ კი, როცა ტესლამ თავისი პატენტები გაყიდა, ელექტროაღჭურვილობის მწარმოებელი ფირმა გახსნა, რომლის პროდუქცია კონკურენტისაზე გაცილებით ეკონომიური იყო. გავლენიანი ედისონი შეკვეთებს კარგავდა და მეტოქეს საჯაროდ უწოდებდა „შეშლილ სერბს“.

1895 წელს კოლორადოსპრინგსში ნიკოლა ტესლას ლაბორატორია ხანძარმა შთანთქა. განადგურდა უძვირფასესი აღჭურვილობა და დაიწვა მეცნიერის სამუშაო ჩანაწერები. ვარაუდობდნენ, ამაში „ედისონის ხალხის“ ხელი ერია.

## ცეცხლის ღერძები

— დავიწყოთ, — განკარგულება გასცა ტესლამ.

რაღაც საარტილერიო კანონადის მაგვარი ხმა გაისმა. ლაბორატორია მოცისფრო შუქმა გაანათა. მთელი აღჭურვილობა ცეცხლოვან ნემსებს ყრიდა, ოზონის სუნი იგრძნობოდა. ჩიტოს (მეცნიერის თანაშემწე) თითებიც ნაპერწკლებს ყრიდა. ისინი ნემსებივით იჩხვლიტებოდნენ და ჩიტოს ეგონა, რომ ტესლას სიგნალის გაგონებაზე ძაბვის გამორთვას ვეღარ შეძლებდა. მაგრამ სიგნალი იგვიანებდა, ხოლო კანონადა ძლიერდებოდა. ანძაზე ბურთმა დიდი, ცისფერი ნაპერწკლები გაყარა, რომლებიც ჯერ ცისფერ ძაფებად, შემდეგ კი ადამიანის მკლავის სისქის ცეცხლოვან ღერძებად გადაიქცა. ბოლოს იელვა და მეხი ჩამოვარდა, რომლის ქუხილი 15 მილზე ისმოდა (წიგნიდან: „ტესლა — გენიოსი თუ შეშლილი,“ რომლის ავტორიც, ჯონ ო'ნილი არაერთხელ დასწრებია მეცნიერის ექსპერიმენტებს).

## XX საუკუნის ინტერნეტი

ტესლას უმნიშვნელოვანესი გამოგონება, რომელიც მან ბოლომდე ვერ მიიყვანა, ხოლო მისმა მიმდევრებმა გამეორება ვერ შეძლეს, „ინფორმაციისა და ენერგიის გადაცემის მსოფლიო უსადენო სისტემაა.“ ენერგოგადამცემ სადგურს ელექტრული ენერგია დედამიწის ნებისმიერი კუთხისკენ უნდა მიემართა. მისი გამოყენება შეეძლებოდა ხომალდებს, თვითმფრინავებს, ფაბრიკებს, თუკი ენერგომიმღები ხელსაწყო ექნებოდათ. ეს სისტემა, მეცნიერის მტკიცებით, მთელ მსოფლიოში ზუსტი დროის სიგნალის, მუსიკის, ნახატების, ფაქსიმილიანი ტექსტების ტრანსლირებას შეძლებდა; ჩვეულებრივი ტელეფონის მეშვეობით კი მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში დაირეკებოდა. ტესლამ ენერგოგადამცემი სადგურიც კი ააგო ლონგ-აილენდზე. თუმცა პირველი ექსპერიმენტები წარუმატებელი გამოდგა, შემდეგ კი პირველი მსოფლიო ომი დაიწყო და, სამხედროების მოთხოვნით, სამუშაოები აკრძალეს — ეჭვობდნენ, რომ ტესლა გერმანელებსა და მათ მოკავშირე ავსტრიელებს ინფორმაციას გადასცემდა.

„მსოფლიო სისტემის“ ნახაზები და დოკუმენტები მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ ვერ აღმოაჩინეს.

## ისევ გამოცანები

ერთ-ერთი ვერსიით, 1908 წლის 30 ივნისს ციმბირში, მდინარე პოდკამენაია ტუნგუსკას რაიონში არავითარი მეტეორიტი არ ჩამოვარდნილა და ეს აფეთქება დიდ მანძილზე ენერგიის გადაცემის ტესლასეული ექსპერიმენტის შედეგი იყო.

1931 წელს ნიკოლა ტესლამ ავტომანქანების მწარმოებელი ფირმის ინჟინრებთან ერთად საინტერესო ექსპერიმენტი ჩაატარა — მანქანის ბენზინზე მომუშავე ძრავი ელექტროძრავით შეცვალა, რომელსაც პატარა ყუთი მიუერთა. მანქანა ერთი კვირის განმავლობაში დაუმუხტავად დადიოდა. შემდეგ ტესლამ თავისი ყუთი წაიღო და ის თვალით არავის უნახავს.

1914 წელს გამომგონებელმა წარმოადგინა პროექტი, რომლის მიხედვითაც დედამიწა თავისი ატმოსფეროიანად გიგანტურ ლამფად უნდა ქცეულიყო. ამისთვის ატმოსფეროს ზედა ფენებში მაღალსიხშირიანი ძაბვა უნდა გაეშვათ, რის შედეგადაც ფენები ნათებას დაიწყებდა, თუმცა, როგორ უნდა გაეკეთებინათ ეს, ტესლას არ აუხსნია...

1933 წელს ტესლამ პრესით განაცხადა, რომ ე. წ. „სიკვდილის სხივები“ აღმოაჩინა, რომლებიც 400 კმ-ში თვითმფრინავების განადგურებას შეძლებდა. მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში მეცნიერმა ამ ტექნოლოგიის ყიდვა აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს შესთავაზა, თუმცა მათ რატომღაც უარი განაცხადეს.

1926 წელს ტესლამ რადიოანძა დაამონტაჟა თავის ლაბორატორიაში (ნიუ იორკში) და უცნაური წარმომავლობის რადიოსიგნალები მიიღო. სიგნალების ერთ-ერთ სავარაუდო წყაროდ მან მარსი დაასახელა. მეცნიერი მასხრად აიგდეს, რაზეც მან განაცხადა: „ასეთი საოცრებისთვის (უცხო ცივილიზაციებთან კავშირის დამყარებისთვის) მთელ სიცოცხლეს გავიღებდი!“

შემონახულია ტესლას წერილი მისი ერთ-ერთი მეგობრისადმი. ბარათში მეცნიერი ირწმუნება, რომ მაღალსიხშირიანი ძაბვის შესწავლისას „აღმოვაჩინე აზრი. სულ მალე, შეძლებ შენი ლექსები ჰომეროსს პირადად წაუკითხო, მე კი ჩემს აღმოჩენებზე არქიმედთან ვიმსჯელებ...“

სხვათა შორის, მიღმიერ სამყაროსთან კავშირის დამყარებას ტესლას დაუძინებელი მტერი ედისონიც ლამობდა...

მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ სასტუმროს ნომერში, სადაც ის ცხოვრობდა, ვერც უბის წიგნაკები, ვერც ნახაზები და ვერც რაიმე დოკუმენტები აღმოაჩინეს...

# ქრონოგრაფი

## რა მოხდა მსოფლიოში სხვადასხვა წელს 25 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე?

### 29 ნოემბერი

**დღის ციტატა:**
**სახელმწიფო მოღვაწე პოლიტიკოსისგან იმით განსხვავდება, რომ პოლიტიკოსი მორიგ არჩევნებზე, სახელმწიფო მოღვაწე კი მომდევნო თაობაზეა ორიენტირებული.**
**უ. ჩერჩილი.**

**1330 წელს** შაყის კვრით დასაჯეს ინგლისის ფაქტობრივი მმართველი **რ. მორტიმერი.**

**1718 წელს** დაიბადა რუსი ფელდმარშალი **ალექსანდრე გოლიცინი**.

**1729 წელს** დაიბადა ამერიკელი პოლიტიკოსი, აშშ-ის დიდი ბეჭდის ავტორი **ჩარლზ ტომსონი**.

**1760 წელს** საფრანგეთმა დეტროიტი ბრიტანეთს გადასცა.

**1814 წელს** ვენაში გამართულ მეჯლისზე პირველად შესრულდა **ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის** კანტატა „საზეიმო წუთი.“

**1825 წელს** დაიბადა ფრანგი ექიმი, ნევროპათოლოგიის საფუძველჩამყრელი **ჟან შარკო**.

**1830 წელს** დაიწყო პოლონეთის აჯანყება. რუსეთის ჯარების მთავარსარდალი, დიდი თავადი **კონსტანტინე გაიქცა**.

**1918 წელს** ნარვაში ესტონეთის საბჭოთა რესპუბლიკის შექმნა გამოცხადდა.

**1942 წელს** აშშ-ში ყავით ვაჭრობასა და მოხმარებაზე შეზღუდვა შემოიღეს.

**1947 წელს** გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მოიწონა პალესტინის ებრაულ და არაბულ სახელმწიფოებად დაყოფა.

### 30 ნოემბერი

**დღის ციტატა:**
**მომეცით კარგი პოლიტიკა და მოგცემთ კარგ ფულს.**
**მ. ჰაბლი**

**1667 წელს** დაიბადა ირლანდიელი მწერალი და ღვთისმსახური **ჯონათან სვიფტი.**

**1700 წელს** ნარვასთან ბრძოლისას შვედეთის მეფემ კარლოს XII-მ პეტრე I-ის არმია დაამარცხა.

**1731 წელს** მიწისძვრამ დაანგრია პეკინის დიდი ნაწილი, დაიღუპა 100 000-მდე კაცი.

**1761 წელს** დაიბადა ინგლისელი ქიმიკოსი, ელემენტების — ირიდიუმისა და ოსმიუმის აღმომჩენი **სმითსონ ტენანტი**.

**1789 წელს** კორსიკა საფრანგეთის შემადგენელ ნაწილად გამოცხადდა.

**1810 წელს** დაიბადა ცეცხლსასროლი იარაღის გამომგონებელი **ოლივერ ვინჩესტერი.**

**1835 წელს** დაიბადა ამერიკელი სატირიკოსი მწერალი **მარკ ტვენი**.

**1840 წელს** ნაპოლეონის ნეშტი წმიდა ელენეს კუნძულიდან პარიზში ჩამოსვენეს.

**1864 წელს** ფრანკლინთან ბრძოლისას ამერიკელმა ფედერატებმა კონფედერატები დაამარცხეს.

**1914 წელს ჩარლი ჩაპლინის** კინოდებიუტი შედგა.

### 1 დეკემბერი

**დღის ციტატა:**
**უანგარო მეგობრობა მხოლოდ ერთნაირი შემოსავლის მქონე ადამიანებს შორისაა შესაძლებელი.**
**პოლ გეთი**

**1145 წელს** რომის პაპმა მეორე **ჯვაროსნული ლაშქრობა** გამოაცხადა.

**1167 წელს** ჩრდილოეთ იტალიის 22 ქალაქი ლომბარდიის ლიგაში გაერთიანდა.

**1742 წელს** რუსეთის იმპერატრიცა ელიზავეტამ ბრძანება გასცა, რუსეთიდან ყველა ებრაელი გაეძევებინათ.

**1761 წელს** დაიბადა ცვილის ფიგურების მუზეუმის დამაარსებელი **მარი ტიუსო.**

**1792 წელს** დაიბადა რუსი მათემატიკოსი, არაევკლიდური გეომეტრიის შემქმნელი **ნიკოლაი ლობაჩევსკი**.

**1804 წელს ნაპოლეონი და ჟოზეფინა ბოგარნე** დაქორწინდნენ.

**1822 წელს** ვენაში 11 წლის **ფერენც ლისტის** მუსიკალური დებიუტი შედგა.

**1835 წელს** გამოიცა **ჰანს ქრისტიან ანდერსენის** ზღაპრების პირველი წიგნი.

**1878 წელს** თეთრ სახლში პირველი ტელეფონი დაიდგა.

**1887 წელს** დაიბეჭდა პირველი მოთხრობა **შერლოკ ჰოლმსზე**.

**1891 წელს** გამოიგონეს კალათბურთი — ფიზკულტურის მასწავლებელმა, ამერიკელმა **ჯ. ნეისმიტმა** თავის მოწაფეებს ატმის კალათებში ბურთის ტყორცნა შესთავაზა.

გვერდები მოამზადა **ნანა ჩარკვიანმა**

# როგორ დაამკვიდრა დამიანე გოგოხიამ ქართული კალენდარი

**აფხაზეთში სეპარატისტული მოძრაობა იწყება. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე სოხუმში ჩადის. საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბიჭვინთაშია და ნიკიტა ხრუშჩოვს ჩოგბურთს ეთამაშება. მეორე მდივანი დამიანე გოგოხია სამსახურშია.**



გაგრაში შოთა რუსთაველის ძეგლი თავის ადგილს უბრუნდება. მჟავანაძე სოხუმელ მეამბოხეებს მშვიდობიანი მოლაპარაკებით აწყნარებს, თბილისში ბრუნდება და დამიანე გოგოხია თან მოჰყავს. ამ დროს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე მამია მეგრელიშვილი გახლავთ, რომელიც ვაჭრობის მინისტრად გადაჰყავთ. ახლად დაარსებული ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის თავმჯდომარედ ინიშნება დამიანე გოგოხია — წიგნის მოყვარული, მწიგნობარი, საოცრად განათლებული, მაგრამ საგამომცემლო საქმეებსა და პოლიგრაფიაში ნაკლებად ჩახედული, სამაგიეროდ, კარგი ორგანიზატორი და გამოცდილი პარტიული მუშაკი. იმ დროისთვის პიროვნების ასეთი შეფასება ყველა ჯილდოსა და წოდებას აღემატებოდა. მომთხოვნელობისა და თათბირების დეფიციტი არც მამია მეგრელიშვილის დროს იყო, მაგრამ მოვიდა ახალი უფროსი და დაიწყო ახლებური თათბირები. საგამომცემლო საქმეებისა და პოლიგრაფიული მუშაობის ტრადიციული დავა იოლად მოსაგვარებელი არ იყო. გამომცემლობას დროულად შეეძლო, გამოსაცემი დედანი მოემზადებინა, მაგრამ საკმაო სირთულეებისა და ობიექტური მიზეზების გამო, სხვადასხვა სახის გამოცემები მკითხველთან დაგვიანებით მიდიოდა. მაგალითისთვის საკმარისია კედლის კალენდარი. ათეული წლების მანძილზე მისი გამოსვლა დღის სინათლეზე ოთხი თვის დაგვიანებით ხდებოდა. დაისვა კითხვა: რა ეშველება ამ საქმეს?! სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ დამიანე გოგოხიამ დაავალა პოლიგრაფსამმართველოს უფროს გიორგი ფორჩხიძეს, შეესწავლა ეს საკითხი და პირველივე სხდომაზე წარმოედგინა თავისი წინადადება. ბატონ გიორგის ამ საკითხის შესწავლა არ სჭირდებოდა, ბრწყინვალედ იცოდა, სად იყო ძაღლის თავი დამარხული, მაგრამ თავს იკავებდა.

დიდი გამოცდილების მქონე პარტიულ მუშაკს არ გამოეპარა მისი თავშეკავება და სხდომის დამთავრების შემდეგ ბატონ გიორგის სთხოვა, დარჩენილიყო. მეორე დღეს კომიტეტიდან დარეკეს — კომიტეტის თავმჯდომარე სასწრაფოდ გიბარებსო. მაინცდამაინც არ მესიამოვნა. ვიგრძენი რაღაც სერიოზული დავალება მელოდა. კაბინეტში რომ შევედი, ტელეფონით რუსულ ენაზე საუბრობდა. თავი დამიქნია, სავარძლისკენ მიმითითა და ლაპარაკი განაგრძო. საწერ მაგიდაზე მხოლოდ გადაშლილი წიგნი იდო. როგორც მივხვდი, მოსაუბრე სოხუმიდან იყო. საუბრის დამთავრების შემდეგ წამოდგა, მაგრამ მდივანი შემოვიდა და მოახსენა, მოსკოვიდან რეკავენო. ისევ დაუბრუნდა სავარძელს და, კარგა ხანს, მოსკოვს ელაპარაკა. ბოლო წინადადება ჩემთვის რაღაცის მიმანიშნებელი აღმოჩნდა. ინტუიციით მივხვდი, სასწრაფო დაბარებაც მოსკოვთან იყო დაკავშირებული. ადგა, მეც წამოვდექი, მაგრამ მანიშნა დაჯექიო. ხელები უკან დაიწყო კაბინეტის ბოლოში გავიდა, შემოტრიალდა და მეკითხება: გურული ხარ, ჟან? დიახ, წარმოშობით გურული ვარ, — ვუპასუხე. სიცილით მითხრა — მეგრელი რომ იყო, უფრო კარგი ბიჭი იქნებოდიო. მეც გავიცინე. უცებ, ჩემ წინ შეჩერდა და მეუბნება: ჟან! გვექნება დროზე კალენდარი, გვეყოლები, არ გვექნება, — არ გვეყოლები. ხუმრობანარევი მუქარა არ მესიამოვნა. ჩემზე რაც არის დამოკიდებული, მაქსიმალურად შევეცდები-მეთქი. მინდოდა, ყველაფერი მეთქვა, რაც ვიცოდი ამ საქმის შესახებ, მაგრამ შემაწყვეტინა: ჩემთვის ყველაფერი ცნობილია, მოსკოვს ველაპარაკე. აქ კედლის კალენდრის გამოცემა დაგვიანების გარეშე და დიდი ტირაჟით შეუძლებელია. მოსკოვმა გერმანიიდან მიიღო სპეციალური მანქანა-დანადგარი, რაც დიდ ტირაჟს ორ ფერში ბეჭდავს, კეცავს და ჭრის კიდეც თავის ზომაზე. ერთი სიტყვით, მანქანის თავში „რულონი“ ბრუნავს და ბოლოში მზა კალენდარი გამოდის. ყოველივე ამ სიკეთეს თან ახლავს სიტყვა „მაგრამ“.

ე.ი. მოკავშირე რესპუბლიკებისთვის მხოლოდ ერთი თვე არის გამოყოფილი. საქმე მოსწრებაზეა. არჩევანი პოლიგრაფსამმართველომ შენზე შეაჩერა. ფულს მოგცემთ, მატარებლით „სვ“-თი წახვალ, სოხუმში დაგხვდებიან, საჩუქრებს გაგატანენ, სასტუმრო „მოსკოვში“ ლუქსი გექნება. მიხვალ „პერვაია აბრაზცოვაია ტიპოგრაფიაში“, გაზეთ „იზვესტიაში“ ქართული შრიფტის მატრიცებს მიიტან. დანარჩენი შენ იცი. სანამ კალენდრის მთელ ტირაჟს (50 ათასი) არ გამოგზავნი, თბილისში არ ჩამოხვალ.

ამჯერად ჩემი მასპინძელი რეზო ჭიჭინაძე გახლდათ, რომელიც უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ქართულ განყოფილებას ხელმძღვანელობდა. რა თქმა უნდა, კონკურენცია ძალზე დიდი იყო. თოთხმეტი რესპუბლიკა მოსკოვისაკენ დაიძრა, არანაკლები პროტეჟეებითა და არანაკლები საჩუქრებით. ვინ ვის აჯობებდა. ჩემნაირებზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სპორტული ინტერესი გამიჩნდა. ბევრი ნაცნობიც შევაწუხე და ბევრი უცნობიც გავიცანი. დიდი როლი შეასრულა გაგრაში, ბიჭვინთასა და სოხუმში დასვენების გარანტიებმა. ყველას ვაჯობეთ. დამიანე გოგოხიას პროექტმა გაიმარჯვა. მეც მომეცა საშუალება, ჩემი შესაძლებლობების რეალიზება მომეხდინა. ქართული კალენდრის ბეჭდვამ სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი მოსკოვის №1 სანიმუშო სტამბაში.

გავიდა დრო და თბილისში მოძრაობის წესების დარღვევისთვის ავტოინსპექტორმა გამაჩერა. მძღოლის მოწმობა რომ წარვუდგინე, სად მუშაობთო მკითხა. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ მოწმობა წარვუდგინე. წაიკითხა და სიხარულით წამოიძახა: ამ საბუთში ისეთი კაცის ხელმოწერა გაქვთ, სხვა საბუთი არ გჭირდებათო. როგორც გაირკვა, აფხაზეთიდან თბილისში გადმოუყვანიათ სამუშაოდ. დამემშვიდობა და მითხრა, დამიანე ვლადიმეროვიჩს ბევრი კარგი საქმე აქვს გაკეთებული აფხაზეთშიო.

საქართველოზე უსაზღვროთ შეყვარებული ვასილ მჟავანაძე სულითა და ხორცით ქართველს — დამიანე გოგოხიას კიდევ ერთხელ აწინაურებს — ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ. საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილების შემდეგაც კი დამიანე გოგოხია ცენტრალურ კომიტეტში მუშაობდა. იგი ედუარდ შევარდნაძეს დახვდა ამ თანამდებობაზე. ამ დროს მე ნოდარ დუმბაძემ „ნიანგის“ რედაქციაში გადამიყვანა ლიტმუშაკად. ბატონმა დამიანემ ახსნა-განმარტება მოთხოვა ნოდარ დუმბაძეს, რომ ჟანი სიხარულიძე მაღალი თანამდებობიდან რატომ გადავიდა დაბალ თანამდებობაზეო.

საინტერესოა და გასაკვირიც, ისეთ მაღალჩინოსანზე, როგორც დამიანე გოგოხია იყო, საჩივარი შესულიყო „ნიანგის“ რედაქციაში, მაგრამ ფაქტი ფაქტია. საჩივარს ხელს აწერდა გალის რაიონის რამდენიმე მცხოვრები: „პატივცემულო „ნიანგო“! გალში აბანო დაგვიკეტეს დამიანე გოგოხიას სახლის სახურავს ჭვარტლი ეცემაო. დავრეკე გალში და ეს საქმე ისე მოვაგვარე, ბატონ დამიანეს არც გაუგია. რამდენიმე თვის შემდეგ სრულიად შემთხვევით ფასანაურში ფრიად მნიშვნელოვან სუფრასთან მოვხვდი. შეკრებილიყვნენ ილია ვეკუა, დამიანე გოგოხია, ვარლამ შადური, ელგუჯა მაღრაძე, ვალოდია ოდიშვილი და სხვ. მე ბატონ დამიანეს გვერდით ვიჯექი. ღვინომ რომ გამათამამა, საჩივქრის ამბავი მოვუყევი. ძალზე შეწუხდა. ვინანე, რატომ ვუთხარი-მეთქი. ასე მითხრა, ალმასკომის თავმჯდომარეს დავურეკავ, მეორე აბანო ააშენონ და განსაკუთრებული კონტროლი დააწესონ, აბანომ შეუფერხებლად რომ იმუშაოსო. თითქოს უმნიშვნელო რამ არის, მაგრამ ამ პიროვნების დიდ ადამიანობასა და კაცურკაცობაზე მეტყველებს.

**ჟანი სიხარულიძე**







მსოფლიოში პირველი რეპროდუქციული ჯანმრთელობის ცენტრი —
**ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი**



**გთავაზობთ სამედიცინო დახმარებას**

- უნაყოფო წყვილების სრულყოფილ გამოკვლევას და მკურნალობას უახლესი, თანამედროვე მეთოდებით;
- ჰორმონული, გენეტიკური, იმუნოლოგიური, ექოსკოპიური, ენდოსკოპიური გამოკვლევები;
- სასქესო ინფექციების დადგენა, მათ შორის, დნმ-დიაგნოსტიკით;
- სპერმის კომპიუტერული ანალიზი;
- ხელოვნური ინვიტრო განაყოფიერებას; რეპროდუქციული მასალის გაყინულ მდგომარეობაში შენახვა;
- ქალებში და მამაკაცებში სასქესო ორგანოების ანთებითი დაავადებების სქესობრივი და ენდოკრინული დარღვევების დადგენა და მკურნალობა, მათ შორის, ენდოსკოპიური მეთოდებით;
- ორივე სქესის მოზარდებში ენდოკრინული და გინეკოლოგიური პათოლოგიების დიაგნოსტიკა და მკურნალობა;
- სქესობრივი ანომალიების დიაგნოსტიკა, ქირურგიული კორექცია;
- კლიმაქტერული დარღვევების მკურნალობა და პროფილაქტიკა;
- ორსულობის თვითნებური შეწყვეტის მიზეზების დადგენა; შობადობის რეგულაცია — მედიკამენტური კონტრაცეფცია;
- ულტრასონოგრაფიული, ბიოქიმიური, ჰორმონული, ციტოგენეტიკური გამოკვლევები.

**მისამართი: კოსტავას ქ. 43. ტელ. 93-11-45, 99-61-97, 99-54-77**







http://www.geworld.net

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
რეკლამის მენეჯერი ეთერ კასრელიშვილი (899 110 200)
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.

მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. № 166/5
ტელ.: 38-41-97; e-mail: info@geworld.net